

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

1. 1981

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეგია:** ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)  
პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** ბარამიძე ა. გ. (редактор),  
Гамкрелидзе Т. В., Гвахариа А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

© «საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შაცნე», ენისა და ლიტერატურის სერია,  
1981, № 1.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19 ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 10.XI.80; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.III.81; უე 17453;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>7/16</sup>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 16.80; სააღრიცხვო-  
საგამომცემლო თაბახი 15,42; ტირაჟი 1800; შეკვ. 3629; ფაი 1 მან.

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა პ რ ს ი

საბჭოთა საქართველოს მე-50 წლისთავი.

გ. ევანია, ბრძოლებისა და გამარჯვებების 60 წელი	5
გ. ქალანდარიშვილი, ბიბლიის ლიტერატურული ადაპტაცია ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში	15
ვ. გვახარია, მარტივობა შუშანიკისა და ქართული პიმნოგრაფიის საკითხები	30
თ. ჩაველიშვილი, შალვა დადიანის უცნობი ფსევდონიმები	42
ქ. აფციაური, იდეოლოგიისა და მხატვრული სამყაროს ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ჰაგიოგრაფიაში (V—XI სს.)	51
მ. ჩიქოვანი, საბჭოთა კავშირის ხალხების ეპოსის სერიული გამოცემისათვის ნაწარმოებთა შერჩევის პრინციპების შესახებ	64
ა. ბაბაევი, რესპუბლიკური პერიოდის თურქული დრამატურგიის ისტორიის შესახებ	83
მ. ქეკელია, ფოლკლორი როგორც წყარო ქართული სამართლის ისტორიისათვის	89
ზ. სარჯველაძე, ძიებანი ძველი ქართულის ლექსიციდან	104
ი. კორტაძე, პერფექტი ინდოევროპულ და ქართველურ ენებში	109
რ. ძნელაძე, -ა, -იანი, -ოვან სუფიქსთა ფუნქციისა და განაწილებისათვის გურჯიის ტოპონიმიში	116
ნ. კიზირია, სამეტყველო ბგერის ასოციაცია ფერთან	123
რ. ასათიანი, სახელის სიღრმისეული კატეგორიების ტიპოლოგიური ანალიზი	132
ნ. ბარნოვი, თანხმევანთა კომპლექსები ანდლურ ენებში	149

კ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

გ. ტაბიძე, შანშე	165
ლ. კრელაშვილი, გალაკტიონ ტაბიძის გამოუქვეყნებელი პოემა „შანშე“	176

მ ე ც ნ ი ე რ ი ს ი უ ბ ი ლ ე

ა. ბარამიძე, აკაკი გაწერელია (დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო)	178
--	-----

კ რ ი ტ ი კ ა ლ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

კ. ფალავა—ი. მარი, კ. ჩიციანი, წერილები სპარსულ ლიტერატურაზე, 1976	184
--	-----

## საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავი

ზრიზოლ შანიია

### ბრძოლებისა და გამარჯვებების 60 წელი

მალე ქართველი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს თავისი სახელოვანი ისტორიის ორ მნიშვნელოვან თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და დიდი ლენინური პარტიის მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომპარტიის შექმნის სამოცი წლისთავს. საქმარისია გონების თვალი გადაკვალოთ საქართველოს მიერ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან — 1921 წლის 25 თებერვლიდან განვლილ გზას, რომ ნათლად წარმოედგინოთ, რა გადამწყვეტა როლი შეასრულა რესპუბლიკის, მისი მშრომელების ბედში დიდმა ოქტომბერმა, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ. სწორედ ამ ისტორიული გამარჯვებების შედეგად დააღწიეს თავი საქართველოს მშრომელებმა იმ საშინელ სიძნელეებს, გაჩანაგებებს, სილატაქესა და შიმშილს, რომელშიც იმყოფებოდნენ ისინი საუკუნეების განმავლობაში. სწორედ ამ ისტორიულმა გამარჯვებებმა დააყენეს წყენი რესპუბლიკის მშრომელები სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის ფართო გზაზე.

მაგრამ თავისუფლების მტრებს — პირველ რიგში ქართველ მენშევიკებს — როდი სურდათ გაეგოთ ქართველი ხალხის ბედისათვის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ ისინი ქართველი ხალხის ისტორიულ გამარჯვებას სიცრუისა და ცილისწამების მღვრიე ნაკადით შეხედნენ. ამ ბინძურ საქმეში მათ გვერდით ედგნენ ბურჟუაზიული იდეოლოგები, II ინტერნაციონალის ლიდერები და რუსი თეთრგვარდიული ემიგრანტები. მენშევიკებს მხარდაჭერასა და დახმარებას არ აკლებდნენ აგრეთვე იმპერიალისტები, პირველ რიგში ანტანტის სახელმწიფოები.

მიუხედავად მათ ინტერესთა დიდი განსხვავებისა, ყველა ისინი წარმოადგენდნენ საბჭოთა საქართველოს დაუძინებელ მტრებს. ისინი სეტყვასაკით აყრიდნენ ბრალდებათა მთელ გროვას საბჭოთა რუსეთს ე. წ. „საქართველოს დაპყრობისათვის“, მისი „კოლონიად გადაქცევისათვის“, „მტაცებლურ-მძარცველური პოლიტიკის“ გატარებისათვის. ისინი ავრცელებდნენ გაცოფებულ, უტიფარ სიცრუეს ქართველ კომუნისტებზე საქართველოს „გაჩანაგებისათვის“, „ეოროვნული კულტურის დაკნინებისათვის“. საქართველოში „ძალადობის“ პოლიტიკის დამკვიდრებისათვის და ა. შ.

მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გამარჯვა და ამასთან დაკავშირებით ქართველი ერის „გაქრობის“ შესახებ განგაში ატეხეს მისმა მტრებმა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, მის გარეთ. განვლო ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ. ცხადია, კაცობრიობის ისტორიასთან შედარებით, რომელიც ათასობით წლებს ითვლის, ეს დროის მკირე, უფრო ზუსტად, უმნიშვნელო მონაკვეთია. მაგრამ დრომ, რომელიც მიუეკრძოებელი მოსამართლეა, ცხადყო ქართველი ხალხის მტრების მტკი-



ცებათა მთელი უსუსურობა და უმწეობა, ქართველი ერის „გაქრობის“ შესახებ ლეგენდების შემქმნელთა გაყოტრება.

როგორია სინამდვილე, როგორ წარიმართა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ე. წ. „კოლონიური საქართველოს“ მომავალი, რა ბედი ეწია კომუნისტების მიერ ხელისუფლების აღების პირველ დღეებშივე „გაჩანაგებულ“ საქართველოს ეკონომიკას და მათ მიერ „დაკნინებულ“ ქართულ კულტურას?

მალე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველო შეუდგა თავისი საუკუნობრივი ეკონომიკური ჩამორჩენილობის, მენშევიკების მიერ კატასტროფამდე მიყვანილი ეკონომიკური ცხოვრების ლიკვიდაციას. ძნელი იყო პირველი ნაბიჯები ამ მიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაციისათვის პრძოლის გზაზე. მას აფერხებდა შინაური ომი, ომი შეძლებულ კლასებთან და სხვადასხვა ანტიხალხურ, კონტრრევოლუციურ პარტიებთან, რომლებიც ახდენდნენ ქვეყნის მთელი ძალების მობილიზაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დამატებითს სიძნელეებს ქმნიდნენ აგრეთვე ქართველი ემიგრანტები, II ინტერნაციონალის ლიდერები და ყველა ჯურის სოვეტოლოგები, რომლებიც პატარა შემთხვევასაც კი არ უშვებდნენ, რათა ჩაეშალათ ან შეეფერხებინათ საქართველოში ეკონომიკური ცხოვრების გამოსწორების საქმე.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ საქმეში ოდნავე ლოდინი, საქმის ოდნავე გაკინაურება საბჭოთა ხელისუფლების დასაღუპავად ვანწირვას ნიშნავდა. ამიტომ საქართველოს მშრომელები მთელი ძალებით შუადგნენ მენშევიკების მიერ თავიანთი ანტიხალხური პოლიტიკით ქაობში ჩაფლული სახელმწიფოს ამოყვანას, დანგრეული და გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას.

განსაკუთრებით მიმე სურათს წარმოადგენდა მაშინ — მენშევიკების ბატონობის წლებში — მრეწველობა. მენშევიკებმა, შეძლებული კლასების და ინტერვენტების ამ ხელქვეითებმა, სრულ მოშლამდე და დეზორგანიზაციამდე მიიყვანეს საქარეველოს მთელი ეკონომიკური ცხოვრება. საწვავის უქონლობის გამო უმოქმედოდ იყო ფაბრიკები, რკინიგზები და ელექტროსადგურები, არ აშენებულა არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი ქარხანა, არ ყოფილა გაყვანილი არც ერთი კილომეტრი რკინიგზა. 60 პროცენტით შემცირდა წარმოება მრეწველობის ყველა დარგში. სულ უფრო და უფრო მცირდებოდა მარგანეცის მოპოვება. იგი 1919 წლისათვის თითქმის 20-ჯერ შემცირდა 1913 წელთან შედარებით. 1913 წელს მოქმედი 303 მალაროდან 1919 წელს მოქმედებდა მხოლოდ 12. ასეთი სურათი იყო მრეწველობის სხვა დარგებშიც.

ასეთი იყო მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკის შედეგები სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ დარგში — მრეწველობაში.

არანაკლებ მიმე სურათს წარმოადგენდა მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში. მენშევიკები უმწეონი აღმოჩნდნენ აგრარული საკითხის გადაწყვეტაში. 1920 წელს, როცა ეს საკითხი მათ გადაწყვეტილად მიაჩნდათ, თავდაზნაურობა ორჯერ მეტ მიწას ფლობდა გლეხობასთან შედარებით. სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა სასურსათო კრიზისი. თითქმის ორნახევარჯერ შემცირდა მარცვლეულის მოსავალი. იკლო მსხვილრქოსანი საქონლის სულადობამ, დიდად შემცირდა აგრეთვე ზვრების ფართობი და ღვი-

ნის გატანა. ხუთჯერ შემცირდა თამბაქოს მოსავალი. შესაბამისად იყლო თამბაქოს ექსპორტმაც.

სოფლის მეურნეობას არ ეწეოდა არავითარი აგრონომიული დახმარება, არ ეძლეოდა კრედიტი, არავინ ზრუნავდა მის ტექნიკურ შეიარაღებაზე. 1919—1920 საბოუჭეტო წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დაიხარჯა საერთო ბიუჯეტის მხოლოდ 5 პროცენტი. ყოველივე ამან ისედაც სიღარიბითა და სიბნელით დაბეჩავებული ქართველი გლეხის ცხოვრება კიდევ უფრო მძიმე და უსიხარულო გახალა.

საბოლოოდ დაირღვა ქალაქსა და სოფელს შორის წინანდელი შეღარებით ნორმალური ურთიერთობა. ძირითადი მოხმარების საგნები გაძვირდა თითქმის 25-ჯერ. მოხდა ქალაქის ფულის გაუფასურება. 1917 წელს გირვანქა სტერლინგი ფასობდა 9 მანეთანხევარი. 1920 წლის აგვისტოში სტერლინგის ფასი ავიდა 700 მანეთამდე. იმავე წლის შემოდგომისათვის კი მანეთის კურსი თითქმის 1000-ჯერ დაეცა. წარმოიშვა „მაკრატელი“ ფასებში. ასე მავალითად, 1918 წელს სამრეწველო საქონლის ფასი 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 9,7-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის ნაწარმის — 26,3-ჯერ.

სახელმწიფო ბიუჯეტი ატარებდა აშკარა მილიტარისტულ ხასიათს. ბიუჯეტის დაახლოებით 37 პროცენტი სამხედრო ხარჯებზე მოდიოდა. მხოლოდ 5,5 პროცენტი ხმარდებოდა სახალხო განათლებას. სოციალური საჭიროებისათვის კი იხარჯებოდა ბიუჯეტის მხოლოდ 0,1 პროცენტი. ეს ციფრები აშკარად მეტყველებდნენ ბიუჯეტის ანტიხალხურ ხასიათზე.

ადვილი როდი იყო კატასტროფამდე მიყვანილი მრეწველობის აღდგენა და სოციალიზმის გზით მისი წარმართვა. მან მოითხოვა პარტიისაგან, მშრომელებისაგან მთელი ძალ-ღონის მობილიზაცია, თავდადება და შეუპოვრობა, უსისწლო ომი. ყოველივე ამან უზრუნველყო ნახტომებრივი ტემპი მრეწველობის განვითარებაში, უმოკლეს დროში ამ დარგის ჩამორჩეულობის ლიკვიდაცია, მყარ ნიადაგზე მისი დაყენება. ახლა, 1980 წელს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქცია 1913 წელთან შედარებით: 170-ჯერ გაიზარდა. რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში აგებულ იქნა 1200-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო — თბილისის საავიაციო, ელმავალსაშენებელი და ჩარხსაშენებელი ქარხნები, რუსთავის მეტალურგიული, ცემენტის, აზოტოვანი სასუქების, სინთეზური ბოქოს ქარხნები, ქიმიური კომბინატი, ქუთაისის საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, გემთსაშენებელი და ელექტრომექანიკური ქარხნები, გორის ბამბეულის და მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატები და ა. შ. მრავალი სხვა.

რესპუბლიკის მრეწველობაში ახლა 2 დღეში უფრო მეტი პროდუქცია იწარმოება, ვიდრე მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ, 1920 წლის მანძილზე იყო გამოშვებული. ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტის თითქმის 100 ქვეყანაში იგზავნება საქსპორტოდ ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქცია. საზღვარგარეთ იგზავნება მანგანუმი, ფეროშენადნობი, მალალი სიზუსტის ლითონდაამამუშავებელი დაზგები, ელმავლები, სატვირთო მანქანები, სატრანსპორტო და ელექტრო-ტექნიკური მანქანები, სამთო-სამაშტო ტექნიკა, შემღულელებელი აპარატები, წყალქვეშ-

აფრთიანი კატარლები, ელექტროკატერები, ფოლადის მილები, ზუსტი ხელსაწყოები და მრავალი სხვა.

უდიდეს წარმატებებს მიაღწია ჩვენმა რესპუბლიკამ ენერგეტიკული წყურნეობის განვითარების დარგში. საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მსხვილ კერას, ძეგლს, წარმოადგენდა ზაქესი, რომელიც აგებულ იქნა გოელროს ლენინური გეგმით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით. ახლა საქართველოში 70 ელექტროსადგურია, რომლებიც 13 მილიარდ კილოვატსათზე მეტ ელექტროენერგიას იძლევიან ყოველწლიურად. ეს 421-ჯერ აღემატება 1921 წელს საქართველოში გამომუშავებულ ელექტროენერგიას და თითქმის ხუთჯერ აღემატება მთელს რევოლუციამდელ რუსეთში გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობას. მეათე სთწლედში მთლიანად ჩადგა მწყობრში ენგურის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც იძლევა გაცილებით მეტ ელექტროენერგიას. ვიდრე მას აწარმოებს საქართველოს ყველა ჰიდროელექტროსადგური. 1932 წელს ელექტროფიცირებულ იქნა რკინიგზა ჩაშურსა და ზესტაფონს შორის. დღეს კი მთლიანად 1500 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა ელექტროფიცირებულია. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკას პირველი ადგილი უჭირავს სსრ კავშირში, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ საქართველო უსწრებს ევროპის მთელი რიგ განვითარებულ ქვეყანას. ასეთი მსლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნამ ხელი შეუწყო მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ სწრაფ განვითარებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

ასე ამოიყვანეს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით და დიდი რუსი ხალხისა და ყველა საბჭოთა ხალხის დახმარებით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა სრულ კატასტროფამდე მიყვანილი მრეწველობა და დააყენეს სახალხო მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი სოციალიზმისა და კომუნისმის მკვიდრ გზაზე. ახლა ჩვენს რესპუბლიკას აქვს უაღრესად განვითარებული სოციალისტური მრეწველობა.

დავიწყებას მიეცა სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივი ჩამორჩენალობაც. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ისტორიული გარდაქმნები განხორციელდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. ლენინური კოლპეტიციული გეგმის ურყევად გატარების შედეგად, გლეხობის ფართო მასების მხარდაჭერით ჯერ კიდევ ოთხი ათეული წლის წინაა დაშვიდრდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში საკოლმეურნეო წყობა, რამაც სამუდამოდ გაათავისუფლა გლეხობა კულაკური მონობისა და სიღატაკისაგან. სოფლის მეურნეობის ძირითად შეიარაღებად გადაიქცა ტრაქტორი, კომბაინი და თანამედროვე მანქანური ტექნიკის მრავალი სხვა სახე. კოლმეურნე გლეხებმა მიიღეს შესაძლებლობა ფართოდ გამოიყენონ თავიანთ მინდვრებზე აკრონომიული მეცნიერების ყველა მიღწევა.

სოფლის მეურნეობაში მისი ძირითადი დარგების — მარცვლეულისა და მეცხოველეობის — გარდა ფართოდ დაინერგა და განვითარება პოვანისებამა ძვირფასმა კულტურებმა, როგორცაა: ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, გრეიფუტი, შაქრის ჭარხალი, თამბაქო და სხვ. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებით ფართო განვითარება პოვა მეჩაიეობამ. 1920 წელთან შედარებით ჩაის პლანტაციების ფართობი 1979 წლისათვის 70-ჯერ გაიზარდა, ხოლო ჩაის საერთო მოსავალი — 800-ჯერ. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი

უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგის — მევენახეობის განვითარების დარგში. თითქმის სამნახევარჯერ გაიზარდა ვენახების ნარგავების ფართობი საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ახლა მის წილად მოდის საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის თითქმის 21 პროცენტი.

წლითწლობით უმჯობესდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ნატურალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე. 1971 — 1975 წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო 15052 ტრაქტორი, 11127 სატვირთო ავტომობილი და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მეთავე ზეთუღედში გამოყოფილი იყო 1,6 მილიარდი მანეთის კაპიტალდაბანდებანი.

ასე ამოიყვანეს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელებმა კატასტროფამდე მიყვანილი სოფლის მეურნეობა და განახორციელეს სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის სოციალისტური გარდაქმნა.

სახალხო მეურნეობის განუხრებლმა ზრდამ უზრუნველყო მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის არსებითი ამაღლება. მიახლოებით გაანგარიშებით დადგენილია, რომ რესპუბლიკაში წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობა 1979 წელს 1913 წელთან შედარებით 74-ჯერ გადიდა, ხოლო 1970 წელს 1922 წელთან შედარებით 102-ჯერ<sup>1</sup>.

ჩაზე მიუთითებენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, მისი უმნიშვნელოვანესი დარგების — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — ასეთი ნახტომებრივი განვითარება? მხოლოდ იმაზე, რომ ე. წ. „ექსპლოატირებული“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპი სრულებით არ ჰგავს „ჩაგრული“ და „ექსპლოატირებული“ რესპუბლიკის განვითარების ტემპს.

ასეთი იყო ქართველი ხალხის ბედისათვის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ურყევად გატარების მნიშვნელობა.

ასეთია მოკლედ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი დიდი გარდაქმნები.

ახსიათებდა რა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებების სურათს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე რიგგარეშე სესიაზე ამბობდა: „გვაქვს თვითმფრინავები, ელმავლები და ავტომობილები, პროგრამული მართვის ჩარხები, ეგრეთ წოდებული „ქკვიანი“ მანქანები, შავი და ფერადი მეტალურგია, დიდი ქიმიკა, მანგანუმი, ნავთობი, ქვანახშირი, მაღალგანვითარებული საკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი, ზღვაოსნობა, თევზსაქერი ფლოტი, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ზღვასა და ოკეანეში ეწევა რეწვას. აი, არასრულა ნუსხა იმ კოლორიტული შტრიხებისა, ლაზათს რომ მატებს თანამედროვე საქართველოს პორტრეტს“.

ცხადია, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ეს დიდი ცვლილებები უნდა შეემჩნიათ ბურჟუაზიულ იდეოლო-

<sup>1</sup>იხ. ე. მ. ე. ჯაძე, საქართველოს ეკონომიკის, დაჩქარებული განვითარების კომპლექსური პროგრამა, თბილისი, 1975, გვ. 14.

გებს, ყველა ჯურის სოვეტოლოგებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს სიბეცე სჭირთ, ოღონდ, რაც მთავარია, ხელოვნურად შექმნილი.

ყველაზე უარესი ბრმა ის არის, ვისაც არ სურს დაინახოს.

საქართველოში განხორციელებულმა ძირეულმა ეკონომიკურმა ვარდაქმნებმა გამოიწვიეს არსებითი ცვლილებები რესპუბლიკის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

საბჭოთა საქართველომ მემკვიდრეობად მიიღო მეფის რუსეთისაგან წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობა; დაახლოებით მოსახლეობის 75 პროცენტმა არც წერა იცოდა და არც კითხვა.

ადვილი როდი იყო ამ უმძიმესი მემკვიდრეობის დაძლევა. ჩვეულებრივ პირობებში მას დასჭირდებოდა საუკუნე — საუკუნენახევარი. მაგრამ მშრომელების ხელისუფლებამ, კულტურული რევოლუციის ლენინური პროგრამის ურყევად გატარებამ უზრუნველყო სრულიად მოკლე დროში. რალაც ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში უმეცრებისა და სიბნელის ჭაობიდან საქართველოს ამოყვანა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. მძიმე მემკვიდრეობა ისტორიას ჩაბარდა.

ფანტასტიკური ტემპით ვითარდებოდა ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო განათლება. რესპუბლიკის 3957 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობს მილიონამდე ბავშვი: 82 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელსა და 97 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში — 100 ათასზე მეტი მოსწავლე.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 85 ათასზე მეტი სტუდენტი. ყოველ 10000 სულ მოსახლეზე მოდის 169 კაცი უმაღლესი განათლებით, 382 კაცი საშუალო განათლებით. ასეთი დონე პიუჟის არ გააჩნია მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს. დიპლომირებული სპეციალისტების გამოშვების დარგში ჩვენი რესპუბლიკა დიდად უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: ინგლისი, ბელგია, დანია, შვეიცია.

შვიდმილიანი ნაბიჯით იწარდებოდა ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერული პოტენციალი. ჭერ კიდევ 1951 წელს სორბონის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა მარსელ პრენანი, რომელიც იმ ხანებში საქართველოს ესტუმრა, აღნიშნავდა, რომ პატარა საქართველოს, სიდაც ოთხი მილიონი კაცი ცხოვრობს, იმდენივე მეცნიერი ჰყავს, რამდენიც 40 მილიონიან საფრანგეთს. მას შემდეგ განვლო მეოთხედ საუკუნეზე მეტმა დრომ. მოხდა ცვლილებები პროპორციაშიც. ახლა რესპუბლიკას ჰყავს 25 ათასზე მეტი მეცნიერ მუშაკი. ბევრი ქართველი მეცნიერის გამოკვლევამ საერთაშორისო აღიარება პოვა.

ეროვნული მეცნიერული კადრების მომზადებისა და მეცნიერული აზრის ცენტრს წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც შეიქმნა 1941 წელს. ბევრი აქტუალური მეცნიერული პრობლემა მუშავდება რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, რომელთა რაოდენობა ორასზე მეტია. ქართველი მეცნიერების ბევრი გამოკვლევა შევიდა მსოფლიოს მეცნიერების საგანძურში და დამსახურა ლენინური, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიები.

მოყვანილი ციფრები საბრალდებულო აქტია ბურჟუაზიული იდეოლოგებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილის საზიზღარი ფალსიფიკატორებისათვის.

საქართველომ მიიღწია კულტურული ცხოვრების გაუგონარ აყვავებას. 1980 წელს მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საქმეს ემსახურებოდა 29 თეატრი. 98 მუზეუმი, 247 კლუბი და კულტურის სახლი, 2025 კინოდანადგარი, დაახლოებით 4 ათასამდე ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნის ფონდი 30 მილიონ ეგზემპლარს აღემატება. მენშევიეზის ბატონობის წლებში კი საქართველოში იყო 5 თეატრი, 2 მუზეუმი და 25 ბიბლიოთეკა. 10 ათას მხატვრულ თვითმოქმედების კოლექტივებში ჩაბმულა ქალაქებისა და სოფლების 200 ათასამდე მცხოვრები.

დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი ამბობს: „ხალხის კულტურის დონე სამართლიანად განიზომება ქვეყანაში გამოშავალი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების რაოდენობით“. ჩვენი რესპუბლიკა ამ მხრივაც იძლევა ბრწყინვალე ნიმუშებს. ეკონომიკურ განვითარებასთან, სოციალიზმისა და კომუნაზმისაკენ წინსვლასთან ერთად რესპუბლიკაში წლიდან წლამდე იზრდებოდა ბეჭდვითი სიტყვა. იზრდებოდა მისი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი.

პირველი პარტიული გაზეთი, რომელიც დაიბადა საბჭოთა საქართველოსთან ერთად, იყო გაზეთი „კომუნისტი“. მისი პირველი წლების ერთდროული ტირაჟი 3000 ეგზემპლარს არ აღემატებოდა. დღეს კი მისი ტირაჟი 650 ათას ეგზემპლარამდე აღწევს. „კომუნისტის“ გვერდით მალე დგება „პრავედა გრუზიი“, „ზარია ვოსტოკა“, „მიწის მუშა“, „მუშის შრომა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და მრავალი სხვა. იქმნება ადგილობრივი გაზეთების — საოლქო, სამაზრო, რაიონული, საქარხნო მრავალტირაჟიანი და საკოლმეურნეო გაზეთების — ფართო ქსელი.

ამჟამად საქართველოში გამოდის 150 გაზეთი, ჟურნალი და აღმანახი. დღეს საქართველოში გამოშავალი ყველა გაზეთის ერთდროული ტირაჟი შეადგენს დაახლოებით 2,5 მილიონ ეგზემპლარს. „კომუნისტთან“ ერთად დიდი ტირაჟით გამოდის გაზეთები „ზარია ვოსტოკა“, „სოფლის ცხოვრება“. „სახალხო განათლება“. მხოლოდ ერთი გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ ტირაჟი ერთნახევარჯერ აღემატება მენშევიკურ საქართველოში 1920 წელს გამოშავალი გაზეთების საერთო ტირაჟს. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ორ სულ მოსახლეზე მოდის 1 ეგზემპლარი გაზეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ამ მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. მსოფლიოში კი იუნესკოს მონაცემებით 1000 მცხოვრებზე საშუალოდ მოდის 153 ეგზემპლარი გაზეთი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უძარცხად ფართო გაქანება პოვა საქართველოში საგამომცემლო ინდუსტრიის განვითარებამ. ამჟამად ყოველწლიურად რესპუბლიკის 11 გამომცემლობა საშუალოდ უშვებს 2500-მდე სახელწოდების წიგნს, რომელთა ტირაჟი 10 მილიონამდე ეგზემპლარს აღწევს. ეს იმ დროს, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამი საუკუნის მანძილზე სულ გამოცემულ იქნა 6 ათასამდე დასახელების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი ძლივს აღწევდა ერთ მილიონ ეგზემპლარს. დღეს საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდის 4 წიგნი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ამ დარგშიც ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდა მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა რადიო და ტელევიზია. 1980 წლის დასაწყისისათვის

საქართველოში დაახლოებით მილიონ შვიდასათასამდე ოჯახს აქვს რადიომიმღები, ხოლო მილიონამდე ოჯახს — ტელევიზორი.

ეგრეთ წოდებულ „კოლონიურ“ საქართველოში კოლოსალურად განვითარდა სამედიცინო მომსახურება. შექმნილია სამედიცინო დაწესებულებების ფართო ქსელი. საქართველოს მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე მოდის 40-მდე ექიმი. ჩვენი „ჩაგრული“ რესპუბლიკის — საქართველოს დედაქალაქი თბილისი სამედიცინო მომსახურების მხრივ გაცილებით მაღლა დგას ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკზე. ასე მაგალითად, ნიუ-იორკის 100 ათას მცხოვრებზე მოდის 249 ექიმი, ხოლო თბილისის 100 ათას მცხოვრებზე კი — ათასზე მეტი. მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ, 1920 წელს საქართველოს 10 ათას მცხოვრებზე მოდიოდა მხოლოდ 1,8 ექიმი. იყო ისეთი სოფლებიც, სადაც არც ერთი ექიმი არ იყო. „საჭიროა 2 ექიმი სვანეთისათვის“ — ასეთი განცხადება გამოაქვეყნა მენშევიკური მთავრობის ოფიციალურმა ორგანომ „ერთობამ“ 1920 წლის 13 ნოემბერს. ანალოგიური ხასიათის განცხადება ხშირად ქვეყნდებოდა „ერთობისა“ და სხვა მენშევიკური გაზეთების ფურცლებზე.

ასეთია „კოლონიური“ საქართველოს ბედი ამ დარგშიც.

ასეთია საქართველოს მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვლილი განვითარებისა და აყვავების ნათელი გზა.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის წითელ დროშას ამშვენებს სამშობლოს მაღალი ჯილდოები. საქართველო ორჯერ იქნა დაჯილდოებული ლენინის ორდენით: 1936 წელს სოციალისტურ მშენებლობაში წარმატებებისათვის და 1970 წელს — კვლავ დიდი მიღწევებისათვის. 1973 წელს კი დიდი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველო დაჯილდოებულ იქნა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, ცოტა უფრო გვიან — ხალხთა მეგობრობის ორდენით.

1973—1980 წლებში ჩვენს რესპუბლიკას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ზედიზედ შეიღწერა გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

რესპუბლიკის ეროვნულ დროშაზე ორდენები, გარდამავალი დროშები... ამ ფაქტებში ღრმა აზრებია ჩაქსოვილი. ეს მაღალი ჯილდოები მაღალი შეფასებაა იმ დიდი როლისა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას უჭირავს ჩვენი დიდი ქვეყნის ეკონომიკურ, იდეურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ბურჟუაზიული იდეოლოგიებისათვის, ყველა ჭურის ანტიკომუნისტებისა და სოცეტოლოგიებისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ „კოლონიების“ დაჯილდოების ფაქტი ისტორიაში ჭკრჭკრობით არაა ცნობილი.

ყოველ პატიოსან ქართველ მშრომელს კარგად აქვს წარმოდგენილი, რომ მის მიერ მოპოვებული მიღწევები ეკონომიკურ თუ კულტურულ ფრონტზე დიდადა განპირობებული ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ურყევად გატარებით, იმ მუდმივი დახმარებითა და მხარდაჭერით, რომელსაც უწევდა მას დიდი რუსი ხალხი და სხვა მოძმე ხალხები.

რაზე მიუთითებს ყველაფერი ეს? იმაზე, რომ ცდებოდნენ ჩვენი თანამემამულენი, ე. წ. სოციალისტები, როცა გარბოდნენ საზღვარგარეთ, „ბედი აშარა“ ტოვებდნენ თავიანთ ქვეყანას და ორიენტაციას იღებდნენ დასავლეთის

იმპერიალისტების სამსახურზე. ყველაფერი ეს კიდეც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ცდებოდნენ, როცა ბოლშევიკებს მიაწერდნენ „კაციაზიზმას“. ცდებოდნენ და ცდებიან ყველა ისინი, ვინც ამტკიცებდა და ამტკიცებს, რომ დიდი და სახელოვანი კულტურის მქონე საქართველო საბედისწერო მდგომარეობაშია ჩავარდნილი და რომ ეს „კულტურა ჩაძირულია რუსეთის კულტურაში“. კიდეც უფრო ცდებოდნენ და ცდებიან ისინი, ვინც ამტკიცებდა და განაგრძობდა „ამტკიცებას“, რომ „ქართული ენა უკვე აღარაა ეროვნული ენა“ და რომ იგი „ავდომის პროცესშია“.

ამრიგად, ქართველმა ერმა სწორედ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ განვილილ წლებში გააცნა ისეთი დიდი ისტორიული ნახტომი, რომელიც თავისი მნიშვნელობით, მოვლენების მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით შეიძლება საუკუნეებს შეედაროს. სწორედ ამ პერიოდში დააღწია საქართველომ თავი საუკუნეობრივ ჩამორჩენილობასა და კოლონიურ დამოკიდებულებას და გადაიქცა იგი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების აქტიურ მშენებლად, სსრ კავშირის ხალხთა დიადი ლენინური ოჯახის თანასწორუფლებიან წევრად.

ურყევად მიჰყვებოდა რა საბჭოთა კავშირი ხალხთა მშური კავშირის განმტკიცებასა და გაფართოების აუცილებლობის შესახებ დიდი ლენინის ანდერძს, საქართველოს ბოლშევიკები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის მსვლელობაში განამტკიცებდნენ ქართველი ხალხის ძმურ მეგობრობას დიდ რუს ხალხთან, რომელთანაც იგი დაკავშირებულია წარსულითა და მომავლით, განამტკიცებდა მშურ კავშირს ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა სხვა ხალხთან, რომლებთანაც ქართველი ხალხი ასევე დაკავშირებულია საერთო ინტერესებითა და სასიაცოცხლო იდეალებით, კომუნისმისათვის ერთობლივი ბრძოლით.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური პოლიტიკის განხორციელება მოასწავებდა უდიდეს რევოლუციურ გადატრიალებას ჩვენი რესპუბლიკის მთელ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, კლასობრივ სტრუქტურაში.

საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავენ 70-იანი წლები, მეთათე ხუთწლედი. რესპუბლიკის გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი შესანიშნავი ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად რესპუბლიკამ ამ წლებში მიაღწია უდიდეს გამარჯვებას როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ისე მშრომელთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში. ამ გამარჯვებების ყველაზე ნათელ გამოსახტულებას წარმოადგენდა მეთათე ხუთწლედის საგვეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე — 20 ნოემბრისათვის შესრულება.

ამ დიდი გამარჯვების პასუხად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევმა გასული წლის ნოემბრის ბოლოს მილოცვის წერილი გამოუგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, ყველა მშრომელს. თავის წერილში ლ. ი. ბრეჟნევი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საქართველოს მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტუ-



რი შევიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და ვაღამდე შეასრულეს მეთაუ ხუთწლეულისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული სამარეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიანი მოცულობის ზრდის ტემპის და-  
ვალეზანი.

წერილის დასასრულს ლ. ი. ბრეჟნევი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის მშრომელნი განამტკიცებენ მიღწეულ შედეგებს და კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძობენ წარმოების ეფექტიანობისა და მთელი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას. და მართლაც, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი წარმატებებით შეეგებნენ ლენინური პარტიის XXVI ყრილობას, რომელიც წარმოადგენს ახალ ისტორიულ ნიშანსვეტს ჩვენს ქვეყანაში კომუნისზმის მშენებლობის გზაზე.

რესპუბლიკის მშრომელების მიერ მეთაუ ხუთწლეუში მოპოვებული წარმატებები, ამ წლებში საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობის შედეგები შეჯამებულ იქნა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ, რომელიც ჩატარდა 22—24 იანვარს. ეს ყრილობა მოასწავებს უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელების ცხოვრებაში. ეს ყრილობა სამუდამოდ შეეა კომუნისზმისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციების, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ბრძოლის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი უაღრესად ნათელი და აღმაფრთოვანებელი ფურცელი.

ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე. საანგარიშო მოხსენებაში ე. ა. შევარდნაძემ შეაჯამა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელების გმირული შრომისა და სახელოვანი საქმეების დიდებული შედეგები. მოხსენებაში მთელი სისრულით იყო წარმოდგენილი საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობისა და რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური განვითარების საკითხებზე უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებული დადგენილებების დიდი საარსებო და სასიცოცხლო მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკისათვის, ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელების მიერ გაწეული დიდი მუშაობის შედეგები.

ყრილობამ, რომელიც წარმოადგენდა მეთაუ ხუთწლეულის გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში გამარჯვებულთა დემონსტრაციას, მთელი სიდიადით წარმოგვიდგინა საქართველოს კომპარტიის დარაზმულობა და ურღვევი იდეური ერთიანობა, მისი უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი. ყრილობა წარმოადგენდა ცოცხალ განსახიერებას პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა ერთიანობისა, რომელიც სულ უფრო და უფრო მტკიცდება რესპუბლიკის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკანასკნელ წლებში გაჩაღებული ერთსულოვანი უკომპრომისო ბრძოლის შედეგად.

## ბულნარა კალანდარიშვილი

## ბიბლიის ლიტერატურული ადაპტაცია კართველ რომანტიკოსთა კომეზიუსი

ქართული რომანტიკული მწერლობა ორი ეპოქის მიჯნაზე შეიქმნა, სპეციფიკურ კულტურულ-საზოგადოებრივ გარემოში, რომანტიზმით დაიწყო ერა ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში, საფუძველი ჩაეყარა ახალ ლიტერატურულ სტრუქტურას. რადგან ხელოვნების რომანტიკული ფორმის დეფინიცია ევროპული ფილოსოფიური და კრიტიკული აზროვნების მონაპოვარია და დღემდე ინარჩუნებს ამ უაღრესად რთული და მრავალგვარი მიმართულებისათვის კომპენდიუმის მნიშვნელობას, ქართული რომანტიზმის კვლევა თავს ვერ აარიდებს შედარებით მეთოდს. თუმცა შედარებითი მეთოდით გაუფრთხილებელ გატაცებას შეიძლება მოჰყვეს ისტორიული საზღვრებისა და მასშტაბების მოშლა, ხოლო მართივი ასოციაციებით მოპოვებულ პარალელებს ეროვნული რომანტიზმის სრული გაუაზრებლობა. საინტერესოა ქართული რომანტიზმი ლიტერატურულ მოვლენათა სინქრონულობის, იდეათა პარალელიზმის თვალსაზრისითაც. „გოქის სტილის“ დამკვიდრება XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. ლიტერატურული პროცესის პერიპეტივებს არ შეუქმნიათ ნიადაგი ქარიშხლისა და შეტევისათვის, ჩვენს მწერლობაში არ განვითარებულა კლასიციზმი, ფილოსოფიურ და რელიგიურ აზროვნებაში რაციონალიზმს იმ ზომამდე არასოდეს დაუთრგუნავს გრძნობა, რომ მის ემანსიპაციას განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირვებოდა. არც ლიტერატურულ-თეორიული ბატალიები გამართულა რომანტიზმის ესთეტიკური პრინციპების დასადგენად. საერთოდ, ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედება ქართული კრიტიკის მიერ კარგა ხნის განმავლობაში არც კი იყო გაცნობიერებული როგორც რომანტიზმის ფაქტი. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართული რომანტიზმი არსებითად თავსდება ზოგადევროპულ ტიპოლოგიურ კომპლექსში და, რაც მთავარია, ისტორიულ-ლიტერატურულ ასპექტში მისი დამოკიდებულება ტიპურია შემოქმედებითი სამყაროსადმი, რომლის წიაღშიაც ის საწყისს იღებს. ეს სამყაროა ძველი ქართული მწერლობა. ევროპელი რომანტიკოსების მსგავსად ჩვენი პოეტები ცხოველ ინტერესს იჩენენ შუა საუკუნეების ლიტერატურული ფორმებისადმი, რაც განაპირობებს ადაპტაციის საუფრადღებო შემთხვევებს, მეტად მნიშვნელოვანს მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საკითხების კვლევისათვის.

სინამდვილის აღქმისა და მხატვრული განსახიერების ტიპი კონსექვენტური—„წმინდა“ სახით ლიტერატურაში არ გვხვდება. ყველა კულტურულ სიახლეს ტრადიციისა და ნოვატორობის დიალექტიკა განაპირობებს. რაც უფრო ძველია ლიტერატურა, მით უფრო ნათლად ჩანს მასში ინვოლუციის კანონი, რომელიც ევროპული კულტურის მაგალითზე ასე წარმოიდგინა ანდრეი ბელიმ: «Лет через двадцать откроется, что Августин протестант и в нем нет католичности, через него изливается в средневековье Плотин, он таит в себе «Фауста» Гете и Вагнера-Канта; в нем вздох фуги Баха; тончайшее сочетание

«современностей» поздней эпохи уже современно в начале эпохи, наши дни затанл в себе шестой век»<sup>1</sup>. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ლიტერატურის უწყვეტი დინება გამოირიცხავს ინდივიდუალიზაციის პროცესს. ეს ნიშნავს, რომ კულტურის, კერძოდ ლიტერატურის, ფენომენი კონსტრუქციულია, მაშასადამე, ღრმად ისტორიული და უნივერსალური. ლიტერატურას არაფერი „აეიწყდება“. ტრადიციულ ფორმათა არსებობა მასში ისეთივე აუცილებლობაა, როგორც შემოქმედებითი თავისუფლება და ახალ თვისებრიობათა გაჩენა. ამ სიბრტყეზე იყრის თავს ლიტერატურათმცოდნეობის ყველა კარდინალური პრობლემა, მათ შორის პრობლემა რელიგიური ცნობიერებისა რომანტიკულ მწერლობაში. ევროპული რომანტიკული ხელოვნებისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევებში რომანტიზმს ხშირად უწოდებენ „ახალ რელიგიას“ და ამტკიცებენ, რომ მასში აისახა რელიგიურ აზროვნებაში მიმდინარე დიდი ტრანსფორმაცია. პრობლემის აღძვრის შესაძლებლობას იძლევა ქართული რომანტიზმიც, ოღონდ რიგ თავისებურებათა გათვალისწინების პირობით. თავისებურება გამოწვეულია იმით, რომ ქართული რომანტიკული მწერლობა, ევროპულისაგან განსხვავებით, შეიქმნა რელიგიური განწყობილების თითქმის ერთგვაროვან გარემოში. ცხადია, ამ შემთხვევაში იგულისხმება რელიგიისადმი დამოკიდებულების ტიპი და არა ისტორიულად ცვალებადი მასშტაბები. V-XVIII საუკუნეების ქართული ორიგინალური ლიტერატურა ძირითადად განუყოფელია ქრისტიანულ იდეათა სტრუქტურისაგან. მთელ ძველ ქართულ ლიტერატურაში „სიბრძნე კორციელი“ და „სიბრძნე ზეგარდმო“ არსებითად განაგებდა პოეტურ შემეცნებასა და მხატვრულ კანონზომიერებას<sup>2</sup> და მათთან მიმართებაში თავს იჩენდა მხატვრული შემოქმედების ვიტალური იმპულსი, თანდათანობით იქმნებოდა ფონი სულის თავისუფლებისა და გრძნობის კულტისათვის, რამაც შემდგომ, XIX ს. პირველი ნახევრის რომანტიკული მწერლობის სპეციფიკური თვისებების მნიშვნელობა შეიძინა. როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგია თვით შეიცავს ხელოვნების მომენტს იმ თვალსაზრისით, რომ მასში ღმერთი კონკრეტული ადამიანის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო ადამიანის ბიოლოგიური და საზოგადოებრივი არსებობა, სულიერი ცხოვრების დინამიკა ის ფორმაა, რომლითაც ხელოვნება იდეათა სფეროს ასახიერებს<sup>3</sup>. „აბსოლუტური, გაგებული როგორც კონკრეტული, ერთიანობა ამ აბსოლუტურად განსხვავებულ ცნებათა—არის ქეზმარიტი ღმერთი“<sup>4</sup>—ეს არის ქრისტიანობის ზოგადი იდეა. ამითაც აიხსნება ბიბლიური წიგნების სტილის უდიდესი ზემოქმედება ქრისტიანული ქვეყნების მხატვრულ აზროვნებაზე<sup>5</sup>. თუმცა ბიბლიური წიგნების შინაარსი, რა თქმა უნდა, რელიგიურია, ის შეიცავს მოძღვრებას, სწავლას და შემოქმედებითი ამოცანა ადამიანის ცხოვრების მრავალ ასპექტში ჩვენებისა ბიბლიას არა აქვს, მაინც იმდენად დიდია მასში დოზა ემპირიული სინამდვილისა, ისტორიისა, რომ ხელოვნებას იმთავითვე დაუკავშირდა არა მხოლოდ მოძღვრების გააზრებისა და აღიარების მომენტი, არამედ ბიბლიური თემის უშუალო, ცოცხალი, სუბიექტური განცდისაც.

ქრისტიანულმა რელიგიურ-ფილოსოფიურმა სისტემამ შეითავსა შემოქმედებითი ინდივიდუალობა, წმინდა აზრისა და მხატვრული ფანტაზიის კორელაცია მისივე წიაღიდან მომდინარეობდა და უდიდეს ქმნილებებში გასაოცარ სიმალეს აღწევდა. „დანტეს უნდა შექმნას ალეგორიული პოეზია და არ გამოსდის, რადგან პოეტია და პოეტი სძლევეს თეორეტიკოსს, პოეზია ზეიმობს პოეტიკაზე. მის თვალსაწიერში აზრი იქცევა ფანტაზიურ სახედ. მას სურს ააგოს ალუ-

კორია — ჩვენ წინაშეა პოეზია, მას გონებაში აქვს პერსონიფიკაცია, მაგრამ ცოცხლება სახე. თეოლოგია გარდაიქმნება ბეატრიჩედ, გონი — ვერგილიუსად, ადამიანი კი დანტე ალიგიერთ. ამ ცოცხალ და დასრულებულ არსებებს უსაზღვრო თავისებურებები აქვთ, სრულიად დამოუკიდებელი ჩანაფიქრისაგან, რომლის სიმბოლოები ისინი უნდა ყოფილიყვნენ“, — წერს ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი ლიტერატურისა და სანქტისი. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ტიპის მოსაზრებები სრულიადაც არ გამოირიცხავს მხატვრული ლიტერატურის მსოფლმხედველობრივსა და კონკრეტულ-ისტორიულ პლანს, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურის მრავალპლანიანობას, მაგრამ ყველა დროის ლიტერატურისადმი კომპლექსური მიდგომის გარეშე ლიტერატურის ისტორია ვერ ასცდება სქემატიზმს, მასში დაიკარგება „მთავარი“, რაც მხატვრულ აზროვნებას განასხვავებს აზროვნების სხვა ფორმებისაგან.

რელიგიის ფსიქოლოგიის პრობლემა განუყოფელია რელიგიური ცნობიერებისაგან იმდენად, რომ მისი შესწავლა ლეთისმეტყველების ამოცანად არის მიჩნეული. საყურადღებოა დაკვირვება, რომ ლეთისმოსავი ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან „შინაგანი სულიერი გემოვნებით“ და მათ სარწმუნოებრივ განწყობილებაში არის იმპულსი, რომელიც რელიგიის ფარგლებშივე, მსოფლმხედველობრივ დებულებათა საფუძველზე განაპირობებს აზრის მიმართულებას<sup>7</sup>. ქრისტიანული ლეთისმეტყველების მთელი ისტორია აზრის მოძრაობა-განვითარების დადასტურებაა. ეს ახსნას ქრისტიანობის მთავარ იდეაში — უშაღლესი ჭეშმარიტების დაფარულობაში პოულობს: „უკუეთუ ვისმე ჰგონიეს, ვითარმედ იცის რამემ, არღასადა უცნობიეს, ვითარ იგი ჭერ-არს ცნობაჲ. ხოლო რომელსა უყვარს ღმერთი, იგი ცნობილ-არს მის მიერ“ (I კორინთელთა 2,2—3).

ჩვენი გონების შეზღუდულობის გამო, ღმერთის წვდომა შეუძლებელია ძნოლოდ გონებით, აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გულს, გრძნობის რელიგიურ ფუნქციას. როგორც ცნობილია, გულისა და გონების ფუნქციათა განსხვავებული დომინირება რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების სხვადასხვა ეტაპზე და ცალკეულ თეოლოგთა შემოქმედებაში, ლეთისმეტყველებაშიც აღიარებულია ისტორიული მნიშვნელობის კრიტერიუმად, აზროვნების სპეციფიკის თვისებად. ასე მაგალითად. რუსული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ენციკლოპედია თვლის, რომ სქოლასტიკის მიერ დაშვებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის შეცდომები გამოწვეული იყო იმით, რომ სქოლასტიკამ ლეთისმეტყველებიდან განდევნა გული და ჭეშმარიტებას ის ეძებდა კატეგორიებსა და დეტერმინაციებში<sup>8</sup>.

ნების რელიგიური მოქმედების გასააზრებლად შესანიშნავ მასალას იძლევა მხატვრული ლიტერატურა, სადაც გრძნობად-კონკრეტულ ფონზე, ცოცხალ ურთიერთობათა ეროვნულ გარემოში ელინდებიან ძალები, რომელთა კომპლექსი თითოეული ინდივიდისა და ერის სულიერსა და კულტურულ თავისებურებას ქმნის. ძველი ქართული მწერლობის, კერძოდ ჰაგიოგრაფიის, ამ ასპექტში შეფასების ცდა საინტერესოდ მოჩანს. საინტერესოა აგრეთვე პიროვნების ფსიქოლოგიის პოზიციებიდან უძველესი და ახალი დროის ლიტერატურათა შორის კავშირების ძიების შესაძლებლობათა აღნიშვნაც<sup>9</sup>.

როდესაც მხატვრული ლიტერატურის ძეგლების მიხედვით შევეცდებით ქართული რელიგიური აზროვნების დახასიათებას, უთუოდ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ „თვით სასულიერო მწერლობის ბატონობის ხანაშიც საქარ-

თელოში არ იზიარებდნენ ულტრარიტუალურ და კონსერვატიულ რიგორისტულ ქრისტიანობას<sup>10</sup>. „სქოლასტიკურ-მისტიკურ გონებრივ აკრომატობას“<sup>11</sup> ყოველთვის სძლევდა ჰუმანური შეხედულებები რელიგიურ სფეროშიაც. „აზროვნების თავისუფლებით და რელიგიური ტოლერანტობით აიხსნება გარემოება, რომ ე. წ. სინოდლიკონიდან, რომელიც ლიტურგიკული მიზნებით იყო თარგმნილი XII საუკუნეში, ამოგდებულ იქნა ფილოსოფოს იოანე იტალის წინააღმდეგ მიმართული კურიოზული დებულებანი ანუ ანაფემეტიზმები“<sup>12</sup>. მწვევე თეოლოგიური პოლემიკა და კრიტიკულ-ოპოზიციური მოძრაობები ეროვნულ წიაღში აქტიურად არათუ არ განვითარებულა, მისი გაზიარების საჭიროებაც კი, როგორც ჩანს, ოლიოზურად იყო მიჩნეული.

ამ საერთო სიტუაციით აიხსნება მთელი ძველი ქართული მწერლობის განსაკუთრებული ერთგულება პირველი ქრისტიანული წიგნებისადმი, ე. წ. „ბიბლიური ქრისტიანობის“ კეთილისმყოფელი გავლენა მხატვრულ ლიტერატურაზე. ქართული მწერლობისათვის ნაკლებ დამახასიათებელი აღმოჩნდა ბიბლიური სახეების მეტისმეტი აბსტრაგირება, მათი დაყვანა „აზრობრივ სქემამდე“, რაც ავერინცევს ანდრია კრიტელის სტილის სპეციფიკად მიაჩნია: «Он паписал «Великий канон», где в несочисляемой чередѣ проходят образы Ветхого и Нового заветов, редуцируемые к простейшим смысловым схемам. Например, Ева—это уже не Ева: это женственно-лукаво начало внутри самой души каждого человека:

Вместо Евы чувственной мысленная со мной Ева—  
Во плоти моей страстный помысел»<sup>13</sup>

ძირითადად ქართულ სასულიერო მწერლობაში შენარჩუნებულია ბიბლიური იგავის პლასტიკურობა, ბუნებრიობა. იგავის სიმბოლური შინაარსი-მოძღვრება ვერ თრგუნავს თხრობის ემოციურ ტონუსს, რასაც ქრისტიანულ ლიტერატურათა განვითარების მანძილზე ხშირად ჰქონია ადგილი. ამ საფრთხეს თვით ბიბლიის სტილი იწვევს: „Всегда существует опасность потерять подлинную действительность, забыть о ней, что и произошло вследствие того, что толкование, приобретая преувеличенное значение, разложило и уничтожило в рассказе все ростки реального“<sup>14</sup>. თუ ქართულ მწერლობაში ასე არ მოხდა, ეს მისი თავისებურებაა და არა უპირატესობა, ამის პირობა ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედიცაა. იმდენად ხშირი და რეალური იყო ჩვენი ერისთვის სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის მსხვერპლის გაღების საჭიროება, რომ საღვთო ისტორიის დრამას ერი ყოველთვის განიცდიდა პირველქმნილი სიმწვავეით. ლიტერატურაში ზნეობრივი და ეროვნული ინტერესები ტონს აძლევდა თეოლოგიურ-ფილოსოფიურ სპეკულაციას, ხოლო მოქალაქეობრივი აქტივობის მუდმივი განწყობილება გრძობას იცავდა წმინდა აზრის სიღრმეებში სრული დანთქმისაგან. რადგანაც სასულიერო ლიტერატურაში გაიდევლებული გმირის, „ქრისტეს მხედრიონის ერთგული მეომრის“ თავგანწირვას ჩვენი ყოველთვის ჰქონდა არა მხოლოდ რელიგიური, არამედ პრაქტიკულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც, ხოლო შუა საუკუნეების ესთეტიკური კანონების თანახმად იდეალიზაციის საფუძველი ქრისტეს მიწიერი ცი უკრება და მოწამეობრივი სიკვდილი უნდა ყოფილიყო, სასულიერო ლიტერატურაშივე მოხდა აქცენტირება ქრისტეს კაცობრივი ბუნების შესაბამისი თვისებებისა. მოქმედება-მოღვაწეობის, მოთმინების, მოყვასისათვის თავდადების, ტკივილის, ტანჯვის, თავმდაბლობის, სიყვარულის იდეები სახარების ატმოსფეროა. მას თავისი ინტიმი აქვს და ის თავიდანვე იგრძნო ქართულმა მწერლობამ. შეი-

ძლება ითქვას, რომ ამ ტრადიციამ დასრულებული სახე მიიღო საერო პოეზიაში ბიბლიის უდიდესი ინტერპრეტატორის დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. ბიბლიის თემაზე შექმნილ მის ლექსებში ქრისტიანულ იდეათა სტრუქტურა პლასტიკური ხატებით არის ობიექტივირებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ფიზიკური ტიპილისა და შეურაცხყოფილ გრძნობათა ადამიანურ ასპექტში გამკვეთებული, ჭარბი დეტალებით გადმოცემული სახარებისეული სცენები. რადგანაც ქრისტეს კაცობრივი ბუნება აბსოლუტურად ერთიანი და თანასწორია მისი ღვთაებრივი არსისა—რამეთუ მას შინა დამკვიდრებულ არს ყოველივე საცსება ღმრთეებისაჲ კორციელად (კოლას. 2,9), ამიტომ ქრისტეს მიწიერი არსებობის სრული სისაესით განცდა ნიშნავს ღვთაებრივი სისაესის წვდომასაც. „ადამიანის მწუხარე სიმღერის ავტორის“<sup>16</sup> მდიდარი პოეტური წარმოსახვა პარმონიულ კავშირშია ქრისტიანულ იდეოლოგიასთან, ოდნავ არ იზღუდება მისით. პირიქით, დ. გურამიშვილი თითქოს ასრულებს ბიბლიის ფსიქოლოგიურ სიტუაციებს, მათ ყაიდაზე ქმნის ახალ პასაჟებს, რელიგიის ღრმა აზრს გრძნობად-რეალურ სტიქიაში ხსნის. ხორციელი ტანჯვის აქცენტი უფრო რელიეფურს ხდის რელიგიის ეთიკურ პლანს. ამით გურამიშვილი ეროვნულ ტრადიციას უშაღებს XIX ს. მეორე ნახევრის მწერლობას, კერძოდ ილია ჭავჭავაძის მორალის ფილოსოფიას, რომლის ცენტრშია მშვენიერი სახე მაცხოვრისა, დიადი და ამაღლებული, დამცირებული თავის მდგომარეობაში<sup>16</sup>.

ზრაფერია მოულოდნელი, რომ ადამიანის სულში შიშდისარე პროცესების ქრისტიანულ მოდელს რომანტიკოსი პოეტების განსაკუთრებული ყურადღება მიექცეო. „რომანტიზმის შინაარსი აბსოლუტური შინაგანი ცხოვრებაა“<sup>17</sup>, ხოლო აბსოლუტურ სუბიექტს“ თვითჩაღრმავებისა და თვითშეშეცხების გზაზე ქრისტიანული კულტურის ისეთი მონაპოვრები ხედებოდა, რომ, შიუხედავად მისი სურვილისა, ყოველგვარი დოგმა ინდივიდუალური თვითგახორციელებით შეეცალა, ზოგჯერ ისღა დარჩენოდა, რომ „შეგნებული თავისუფლება“ უკვე ცნობილი ცნებებით გამოეხატა. ასე ხდება ნ. ბარათაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“. ლექსის თემაა სინანული, განწმენდა, ამაღლება: ფორმა — ლოცვა. „ლოცვა არის ყოველი სათნობისა და სასოების კერა, ლოცვა არის გული“, — წერს ერთი ისტორიკოსი რელიგიისა. „ლოცვა არს გონებითა ღვთის შიშართ აღსვლა“, — განმარტავს საბა. ის გარემოება, რომ ნ. ბარათაშვილმა ლექსს მისცა ლოცვის კონფენსიური სახე, უკვე ბევრს ამბობს პოეტის განწყობილებაზე. პ. ინგოროყვამ შენიშნა მსგავსება გრიგოლ ხანძთელის ერთი ძლისპირისა „სოფლისა ზღუდა აღძრულ არს“ ნ. ბარათაშვილის „ჩემ ლოცვასთან“ და ეს მოვლენა შემდეგნაირად განმარტა: „ნ. ბარათაშვილი, რასაკვირველია, არ იცნობდა X ს. ხელნაწერში დამარხულს გრიგოლ ხანძთელის ძლისპირს. აქ ჩვენ გვაქვს კონგენიალური შეხვედრა ორი გენიოსი მგონისა“<sup>18</sup>. შეხვედრა მართლაც საინტერესოა:

ძ ლ ის პ ი რ ი

„ ჩ ე მ ი ლ ო ც ვ ა “

სოფლისა ზღუდა აღძრულ არს  
 ღელეთა ცოდვისათა,  
 საშინელად დამნთქამს მე,  
 და მოველტა შენდა ნავთსაყუდლისა,  
 და ესრეთ გიღალადებ:  
 დანთქმისგან მიყვენ მე მრავალ-მოწყალე

ცხოვრების წყაროვ, მასე წმიდათა წყალთაგან  
 შენთა,  
 დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!  
 არა დაქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ენებისა,  
 არამედ მოეც მას საღვთური მუდრობებისა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს არ არის იმ უცნაურ დამთხვევათაგანი, რომელიც იცის ორი ერთმანეთისათვის უცნობი პოეტის შემოქმედებაში. გრ. ხანძ-

თელისა და ბარათაშვილის პოეტური სახეებს ერთი საერთო წყარო აქვთ და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ერთგვარი ლიტერატურული ადაპტაცია ბიბლიური თემისა. ორივე პოეტი ბიბლიის სიმბოლური სახეებით გადმოსცემს თავის სარწმუნოებრივ-სუბიექტურ განწყობილებას.

„რომელნი შთავლენენ ზღუესა ნავებითა და იქმენ საქმესა წყალთა შინა მრავალთა, მათ იხილნეს საქმენი უფლისანი და საკურელებანი მისნი ღრმათა შინა. თქუა და აღდგა ქარი ნიაქარისა და ამაღლდეს ღელვანი მისნი. აღვლენან ცაჲდღე, შთავლენან უფსკრულამდღე და სული მათი ძვრთა შინა დადნებოდა. შეშფოთნეს და შეძრწუნდეს, ვითარცა მთრვალნი და ყოველი სიბრძნე მათი დაინთქა. ღალად ყუშს უფლისა მიმართ ჳირსა მათსა და ურვათა მათთაგან გამოიყუანნა იგინი და უბრძანა ნიაქარსა და იქუა ნიაველ და დასცხრეს ღელვან მისნი და იხარეს რამეთუ დაყუდნეს და მიუძღვა მათ ნათსაყუდელსა ნებისა მისისასა“ (დავითნი, კანონი იე).

ეს სიტყეტი ძველსა და ახალ აღთქმაში გვხვდება რამდენჯერმე: სიბრძნე სოლომონისი — თავი იდ; მარკოზ — 4; 6; მათე — 14; ლუკა — 8 და სხვ. თავისი სტრუქტურით ეს ბიბლიური იგავი ტიპური მოვლენაა ბიბლიის პოეტიკისა, რომლის მიხედვითაც საგანი მხოლოდ თვითმიზნური მხატვრული დაკვირვების ობიექტი არასოდეს არ ხდება, არამედ შეიცავს ფარულ აზრს<sup>9</sup>. ამიტომ ქრისტიანულ ლიტერატურაში ეს იგავი, ისევე, როგორც სხვა იგავები ბიბლიისა, სახისმეტყველებითი მსჯელობის სტიმული გახდა: „ოდეს იხილო ღელვაჲ აღდგომილად, უკუეთუ წინა-აღუდგე ლოცვითა, გიძლევინს და უკუეთუ თავით თვისით დაყუდნეს, კუალად მიიწიოს სხუად მოყუასი მისი...“

ცოდვად მსგავს არს ღელვისა, რომელი მოიწიოს ჩვენ ზედა სასტიკად და კუალად სხუასა მიგუენის მუნთქუესეჲ“, — ეკითხულობთ ბასილი კესარიელთან<sup>10</sup>. ქართული სასულიერო მწერლობის სახეების სისტემატკ ქრისტიანული ეგზეგეზით არის დავალებული. ბიბლიის დაფარული შინაარსი წარმართავს შემოქმედის წარმოსახვას. ეს ტრადიცია დაცულია ბარათაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“. ლექსში ყურადღებას იპყრობს მხატვრული აპერეკციის მოქმედების საზღვრები: „ჩემი ლოცვის“ ლექსიკა მთლიანად ბიბლიზმებითაა გადატვირთული. მასში არ არის არც ერთი პოეტური სახე, რომელსაც ბიბლიურ წიგნებთან არ ჰქონდეს პარალელი. ლექსში ბიბლიასთან ლიტერატურული შეწყობის ტრადიციულ საშუალებათა უმრავლესობაა გამოყენებული, მაგალითად, ღმერთის ხსენება ბიბლიით დაკანონებული ეპითეტებით. ბარათაშვილი მიმართავს ბიბლიისეულ ეპითეტებს და არა ეპითეტაციის უფრო რთულ, მეტაფორებითა და სიმბოლოებით აგებულ კონსტრუქციას, რომელიც აგრეთვე ცხოვლითა ძველი ქართული მწერლობისათვის. ღმერთო მამაო — „მამაო ჩუენო, რომელი ხან ცათა შინა“ (მათე 6, 9); სახიერო — „არავენ არს სახიერ, გარნა ღმერთი მხოლოჲ“ (მარკოზ 10, 18); ცხოვრების წყარო — „რამეთუ დაუტევეს წყარო. ცხოვრებისა უფალი“ (იერემია, თავი იზ). გულთამხილავო — „არა ეგრეთ ხედავს კაცი. ვითარცა ხედავს ღმერთი; რამეთუ კაცი ხედავს პირსა, ხოლო ღმერთი გულსა“ (I მეფეთა, იე). ასეთი თვისებებით არის შეცნობილი ბიბლიის ტრანსცენდენტური ღმერთი ჩვენი პოეტის მიერ.

ძველი ქართული მწერლობის პოეტიკა ქრისტიანული იდეოლოგიის უდიდესი გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა. ამ მხრივ ის გამოჩაყლის არ წარმოადგენს მსოფლიო ქრისტიანულ კულტურაში. ოღონდ საყურადღებოა თუ იდეოლოგიის რომელი მომენტები და როდის, როგორი მოდიფიკაციით ასრულდნენ მასში ხელოვნების მასტიმულირებელი ფაქტორების მნიშვნელობას.

ღმერთთან თანაზიარობის იდეიდან გამომდინარეობს მინიშნების პოეტიკა: გმირის ჩვენება საღვთო წერილიდან ცნობილ ვითარებაში, გრძობათა და მოქმედებათა განსახიერებისას ცნობილი პერსონაჟების დასახელება. ამ ძოვლენის მარტივ მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ თუნდაც „ავაზაიკი“ „ჰაბო ტვილელის წამებაში“; „შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოებითა“... ან თეიმურაზ I პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“: „მე ავაზაიკი შემცოლდე ახლოს არ ვიყავ ვინანი, მარჯვენით ჭვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი“. თუ გავიხსენებთ იოანე ოქროპირის მიერ სახარების ამ პერსონაჟის შეფასებას<sup>21</sup>, გამომხატველს იმ უდიდესი შთაბეჭდილებისას, რომელსაც იგი ახდენდა შორწმუნეებზე, მით უფრო ვიგრძნობთ, რა ბევრი შეჰმატა კონტექსტს მისმა ხსენებამ. არ შეიძლება ითქვას, რომ ძველ მწერლობაში ასეთ მოვლენებს ყოველთვის ჰქონდა გაცნობიერებული ლიტერატურული ხერხის მნიშვნელობა, მაგრამ არსებობს ცნება ისტორიული პოეტიკისა და მას ლიტერატურათმცოდნეობამ ახგარიში უნდა გაუწიოს. მინიშნების პოეტიკა ყველა დროის ლიტერატურის კუთვნილებათაა. გვხვდება ის რომანტიკოსების პოეზიაშიც. ბართაშვილის ლექსში „განსაცდელში შემცოლდე“ ძე შეეთომილი, აგრეთვე ადამი, „რომელმაც უმსახერალა წადილს სამოთხისა მშვენიერება“, მიგვანიშნებენ ცოდვის პერმანენტულ ხასიათზე კაცთა მოღვაწეობა და გვაძნობენ, რომ ლექსის საგანია „შინაგან ადამიანში“ მიმდინარე ბრძოლა, რომელიც ქრისტიანობას ღმერთსა და სატანას შორის არსებული კოსმიური ომის ნაწილად მიაჩნდა. „განსაცდელი“ — ცთუება ადამიანს ემუქრება საკუთარი თავისაგან, სახარების საუფლო ლოცვა შეიცავს კიდევ ასეთ თხოვნას: „ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიქცენ ჩვენ ბოროტისაგან“ (მათე 6, 9—13; ლუკა, 11, 2—4), ხოლო „ცოდვა“ ქრისტიანი ავტორების წარმოსახვაში იმთავითვე დაუკავშირდა „სესხ“ „საღმობას“, რომლის მკურნალიც მხოლოდ ღმერთი შეიძლებოდა ყოფილიყო. „უჩუენე მკურნალსა წყლულებამა შენი და გამოუცხადე მას ცოდვაჲ სულისა შენისაჲ, რამეთუ იგი არს სულთა მკურნალი“<sup>22</sup>. ლექსში წყლის შესმის მოტივიც ბიბლიური. ის ბიბლიის სიმბოლიკაშიც განუყოფელია „ცხოვრების წყაროსაგან“. „მიუგო იესუ და პრქყუა მას: ...ხოლო რომელმან ჰსუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა ჰსწყუროდეს უკუნისამდე: არამედ წყალი რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლისა, რომელი ვიდოდეს ცხოვრებად საუკუნოდ“ (იოანე 4, 13—14), ლექსის ბოლო სტროფში გამოთქმულია მღუმარე განცდისა და სიტყვის უძღურების შესახებ რომანტიკულ ლიტერატურაში მეტად პოპულარული აზრი, რომელიც ლექსში „ჩემი ლოცვა“ უფლის გულთამხილობის ფონზე აგრეთვე ბიბლიის რემინესცენციაა. ცნობილია, რომ დღემილით ლოცვის ურთულესი ფიზიოლოგია დაამუშავა ქრისტიანობამ<sup>23</sup>. თუმცა ჩვენი პოეტი აზროვნების აბსტრაქციებით ამ ზომამდე გატაცებული არ ჩანს, უშუალოდ მომხიბვლელი მისი სიტყვები: „შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე“, სახარების გულითადი და ბრძნული დარიგებით არის შთაგონებული: „რაჲამს ილოცდე, ნუ მრავალსა იტყუთ, ვითარცა იგი წარმართთაგანნი... რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რა იგი გიხმს თქუენ ვიდრე თხოვადმდე თქუენდა მისგან“, (მათე 7,7—8).

ისმის კითხვა, რაღა დარჩა ბართაშვილის ამ მშვენიერი ლექსისაგან, რომელიც პოეტის ნიჭის თაყვანისმცემლებმა იმთავითვე ერთ-ერთ საუკეთესო თხზულებად აღიარეს? როგორც ყოველთვის, დარჩა ის, „რაც რჩება პოეზისაგან, როდესაც მას პროზის ენაზე გადათარგმნიან“, — გაცხადებული პოეტის სული, სხვისი გრძნობების დისპოზიციის წარმოდგენის არაჩვეულებრივი უნა-



რი, რაც ბარათაშვილის პოეზიაში, კერძოდ ამ ლექსში, მკითხველთან კონტაქტის დამყარების, მკითხველის ინსპირაციის პირობას წარმოადგენს. გრძნობათა გასხვიების იშვიათ უნარს ბარათაშვილისას შეესაბამება გრძნობათა გათავისების ნიჭი. ამიტომ ბიბლიური თემა მის შემოქმედლებაში სრულიად მოკლებულია სტილიზაციის ოდნავ ელფერს, მაშინაც კი, როდესაც ცნობილი თემის ლიტერატურული ტრანსფორმაცია, ერთი შეხედვით, უკვე კარგა ხნის ხაცხობი გზით მიიმართება. ადამიანის თავისუფალი ნებიდან გამომდინარე ცოდვის გარდუვალობა და მისი შედეგი. — განწმენდის შინაგანი მოთხოვნილება და ამაღლებისაკენ თავისუფალი მისწრაფება—ლოგიკური თანმიმდევრობით არის გადმოცემული ლექსში. ლექსში არ არის თვითგვემა — გოდების, შეცოდებათა ჩამოთვლის, უფლისა შიშისა და საიმქვეყნიო მიზნების პენიტენციალური ლირიკისათვის ტრადიციული ელემენტები.

როგორც ცნობილია, შთაბეჭდილება განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, როდესაც ის ეხმაურება ჩვენს ცნობიერებაში დაგროვილ წარმოდგენებსა და სახეებს; მდიდრდება ასოციაცია და სულიერი ცხოვრების სიღრმე ინტენსიურად შეიცნობა ჩვენ მიერ. ასეთ შთაბეჭდილებათა რიგს მიეკუთვნება ბიბლიის ლიტერატურული ადაპტაციაც, რომელიც ტრადიციონალიზმისა და ნოვატორობის ურთიერთმიმართებით არის გამოვლენილი რომანტიკოსების პოეზიაში.

ძველი ქართული მწერლობისათვის ბიბლია იყო სუბსტანცია, ძაძასადაც, შემოქმედის ინდივიდუალობა ბიბლიურ თემას შეიძლებოდა შეწყობოდა მხოლოდ მისი გაშლა-განვითარების პირობით. ბარათაშვილი ბიბლიურ თემას უკავშირებს მსჯელობის კაუზალურ ფორმას. მისთვის ბიბლია ისტორიაა, რომელშიც ეძებს ის მოვლენების მოდელს, გრძნობების მიზეზს, ხოლო ახსნა და შედეგი კი მისი პირადი ორიენტაციით არის განსაზღვრული. ლექსში „ფიქრის მტკერის პირზედ“ კითხვა — „მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი?“ — გულისხმობს პასუხს, რომელმაც უნდა ასახოს ისტორიის დინამიკა, მოვლენების ზოგადი საზრისი ისტორიულ პერსპექტივაში. ეკლესიასტეს პოეტური გარდათქმა ამ შემთხვევაში აღმოჩნდა ბედნიერი მიგნება უპირველეს ყოვლისა იმეტომ, რომ ჰუმანისტური იმპერატივის შემცველი ბოლო სტროფი სინტაქსურად ისეა დაკავშირებული წინა პასაჟთან, რომ ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული პოზიტიური დასკვნისათვის შესაბამისი ფონის შექმნა: თუმცა ყოველივე წარმავალია... მაგრამ, რადგანაც კაცნი გქვიან და ა. შ. ამსოფლიური ცხოვრების ავტორიტეტული მოდელი ეკლესიასტესი ლექსის ბოლო სტროფს უკარგავს სენტენციის სქემატურობას, ფილოსოფიურ-ისტორიული მსჯელობის ტონს აძლევს და ე. წ. „მარადიულ პრობლემათა“ რიგში აყენებს მას.

გ. ასათიანის აზრით, ბარათაშვილის ამ ლექსში შინაგანი კამათია ეკლესიასტეს ამაოების იდეასთან, ხოლო ბოლო სტროფში კი ჩანს შერიგება სოფლის წესთან. გამომდლებულია „მიმიკრიის“ ინსტინქტი. „შერიგების ინტონაცია, რომელიც მთელ ამ სტროფს განმსჭვალავს, აშკარად აცდენილია ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივ ძიებათა მთავარ წარმმართველ ნაკადს“<sup>24</sup>.

კამათი ეკლესიასტესთან სრულიად წარმოუდგენელია მიმიკრიის -- დამსგავსების, თავდაცვითი შეწყობა-შეგუების, არსებობის გაიოლების იხსტიჩქტით, რადგან ეკლესიასტეს არ უარუყვია სოფლის წესთან შეგუება. პირიქით, ის შეაგონებს მორწმუნეებს. რა არს კეთილი, არამედ გარნა რომელ იზაროს კაცმან ქმნილთა თუსთა ზედა, რამეთუ ესე ნაწილი მისი: ვინათგან ვინ მოიყუანოს იგი ხილვად მან, რომელიც იქმნებინ შემდგომად მისა“. „მსოფლიოს ყველაზე კაეშინანი წიგნის“ პედონიზმი ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების ატანის

სურვილით არის ნასაზრდოები. „მოვედ და ჰამე სიხარულსა შინა პური შენი... და იხილე ცხოვრება ღედაკაცისა თანა, რომელი შეიყუარე ყოველთა შინა დღეთა ცხოვრებისა ამაოებისა შენისათა“. „რამეთუ ყოველნი ამაო. ყოველნი მივლენ ადგილს ერის შინა. ყოველნი შეჰქმენ შინისგან და ყოველნი მიიქცევიან მიწადე“. ბარათაშვილისთვის „სოფლისათვის ზრუნვა“ ნებელობით აქტია და არა იძულებითი შეგუება, ამით მართლდება მისი პოლემიკური ტონი და ლექსში დაცული ანტითეზის სტრუქტურა. ზრუნვის კონკრეტული შავალითაა „კეთილი მეფის“ „ზრუნვა შრომა და ცდა ქებული“. ზრუნვა მიზანია, არჩეული მას შემდეგ, რაც პიროვნებამ უკვე იცის, რომ „ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს, მაშინ ვილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“ როგორც ვხედავთ, აქ უგულებელყოფილია ესქატოლოგიური ოპტიმიზმიც. ქრისტიანული ესქატოლოგიური კონცეფციიდან აღებულია მხოლოდ დასასრულის იდეა და არა „სოფლის სიბართლითა და ერის ჰემარიტებით“ განკითხვის იმედი. ეს კიდევ უფრო მნიშვნელობას სძენს სოფლისათვის ზრუნვის მეოხებით შთაბოძავლობის მეხსიერებაში დამკვიდრების პიროვნულ პრინციპს. კიდევ უფრო ძლიერ საგრძნობი ხდება ლექსში გამოხატული ე. წ. ფსიქონერგეტიკული მისწრაფება. შემთხვევითი არ არის, რომ ზრუნვის ანტიპოდი ბარათაშვილის წარმოდგენაში სიკვდილია: „არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი შეკდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“. იგულისხმება სულიერი სიკვდილი, რასაც უპირისპირდება სულიერ-ინტელექტუალური აქტივობა, მისგან გამომდინარე ყველა პოზიტიური შედეგით.

რომანტიკული მწერლობა ფანტაზიურია — ფანტაზია განაგებს ნასესხები სიუჟეტის შინაგან დინამიკასაც. ძველ მწერლობაში მთავარია თვით სიუჟეტი, შემოქმედის ინდივიდუალური ენერგია ბიბლიის სიუჟეტთან სრულ თანხმობას ესწრაფვის, მისი გზით მიიმართება. პარალელიზმის მხატვრულ მოდელშიც თუ ირლენდის თანასწორობა ორი წევრისა, მხოლოდ ბიბლიის უპირატესობით, ბიბლია აძლევს ტონს, ის არის ფანტაზიის მოძრაობის იმპულსი.

რომანტიკულ პოეზიაში კი სუბიექტური განწყობილება ბატონობს სიუჟეტზე. სიუჟეტი იყვება უამრავი ფსიქოლოგიური ნიუანსით და ეს რთული კონტრასტული თითქოს ესწრაფვის მოიცილას ყველა მელოდია.

ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;  
 მუნ ენთო მარად უჭრობელი წმიდა ლამპარი;  
 ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,  
 და განისმოდა ციურთ დასთა ვალობის ზარი!...  
 მუნ გუნდრუკის წინ შევსწრაფდი წმიდა სიუყარულს...  
 ვერღა აღმოვიო სიუყარულშა კვალად ტაძარი!

ამ სტროფში მთავარია არა მხოლოდ ბიბლიური ფრაზეოლოგია, არამედ ნატიფი ვარიაცია ბიბლიურ თემაზე. მეფე დავითის სულის მოძრაობა აღმაფრენიდან შეძრწუნებამდე ქმნის ლექსის მეორე პლანს. მისი მკრთალი კონტურები თითქოს საღდაც თხელი ფარდის მიღმა მოჩანს და უცნაური პოეტური შთაგონების ძალით მკითხველს ახსენებს ძველ ისტორიას: „მამან უფლისამან შეძრის უდაბნოდ და შეაძრწუნოს უფალმან უდაბნოდ იგი კადისა... და ტაძარსა წმიდასა მისსა ჰსთქვას ყოველმან ვინ დიდება მისი“ (ფს. 28, 7—8). „რამეთუ დამიფარა მე კარავსა შინა მისსა დღესა შინა ბოროტთა ჩემთას; დამფარა მე დაფარულსა კარვისა მისისასა“ (ფს. 26, 5). „და შევჰსწირე კარავსა შინა მისსა მსხვერპლი ქებისა და ღალადებისა, ვაქებდე და უვალობდე უფალსა“ (ფს. 26,6).

დავითმა იერუსალიმში ააშენა მოძრავი ტაძარი და მოსეს მოძრავი ტაძრიდან აღთქმის კიდობანი იქ გადაიტანა. „დავით და ძენი ისრაელისანი ვიდოდეს წინაშე უფლისა მროკველნი ორღანოთა შექმობდლითა ძლიერითა და გალობითა“.

მაგრამ, როგორც კი დავითმა გადაწყვიტა უძრავი ტაძრის აგება, ღმერთმა ბრძანა: „ვერ აღმიშენო შენ მე სახლი საყოფელად ჩემდა“ (2 მეფეთა, 2—3). „ერთი ვითხოვე უფლისაგან, ესევე ვითხოვო, დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ხილვად ჩემდა შევნიერება უფლისა და მოხილვად ტაძარი მისი“ (ფს. 26,4).

ბარათაშვილის ლექსში ტაძრის პოვნა-გაქრობა სიმბოლურად ასახავს სიყვარულის მოპოვებისა და დაკარგვის პერიპეტეებს, რისი გამომწვევეი მიზეზი: როგორც ფიქრობენ, ბიოგრაფიული ფაქტი უნდა ყოფილიყო<sup>25</sup>. ლექსში „სიყვარული“ არ გულისხმობს სპეციფიკურ ქრისტიანულ ცნებას სიყვარულისას, რომლის შესახებ იოანე ამბობს: „ღმერთი სიყვარულ არს“ და რომელიც, როგორც ცნობილია, ქრისტიანული ჰუმანიზმის საფუძველს წარმოადგენს. „ეპოვე ტაძრის“ სიყვარული მიწიერი, ხორციელი გრძნობაა. „ცრუ და მუხთალ“ სოფელში ის ვერ ამალღებულა იმ დონემდე, რომ ზეციურს დაძვავებოდა, სწორედ ამის შედეგია პოეტის ესოდენი შეჭირვება. „ეპოვე ტაძარში“ წარმოსახული ინდივიდის სულიერი ცხოვრება ვერ თავსდება რაიმე იდეის კონსტანტირების ფარგლებში. არც ის შეიძლება ითქვას, რომ აქ მიწიერი სიყვარულის უნივერსალურ დახასიათებას ჰქონდეს ადგილი. ლექსში ფიქსირებული განწყობილება პიროვნების გარესამყაროსთან ურთიერთობის კონკრეტული შედეგია. მასში არაფერია დოგმატური, დოქტრინალური. მაგრამ მოვლენებზე ამ სახის რეაქცია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ბიოლოგიურ ბუნებაზე ამალღებისკენ მიმსწრაფ პიროვნებას, ვისი ცნობიერების შინაარსიც მრავალ-საუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციით არის განსაზღვრული.

ცად მომფენლო ნათლისა,  
რად მელანდები ბნელადა,  
ჩემ თვალთა ჩინის მპოვნელი  
შემქმნიხარ საქმენელადა,

ცეცხლ განლეველად მცხინვარებ,  
ცვარსა აკუტრებ ნელადა,  
ცვარით განწყურენ, ვერ ჩაზეხ  
ბითუზას საქმენელადა.

ეს მისტიკურ-ალეგორიული ლექსი დ. გურამიშვილს ეკუთვნის. მისი შინაარსი გასაგებია: ბიბლიური კოსმოგონიის ორი ნათელიდან აქ იგულისხმება ნათელი სულიერი და არა ფიზიკური. ღმერთი-ნათელი, „ნათელი იგი ბნელსა შინა ჰსჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოანე, 1,5). თემა საკმაოდ პოპულარულია ქართულ ჰიმნოგრაფიაში. ოღონდ მაინც არის რალაც ისეთი, რითაც ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ“ გვახსენებს გურამიშვილს და არა ძველ საეკლესიო პოეზიას. საფუძველს ასოციაციისთვის გურამიშვილის ლექსის ფსიქოლოგიური ფონი ქმნის—გაცილებული დოქტრინის საყოველთაობას, ინტიმურ-სუბიექტური, მომენტალური განწყობილების ამსახველი. რა თქმა უნდა, ბარათაშვილის ფსიქოლოგიური ნახატი ბევრად უფრო რთულია, განცდათა კომპლექსი მრავალგვარი, მაგრამ მასშიც მთავარ ადგილს განწყობილების ფიქსირება იკავებს. ამბივალენტურია ბარათაშვილის დამოკიდებულება ბინდისადმი: თუმცა ბინდში საგნები განსაკუთრებულ მშვენებას იძენენ (ლექსის 1-2 სტროფი) და „წყნარი საღამო“ მისი მეგობარია, მაინც ბინდში ეუფლება მას „ციური განგების“ შეუცნობლობის მძიმე გრძნობა და რჩება ერთადერთი იმედი, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს“. პოე-

ტის წარმოსახვაში ბინდი სცილდება მატერიალურ საზღვრებს, აბსტრაქტიზმულია როგორც ტრანსცენდენტალურის მიუწვდომლობა, ბინდისგან განუყოფელია აუცილებელი არსებობა ნათელისა. რელიგიურ ასპექტში განცდილი ლამის რომანტიკული კულტი ცნობილია ევროპული პოეზიისათვის. ამის შესახებ წერს გერმანული რომანტიზმის ცნობილი მკვლევარი ბერკოვსკი: «Христианство и религия ночи у Новалиса отождествляются, в таком отождествлении Новалис, по всей вероятности, не усматривал для христианства чего-либо оскорбительного, скорее, он думал, что укрепляет и возвышает христианство»<sup>26</sup>. „ლამის რელიგია“ არის ბარათაშვილთანაც, ოღონდ ჩვენი რომანტიკოსი მიჰყვება ბიბლიის ტრადიციას. ნათელისა და ბნელის ქრისტიანულ იდეათა ანარეკლი მის ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ტრადიციულ ასპექტში მოჩანს და სულიერი მდგომარეობის ჩვენების თვალსაზრისითაც ქართული პოეზიის ტონალობას იცავს.

ქართული ლიტერატურის არსებობის მთელ მანძილზე ისტორიზმის პრინციპი ასე ცნობიერი და შემოქმედებით ზეამოცანად ქცეული არასოდეს ყოფილა პოეტიკისათვის, როგორც რომანტიზმის ეპოქაში. რომანტიკულ პოეზიაში წიხამორბედი პოეტური კულტურა წარმოდგენილია როგორც პროცესი, დინამიკა და არა როგორც არქეტაპი, მუდმივი, მდგრადი ფორმა. რომანტიკული მწერლობა მეტყველებს შუა საუკუნეების პოეზიის ენით და ეს ხელს არ უშლის მის ნოვაციებს პოეტური მეტყველების სფეროში. ნოვაციების გარეშე რომანტიზმი წარმოუდგენელია. მას შემოაქვს გრძნობათა სამყაროს წვდომისა და განსახიერების სრულიად ახალი სტილისტიკა. რომანტიკული პოეზია იტევს ქართული კულტურისა და აზროვნების უთვალსაზიროეს მომენტებს კონფენსიური ქრისტიანობიდან სამყაროს ჰარმონიულობისა და ადაშიანის ღვთიურობის არეოპაგიტულ იდეამდე. სოფლის მოაგებიდან „სოფლის გემოთი და შევებით“ თავდავიწყებულ ტკობამდე. ასეთი პოლარობა ჭერ კიდევ ეკლექტიკა არ არის, ის არც ხასიათის მერკურა და გონებრივი უმწიფარობაა. რომანტიზმის იდეათა გარემო ირონიულია ამ სიტყვის: წმინდა რომანტიკული გავებით: „იდეა არის ირონიამდე განვითარებული ცნება. აბსოლუტური ანტითეზების აბსოლუტური სინთეზი, ორი აზრის დაპირისპირებისას განუწყვეტელი და თავისთავადი ცვალებადობა ერთისა მეორით“ (შელეგელი)<sup>27</sup>.

როდესაც ადამიანის ცხოვრების მრავალგანზომილება რომანტიკული პოეზიის სავსებით გაცნობიერებული საგანი გახდა. როდესაც სუბიექტის რეპრეზენტაცია ობიექტურ გარესამყაროში აბსოლუტური თავისუფლების ნიშნით იქნა გააზრებული და განსაკუთრებით გაძლიერდა ცივილიზებული ადაშიანის შეგნება, „რომ იგი ნებით, გრძნობით და გონებით აღჭურვილი არსია, ეს მას საშუალებას აძლევს თავისი წარმოშევისა და განვითარების პროცესი თავის ცნობიერებაში ერთხელ კიდევ განიცადოს, შეიცნოს ყველა ის კახონი, რომელიც მისი ზრდა-განვითარების წარსულს სარჩულად უდევს და გონების თვალთ ის საერთოც კვრიტოს, რომლის სახეც უნდა მიიღოს მომავალში მისმა ცხოვრებამ“<sup>28</sup>. ადამიანობის არსის მძებნელმა რომანტიკოსმა პოეტმა სრულიად უდარტკინველად მიმართა საუკუნეებში გამოტარებული ძველი წიგნის — მრავალგზის გამეორებულ, დიდებით აღსრულებულ და ტრაგიკულად შეუსრულებელ ზნეობის კანონებს:

გრ. ორბელიანი „ფსალმუნ“;

„ვინ აღვიდეს მალალსა მას მთასა წმიდასა,  
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?  
სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით ვახწმუნდილ,  
ვის არ შეეხო ზაკეის გესლი ძმისა განკითხვად...“

„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილს წმიდასა ძმისა უბრალო კელითა და წმიდა გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თუსი და არც ეფუტა ზაკუთ მოყვარსსა თუსსა“ (დავითნი, კანონი გ, ფსალმუნი კგ). ამ შემთხვევაშიც საინტერესოა ლიტერატურული ადაპტაცია, თორემ აზრობრივად ძველი და ახალი აღთქმის შეგონებები ბევრჯერ არის მოდიფიცირებული რომანტიკოსების შემოქმედებაში. „სადღეგრძელოს“ ავტორის ელვარე სტილი დეკლარაციისა და სენტენციის სტრუქტურაში ზოგჯერ ისეთ ეფექტს აღწევს, რომ თქმის ორიგინალობა, სრულიად აქრობს ცნობილი აზრების ტრივიულობის განცდას.

საერთოდ კი რომანტიკოსების ეტიკა ერთიანად, რა თქმა უნდა, ვერ თავსდება ქრისტიანობის ფარგლებში. ძველი მწერლობის აქა-იქ ფრთხილად გამომკლავებული სითამამე რელიგიისადმი, უმთავრესად რელიგიის მსახურებისადმი, რომანტიკულ პოეზიაში ვიტალურ ასპექტში განვითარდა. პირველად ქართული ლიტერატურის ისტორიაში რომანტიზმმა დეკლარაციული სიცხადით ხელყო რელიგიის ძირითადი დოქტრინები — ნება ღვთისა და სასუფეველი და ქრისტიანობის დანაპირები იმქვეყნიური ნეტარება მიწიერი ემოციების პლანში განიცადა, ბიბლიის სამოთხისაგან სულიერი აუშლვრეველობა და სიმშვიდეც კი აღარ დარჩა მათ ლექსებში, რომანტიკოსების სიამოვნებისა და ნეტარების ფსიქოლოგია უკვე სხვა იყო:

„მის თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,  
მისი ღმრთა შეების მომკემი,  
ჩემი წარმწყმედი, მაცხონებელი,  
განმამარცხოვლი, გამხელბელი.“

(ნ. ბარათაშვილი, „შევიწრობ ცრემლსა“).

„მაშინ ვჰსცან, ეამნი სამოთხის რომ ამა სოფელს არიან;  
მაგ. ახ, ეამნი მას ტბილნი ესრედ მალად რად ჰბრინან“

(გ. ორბელიანი, „ღამე“)

„ნემსა სულსა. რომელც აწ შენდამო მაქვს შეწირული,  
სამოთხის წალ შენს ზალფებში აღუნიშნე მას ადგილი“

(გ. ორბელიანი, მასეე)

ახალი აღთქმის სენტენცია: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისათუს, რამეთუ ხვალემ იზრუნოს თავისათ სისაყვეა არს დღისა მის სიბოროტე თუსი“ (მათე 6, 34) ფრივოლური ინტონაციით არის გარდათქმული ალ. ქავჭავაძის ლექსში:

„ღიმ-ღმან კარი ლალისა  
განალო გამჭვირვალისა,  
დღეს ესე მკმარის სიმდიდრედ,  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა“.

(„ღმიღმან კარი ლალისა“).

„რა შეუთავსებელია ეს ცვალებადი, შინაგანად დისჰარმონიული, ვნებიანი და მღელვარე სამყარო ნეტარების ქრისტიანულ იდეასთან, მოსვენებისა და უზრუნველობის ბიბლიურ სამოთხესთან, თუნდაც „განსწავლისა“ და უმაღლესი სფეროებისთვის მომზადების ადგილთან, როგორადაც წარმოედგინა სამოთხე ორიგენეს“<sup>29</sup>.

თუმცა სამოთხის იდეაც არა ერთხელ ჩნდება მათ ლექსებში და ეს ორმაგი დამოკიდებულება დამახასიათებელია რომანტიკული პოეზიისათვის.

რომანტიკოსების მისტიკას — მისტიკური რეალიზმი უწოდა ეირემენსკიმ<sup>30</sup>. ეს საერთო თვისებაა რომანტიკული მიმდინარეობისა. რომანტიკოსები სასრულში — ამქვეყნიურში ეძებდნენ უსასრულობას და, თუ ხშირად მათი თვალი ზეცისკენ იყო მიპყრობილი და გულწრფელი სარწმუნოებრივი გრძნობა ავსებდა მათ გულს, მაინც ისინი უფრო ძლიერ გრძნობდნენ საკუთარი სულიერი მდგომარეობის თვითღრმობას, ვიდრე აბსოლუტის შეცხოების მძიშვნელობას.

ქართული რომანტიკული პოეზიის როგორც ენობრივი ფენომენის გააზრება შეუძლებელია ბიბლიის გარეშე. რომანტიკულ პოეზიაში გაშუღმებით იმის ბიბლია, ბიბლიური სიტყვა-თქმები, ტროპის ბიბლიისებური კონსტრუქცია. ამ მოვლენას ხელი შეუწყო ქართული სალიტერატურო ენის გახვითარების ტენდენციები. როგორც ცნობილია, განსხვავება ძველსა და ახალ სალიტერატურო ენათა შორის ქართულში შედარებით მცირეა. რომანტიკოსების პოეტურმა მტყუყვლებამ ბუნებრივად შეითვისა ბიბლიის ენობრივი მიმოხრა. რომანტიკულ პოეზიაში ბიბლიის ენობრივი შეთვისების ტრადიციული ფორმებია ფიქსირებული — ფრაზის უცვლელი განმეორებიდან პოეტურ პერიფრაზამდე:

„დამქროლა ქარმან სასტიკმან“ (ნ. ბარათაშვილი) || „ქართა სასტიკითა შემუსრნე ნაენი თარშისანი“ (დავითნი, კანონი 8, ფს. შვ.) „და სად ღღეს ვხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა“ (ა. ჭავჭავაძე) || „ვიქმენ მე ვითარცა ბუ ნატამალსა“ (დავითნი, კანონი იდ). „საკვირველნი ესე აღთქმანი“ (ნ. ბარათაშვილი „სულო ბოროტო“) || „საკვირველთა აღთქმათა შეხთა“ (წიგნი იობისა, ე). „ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა ჰშთომილი, / რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი, / ეგრეთ იქმნების აღბოცილ ამ სოფლით მიხი სახელი, / გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი“ (გ. ორბელიანი, „სადღეგრძელო“). „ვითარ არს ცხოვრება თქუენი? ვითარცა კვამლი ხართ, რომელი მცირიდ ეამ ჰსჩანან და ნერმე განჰქარდის“ (იაკობი 4, 14). „სულითა ტრედო“ (გ. ორბელიანი, „ეკატერინე ჭავჭავაძეს“) || „და გარდმობდა სული წმინდა ხორციელთა ხილვითა ვითარცა ტრედი“ (ლუკა, 3, 22). „მუნ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი“ (ნ. ბარათაშვილი, „ვპოვე ტაბარი“). „ხოლო მაცხოვრება ჩემი ვითარცა ლამპარი აღენთოს“ (ესაია 6).

„ლომი“, რომელიც ბევრჯერ გვხვდება ძველ აღთქმაში და რომელსაც ყველაზე ხშირად სხვადასხვა ვითარებისა და სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად მიმართავენ დავით წინასწარმეტყველი (თუნდაც ასეთ კონტექსტში: „ნუ სადა წარიტაცოს ვითარცა ლომმან სული ჩემი, არავინ იყოს მკსნელ ჩემდა, არცა მაცხოვარი“ (დავითნი, კანონი ა, ფს. ზ)) და რომელიც ბიბლიის შედარებათა და მეტაფორათა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კომპონენტია, აღქმანდრე ჭავჭავაძის ლექსშიც განცდის გაოლიერების ფუნქციას ასრულებს:

განხეცებოა, ვაჰ, სიყვარული  
და გულსა მიხოკს, ვითა ლომია  
(„ქმუნვის მახვილი“).

პარალელების გამრავლება კიდევ შეიძლება, ბიბლიით შთაგონებული კიდევ რამდენიმე პასაჟი მოიპოვება, მაგრამ ამ წერილში შევეცადეთ გვეჩვენებინა უფრო ტიპური შემთხვევები ბიბლიის ლიტერატურული ადაპტაციისა რომანტიკოსების პოეზიაში.

#### დამოწმებული ლიტერატურა

1. Андрей Белый, На перевале III Кризис культуры, Петербург, 1920, გვ. 19.
2. რ. სირაძე, ძველი ქართული თეოლოგ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 213 და შემდეგ.
3. Гегель, Лекции по эстетике, т. XII, кн. вторая, М., 1940, გვ. 77.
4. Гегель, Лекции по истории философии, т. XI, М.—Л., 1935, გვ. 81.
5. Эрнх Ауэрбах, Мимесис, М., 1976.
6. Левитов П., Положение богословия в ряду других наук и его значение в системе общего образования, Харьков, 1909.
7. Джон Месონ, Трактат о самопознании, М., 1865, გვ. 18.
8. Православная богословская энциклопедия, «Богословие», т. II, Петроград, 1902.
9. გრ. ფარულაძე, დღი კარბეკ ეროვნული კულტურისა, „ცისკარი“, 1978, № 12, გვ. 117.
10. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 111.
11. კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952, გვ. 147.
12. კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 136.
13. Аверинцев С. С., Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977, გვ. 103.
14. Эрнх Ауэрбах, Мимесис, გვ. 36.
15. ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, თბ., 1974, გვ. 211.
16. გ. კალანდარიშვილი, თავდადების იდეა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, წიგნში: ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1977.
17. Гегель, Лекции по эстетике, т. XIII, გვ. 89.
18. პ. ინგოროყვა, თხზ. სრ. კრ. ტ. III, თბ., 1965, გვ. 77.
19. Аверинцев С. С., Греческая «литература» и ближневосточная «словесность», в книге: «Типология и взаимосвязь литератур Древнего мира», М., 1971, გვ. 231.
20. შამთა სწავლანი X და XI ს-თა ხელაწერების მიხედვით გამოსცა გ. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 150.
21. Избранные места из творений св. Иозина Златоуста, М., 1874, გვ. 90—97.
22. შამთა სწავლანი..., გვ. 6.
23. об. Лосев А. Ф. Очерки античного символизма и мифологии, т. I, М., 1930, გვ. 855, სრ. Аверинцев С. С., Поэтика ранневизантийской литературы, გვ. 63.
24. გ. ასათიანი, ეფხისტყაოსნიდან ბაბტრონამდე, თბ., 1974, გვ. 5.
25. პ. ინგოროყვა, ნ. ბარათაშვილი (ნარკვევი), წიგნში: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1966, გვ. 55.
26. Берковский Н., Романтизм в Германии, Л., 1973, გვ. 201.
27. ციტატა ამოღებულია წიგნიდან Р. Гам, Романтическая школа М., 1891, გვ. 234.
28. დ. უზნაძე, ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი, ქუთაისი, 1912, გვ. 8.
29. Творения Оригена, учителя Александрийского, О началах, Казань, 1899, გვ. 178.
30. Ж и р м у н с к и й В., Немецкий романтизм и современная мистика, СПб., 1914, გვ. 142.

Г. Н. КАЛАНДАРИШВИЛИ

ЛИТЕРАТУРНАЯ АДАПТАЦИЯ БИБЛИИ В ПОЭЗИИ  
ГРУЗИНСКИХ РОМАНТИКОВ

Резюме

Проблема литературной адаптации неотъемлема от проблематики психологии творчества и общего литературоведения. Соотношение двух моментов в творческом процессе — личного авторства и литературных традиций — расширяет границы художественного анализа и создает предпосылки для многих вопросов комплексного изучения литературы.

Библейская традиция особое значение приобретает в литературе с многовековой историей, где еще на раннем этапе христианской культуры сложились формы литературной адаптации Библии, конечно, не всегда осознанные в качестве литературного приема, а мыслимые в свете мировоззренческой доктринальной системы.

В данной работе на конкретных примерах рассматривается литературная адаптация Библии в грузинской романтической поэзии. Особое внимание уделяется тем случаям, когда индивидуальная творческая энергия, литературный этикет и значительные перемены в мировоззрении приспособляются к уже известным формам и создаются эстетические ценности, соответствующие духу эпохи.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ თბილისის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერა-  
ტურის კათედრა



ვაჟა გვახარია

მარტვილობა შუშანიკისად და ქართული ჰიმნოგრაფიის  
სატიტუმბი

შუშანიკის მარტვილობა მრავალგზის არის გამოცემული<sup>1</sup>, მაგრამ არცერთ მათგანში მოხსენიებული არ არის 28 აგვისტოს ტროპარი (Q 672, N 280, გვ. 540—542. იხ. სურ.), რომლის ტექსტიც ტრაფარეტულია:

„წამებისა გვრგუნთა შეიმკვე  
მედლოსა შენისაგან დედოფალო წმიდაო შუშანიკ,  
და წარმავალისა დედოფლობისა წილ—  
მოიგე სუფიევა: წარუელი  
და აწ კადნიერად მდგომარე ხარ  
წინაშე სიძისა შენისა—უკელავისა ქრისტესა.  
მეოხ გვეყავ მაქებელთა შენთა სანატრელო!“

მუსიკალური ფაქტურა საკმაოდ არჩაულად გამოიყურება: ლექსის და მუსიკის პერიოდები ზუსტადაა დაცული და ერთიმეორეს ემთხვევა.

ტროპარი დაწერილია მერვე სმაში, ფიქსირებული ნოტაცია მოიცავს ელემენტარულ, ადვილად გასასწორებელ შეცდომებს: ყოველგვარი ალტერაციული ნიშნები, რომლებიც ჩვენ მიერაა შესწორებული, სიფრთხილისათვის ფრჩხილებში გვაქვს მოცემული. მუსიკალური ფაქტურა იმიტოა საინტერესო და გასათვალისწინებელი, რომ შუშანიკის მოხსენიების დღეს, რომელ თარიღსაც არ მივიჩნევთ ძირითადად<sup>2</sup>, მის შესახებ მიძღვნილი საგალობელი-ტროპარი უსათუოდ გალობით, ან საკითხავის კიანხის დროს რეჩიტატიულად უნდა შესრულდებოდა. ამის გამო ამ ნოტებზე ფიქსირებულ ერთადერთ ტროპარს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მით უმეტეს, როგორც აღვნიშნეთ, იგი საკმაოდ არჩაული მუსიკალური კომპლექსის სახითაა მოცემული.

როდესაც საგალობელის წარმომავლობას ვიკვლევდით, საგანგებო ყურადღება გავამახვილეთ ტროპარის თარიღზე, რომელიც 28 აგვისტოს სრულდება. არც ერთ ძველ ხელნაწერში, რომელიც ამ მიზნით ჰპეციალურად შევისწავლეთ, 28 აგვისტო არ არის ფიქსირებული, ხელნაწერების მიხედვით შუშანიკის მოხსენიების თარიღებია: 17 ოქტომბერი, 21 აგვისტო. 1 ნოემბ-

<sup>1</sup> „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები“, წიგნი 1, თბ., 1964, გვ. 5—6; წიგნი II, გვ. 29, თბ., 1968, იხ. აგრეთვე—გვ. 197—207. საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია იხ.: შ. ო ნ ი ა ნ ი, იაკობ ხუცესის „წამება წმინდა შუშანიკისი“, თბ., 1978, გვ. 124—126.

<sup>2</sup> „შუშანიკის წამების“ ქრონოლოგიის საკითხები დაახუსტა პროფ. ე. გაბაშვილმა, იხ.: „შუშანიკის წამების“ სპარსთა მეფის იდენტიფიკაციისათვის“, საიუბილეო კრებული „შუშანიკის წამება“, თბ., 1978, გვ. 212—233.

*Andante*

TI

pp

TI

pp

ბერი, 2 ოქტომბერი. ტროპარის თარიღი არ ემთხვევა შუშანიკის წამების წლებს, რომელიც დეტალურად შეისწავლა და დაადგინა აკად. კ. კეკელიძემ: I წამება 468 წლის 8 იანვარს, II წამება „შემდგომად აღესებინა ზატიკისა, დღესა ორშაბათსა“, ე. ი. 469 წლის აღდგომის ორშაბათს, რომელიც შეესაბამება 469 წლის 14 აპრილს და III — გარდაიცვალა 475 წლის „სთულის“ თვის, ანუ ოქტომბრის 17-ს, პარასკევ დღეს<sup>3</sup>.

28 აგვისტო გვხვდება XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის ხელნაწერებში, მაგ., H—137.

ე. გაბიაშვილი აღნიშნავს<sup>4</sup>, რომ „ჩვენი აზრით, ეს ანტონ კათალიკოსის ლიტურგიული რეფორმის შედეგად დამკვიდრებული თარიღი უნდა იყოს“. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ნ. ჭანაშიამ<sup>5</sup>.

მეორე და ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო პრობლემა ეხება შუშანიკის მარტილობის უძველეს ნუსხებში წარმოდგენილ ჰიმნოგრაფიის საკითხებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ თვით ქართული მუსიკის ისტორიისათვის და ძველის ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის. ვრცელ ქართულ რედაქციაში მოხსენებული ჰიმნოგრაფიული კონტექსტი საფუძველს გვაძლევს ამ ვარიანტის გენეზისის საკითხებზე მსჯელობისა. რაც შეეხება სომხურ ვრცელ რედაქციასთან ქართული რედაქციის მიმართებას, ეს საკითხი დეტალურად აქვთ შეისწავლილი აკად. ი. ჭავჭავაძის, აკად. კ. კეკელიძის და პროფ. ი. აბულაძის<sup>6</sup>.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც დღემდე არ ყოფილა სთანადოდ განხილული მრავალრიცხოვან მკვლევართა მიერ ძველის შემდეგი მონაკვეთით: (XIX)—„ყოვლით კრებულთურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულთა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით წმიდასა მას ეკლესიასა და დავკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას აღგილსა და მას ღამესა ანგელოზთა სახელ ღამს იგი განვათიეთ და დავითის ენართა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით, რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემსლბებელ არს და განამკნნის მამანიცა და დედანიცა და თუსთა მათ

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 113—122. „შუშანიკის წამება“, გამოკვლევები და წერტილები, თსუ 1978, გვ. 26—27.

<sup>4</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV, თბ., 1965, გვ. 197—204.

<sup>5</sup> „შუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია, „მრავალთაჲ“, IV, თბ., 1975, გვ. 73—99.

<sup>6</sup> სომხური ვრცელი დამოკლე რედაქციები გამოქვეყნდა ვენეციის მხითარანთა გამოცემაში: სოფერქ პაქაკაქის IX წიგნი (გვ. 49—55—მოკლე და გვ. 10—47 ვრცელი ვარიანტი) რაც შეეხება ქართული და სომხური ვრცელი რედაქციების შედარებას, ამის შესახებ იხ.: აკად. ივ. ჭავჭავაძის ილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, (თბ., 1921, გვ. 13—26; II გამოც., თბ., 1945, გვ. 45—54, იხ. აგრეთვე: საიუბილეო კრებული „შუშანიკის წამება“, თბ., 1978, გვ. 14.

თქლი იგი ძლიერებისა ძლევამ მიჰმადლოს ყოველთა, რომელნი ეძიებენ მას ერათითა გულითა“...

(XX) — „და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისთა თთუესა აბნისისასა, მერვესა თთუსასა და დღესა ორშაბათსა და მეორედ გუგამა მისი შემდგომად აღესებისა ზატიკსა, დღესა ორშაბათსა და კულად ტანჯვათა ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა და აღსრულებამ მისი თთუესა ოკდონბერსა ათჩუდმეტსა, საჯსენებელსა წმიდათა მათ და ღანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანსსთა და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განეაწესეთ საჯსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებლად და საქებლად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომლისა შეუენის დიდებამ უკუნითი უკუნისამდე ამჟნ“ (ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 45—47).

სვიანქსარულ ქართულ და სომხურ ნუსხებში „დავითის ქნარი“ არ გვხვდება, ამის საბუთად მოვიყვანოთ ვრცელი ქართული ნუსხის შესაბამისი მოკლე სომხურ-ქართული რედაქციებიდან სათანადო ტექსტები:

„და ებისკოპოსმან მან და ყოველმან კრებულმან აღიღეს გუამი ნეტარისა მის და განბანეს კელითა პატიოსანთა დედათაჲთა და ზეთითა სულენელითა და საკუთმეველითა, მოიღეს საკმარი და შეგრაგნეს წმიდითა მჩურითა. ფსალმუნითა და კურთხევითა, და გალობითა სულიერითა და მადლობითა, და სანთლებითა აღნთებულთა დაჰკრძალეს განმზადებულსა მას ადგილსა, ვითარცა ამცნო მათ წმიდამან მკველმან ქრისტესმან. და ღამჲ ყოველი კურთხევასა და დიდებასა შესწირვიდეს უფალსა ღმერთსა სამხრისა ეამადმდის.

და მერმე წირვამ შეწირეს და დღესასწაული დიდი აღასრულეს, დღჲ აღსრულებისა წმიდისა შუშანიკისა, ათჩუდმეტსა სულისა თთუსასა. და დააწესეს წლითი წლად რა აღასრულონ საჯსენებელი წმიდისა მის სიმრავლითა ერისთაჲთა სადიდებლად და საქებლად ყოველად წმიდისა სამებისა. და კურნებასა არა მცირედსა ჰყოფდა უფალი მეოხებითა წმიდისა მის დედოფლისაჲთა.

ეს არის წარმოჩინებამ სიმჯნისამ წმიდისა მის შუშანიკისი, რომელი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ესრეთ შეეწირა და ესრეთ ქრისტეს მახლობელ იქმნა, და ესრეთ სულისა მის წმიდისა საჯანმ და საყოფელი იპოვა [და] აღსრულა სადიდებლად ყოველად წმიდისა სამებისა; და დაუჭნობელითა გვრჯენითა დიდებისაჲთა შეამკო ყოველთა წმიდათა თანა, ქრისტე იესუმსდა, უფლისა ჩუენისადა, რომელსა ჰშუენის დიდებამ, კელმწიფებამ და პატივი მამითურთ და ყოველად წმიდითა სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჟნ“.

მოკლე წიგნი: V. „და დააწესეს საჯსენებელი მისი წლითი წლად დიდებითა და სიმრავლითა ერისაჲთა სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა (აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამჟნ). მამასა თქსსა და წარიყვანა და დააგლო იგი მწყულდარი. და ესევეითარითა შეჭირვებითა წელსა ექუსსა სტანჯვიდა მას, წმიდასა ვარლუპის, რამეთუ ესე იყო პირველ სახელი მისი, რამეთუ შუშანიკ სიყუარულით სახელსდევ მას. და შემდგომად ექუსთა წელთა ჰირვებათა, მეშუდესა მას წელსა განისუენა ქრისტესდა, რომლისა თანა შეკრბეს მრავალნი მლუდელნი და ებისკოპოსნი, და დიდი-

თა პატივითა ღირსებისამებრ დაჰმარხეს წმიდაჲ იგი ვარდუჰი, შუშან, საღი-  
დებელად ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა“.

თუ შევედარებთ ძირითად ქართულ ტექსტს მომდევნო საუკუნეთა ყვე-  
ლა სომეხურ და ნოკლე ქართულ ვარიანტებს, ვერსად ვერ ამოიკითხავთ შუ-  
შანიკის მოსახსენიებლად ქნარზე ფსალმუნობას. ამ, ერთი შეხედვით, მარ-  
ტივი დეტალს ძალზე ღრმა ისტორიული ფესვები და ქრონოლოგიისათვის სა-  
ყურადღებო მონაცემები გააჩნია.

ვიდრე საკითხის ანალოზს შევედგები, კიდევ მინდა დამხმარე დეტალებ-  
ზე და სათანადო კონტექსტებზე შევაჩერო ყურადღება. ეს კონტექსტები  
შემდეგია: თვით შუშანიკმა—„ღიღითა გულს მოდგინებითა კელთა აღიხუნა  
დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასხნი იგი ფსალმუნნი და-  
ისწავლნა, რომლითა იგი დღს და ღამს ზესკენელისა მის მეუფისა მიმართ სათ-  
ნოსა მას გალობასა შესწირვიდა ერემლით“ (XII—1—5)... „და მერმე ვერლ-  
არას შემძლებელ იყო ყოფად რამსმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცი-  
ხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოფელ დაშურომითა  
ფსალმუნებითა და გალობითა“ (XIV 5—8).. „ვითარცა იგი ვთქუთ,  
სიყრმითგან ეტყუნ და ევედრებინ ყოველთავე ლოცვის ყოფად მსთეს“  
(1.12—14)... „და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს“ (11, 26),... „და მეცა  
ბუცესი დედოფლისა შუშანიკისი. თანა ეპყევანდი ეპისკოპოსსა მას“ (11,  
3—4)... „რამეთუ მასმიეს მე პავლს მოციქულითგან“ (111, 29)... „ესე თქუა  
და წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანნა ევანგელს თჳსი და წმიდანი იგი  
წიგნნი მოწაჲეთანი“ (V, 28—29)...

კიდევ ერთ დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას: ეს არის სვინაქსი, ანუ  
„პურის ქამის ტრადიცია“. რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა დღე-  
ღასწაულისა და ლიტურგიის წესის შესასრულებლად: „და ვითარცა მოიწია  
ჟამი პურისაჲ, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა,  
რამთამცა მასცა აჰამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდა-  
ეღუნეს და ვითარცა მეტად აიძულეს და ძალით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო  
გემოჲ არა რამისა იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღუნოჲ კიქი-  
თა და აიძულებდა მას, რამთამცა იგი ხოლო შესუა, ჰრქუა მას წმიდამან შუ-  
შანიკ რისბვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე თჳმცა მამათა და დედათა ერ-  
თად ეჰამა პური?“ (VI, 5—11).

ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა, თუ რა წყაროებს ემყარება ძეგლი: მათე  
10, 13... იოანე 10, 16... 11 ტიმ. 2,17, იოანე 18,21... 1 კორინ. 7,15... შუქმნ.  
24,60, გამოცხ. იოან. 21,2... ფსალმ. 120,4,... ლუკა 12,12... მარკ. 9,41, იესუ  
ნავესი 23,14... მეფეთა 111 2,2... გალატ. 3,28... 11 ტიმ. 4,14, ფსალმ. 102,15...  
გალატ. 6,8... მათე 10,39, ფსალმ. 4,9... I კორინ. 12,6..., ე. ი. შუშანიკის მარ-  
ტივილობის წყაროები, რომლებიც ჩვენ თანრიგის მიხედვით წარმოვადგინეთ,  
ესაა: სახარება, ფსალმუნები და იშვიათად ბიბლიის შესაქმე და მეფეთა III წიგ-  
ნი. ი. აბულაძის ვრცელი გამოკვლევების შემდეგ, 1956 წელს გამოიცა აკად. კ.  
კეკელიძის «Памятники древнегрузинской агнографической литературы»,  
სადაც (გვ. 10,11) ჩამოთვლილია ის არგუმენტები, რომლის მიხედვითაც ძეგლს  
ათარილებენ მეხუთე საუკუნით: 1. ვარსკენ პიტიახშის გამგზავრება ირანის  
შაჰის პეროზის გამეფების მერვე წელსა და შუშანიკის სამგზის წამება (8 იან-  
ვარს, 14 აპრილსა და 19 მაისს). 2. გეოგრაფიული ტერმინი ჰერეთი, რომელიც  
3. მ ა ე ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981 № 1

ესაზღვრებოდა ქართლს და უ დ ი, სადაც სამარხი იყო ვარსკენის დედის, აგრეთვე ამ ადგილის მხატვრული აღწერა. 3. საყოფაცხოვრებო დეტალები: კაცთა და ქალთა პურისქამისას ერთად ჭდომის საკითხი. 4. მოძრავ დღესასწაულთა თავისებურება (შუშანიკის მოსახსენიებელი დღე დაწესდა არა პარასკევს, როდესაც გარდაიცვალა, არამედ ხუთშაბათს. ამგვარი პრაქტიკა, რომელიც ემყარებოდა არა თვეთა რიცხვებს, არამედ კვირეული დღეების თანრიგს, კანონიერი იყო იმ ეპოქაში). 5. ბიბლიური ტექსტების არქაიკა (მაგ., I კორ. 11, 15 გადმოცემა „ეულგატსაგან“ განსხვავებით), 6. ლიტურგიული პრაქტიკა ჭერ კიდევ არ იცნობს ჰიმნოგრაფიულ ელემენტებს და ისაზღვრება დავითის ფსალმუნთა კითხვა-გალობით<sup>7</sup>. ამგვარი პრაქტიკა არსებობდა მეექვსე საუკუნემდე. შუშანიკის წამებას იხსენიებდნენ კირიონი (11 საუკ.), „იერუსალიმის კანონი“ (VII საუკ.). არსენ დიდი, საფარელი (IX საუკ.), მოქცევაჲ ქართლისაჲ (IX საუკ.), მიქაელ მორეკილი (X საუკ.), იოანე-ზოსიმე (X საუკ.). სომხური წყაროების მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა 484 წელს ჭვარზე აცვა ვარსკენ პიტიახში. ამ ეპოქაში მრავალი ჰიმნი შეითხზა<sup>8</sup>.

იმ დროს, როგორც Alfred Stuiber-ი აღნიშნავს, გავრცელებული იყო სხვადასხვა მოძღვრებანი, ფილოსოფიური და რელიგიური მიმართულებები.

თვით შუშანიკის მარტივობის კონტექსტი არ იძლევა საფუძველს იმჩაბთებს, რომ იმდროინდელი ლიტურგია მხოლოდ ფსალმოდით შემოვფარგლოთ. კონტექსტში აღნიშნულია: „და მერმე ვეღარას შემძლებელ იყო ყოფად რაღსმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაუშრომითა ფსალმუნებითა და ვალობითა“ (XVI, 5—8) ამ კონტექსტში „ფსალმუნება“ აშკარად გამოყოფილია „გალობისაგან“, რომელსაც თან ერთვის მესამე ლიტურგიული შემაღვენელი ნაწილი—„ლოცვა“: „ვითარცა იგი ვთქუთ, სიყრმითგან ეტყუნ და ევეღრებინ ყოველთავე ლოცვის ყოფად მისთჳს“ (1,13—14).

<sup>7</sup> ეს დებულება უფრო სრულადაა მოცემული „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ 1951 წლის გამოცემის I ტომში, გვ. 109, სადაც აღნიშნულია, რომ ლიტურგიულმა პრაქტიკამ ჭერ კიდევ არ იცნო ჰიმნოგრაფიული ელემენტი, ის ფსალმუნების გალობითა და კითხვით ამოიწურება. შუშანიკის დაკრძალვის ღამე, ამბობს იაკობი, განვათიეთ და დავითის ქანითა ყოვლად ძლიერსა ღმერთისა და ძეხა მისსა, უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტეს, ვადიდებლით. ასეთი იყო საქრისტიანო პრაქტიკა მეექვსე საუკუნემდე“. აკად. კ. კეკელიძემ ამ შემთხვევაში ემყარება მის შიორ გამოცემულ „Иерусалимский Канонарь VII в.“ (გვ. 322), რაც საკითხის ნათელსაყოფად საკმარისი არ არის.

<sup>8</sup> ამ ეპოქაში, ქრისტიანული ლიტურგიისათვის ჰიმნებს თხზავდნენ: (Cäserea (260—339 წწ.), Sokrates Scholasticus (380—450 წწ.), Sazomenos (443—450 წწ.), Theodoros Kyrros (395—460 წწ.), Toranus Rufinus (345—410 წწ.), Paulus Orslus (გარდ. 418 წ.), Hieronymus Stridon (342—420 წწ.), Severus Sulpicius (363—420 წწ.), Proer Aquitanus (390—463 წწ.), Aurelius Cassiodorus (487—583 წწ.), Clemens Alexandrius (150—216 წწ.), Pseudo-Clemens (III ს.), Ephrem Syrus (306—377 წწ.), Euphаний Salamis (315—403 წწ.), Basilius Cäsarea (329—379 წწ.), Cyrillus Jerusalem (გარდ. 386 წ.), Nazianz (330—391 წწ.), Jahannes Chrysostomus (354—407 წწ.), Isidor Pelusium (360—437 წწ.), Synesius Kyrene (370—413 წწ.), Tartullianus Karthago (160—220 წწ.), Cyprianus Karthago (200—258 წწ.), Aruobius (304—310 წწ.), Aetheria (გარდ. 386 წ.), Aurelinus Ambrosius (339—397 წწ.), Gaudentius Bescia (გარდ. 406 წ.), Hieronymus Stridon (IV ს.), Aurelius Augustinnus (354—430 წწ.), Commodianus (V ს.), Casarius Arleus (430—543 წწ.)... იხ.: V. G. Fellerer, Geschichte der Katholische Kirchenmusik, B. I, Basel..., 1972, გვ. 43. E. Wellesz, A History of Byzantine Music..., II Ed, Oxford, 1971, გვ. 146—156...

ფსალმოდისათნ ერთად რომ ჰიმნოგრაფიაც იყო წარმოდგენილი ადრეულ საქრისტიანო ლიტურგიკაში, ეს ცნობილი ფაქტია (Eph. 5, 19, Kol. 3, 16). ფსალმუნი ლექსის სახით თარგმნეს ჰილარიუს პოტიერთმა (315-367 წწ.), ეფრემ ასურმა (IV ს.), აურელიუს ამბროსიუსმა, პაულინოს ნოლამ (გარდ. 431 წ.) და კელიუს სედულიუსმა (გარდ. 450 წ.).

თავდაპირველი ჰიმნები მელოდის გარეშე ითხზებოდა, მხოლოდ «Oxyrhynchos ჰიმნი» (შეიქმნა ეგვიპტეში, III)<sup>9</sup> არის შემორჩენილი მელოდითრი ფრაგმენტები, სადაც უძველესი ნოტები წარმოდგენილია ბერძნული ასოებით: ნოტებსა და ასოთა შორის შემდეგი თანფარდობაა: R = f, f = g, c = a, o = h, x = c', i = d' S = e', e = I'. არსებობდა ადრექრისტიანული საოჯახო მუსიკის მრავალი სახეობა<sup>10</sup>. საუკუნეობი ღვთისმსახურება—ლიტურგია ადრე ქრისტიანულ ხანაში წარმოდგენილი იყო: საკითხავებით, პრედიგტი ლოკვით, სასულიერო რიტორიკით. როგორც ვხედავთ, თავიდანვე ლიტურგიკა და მუსიკა გამიჯნული იყო საკულტო-საქაროდ და საოჯახოდ. საოჯახო-სასახლის კარას იყოფოდა ორად: „ეპიკლესის“-ად = invocatio (ლათინურად), რომელიც მოწოდება იყო ღვთაებისადმი და გამოიყენებოდა ლიბაციის დროს (ბერძ. „სპონდე“) და მსხვერპლად შეწირვისას. შედარებით გვიან, ორივეს თან ახლდა მუსიკის თანხლებით შესრულებული ცერემონიალი. იმდროინდელი მსოფლმხედველობით ეს პროცესია ასახავდა მაგიური ძალებით დაპირისპირებულ უწმიდურთა განადგურებას. თვით Oxyrhynchos-ის პაპირუსამდე, I-III საუკუნეებში, ქრისტიანულ პრაქტიკაში სანოტო დამწერლობა არ გვხვდება. ნოტების ნაცვლად გამოიყენებოდა ორგვარი ბერძნული ანბანი (ეოკალური პარტიებისთვის ცალკე და საკრავიერისთვის ცალკე). მომღერალი ძირითადად მისდევდა ტრადიციას. ამ ტრადიციათა კვლევას კი, ძველ სინაგოგურ ღვთისმსახურებასთან მივყავართ<sup>11</sup>.

შესრულების მანერა იყო «canere non solum voce a sed etiam corde»<sup>12</sup> ღიღიროლი განეკუთვნებოდა იმპროვიზირებას. იმ ხანაში მუსიკალური ფორმებიდან გამოიყენებოდა: ფსალმუნები, ჰიმნები და ოდები (Eph. 18-20, Col. 111, 16). მათ თან დაერთვოდა საკითხავები და მსხვერპლშეწირვის ცერემონიალი „ეუქარისტე“. ამ უძველეს პერიოდში ლიტურგიის ფორმა ჯერ კიდევ არ იყო სავსებით ჩამოყალიბებული და განმტკიცებული. იყო მხოლოდ იპოლიტე რომელის მიერ შემუშავებული მარტივი ლიტურგია: მოკლე, ფსალმოდითრ ტონებზე აგებულ დალოგებს ერთვოდა შესაბამისი, მოკლე აკლამაცია: „ამენი“ და „ალელუია“. ფსალმუნი სრულდებოდა „ალელუიითი“. ეს ისეთი გავრცელებული ფორმა იყო, რომ წარმოდგენილია მისი არარსებობა შუშანიკისდროინდელ საქართველოს საკულტო პრაქტიკაში. გავრცელებული იყო აგრეთვე მოკლე და

<sup>9</sup> E. Wellesz, A History of Byzantine music and Hymnography, გვ. 152—156. «The Oxyrhynchos Papyri», Part XV, with Translations and Notes, London, 1922, № 1786, T. R e i n a c h, Un Ancêtre la musique d'Eglise, Rev. musicale, 1922 H. A b e r t, Ein neu entdecker frühchristlicher Hymnus mit antiken Musiknoten, ZMW, IV, 1921—22, გვ. 524—29.

<sup>10</sup> K. G. Fellerer, დასახ. შრ., 44: «Psalmen und Hymnengesang und Eucharistiesfeier von der Musik bei der Mahlzeit und bei Hochzeit, vom Unterschied zwischen christlicher und heidnischer Hausmusik, von der Beteiligung der Frauen und vom Gebrauch der Musikinstrumente, sowie erzieherischen Wert geistlichen Singens die Redeseins».

<sup>11</sup> «Auf der Grundlage des jüdischen Musizierens und synagogaler Gottesdienstformen abentwickelten sich die christlichen Liturgien und ihre Gesänge». K. G. Fellerer, დასახ. შრ., გვ. 13; Werhe, Sacred Bridge, I, გვ. 334.

<sup>12</sup> K. G. Fellerer, დასახ. შრ., გვ. 13.

მარტივი ანტიფონები. ზოგიერთი ანტიფონი რეფრენსაც დაირთავდა. ამ პერიოდის ებრაული წარმოშობის ეკფონეტიკური ნიშნები განეკუთვნებიან 450 და უფრო მოგვიანო წლებს.

ელინისტურ-ებრაული ხანიდან არა მარტო საგუნდო ტრადიციები დამკვიდრდა ადრექრისტიანული ქვეყნების მუსიკალურ პრაქტიკაში, არამედ ანტიფონარულ ფორმებთან ერთად—ცეკვებიც და საყარავიერი მუსიკაც, რომლებმაც ზეგაუღენა მოახდინეს, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თვით „ოქტოეხოსის“ სისტემის დაფუძნებამაც. თვით ებრაულ მუსიკაში ყველაზე უძველესი ფორმა ფსალმოდია იყო, რომელიც ფიქსირებულია კანტილაციური ნიშნებით, თუმცა კანტილაციური ნიშნების კვალს „დებორას საგალობელშიც“ ვხვდებით, შემდეგში კანტილაციით აღჭურვეს „ბიბლიის“ სხვა წიგნებიც. საერთოდ კანტილაციით კითხულობდნენ: წმიდა წიგნებს, წარმოთქვამდნენ ლოცვებს. კანტილაცია მრავალგვარია: ჩვეულებრივი დეკლამაცია, რეჩიტაცია და სიმღერით შესრულება. კანტილაციის მიზანია: განასხვავოს ერთნაირად ჭლერადი და სხვადასხვა აზრის სიტყვები (ე. ი. გრამატიკული მახვილი), აგრეთვე—რიტმიული და ლოგიკური მახვილი. კანტილირების დროს დიდ როლს თამაშობდა მიმაცია, ხეირონომია და ექსტიკულაცია. ბიბლიური წიგნების კანტილაცია სრულდებოდა დეკლამაციურად და რეჩიტატიულად. აქედან დეკლამაციურად სრულდებოდა ოცდაერთი წიგნი, ხოლო რეჩიტატიულად: ასერგასი ფსალმუნი, სოლომონის იგავები, ქებათაქება, იობის წიგნი. ტექსტები ორგვარად იყო წარმოდგენილი: პროზაულად და არქაული ლექსის ფორმით.

ფსალმოდის უძველესი შესრულების სახეობაა: სოლო ფსალმოდია და ანსამბლურად შესრულებული ფსალმოდია (1 ტენორი, ან სოლო I-II ტენორით). უმაღლესი ტიპისაა მელიზმატიკური ფსალმოდია, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა ალილუია. ალილუიების უძველესი ფორმა სიტყვათა კონკრეტულ კონტექსტებს არ მოიცავდნენ. მის მელიოდიათა აღნაგობათაგან განვითარდნენ „იუბილაციები“. ფსალმუნობა ემყარებოდა სემიტურ «Parallelismus membrorum»-ს. ტექსტი უსათუოდ სილაბური იყო. პაუზები ხელს უწყობდნენ ჩანართი მელიზმებისათვის სუნთქვის მომზადებას და მათ განვითარებულად შესრულებას (Interpunktionsmelismen). ტექსტის მთავარი ნაწილი ერთი ან ორი ტონის ფარგლებში განიციდდა რეჩიტაციას, სადაც მელიოდის ორნამენტაცია დასაშვებია იყო. ჯერ კიდევ ძველ ებრაელებთან ფსალმოდია რვა მოდუსს, ანუ „რვა ხმას“, ემყარებოდა<sup>13</sup>. მუშანაიკის ეპოქის საქართველოში ფსალმოდია არსებობდა თავისი უმაღლესი სახეობით „ალილუიის“ და „ამენის“ დანართით, რომელიც გულისხმობს იუბილაციების და მელიზმატიკის გამოყენებას მელიოდურ სტრუქტურაში. ამ სამკაულების გარეშე, როგორც ვიცით, გალობის ეს ფორმა

<sup>13</sup> Jean Clair. L'évolution modale, გვ. 230.....

E. Werner. Preliminary Notes for a Comparative Study of Catholic and Jewish Punctuation, Hebrew Union College Annual, XV, Cincinnati, 1940.

«Durch die Auffindung und Interpretation alter Midrashen welche auf eine dem Octoechos verwandte Modus Systematik hinweisen» K. G. Fellerer, დასახ. შრ., გვ. 25. იხ. აგრეთვე: E. Werner, The Origin of the Octoechos, Hebrew Union College Annual, Cincinnati, 1948. A. Z. Idelson, Hebräisch-Orientalischer Melodienschatz, Bd. I, Wien—Leipzig, 1913—1914, E1. Werner, Preliminary Notes for a 'Comparative Study of Catholic and Jewish Punctuation, Hebr. Un. Coll. An., XV, Cincinnati, 1940.



საერთოდ არ არსებობდა. ძეგლის ქართული და სომხური მოკლე ვარიანტები „ამენით“ მთავრდება<sup>14</sup>. ფსალმუნის შესრულება შუშანიკის ხანის საქართველოში ორგვარი იყო: სოლო: „ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცელად კიჲნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა კელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა იგი დღჲ და ღამჲ ზესკენლისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით“<sup>15</sup>, ე. ი. დღედაღამ ცრემლით აღსავსე შესწირვიდა ფსალმუნთ გალობას უფალს. ამ სიტუაციაში საქმე გვაქვს ფსალმუნობის მარტივ, სოლო შესრულებასთან. მეორე კონტექსტში კი: „ყოვლით კრებულითურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულითა... მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამჲ იგი განვათიეთ და დავითის ქნარითა, მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით“<sup>16</sup>—საქმე გვაქვს ანსამბლურ შესრულებასთან. ამ კონტექსტში მოქმედება მრავლობითშია წარმოდგენილი. იმ ეპოქაში ქნარზე მხოლოდ და მხოლოდ ფსალმუნობა იყო დასაშვები. კიდევ მეტი, ამ კონტექსტის მიხედვით საქმე გვაქვს ფსალმუნის უმაღლესი სახეობის—საგუნდო შესრულებასთან, რომელიც მელიზმატიკისა და იუბილაკითა „აღილუ-ისა“ და „ამენის“ გარეშე არც ერთ ცივილიზებულ ხალხში არ სრულდებოდა.

ასლა ჩვენ მივადექით ძეგლის ქრონოლოგიისათვის ერთ-ერთ უაღრესად საყურადღებო დეტალს, რომელიც VI-VII საუკუნეების ქრისტიანულ ლიტურგიებში უკვე აღარ გვხვდება და რომელიც აზუსტებს კ. კეკელიძის არგუმენტს ფსალმოდის საკულტო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ. ეს არის საკრავის გამოყენება ქრისტიანული ლიტურგიის პრაქტიკაში, რომელიც ფიქსირებულია ვრცელ ქართულ რედაქციაში: „... მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამჲ იგი განვათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით“. როგორც აღვნიშნეთ, თვით ვრცელი ქართული ვერსიის ხელნაწერი მეათე საუკუნისაა, ამიტომ ვხვდებით კონტექსტს: „ღმერთსა (მამას) და ძესა მისსა“-ს, მეორე მხრივ, ამ ხელნაწერის მიხედვით, ფსალმუნის შესრულება ხდება ყველაზე არქაული წესით, საკრავის თანხლებით, რომელიც ხელნაწერის V საუკუნის რიტუალთან მიმართებას ასახავს. V-VI საუკუნეთა აქეთ საკრავის გამოყენება სასულიერო პრაქტიკაში კატეგორიულად აკრძალულია იყო მთელს აღმოსავლურ ქრისტიანულ ლიტურგიაში. საკითხის უფრო დეტალურად განხილვისათვის ისევ ზოგადი მუსიკის ისტორიას მივმართოთ: პროფ. რ. ი. გრუბერი აღნიშნავდა: «на этом первом этапе формирования христианской музыки среди ранних христиан использовались и танец и игра на музыкальных инструментах, постепенно изгнанные из церкви в силу все прочнее укреплявшегося в христианском культе аскетизма»<sup>17</sup>. სქოლიოში ი. ურშარუნჯზე დაყრდნობით რ. ი. გრუბერი უმატებს: «Наряду с танцуемыми гимнами с хороводами в церкви шло и подальше и сопровождение пения гимнов хлопанием в ладони»<sup>18</sup>.

<sup>14</sup> ი. აბულაძის გამოც., გვ. 47.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>17</sup> История музыкальной культуры, М., 1941, გვ. 352—353, 363, 367, 379, 415, 438—439.

<sup>18</sup> Там же, გვ. 579.

იგივე სურათი იყო ადრექრისტიანული პერიოდის შოტლანდიურ მუსიკაშიც დადასტურებული<sup>19</sup>. ანალოგიური სიტუაცია იყო ევროპის სხვადასხვა ძველი ცივილიზაციის ქვეყნებშიც. ბრ. შტებლაინს მოკლედ აქვს განხილული ამ თვალსაზრისით: ძველი ესპანური, გალიკანური, მილანური, რომაული... ლიტურგიები<sup>20</sup>... ხეირონომიული შესრულებისა და ნევური უძველესი ნოტაციების სახეობები. ავტორი ეხება ალილიუების, Officium-ების, ჰიმნების, ტრაპების, კირიე-ტროპების, „ორდინარიუმ“-მელოდიების და სეკვენციების სტრუქტურის საკითხებს. ქართულ მუსიკათმცოდნეობაში გამოთქმული იყო აზრი წარმართული და ადრექრისტიანული საგალობლების ურთიერთმიმართების შესახებ. დ. მაჩაბელი „ქართულთა ზნეობაში“ წერდა, „საგონებელი არის, რომ ქართული გალობა უნდა იყოს მოგონილი პირველსავე ქრისტიანობაში და მოსული სისრულეში მერვეს საუკუნეში“... ამ განმარტებაში ქრონოლოგიაც მცდარია და გალობის რაგვარობაც უზუსტოდაა მითითებული. პირველ შემთხვევაში ავტორი ისაზღვრება არა კანონიკური, არამედ ხალხური წარმოშობის საკულტო სიმღერებითა და პანგებით, მეორე შემთხვევაში მას „ოქტოეზოსის“ სისტემის ჩამოყალიბება აქვს მხედველობაში, მაგრამ დებულება, რომ ქრისტიანობის მიღებასთან ერთად ყალიბდება ქართული გალობა, საკუბით მისაღებია. ეს პრობლემა უფრო დამაჯერებლად აქვს განხილული პ. კარბელაშვილს: ადრექრისტიანულმა მუსიკამ წარმართულ „კილოებს“ ამოუყენა საქრისტიანო საგალობელთა სიტყვები და ძველი კილო ხელუხლებელი დარჩა“<sup>21</sup>. ქართულ და წარმართულ სიმღერათა მიმართებებს ეხებოდნენ აკად. ი. ჭავჭავაძე<sup>22</sup>, აკად. დ. არაყიშვილი<sup>23</sup>, პროფ. გ. ჩხიკვაძე<sup>24</sup>. ე. გვახარია<sup>25</sup>. ს. იაშვილი<sup>26</sup>... როგორც ვხედავთ, მკვლევართა მოსაზრებისა და დებულებათა მიხედვით, შუშანიკის ეპოქის საქართველოში, გარდა ფსალმოდირისა და ლიტურგიული კანონიკური საგალობლებისა, არსებობდა შემორჩენილი წარმართული საგალობლები, რომლის პანგებსაც იყენებდა ახალი რელიგია. აკად. ი. ჭავჭავაძე დასაშვებლად ცნობდა ამავე საუკუნეებში საკრავის გამოყენებას ქართული კულტმსახურების პრაქტიკაში. იგივე დებულება, მაგრამ განსხვავებული არგუმენტაციით გამოთქვა მ. იაშვილმა.

<sup>19</sup> O. Ursprung, *Katholische Kirchenmusik...* B ü c k e n E., *Handbuch der Musikwissenschaft*, გვ. 13. K. Elliott, E. Rimmer, *A History of Scottish Music* London, 1973, გვ. 7—8. H. G. Farmer, *A History of Music in Scotland*, London, 1947, I, cap.

<sup>20</sup> *Schriftbild der Einstimmigen Musikgeschichte in Bildern*, B III, 1, 4, გვ. 1—25. H. Bessler, P. Güllko, *Schriftbild der mehrstimmigen Musik*, B. III, Lief. 5.

<sup>21</sup> „ცნობარი“, 1364 წ. მისი, გვ. 57.

<sup>22</sup> კარბელაშვილი. „ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა, თბ., 1898, გვ. 10—11.

<sup>23</sup> ი. ჭავჭავაძე. „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 7, 221—230, 285—341.

<sup>24</sup> დ. არაყიშვილი. „საერო მუსიკის შესახებ“, „ივერია“, 1898, № 24, „ქართული მუსიკა“, ქუთაისი, 1925.

<sup>25</sup> გ. ჩხიკვაძე. „ქართული ხალხური სიმღერა“, ტ. 1, თბ., 1960, შესავალი.

<sup>26</sup> ე. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962, გვ. 9—10.

<sup>27</sup> გ. იაშვილი, ქართული მრავალხმიანობის საკითხისათვის, თბ., 1975, გვ. 5—72.

პ. ბეტიფოლი<sup>27</sup> ქალთა საშემსრულებლო რეპერტუარს განსაზღვრავდა ჰიმნებითა და ფსალმუნებით, კიდევ მეტი, მეოთხე საუკუნიდან ხდება ქალთა გამოცალკევება „პურის ჭამის“ დროს, რომელიც ქრონოლოგიურად, ზუსტად ეხმაურება შუშანიკის პრეტენზიას ჭოჭიკის მეუღლის მიმართ: „და ვითარცა მოიწია ეჟი პურისაჲ შევიდეს ჭოჭიკ და ცოლი მისი წინაშე წმინდისა შუშანიკისა, რაჲთამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველი იგი დღენი უზმასა გარდაეცლნეს და ვითარცა მეტად აიძულეს და ძალით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოჲ არა რაჲსა იხილო, ხოლო ცოლმან ჭოჭიკისამან მიართუა ღვინოჲ ქიქითა და აიძულებდა მას რაჲთამცა იგი ხოლო შესეჲა, პრქეჲ მას წმიდამან შუშანიკ რისხეთ: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური!“<sup>28</sup>. როგორც ვხედავთ ეს არგუმენტი ქალთა და კაცთა განცალკევება—არქაულია და მეოთხე საუკუნიდანაა სუფრის ლიტურგიაში დაკანონებული. როგორც აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, ეს ფაქტი არსებითია ძველის უძველესი წარმომავლობის დასასაბუთებლად. თავის მხრივ „სკნაქსი“ —ერთადერთი, იმდროინდელი სატაძრო-სახეიშო ლიტურგიის ფორმა იყო ღვთისმსახურებაში. ქალთაგან განცალკევებით პურისჭამას თავისი კომენტარები აქვს „სახარებაში“: 1. კორინთელთა 14, 34-ში მითითებულია: „ღედანი თქუქნნი ეკლესიასა შინა ჰსდუმნეთ, რამეთუ არა ბრძანებულ არს მათდა სიტყუად, არამედ დამორჩილებად, ვითარცა ჰსჯული ცა იტყვის“. იგივე აზრია გატარებული 1 ტიმ. 2, 12-ში: „მოდღერებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობად ქმრისა, არამედ რათა იყოს იგი მყუდროებით“. ამ დისკრიმინაციის კანონის საფუძველზე მეოთხე საუკუნიდან ხდება ქალის საკულტო მსახურებისა და სკნაქსის გამოყოფა მამაკაცთა საზოგადოებიდან. ქალთა „საოჯახო ღვთისმსახურების“ დროს დასაშვები იყო არფაზე და სიმებიან საკრავებზე დაკვრა<sup>29</sup>. საჯარო ღვთისმსახურებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ხალხს ჰქონდა ლიტურგიულ პრაქტიკაში ცეკვა და საკრავებზე დაკვრა დაკანონებული, ბიბლიური ზოგიერთი წიგნების მიხედვით, ისინი არ იკრძალებოდნენ: 1. მაგ., ვოკალურ-საკრავიერ თანხლებებზე ღვთისმსახურების დროს იხ. I ქრონ. 16, 4-10, სადაც ჩამოთვლილია: არფა, ფსალტერიუმი, კიშბალი, საყვირები (მდრ. 2 ქრონ. 7, 6...23, 13; თვით ფსალმუნები, იოანეს სახარება 4, 23-24, პავლენი I, კორინ. 14, 15, ეპისტოლე ეფესელთა მიმართ 5, 19, ეპისტოლე კოლასელთა მიმართ 3, 16, სადაც მითითებულია ფსალმუნთა ფსალმუნობაზე, სასულიერო სიმღერებზე: *cantica spiritalia*, პნევმატურ-სპირიტუალურ საგალობლებზე, რომელნიც ამ უძველეს პერიოდში ყალიბდებოდნენ, მიუხედავად ამისა, ეკლესიის მამები საკრავიერ თანხლებას საჯარო ღვთისმსახურების დროს საგანგებოდ ზღუდავენ: ეპიფანე სალამინელი ფლეიტას ადარებდა სამოთხეში შეპარული გველის სისინს, რომელმაც ბოროტებით აცთუნა ევა (Panarion haer. 25, 4, GCS'25, 272)<sup>30</sup>. ბასილი კესარიელი საერთოდ კრძალავს ცეკვას მუსიკალური საკრავების (ფლეიტასა და ციტრის) თანხლებით (Phil. 3, 19, Verdamm's Commentarius in Isajam prophetam 5, 18, MPG 30, 377). გაუდენიტუს ბრესკიაველი თეატრალურ დღგმებში გამოყენებულ მუსიკალურ საკრავებს მიიჩნევს შეუსაბამობად ქრისტიანული მორალისათვის. მისი ვაგებობა,

<sup>27</sup> P. Bettifoli, *Studia Patristica*, Paris, 1889.

<sup>28</sup> ილ. აბულაძის რედაქციით, VI, 5—11, ვრცელი ქართული ნუსხა.

<sup>29</sup> კ. გ. ფელქერი, დასახ. შრ., გვ. 48.

<sup>30</sup> იქვე.

ქრისტიანული ოჯახის რეპერტუარია: კეთილსინდისიერი ლოცვა, ფსალმუნების შესრულება, ჰიმნებისა და სასულიერო სიმღერების გალობა (*Sermo de evangelii lectione primus*. 8, MPL 20, 890). იოანე ოქროპირის შეუსაბამოდ მიაჩნია, რომ მწყემსის სალამური ჟღერდეს რომელიმე მორწმუნის ოჯახში, ან უსტვენდეს ფლიტა, ძვერდეს ციტრას სიმები (*Homilia in Epistolam and Colossos* 1,5; MPG 62, 306). ამ უძველეს პერიოდში გამოჩაჩის წარმოდგენს ორი საკრავი, რომელიც დასაშვები იყო საოჯახო ღვთისმსახურების დროს: ლირის (*Leier*—ჩანგი) და ქნარის (*Zither*), რომელთაც დიდი ეთიკური ღირებულება გააჩნდათ ჯერ კიდევ ბერძნულ-რომაული ტრადიციებიდან დაწყებული<sup>31</sup>. შუშანიკის ეპოქის საქართველო იცნობს საკრავის გამოყენების საოჯახო ღვთისმსახურების წესს და ისიც დღესასწაულის „მოსხენიების დღეზე“ შესრულებით, ფსალმუნებით: „მაშინდა ეპისკოპოსთა მათ ორთავე იოვანე და აფოც, ვითარცა ჯართა მკნეთა დაუღლითა ზესენელისა მის ფასისათა, ყოვლით კრებულთურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა აღნებულთა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატროსანნი ძულნი და გამოვიხუენით მას ეკლესიასა და დევკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივეკემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამს იგი განვათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით“ (XIX, გვ. 45). ვინ იყო ქნარზე დამკვრელი ქალი თუ კაცი, ეს არ ჩანს კონტექსტადან, მაგრამ ამ ცერემონიაში ორივენი რომ მონაწილეობდნენ, დასტურდება ძეგლიდან: „და განაპუნნის მაშინცა და დედანიცა და თესთა მათ თესი იგი ძლიერებისა ძლევა მძამდლოს ყოველთა, რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა“ (XIX, გვ. 46). ამრიგად, შუშანიკის მარტილობის მიხედვით, ჩვენში დასტურდება საოჯახო ღვთისმსახურების ფაქტა: თვით იაკობი სასახლის საკულტო მსახური იყო, რაც თავის მხრივ მანიშნებელია საოჯახო ღვთისმსახურების.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეხუთე საუკუნის საქართველოში დასტურდება მაღალცივილიზებულ საფუხურზე მყოფი ჰიმნოგრაფია, ფსალმუნთა შესრულების სხვადასხვა სახეობა (სოლო და საგუნდო შესრულების ტრადიცია). დასტურდება საოჯახო მსახურებისა და მოსახსენიებლებზე საკრავის გამოყენების წესი, რაც ქრონოლოგიურად უტყუარი არგუმენტია და დიდ უპირატესობას აძლევს ქართულ ვრცელ რედაქციას სხვა რედაქციებთან შედარებით. ძეგლმა შემოგვინახა ქალთა და მამაკაცთა „სუნაქისი“ წესები. ვრცელი ქართული რედაქცია ეფუძნება იმ წყაროებს, რომლებიც ძირითადნი იყვნენ იმ პერიოდის ქართულ სინამდვილეში არსებულ ლიტურგია-ჰიმნოგრაფიისათვის. შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩვენ წინაშე გადაიშალა ნათელი სურათი იმ ეპოქის მაღალი სულიერი კულტურისა და ტრადიციებისა.

შუშანიკის მარტილობა ეპოქის სარკეა და მოითხოვს მის სისტემატურ საფუძველიან ანალიზს და მრავალი ძველი დებულების ყურადღებით გადასინჯვას, არ კმარა ძეგლის ისტორიულ მონაცემთა დაზუსტება, საჭიროა მისი ეთიკური, იდეურ-ფილოსოფიური, ეთიკური და, რაც მთავარია, ლიტერატურ-

<sup>31</sup> «Clemens von Alexandris erlaubt die Begleitung des Psalmengesanges durch Leier und Zither und verweist dabei auf ein alttestamentlicher Vorbild, Sam. 16,23, Paedagogus 2, 4; MPG, გვ. 443. იხ. კ. გ. ფელერერი, დასახ. შრ., გვ. 49.

რულ ფორმებსა და მხატვრულ ხერხებზე ყურადღების გამახვილება. საჭიროა, აგრეთვე ახალი სამეცნიერო ლიტერატურის ევალთახედვით გადაისინჯოს ჩვენი სახელოვანი მკვლევრების მიერ წაანდერძევი მდიდარი მემკვიდრეობა და ძეგლი შეფასდეს არა მარტო ქართული პოზიციებიდან, არამედ ზოგად-მეცნიერული თვალთახედვითაც.

В. А. ГВАХАРИЯ

## «МУЧЕНИЧЕСТВО ШУШАНИК» И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ГИМНОГРАФИИ

Р е з ю м е

Грузинская версия «Мученичества Шушаник» сохранилась в пространный и краткой редакциях. Пространная — оригинальное произведение Якова Цуртавели, переписанный текст, который восходит к V веку, — датируется X веком, остальные рукописи — XVII—XIX вв.

«Мученичество Шушаник» относится к агнографическому жанру и наряду с художественными достоинствами имеет большое познавательное значение в историческом отношении, а также для гимнографии, этнографии и т. д.

Имя мученицы внесли в грузинский литургический календарь, и ее заслуги перед верой и родиной веками воспевались в тропариях. До нас дошли песнопения (запись на нотах рук. Q 672 № 280 с. 540—542, конца XIX нач. XX вв.), где отражаются следы древнего музыкального мышления.

В пространный редакции сохранились детали, которые точно датируют происхождение рукописи V веком: это применение арфы («киари») в качестве аккомпанемента во время псалмодии, традиции пира и пиршества и др. Сама псалмодия встречается в развитом виде: с юбилациями, хоровое, сольное, а капелла, с сопровождением струнных; кроме псалмодии, в эту эпоху исполняли другие грузинские песнопения, основанные на народно-культурных мелодиях, пели заимствованные из Византии песнопения на автентических гласах, декламационно или речитативно читали на «Свишаксах» пространные тексты. Музыка была, как и в других цивилизованных странах, основным предметом «Квадрвиума».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ძველი აღმოსავლური ენების განყოფილება წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

## თეიშურაჲ ჩავლიეზვილი

## შალვა დადიანის უცნობი ფსევდონიმები

ცნობილი ქართველი მწერლის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის შემოქმედება მრავალმხრივია საინტერესო. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან და გრძელდება ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე.

შალვა დადიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილია მრავალი გამოკვლევა თუ წერილი, სადაც გამახვილებულია ყურადღება მისი შემოქმედების ამა თუ იმ საინტერესო საკითხზე, ვხვდებით ცნობებს მისი ფსევდონიმების შესახებ<sup>1</sup>.

შალვა დადიანმა ლიტერატურული მოღვაწეობა 1888 წელს ხელნაწერი ეურნალი „მოზარდით“ დაიწყო. აი, რას წერს მწერალი: „მწერლობა“ ძალიან ადრე დაიწყე. 14 წლისა ვიყავი, როდესაც ჩემს მშობლიურ სოფელ ბერთემში საკუთარი ხელნაწერი ეურნალი დაეარსე (1888 წ.) და მალე ძალიან „დახლოვნებული“ რედაქტორი გავხდი: მოწინავე სტატიები, ფელეტონები, პატარ-პატარა მოთხრობები, დრამატული სცენები, ლექსები უმეტესად ჩემს კალამს ეკუთვნოდა, თუმცა ჩემს ეურნალ „მოზარდში“ სხვებიც ლეებულობდნენ მონაწილეობას. უწინარეს ყოვლისა შინაურები: ჩემი და მამა, შემდეგში მარიამ ანჩაბაძისად ცნობილი აფხაზეთში, ქ. სოხუმში თავის დროზე დიდი საზოგადოებრივი მოღვაწე და მოამბე. ...შინაურებს გარდა ეურნალში თანამშრომლობდნენ: 90-იან წლებში ახალგაზრდა მიხა ცხაკაია, შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე, ჩვენი ცნობილი პოეტი-ბელეტრისტი დეტუ მგერელი, ორი ადგილობრივი მოწინავე პედაგოგი — ლადო გაგუა და ივანე ცხაკაია, აგრეთვე ჩხიკვი ბანძელი და სევერიან კორშია. ოთუოდ გარდა ჩაჩაჩემის უშუალო გავლენისა, ამ ჩემმა ეურნალმაც შემაჩვია წერას და 1896 წელს „ვირისკე“ და ქ. თბილისის, გაზეთ „ივერიის“ რედაქციას გაუუგზავნე ჩემი პირველი მოთხრობა „წმინდა ცრემლები“, მხოლოდ ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი კი არ მომიწერია, არამედ „ქუჩის“ ფსევდონიმით იყო წარგზავნილი, რადგანაც მაშინ უკვე დიდ სცენაზე ვიყავ გამოსული და ფსევდონიმდაც „ქუჩის“ ეხმარობდით<sup>2</sup>.

შალვა დადიანი „მოზარდში“ უმთავრესად ფსევდონიმებით წერდა. მათი დადგენა, ბუნებრივია, გაჭირდებოდა, რომ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში ერთი დოკუმენტისთვის არ მიგვეგნო. მწერლის მიერ შედგენილ სპეციალურ დავთარში, რომლის თავფურცელზე წერია: „ნუსხა შალვა დადიანის ნაწერებისა“ გაშიფრულია მისი ადრინდელი ფსევდონიმები, რომელთაც ძირითადად „მოზარდში“ იყენებდა. ეს ფსევდონიმებია: ა. ლმ-ძე (ასლან

<sup>1</sup> ა. ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი, შალვა დადიანი, თბილისი, 1952. ი. ე ა რ თ ა გ ა ვ ა, შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, 1962. გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შალვა დადიანის დრამატურგია, თბილისი, 1955. გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შალვა დადიანი—ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი, 1974.

<sup>2</sup> შ. დადიანი, ჩველი თხზულებანი, თბილისი, ტომი I. 1958, გვ. 532.

ლმობიერაძე), იორდანე კოკლი, შ. დ-ი, ა. ი., X, სის. ბეთ., დავით. ბასხ., რე-  
დაქცია, შალვა დად., ეგრისელი; ს. ბეთლემელი, შ. კაწახიძე, კაწახიძე, სისი-  
რიყვა ბეთლემელი, სისირიყვა ბეთლ., სისირ. ბ-ლი., ნ-ძე, დად., შალიყო,  
შალვა, ქუჯი ბეთლემელი, ქ. ბე-ლი, მიცოროზი, შ. ჩრეწიფელი<sup>3</sup>.

ამ ფსევდონიმებიდან ზოგს, მაგალითად: შ. დ., შ. დ-ი, შალვა, ქუჯი,  
ქუჯი ბეთლემელი, მწერალი შემდეგშიაც იყენებდა. სამეცნიერო ლიტერატუ-  
რაში დადასტურებულია აგრეთვე — ე-ი, ნარიმანი, შამადავლე, 904<sup>4</sup>. ახლა  
კი ჩანს, რომ ამ ფსევდონიმების რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

1891 წელს შალვა დადიანის დაუწყვია დაუმთავრებელი მოთხრობის „შენი  
პირიმეს“ წერა. ხელნაწერი დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკისა და  
კინოს სახელმწიფო მუზეუმში — ხ 11276/38, ფონდი I, საქმე II, № 2. ტექს-  
ტის თავში არის ხელისმწერა — „ნატურალაშვილი“.

ხელნაწერი წარმოადგენს ჭერ შავი მელნით (1—2 გვერდი), შემდეგ  
ფანქრით (2—4 გვერდი) ნაწერს. მწერლის ხელი გარკვევით იკითხება. აქაც  
ცხვდებით შალვა დადიანისათვის დამახასიათებელ წერის მანერას. ზოგ  
ააოებს იგი თავისებურად წერდა. ნაწყვეტის სტილიც მიგვითითებს, რომ იგი  
მწერლის კალამს ეკუთვნის. ალბათ, მას გადაწყვეტილი ჰქონდა უფრო ვრცე-  
ლი ნაწარმოების შექმნა, მაგრამ დაიწყო და არ დაამთავრა. ტექსტს აშკარად  
ატყვია მისი სწორების კვალი.

მოგვეყავს „შენი პირიმეს“ ნაწყვეტი: „თავადი ტატო მშვენიერს გუნება-  
ხეა. იგი ქალაქში საქმეებზე ჩამოვიდა. მან ეხლახან ღვინო გაჰყიდა, თუმცა,  
ვერაფერ ხელსაყრელად, მაგრამ მაინც მოაწრებულათ კი და აქედან აღებუ-  
ლი ფულებით უკვე მრავალი სიამოვნებაც მოიპოვა. იყიდა მან „შემთხვევით“  
მშვენიერი ხმალი (რიცხვით ოცდამეშვიდე), იყო ყველგან, სადაც კი შეიძლე-  
ბა ყოფნა, და იქაც, სადაც ბევრისათვის არ შეიძლება; ერთი სუთი საათი და-  
გრიალეზდა „რეზინიან“ ეტლითაც, საუკეთესო მკერვალს კიდევ შეუკეთა  
საუცხოვო ჩოხა, თეთრი, რბილი, მჩატე, როგორც ღინღლი — ერთი სიტყვით  
ოცნება და არა ჩოხა!..

დღეს თავადი თავად №№-ისას ქორწილში აპირებს წასვლას და ეხლა ნა-  
ეკრათ ვახდელი თავის ნომერში წამოწოლილა ჩოხის მომლოდინე. ფეხები  
ლოგინის თავზე დაუწყვია და თავის წაღებაზე მიჩერებული რაღაცას ლილი-  
ნებს. წაღები კი მართლაც შესანიშნავნი არიან: ისეთი მოქნილნი, შნოიანნი  
საკვირველად წამოწვეტილის წვერებითა, შეკერილნი ძველს ხელოვნების  
ყაიდაზე: ისინი, ხელთაფმანივით შემოწყობიან ახალგაზრდა კაცის მოყვა-  
ნილს ფეხებსა. ამისთანა წაღები ჰქონდა უთუოდ „დემონა“, როდესაც იგი  
ჩუქის ნაბიჯით თამარს ეპარებოდა.

ნომერში, რომელიც პირდაპირ აივანზედ გადის, ცივა, თამბაქოს კვამლის  
ბუბი დგას და ქარი შემოშუქშუქებს კარებიდან; მაგრამ თავადი ვერ ამჩნევს  
ამას: იგი ოცნებობს დღევანდელს საღამოზე და კნიაენა დარბაზზე, რომელ-  
თანაც ერთად მან ლეკური უნდა იცეკვოს. მის გონებითს მხედველობას ცხა-  
დად უდგება თვალწინ მოქნილი, წერწეტი ტანი ჰაეროვანს თეთრ ტანსა-

<sup>3</sup> შტრ. შოთა გ ა ვ ი ძ ე, შალვა დადიანის ადრინდელი ლიტერატურული და თეატრა-  
ლური მოღვაწეობა, თბილისი, 1971, გვ. 18.

<sup>4</sup> შალვა დადიანი, პიესები, თბილისი, 1923, გვ. XXV. 5. კ უ რ დ ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი-  
ნ ა რ კ ა ნ ი ს წ ე რ ი ლ ი. ი. კაკაბაძე, შალვა დადიანი, თბილისი, 1923, გვ. 29.

ცმელში, ალისფერ ვარდით შავთმებ დამშვენებული; თავადს გაკრავს რაღაც მხრებში და ხელებს თავზე გადაიგდებს.

ღიად, ღღეს, ღღეს უნდა გათავდეს ყოველივე, ყოველივე უნდა ითქვას! ეგ აღარ მიტეხს ნებას, რომ კვლავ ეგრე აჯავრონ და ეგრე ცხვირით ათრიონ! თითქმის თვით დარიკომ დაუნიშნა ღღეს მათი შეხვედრა, როდესაც დაეკითხა მრავალმნიშვნელოვნათ: „იქმნებით ქორწილიო?“.

აბა, როგორ არ უნდა იქმნეს! მკვდარიც რომ იყოს, მაინც მივა და ამგვარ შემთხვევას კი ხელიდან არ გაუშვებს: იქ ხომ უბიწო, ქალწულ ვნებით აღუ-სილ ლეკურს გარდა, რომელიც გრძნობათა გამჟღავნების მშვენიერ „უვერ-ტიურათ“ გამოდგება, იქმნება აგრეთვე ვალსი, მისი გამაბრუებელის ნეტარე-ბითა და გაგიჟებული მახურკაც დამქროლავი, ვით ჩერქეზი გაგიჟებული სპერანოთა...

— ვნახოთ, კნაზ ვანო, ვისი აჯობებს?! — ამაყთ გამოიწვია მან თვისი უჩინარი მეტოქე. — მაგრამ რა ამბავია, რომ ჩოხა არ მოაქვთ? აგერ შვილი საათია, აწი დროა კიდევ!... ო, ძლივს!...

ვილაცამ გარედან კარების სახელურს ხელი ჩაავლო.

— შემო! აქ მოიტა!

კარები გაიღო და ზღურბლზედ გამოჩნდა მალალი ნაკვითი თავადის ილი-კოსი, წყლის ფერ ჩოხით გამოწყობილი, ბოხოზშეკეცილი „მშაბიჭურათ“ და მხიარულის, სიცივისაგან გაწითლებულის სახითა.

— რა მოიტათ! არა მშაო, შენ „მოიტა“, მე კი არა! ღვინო შენ გაყიდე, გუშინ მთელი ღღე იქეიფე! არა, რატო ვერ შევხვდით ერთმანეთს?! ჰოდა შენ მოიტა! ოცდახუთი მანეთი! რის დღითა! შენი ჭირიმე!

მასპინძელი ცოტათი მოიღუშა, სტუმარმაც ბოხოზი სკამზე მიაგდო, მივი-და ლოგინთან და მწოლიარეს ხიჩინი დაუწყო:

— აბა რას ავღიხარ? გუშინდლიდან თავი ვისკდება, განა? მოიტა ფული და წავიღეთ საღმე.

თავადმა ილიკო ჩამოიშორა და ფეხები ჩამოიღო:

— დამეხსენ ერთი! ფული არა მაქვს, არც არსად არ მიველივარ! მე არა მცალიან.

— როგორ თუ ფული არა გაქვს? რა უყავი? ღვინო გაყიდე და ფული არა გაქვს?! ეს მეგობრობა როდია! ღღეს ბანკში სარგებელი არ შეგიტანია, მე შე-ნიტყვე ვეა, ერთ ღღეში კი იმდენს ვერ დახარჯავდი! მოიტა-მეთქი, ნუ იპრან-კები! შენი ჭირიმე!“.

1912 წელს შალვა დადიანს ბათუმში დაუწერია პიესა „შენი ჭირიმე“. აი რას ამბობს პიესის ერთი მთავარი გმირი:

„სოსიკო: აჰ, ჰა, აჰ! „შენი ჭირიმე!“.

ბურღული: თქვენც მამი თქვენის ჩვეულება გქონიათ.

სოსიკო: რა? „შენი ჭირიმე?“ ოო, ღიად. მხოლოდ იმან „великолетно“-ც იცის. (უცბათ) ეს ქართული ჩვეულებაა... მშვენიერი ჩვეულება და მშვენიე-რი სიტყვაც. არც ერთ ხალხს არა აქვს ესეთი ნაზი და თან ასეთი თავგანწირუ-ლი ალერსი... რამდენი მიფიქრია ამ სიტყვაზე... მე მგონია ამ სიტყვაში მთე-ლი ჩვენი ხალხის ხასიათი და ბედია გამოთქმული... ჰა. ჰა, ჰა! ხომ არ გიკვირთ, რომ ასე უცბათ და ასე უცხოხთან ამდენს ვლაპარაკობ...

...შე-ნი ჭი-რი-მე! ე. ი. მე შემეყაროს ის ჭირი, ის გაჭირვება, ის სატან-ჯველი და სხვა უბედურება, რაც შენ გადგია. ამაზე უფრო წინ ვერ წავა „მოყვა-



სის სიყვარული“. ეს ნამდვილი ქრისტიანობაა ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ეს რაინდობაა, სულის სიგმირე! და აი ხასიათი მთელი ქართველი ხალხისა. დღესაც კი, როცა „გმირული სული“ თითქმის აღარ გვიდგა, მთავარი მოტივი ჩვენი ხასიათისა, მაინც ერთი რაინდული „შენი ჭირიმეა“. ბედი კი — მე არ ვიცი კარგათ ჩვენი ისტორია, მაგრამ განა ტყუილია, რომ მთელი ჩვენი განვლილი დრო სულ სხვის ჭირის სანაცვლოთ იყო?... მაგალითები თქვენ თვითონ მოსებნეთ. დღეს? დღესაც „შენი ჭირიმე“ არა ვართ?

ბურღული: ეს ძალიან საინტერესოა.

სოსიკო: ერთი მხრით ჭირის ნაცვალი ვართ სხვა ერისა. მეორეს მხრით ჩვენი ეხლანდელი კოსმოპოლიტობით გატაცება. განა აქაც სხვის ჭირს არ ვიხვევთ თავზე და აი მთელი ახსნაც. ერთი სიტყვით ჩვენ ყოველი მხრით „შენი ჭირიმე“ ვართ და ყველანიც მაგას ვლაპარაკობთ. დიად, ამ სიტყვას ჩვენზე მაგიური გავლენა აქვს, ჭადოსნური ძალა. მერე რამდენ კილოზე შეიძლება მისი წარმოთქმა: მხიარულებაში, მწუხარებაში, ბევრნაირად. ის კი არა, ისიც მგონია, ეს სიტყვა კიდევ მაიკოცხლებს და კიდევ მომკლავს-მეთქი... (სევდით) რომ მოვკვდები, ისე უნდა მოვკვდე. საყვარლისგან „შენი ჭირიმეს“ ღირსი მაინც უნდა ვიქმნე.

ბურღული: ეგ საკვირველი თეორია გქონიათ. მთელი პროგრამა „შენი ჭირიმესი!“<sup>5</sup>.

შეიძლება ვიფიქროთ. რომ მწერალმა ამ პიესაში გამოიყენა თავისი აღრეული თხზულების სათაური „შენი ჭირიმე“.

შალვა დადიანს კიათურაში ყოფნისას თავისთვის (არა გასაყრცელებლად) დაუწყია ხელნაწერი ჟურნალი „ჩემი შენიშვნები“. იგი წერს: „ერთი და მაქვს დასაძატებელი: ჟურნალი ხელნაწერია და არა მგონი ამისათვის გექტოგრაფი დამპირდეს და არც მინდა ამ დაჭირებების თავზე დადგმა. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი, უფრო ხშირად შავად იქნება ნაწერი. შოგ მოთავსდება უმთავრესად ჩემი ნაწერები: ახალი, ახალი. იველი? ჰო, თუ რამე ყურადღაღებლათ ვცანი, სხვაგან გამოსაქვეყნებლად არა და რაკი დაკარგვა დამეზარა, ამიტომ აქ გადმოწერე. გადაიწერება უფრო ლამაზად მხოლოდ ის ნაწარმოები. რომელიც ქალაქიდან იქმნება გადასაწერი, და ისინი კი. რომელიც პირდაპირ საცხობ თორნიდან გამოვლენ, პირდაპირვე იქმნებიან. შეიძლება ზოგი უშუშარიც.“

მაშაადაძე. ესეც ჩემი პირველი ნომერი და კიროელისონი!“

ამ წინასიტყვაობის შემდეგ, რომელიც ჩვენ შემოკლებულად მოგვაქვს, მწერალს გადმოუწერია ესკიზი „აღსარება“. შემდეგ მოდის რამდენიმე უსათურო ლექსი, საიდანაც ერთი ჩვენთვის საინტერესოა:

„თმას ჭალარა, მუხლს სისუსტე  
შეპარვია უნდო მტრულად,  
მისთვის ესე სანახავად  
ვერ მკურნალობს ვერე სრულად.  
სულს კი უნდა, გულიც კვლავ ხტის,  
ყმაწვილურად. ძველებურად,  
მაგრამ გარსი ის აღარ არს,  
მხარს ვერ აძლევს კვლავინდურად.“

საკვიფროა ხანიერის  
სხეულ-გრძნობის უთანხმოება:  
ერთი მარად მწუხანედ ყვავის,  
მეორემ კი იწყო ხმობა.  
ნეტა ზენას გაეჩინა  
არსებობა დაუმკნარი,  
მაგრამ თურმე ერთგვარობაც  
ზოგჯერ არი შესაზარი!...

<sup>5</sup> შალვა დადიანი, პიესები, თბილისი, 1923, გვ. 119—120.

ღიღი ის გზა, ისევ ის გზა  
ხვეული და მუდამ მწვანე,  
მთას შესული, საცალფეხო  
თხის ბილიყის დასამგვანე.

მხოლოდ კაცი შეცვლილი და  
ნაღვლიანი, დამარული,  
თუნც უწინდებრ ყმაწვილურად  
მხოლოდ ერთი უცემს გული!

ქიათურა, 1900, V. 23. ხელისმოწერა — ადრინდელი მელექსე.

სავარაუდოა, რომ ეს ფსევდონიმიც შალვა დადიანს ეკუთვნის. ხელნაწერი დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში, ფონდი I, საქმე 11, № 3, ხ. 11276/107.

საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში ფონდი I, საქმე 11, ხ. 11276/76, № 2 არის ხელნაწერი „ქართული წარმოდგენა ქუთაისში“ დამსწრეს ხელისმოწერით. ქ. ქუთაისი, 1895 წ., 4/V. ხელნაწერი წარმოადგენს შავი მელნით ნაწერ ორ ფურცელს.

„დიდი ხანია, რომ ქუთაისის საზოგადოებას არ ახსოვს ესეთი დღესასწაულებრივი წარმოდგენა აქაურს სცენაზე. დიდი ხანია არ შეხვედრია ის დრო, ერთჯერ კიდევ დაემტკიცებინა, თუ მასაც როგორ შეუძლია ხოლმე დაფასოს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მსახიობები და ამცნოს, რომ კარგისა და ავის გარჩევა მასაც კარგად შეუძლია, მანაც იცის, ვინ როგორ ღირსეულია. ეს მეტად საკები გრძობა, რომ მასნი ფარულად ყოფილა, ეს დაგვიმტკიცა 30 აპრილის ქართულმა წარმოდგენამ, რომელზედაც აქაურ ქართულ დასის ამხანაგობისაგან თბილისიდან მოწვეულნი იყვნენ ჩვენი საუკეთესო მსახიობები: კნ. ბ. ავალიშვილისა და ბ. ალექსეევ-მესხიშვილი, რომლის სასარგებლოთაც იყო წარმოდგენა გამართული, რადგანაც, როგორც მკითხველს უკვე მოეხსენება, ეს ნიჭიერი არტისტი ავთომყოფობის გამო საზღვარგარეთ მიემგზავრება საექიმოდ. მადლობის ღირსია ამხანაგობა, რომ ქუთაისელებს ერთი მშვენიერი ღამე აჩუქა და ამ გვარ მისთვის საყვარელ და საუკეთესო არტისტთა თამაში ერთჯერ კიდევ აჩვენა. მადლობელია საზოგადოება ამხანაგობისა. სასიამოვნოა, რომ ეს ნორჩი ამხანაგობა მიხვდა და ესრე ზედგამოჭრილ დროზედ გამართა წარმოდგენა, რადგან ამით ერთ ჩვენ დიდად ნიჭიერ არტისტს მის მორჩენაში ნიუთიერად დახმარება აღმოუჩინა და მეორე ქუთაისის საზოგადოებას ამ დუმილის დროს ესრეთი თან მასიამოვნებელი და თან განომაციოცხლებელი, მათხიზლებელი სხივი მიუყენა.

ამხანაგობას არც ის დავიწყებია, რომ ამ გვარ სვირფასს სტუმარს პატივისცემა უნდოდა და აი, ჩამობრძანდა თუ არა კნ. ბ. ავალიშვილისა (წარმოდგენის წინა დღეს), ქუთაისის სადგურზედ დაუხვდა მთელი დასი ამხანაგობისა, უძღვნა თაიგული და თვითონაც ვარდთა მორევში დაიფარა „ეკლას“ ძახილით.

წასვლის დროსაც, წარმოდგენის შემდეგ ვახშამი გაუმართა მოწვეულ არტისტებს, სადაც სხვათა შორის თ. კირილე ლორთქიფანიძე, იაკ. ჩიმაკაძე და სხვები იყვნენ მოსულნი ნიჭიერ მსახიობთა პატივისცემლად. მეორე დღესაც რიონის სადგურამდინ გააცილეს და გზა დაულოცეს შორს მიმავალს ყველასაგან საყვარელ არტისტს ვ. ალექ.-მესხიშვილს.

თვითონ წარმოდგენაზედ ქუთაისის საზოგადოებაზეც ისახელა თავი. კნ. ავალიშვილისა თაიგულებით აავსეს. მესხიშვილს გვირგვინი მიართვეს და „ეკლას“ ძახილსა და არტისტთა გამოწვევას ხომ ბოლო აღარ მოელო. ერთის სიტყვით დიდის ამბით შეხვდა საზოგადოება მის საუკეთესო მსახიობებს.

წარმოდგენა კი, პიესის აღსრულება, სასიამოვნოდ, ღირსეულად უთანაბრებდა ხალხის ალტაცებას. არტისტები ღირსეულად თამაშობდნენ და უმტკი-

ცებდნენ საზოგადოებას, რომ თუ თქვენ საზოგადოთ გულგრილნი არ იქნებით, გულგრილათ არც ჩვენთაგანი ვინმე მოკიდებს საქმესა. ერთის სიტყვით ამ ლაშქის ხალხიც მის ვალს პირნათლად შეყურებდა და არტიტებიც, ესე იგი სურათი მწყობრი იყო, სასიამოვნო ჰარმონია.

წარმოსადგენად ასტროვსკის „Без вины виноватые“ (უბრალოდ დასჯილნი) და ვ. ზალანჩივაძის ვოდევილი „უბედური დღე“ იყო ამორჩეული. ერთი გვიყვირს: კომედიის მთარგმნელმა რათ დაარქვა ამ პიესას „უბრალოდ დასჯილნი“. როდესაც ერთი რუსულად ეგ სახელი სრულებით არ ქვია და მეორე თვით შინაარსსაც ახალი ნათლის საჩუქარი ეგრე არ უხლდება. აქვე უნდა ვთქვათ, რომ რამდენადაც შევნიშნეთ, თარგმანიც ისრეთი ვერ არის, როგორც მაგ პიესას შეეფერება, საზოგადოდ თარგმანი უკეთესი უნდა იყოს.

კომედია საზოგადოდ მწყობრი, კარგი იყო. თვალში მოსახვედრი რამ შეცდომა პიესის აღსრულებას არ ეტყობოდა, რაც აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთჯერ ქართულ წარმოდგენებზე აქაც და თბილისში შეგვენიშნავს ხოლმე. საუკეთესონი, რასაკვირველია, ავალიშვილისა და მესხიშვილი იყვნენ, განსაკუთრებით მესხიშვილი. აბა, ვინც იმ ლამის დამსწრეს არ ჩააჩნდებოდა გულში მისგან ნათლად დახატული სურათი ნეზნამოვისა. ის, რაღაც თანდაყოლილი დაჩაგრულობა, რაც გამოუთქმელი და მისთვის აუხსნელი მწუხარება, უბედურება ნეზნამოვისა თავზედ მუდამ შეედრებელივით ჩამოხურულია, მისი გრძობა, რომ ის ყველაზე, ვინც მის გარს არის, იმაზედ უმანკოა და წმინდა, თან ის ლტოლვილება მისი სულისა, რომ არ იქმნება ერთი ნამდვილად კარგი, ვინმე მაინც არ ნახოს ცხოვრებაში, და ბოლოს კი ის, რომ თუმც ხედავს ამ გვარს ტიპს, მაგრამ მაინც გულში ორჭოფოფს მისი ცხოვრებისაგან წამხდარი, ცუდი ამხანაგების გულმამაცრუებელი ლაპარაკის გამო, ეს ყველა ისრე ნამდვილად, ისრე რეალისტურად, მართლად იყო მისგან გამოხატული, რომ არ იქნეოდა მაყურებელი არ გაეტაცებინა და თავთან ერთად მისი გულიც სხვადასხვა გრძობათა ღელვაში არ გაეტარებინა. განსაკუთრებით უკეთესი და უფრო ძლიერად გამოხატული ის ადგილები იყო, როდესაც ნეზნამოვი მოდის გამოჩენილ, მდიდარ არტისტ ქალთან და თანვე რაღაც მოწიწებასა გრძობს, თანაც ეს სიმდიდრეა, ეს არაჩვეულებრივი სანახაობა ეჩოთარება და მასთან კიდევ სულითა წუხს, რომ მადლობის მაგიერ უნდა უსაყვედუროს ამ გვარ ქალს, რომელიც რაღაც ძალუენებურად ღირსეულად მიაჩნია. ამ ადგილებში მისგან მართო ფრჩხილების კვენტა რათ არ ღირდა, რა არ გამოიხატებოდა მაგაში. აი, მართლაც სად გამოჩნდა მთელი სიდიადე მისი ღირსეული ნიჭისა. მეორეგან კიდევ ბოლოს, როდესაც განწირულებისაგან აქტიორ შმაგასთან ერთად შეზარხოშებულა, შემოდის და აქტრისას რომ ელაპარაკება მეტად წარმტაცად იყო პატივცემულ მსახიობისაგან დასურათებელი.

ავალიშვილის ქალმაც სწორედ გამოხატა ტანჯული, გულმოკლული, მაგრამ თანვე ხასიათის მქონე გამოჩენილ აქტრისად გადაქცეული კრუჩინინასი. განსაკუთრებით ნიშნისგან და დიდის გრძობით ჩაატარა უკანასკნელი მოკმედება, სადაც შვილი ცოცხალიაო შეიტყო და იპოვა კიდევ.

კარგი იყო ბ. შათირიშვილიც აქტიორ შმაგას როლში. ვოდევილში მეტად მშვენიერი იყო იმერელი გოგია (ბ. ვ. ზალანჩივაძე).

საზოგადოდ ამ ამხანაგობის არტისტებს ყველას ეტყობა სურვილი, მონდომება და ეს დიდი საქმეა. მაგას არ უნდა მოცვეთა. არ უნდა სურვილის

წყლის დაშრობა, მაგას მუდამ მომავალი აქვს და ბედი ყოველთვის გაუღი-  
მებს. გულის გატეხა არავითარ მოღვაწეობაში არ ვარგა. ამისათვის ვურჩევთ  
ზემოსხენებულ ამხანაგობას, რომ თუ მართლა საზოგადოების სამსახურათ  
გამოსულან, წერილმანობა არ მიიკარონ და მაგივრად მათ სიყვარული საზო-  
გადოებისა, პატივისცემა იმგვარ ღირსეული არტისტებისა, როგორც ეხლა  
ჰყავდათ მოწვეული, მიეკარებათ, და მუდამ ექნებათ წელის გამმაგრებლად,  
„გამამზნევებლად“.

გარდა იმისა, რომ შალვა დადიანის სტილითაა ეს წერილი დაწერილი, ყუ-  
რადღებანს იქცევს ისიც, რომ მწერალი ზოგ ასოს აქაც თავისებურად წერდა.  
ვხვდებით იგივე ასოების თავისებურ დაწერას.

ფსევდონიმით — დამსწრე იმ პერიოდში კიდევ რამდენიმე ცნობილი  
ქართველი მოღვაწე წერდა: იოსებ იმედაშვილი, ივანე პაატაშვილი, გიორგი  
წერეთელი<sup>8</sup>.

საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში და-  
ცულია ხელნაწერი 11276/211, ფონდი I, საქმე II, № 5 — სათაურით „ჩამ-  
ბარჩი“. 3 ფურცელი მკრთალი მელნით ნაწერი. თარიღი 1916 წელი, 22. XI,  
ქ. ბაქო. ხელისმოწერა — ნ ა ც ნ ბ ი. იგივე თხზულება დაიბეჭდა გაზეთში  
„საქართველოს სურათებიანი დამატება“, 1917 წ., № 1, გვ. 3, ხელისმოწე-  
რით — შ. დ. საფიქრებელია, რომ ფსევდონიმი „ნაცნობი“ შალვა დადიანს  
ეკუთვნის, რადგანაც ინიციალებით „შ. დ.“ მას მრავალი თხზულება აქვს  
ხელმოწერილი. მოგვყავს ტექსტი „ჩამბარჩისა“:

„მკითხველთა უმრავლესობა ამ სახელს ვერ იცნობს.

მხოლოდ კახეთში ყველა გაიგებს ვინც იგულისხმება ამ სახელით. განსა-  
კუთრებით სიღნაღის მაზრაში და ალაზანს გაღმა.

ეს კაცი არ იყო არც მგოსანი, არც ლიტერატორი და არც საზოგადო  
მოღვაწე. ერთი თითქო ჩვეულებრივი ბინადარი იყო ამ წუთისოფლისა.

მაგრამ მთელი მისი ცხოვრება და განსაკუთრებით მისი ტრაგედიული ხვედ-  
რი ბევრს რასმეს საგულისხმოს გვეუბნება და ამიტომ მისი საჯაროთ გამო-  
ფენა არც თუ მთლად გვაწყენს.

ეს კაცი გახლავთ თავადი ზაქარია, იგივე შაქრო იოსების ძე ანდრონიკა-  
შვილი. კახეთში ჩამბარჩად ცნობილი.

დიდი გვიარის და დიდი ოჯახის შთამომავალი, ოდესღაც დიდძალი მამუ-  
ლების მესპატრონე.

„ჩამბარჩ“ აღმოსავლეთ საქართველოში ყველამ იცის, რომ გუთანზე მიბ-  
მულ საყვერის ჩაქვს ჰქვიან. ასეთი გაჭიმული, გრძელი იყო თურმე შაქროს  
პაპა. ქიზიყის მოურავი ზაქარია და ხალხმაც მას ჩამბარჩა შეარქვა, მხოლოდ  
მის შთამომავლობას ჩამბარჩაშვილებს, მაგრამ ეს „შვილი“ ახალმოდურად კი-  
დეც გადაკეთდა და ბოლოს დარჩა ჩამბარჩი.

განსაკუთრებით კი შაქროს შერჩა ეს სახელი: „შაქრო ჩამბარჩი“.

მას კახეთში ანდრონიკაშვილად ნაკლებ იხსენიებენ, ხოლო სხენებული  
წოდება კი პირველ ხანებში მაინც ყოველ კახელს წარმოუდგენდა ჩვენებურს  
უდარდელს, ქეიფის მოყვარულს ახალგაზრდა თავადს.

ეს ჩვეულებრივი ტიპია, მაგრამ ბუნებით ჰქვიანი, გონებაშახელი და საქ-

<sup>8</sup> ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი IV, თბილისი, 1965, გვ. 638, გვ. 794.

ციელით რაინდი ჯამბარიჩი ყოველ საზოგადოებაში იყო სასურველი და მისაღები. მას ყველა იცნობდა დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, და ყველასათვის საამური იყო მასთან ყოფნა, მასთან „დროს გატარება“.

უცერად ეს უღარდელი, ეს თითქოს მხოლოდ ქეიფსა და მხიარულობისათვის გაჩენილი კაცი ჰკიდებს საქმიანობას ხელს, ეწევა მეურნეობას, ესახლება და ახლა ამ მხრივაც იქცევის სოფლის ყურადღებას. მასთან მოდიან რჩევის საკითხავად. მას ანდობენ დიდი მამულის მართვა-გამგებლობას და სხვ.

მისი ხასიათი მაინც უცვლელია, ისევე ისე გონებაშახვილი, ამხანაგთა თანახიარი ლხენასა და გაკირვებაში, იგივე „პურადი, მხნე და გულადი“ შაქრო ჯამბარიჩი!

კახეთში რომ გეკითხათ — სიღნაღის მაზრაში ვინ არის ვაეკაციო? სხვა პირველთა შორის უთუოდ მიგვიითებდნენ — შაქრო ჯამბარიჩი!

ეს სახელი პოპულარულია, ეს სახელი საყვარელია. მაგრამ ეს კიდევ არა კმარა. ვინც მას ახლო იცნობდა ისიც იცის, რომ შაქრო თუკი ამას გაიგებდა და მის ყურამდე მიაწვდენდნენ, ყოველთვის მზად იყო საზოგადო, კულტურულ საქმიანობისათვის, ნიეთიერად თუ პირადის გარჯით, დაუზარებელი, მიმხვედრი და გზაგაგნებელი.

როცა ამას მიტომ ვიხსენებთ, რომ ჩვენდა სავალალოდ ჩვენს სოფლებში იშვიათია ესეთი ტიპი და ისიც იმ წოდებაში, რომელსაც ჯამბარიჩი ეკუთვნის.

მას კი მიმბაძელებიც გაუჩნდნენ მის კუთხეში.

ჩვენებური თავადი თუ მოქეიფეა, ამ ქეიფს გადაყვება, თუ მფლანგველია, ძირიან-ფესვიანად მოსპობს თავის თავსა და არა თუ საზოგადო საქმეებზე ზრუნვა შესძლოს, არამედ თავის თავიც კი შეზიზღებია და ან სადმე რესტორანში გაიფუჭებს თავს, ან ციმბირის სანახებს მოინახულებს.

შაქრო კი არ იყო ამგვარი. ისიც სწორედ თავდაპირველად გატყეპნილ გზას ადგა, მაგრამ მისმა ძლიერმა ნებისყოფამ ბოლოს მაინც შრომა ურჩია და თავის კერას დაუბრუნდა.

აქ კი მოხდა საშინელი, გაუგებარი რამ.

გაზეთებში წაიკითხავდით: 11 ოქტომბერს, წნორის აფთიაქში აზოტის სიძეავე შესახებ თ. ზაქარია ანდრონიკაშვილს თვალეში და დააბრმავეს.

რასაკვირველია, მთავრობის გამოძიება გამოარკვევს სინამდვილეს.

ისე კერძოდ კი უკვე იმავე გაზეთებიდან ვიცით, რომ თავადი ზაქარია თვით არაფერ შეუშია, მაგრამ აქ კიდევ ერთს სახასიათო მოკლენასთან გვაქვს საქმე.

ხმები დადის, ვითომ კახეთში ამჟამად აეზაყობა იმდენად არის გავრცელებული, რომ უპრალო მცხოვრებნი მთავრობას ვერ დაუტყავს და ყველა ცდილობს, რაც შეუძლია ისე დაიფაროს თავი.

სხვათა შორის წნორის აფთიაქსაც ასეთი საშინელი სიმკვებები მისთვის აქვს მუდამ მზად, რომ აეზაყებს დაუხდენენო.

მასასადამე, ჯამბარიჩი აფთიაქში ვერ შეიცნეს, აეზაკი ეგონათ და უბედურ შემთხვევის მსხვერპლი გახდაო.

თუნდ ასეც იყოს. რა ღუხუჩირ დროში ვცხოვრობთ.

არავინ არის ჩვენი პატრონი.

გარეთ ომის საშინელებას ვერ აუვედით, შინ ავაზაკებისაგან არავინ გეიცავს, სოფელი წამოტივებულა, სრული ანარქიაა, ჩვენც ბრალიანი და უბრალო ვეღარ გაგვირჩევიან.

აი ნამდვილი ტრაგედია ჩვენი დღევანდელი ყოფისა და აი ერთი მსხვერპლი ესეთი ტრაგედიისა.

პატიოსანი, გამრჯე, მშრომელი, ჰკვიანი, ნაცნობთა საყვარელი მახვილი და ოხუნჯი ჩვენი შაქრო ჯამბარჩი!“

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, შალვა დადიანის ცნობილ ფსევდონიმებს შეიძლება დაეუმატოთ: **ნატურალაშვილი, დამსწრე, აღრინდელი მელექსე, ნაცნობი.**

Т. П. ЧАВЛЕЙШВИЛИ

## НЕИЗВЕСТНЫЕ ПСЕВДОНИМЫ Ш. ДАДИАНИ

### Резюме

Творчество выдающегося грузинского писателя, драматурга и общественного деятеля Шалвы Николаевича Дадиани (1874—1959) с самого же начала привлекло пристальное внимание как читателей, так и литературной критики.

О Шалве Дадиани написано много книг, исследований, статей. В этих работах воссоздан литературный портрет писателя, изучены отдельные вопросы его художественного творчества, содержатся сведения о его псевдонимах.

В фондах грузинского музея театра, музыки и кино нашлись ранее неизвестные рукописи писателя. Их анализ показал, что к известным псевдонимам писателя можно с уверенностью прибавить новые: **Натуралашвили, Дамсуре (Присутствующий), Адриндели мелексе (Ранний стихотворец), Нацноби (Знакомый).**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## ჯეშალ აფსიაური

იდეოლოგიისა და მხატვრული სამყაროს ურთიერთ-  
მიმართებისათვის ქართულ ჰაზიოგრაფიაში (V—XI სს).

ჰაგიოგრაფიის მხატვრული სამყარო მკითხველის ინტერესს ახლაც აღძრავს, ხოლო იმ დროისათვის, რომლის მოთხოვნებსაც ისინი ასახავდნენ, ეს ინტერესი უფრო ფართო და მომცველი იქნებოდა. უდავოა ისიც, რომ ჰაგიოგრაფის მსოფლმხედველობას, მის იდეოლოგიას, შეუძლებელია, თავისებურ ყალიბში არ მოექცია მხატვრული სამყაროც... მით უმეტეს, რომ ჰაგიოგრაფიაში თუმცა ძირითადი, წარმმართველი, ქრისტიანული იდეოლოგიაა, მაგრამ მასში გვხვდება ელემენტებიც „სხვაგვარად აზროვნებისა“, რასაც, შეუძლებელია, ასევე უკვალოდ ჩაველო... გარდა ამისა, ძირითადი ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოხატვაც არ დასჭერდებოდა მხატვრული გამოსახვის უკვე მიღწეულ მიჯნას და ეცდებოდა მის გაფართოებასაც...

ჰაგიოგრაფიაში დაცულია პერსონაჟთა იერარქიის მკაცრად გახსაზღვრული პრინციპი. ყველაფერი განიხილება მთავარ გმირთან მიმართებაში (და არა საერთოდ ადამიანთან მიმართებაში, როგორც ამას ვხვდებით რენესანსული აზროვნების პირობებში). გ. ფარულავა, რომელმაც სპეციალურად გამოიკვლია ეს საკითხი, წერს: „ყველა სხვა პერსონაჟთან და მოქმედებასთან მთავარი გმირის მიმართება მექანიკურია და არა ორგანულად მთლიანი. ასე იქცევიან ბერებხარისხოვანი პერსონაჟები პიედესტალად ცენტრალური გმირისათვის“<sup>1</sup>.

ეს შემთხვევითი არ არის — მთავარი გმირის მსოფლმხედველობა ემთხვევა ჰაგიოგრაფის მსოფლმხედველობას. იგი ბირითადია, წარმმართველი და მის გამოკვეთას ემსახურება სხვა ყველაფერი.

ქრისტიანული რწმენის აღიარება ამა თუ იმ პერსონაჟის მიერ, მსოფლმხედველობის შეცვლა თითქმის მექანიკურად ხდება, მიეწერება რაიმე სასწაულებრივ მოვლენას და, ამრიგად, იჩქმალება ის სულიერი კატაკლიზმები, რომელიც ასეთი მეტამორფოზისათვის არის ხოლმე დამახასიათებელი, იჩქმალება გზა გონებრივი ძიებისა (რომლის ნიშნებიც უხვად თუ არა, საკმარისად მაინც არის ქართულ ჰაგიოგრაფიაში). ამათაც ჰაგიოგრაფის მსოფლმხედველობრივი ინტერესები განაპირობებს — რწმენა ვერ იქნება გონებრივი განსჯის საგანი. იგი გამორიცხავს ძიებას, ქეშმარიტებისაყენ ღტოლვას, შესაბამისად კი ხასიათი არ ვლინდება პერსონაჟის მოქმედებაში, ადგილი არა აქვს წინააღმდეგობებს.

წმინდანი არის „ქუეყნისა ანგელოზი“, ე. ი. — „აბსტრაქცია სხეთულში“, განსხეულებული მსოფლმხედველობა, მაგრამ მას რჩება ერთი ძირითადი ფუნქცია, რომელიც, ასე თუ ისე, სტიმულს იძლევა ხასიათის შექმნისაკენ — ეს არის ის, რომ წმინდანი მოწოდებულია დაიცვას, გააგრძელოს ქრისტიანული მსოფლმხედველობა, ამისათვის კი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს საზოგადოების გარკვეულ წრესთან, ფენასთან, ადამიანებთან, რომლებიც ზოგჯერ ვერ ესადაგებიან მის განწყობილებას. წმინდანის დამოკიდებულება მათთან მექანიკურია. მათი დამოკიდებულება კი წმინდანთან და იმ მსოფლმხედველობასთან, რომელსაც იგი ატარებს, მექანიკური არ არის და სწორედ ამ შემთხვევაში ვლინდება ხოლმე ამა თუ იმ ფენის „სოციალური ხასიათი“.

ხშირ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი და იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომი პერსონაჟები ჰაგიოგრაფთა მიერ ემოციურად იხატება. ისინი უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენენ ჩვენზე და მოახდენდნენ თავის დროზე მკითხველთა ერთ ნაწილზე ალბათ იმიტომ, რომ, მართალია, ისინი ემსახურებიან მთავარი გმირის გამოკვეთას, მაგრამ მათი მხატვრული სახის შექმნისას ძველად იძლეოდა არ არის შეზღუდული მხატვრული გამოსახვის შაბლონით, რამდენადაც ეს მთავარი გმირის — წმინდანის მიმართ შეიმჩნევა. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ჰაგიოგრაფის მიერ ეს პერსონაჟები მათი სოციალური წრის ფსიქოლოგიისა და ისტერესების შესაბამისად იხატება. ამიტომ ხშირ შემთხვევაში მეორეხარისხოვან პერსონაჟთაგან ზოგი არც კია მიჩნეული ადამიანად და ხაზი ესმის მის „მკეცისა ბუნებას“. ჰაგიოგრაფი არ ცნობს სხვა მსოფლმხედველობას, გარდა ძირითადის, ქრისტიანულისა, ხოლო მეორეხარისხოვანი პერსონაჟები კი არიან ადამიანები, რომელთაც, ჰაგიოგრაფის აზრით, არა აქვთ მსოფლმხედველობა, მისთვის კი მსოფლმხედველობა უდრის ადამიანს (მაგრამ ერთი დაზუსტებით — აქ იგულისხმება მხოლოდ ქრისტიანულ მსოფლმხედველობა).

როგორც ცნობილია, ჰაგიოგრაფიაში წმინდანი ჩამოყალიბებული, სტანდარტული ხასიათის სახით წარმოვედგება, რაც ასევე არ უნდა იდგეს მსოფლმხედველობრივი, იდეოლოგიური ბრძოლის მიღმა. ჰაგიოგრაფია წარმოიქმნა, პირველ რიგში, არა როგორც მხატვრული აზროვნების ფაქტი, არამედ როგორც ქრისტიანული იდეოლოგიის გამტკიცება-გავრცელების ქმედითი საშუალება. მისთვის მთავარი იყო მსოფლმხედველობა და, აქედან გამომდინარე, წმინდანი, როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობის მატარებელი, თავიდანვე გაიანზრებოდა როგორც დასრულებული ხასიათიც, დასრულებული „მხატვრული სახეც“, რომელსაც არ სჭირდებოდა შექმნა-გამოკვეთა, ამ ფონზე შესაბამისად იხატებოდა ხასიათის გამოკვეთის საჭიროება (რომელიც თავის მხრივ მოითხოვდა მეორეხარისხოვან გმირებთან არა შექანოკურ, არამედ ორგანულ დამოკიდებულებას).

როგორც რ. ბარამიძე აღნიშნავს, ხასიათის გამოხატვის რეალისტურ ტენდენციებს ქართულ ჰაგიოგრაფიაში განსაკუთრებით ესმება ხაზი „ადამიანთა სახეების გამოკვეთისა და სოციალურ ურთიერთობათა ასახვისას“<sup>2</sup>. ამ დროს არ იგრძნობა „სულის სუბიექტივიზაცია“. მთავარ პერსონაჟთან განსხვავებით, ისინი არ არიან ამაღლებულნი ყოველდღიურობაზე, მატერიალურზე, რაც განაპირობებს მათი განსხვავებულად ხატვის ფაქტსაც. ამ დროს თავს იჩენს ძირითადად პოლემიკური ტონი ავტორისა...

როგორც აღნიშნულია, ჰაგიოგრაფი ცდილობს მსმენელს თუ მკითხველს გასაგები, „განმარტებული“ ენით მოუთხროს სულისმარტებელ ფაქტზე, წმინდანზე. „განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოღუაწებასა მისსა“<sup>3</sup>.

ჰაგიოგრაფი ამ შემთხვევაში ავითარებს შეგუდულებას, რომლის მიხედვითაც მხატვრული ენა ადვილგასაგები და საყოველთაოდ მისაწვდომი უნდა იყოს და თხრობაც იწვევდეს ესთეტიკურ განცდას, მაგრამ აქ სხვა მომენტებაც არის გასათვალისწინებელი: ჰაგიოგრაფს მუდამ ახსოვს, რომ მისი მსმენელი მასა შეიძლება არ იდგეს განათლების იმ დონეზე, რომელზედაც იგი, ან კიდევ ის წმინდანი დგას, რომელსაც თხრობა ეწება, მასთან კონტაქტი კი აუცილებელია და გაპირობებულია, პირველ რიგში, იდეოლოგიური, მსოფლმხედველობითი საჭიროებით ამიტომ ჰაგიოგრაფს ეს იძულებულს ხდის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, ეგრეთ წოდებული „სახეობრივი ნაკადის“ შექმნისას მკაცრი შერჩევის გზას დაადგეს, აილოს იგი იმ გარემოდან, რომელიც ნაცნობი და ახლობე-



ლია ქრისტიანული მრევლისათვის. ამვე დროს ეს „სახეობრივი ნაკადი“, ხშირ შემთხვევაში, ქვეცნობიერად კვლავ იდეოლოგიის განმტკიცებას ემსახურება:

მაგალითად: „წარვიდეს დღენი რაოდენნიმე, ზრქელ იქმნეს მდღეონი იგი და განქმეს უწინარეს აღმომცნებელისა და აღმომზრდელისა მათისა მშისა მიერ აწ დამკჳნარნი და შემწუარნი, რამეთუ ყოველი დამეტებაჲ ვითარ მბრძოლი რამე განმზრწნელი თავისა თვისისა იქნების“<sup>4</sup>. ძნელი არ არის ამ სიტყვებში შევნიშნოთ ქრისტიანული მსოფლშეგრძნების ერთი ძირითადი მომენტთაგანი. ვგულისხმობთ „სოფლის სიყუარულში“ ზომიერების დაცვის საჭიროებას. მოყვანილ ციტატაში იგუბნობა დამოძღვრითი ტენდენცია — ის, რაც გაზაფხულზე ჰყვავის, ზამთარში ჭკნება. „უამი ზამთრისაჲ“ მოაწვეს და „ყინულისა მომფენელი ჰაერი“ არსად ტოვებს „მწუანელითა და ნერგთა“. აქ აღვიღად საცნობია სიცოცხლის წარმატლობის ფილოსოფია, რომელსაც ქრისტიანობა თავისი იდეოლოგიისათვის იყენებდა. მზე აღმოაცენებს, მზე დასცემს კიდევ. სიცოცხლით ტკბობა კარგია, მაგრამ იგივეა დამცემელი ადამიანისა... თხრობის ესთეტიკური განცდა მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც იგი უკავშირდება ქრისტიანული იდეოლოგიის ქადაგება-განმტკიცებას. ვფიქრობთ, დიდად არ შეეცდებოთ, თუ ვიტყვით, რომ ეს ერთგვარი რეაქციაც არის აპოკრიფული ლიტერატურისადმი, რომელიც სწორედ სახეობრივი ნაკადით და მიძინიძველი სიუჟეტით ხიბლავდა მორწმუნეებს. ვფიქრობთ, ჰაგიოგრაფისა და მკითხველისათვის შეუნიშნავი არ დარჩებოდა ისიც, რომ „სახეობრივი ხაკადი“ უფრო ჭარბად იჩენდა თავს ჰაგიოგრაფიული თხზულების ეგრეთ წოდებულ „რეალისტურ პასაჟებში“, რომელიც, ჩვენი აზრით, მართალია, იხვე ქრისტიანული მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის განმტკიცების ერთ-ერთი მხატვრული ფორმაა, რადგან მათში გამოხატულ შინაარსს ჰაგიოგრაფი მსოფლმხედველობრივად უარყოფს, მაგრამ შეიძლებოდა მათი წაკითხვა სხვა თვალთაც, სხვა შინაარსით... ეს საჭიროდ ხდიდა გამოსახვის ანალოგიურ ფორმებს ფეხი მოეკიდებინათ ჰაგიოგრაფიული ტექსტის იმ ნაწილშიც, რომელიც მის მაგისტრალურ ხაზს — წმინდანს შეეხება...

ჰაგიოგრაფიაში დიდი მნიშვნელობა აქვს არასახეობრივ ნაკადსაც. მისი ხვედრითი წონა დაკავშირებულია სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ იდეოლოგიისთან და თვით ისტორიულ მეცნიერებებთანაც კი<sup>5</sup>. პოეტური განსახიერებისას თვით გამოთქმას ენიჭება მნიშვნელობა, ისტორიულ თხრობაში კი გამოთქმის საგანს. როცა საკითხს ასეთი კუთხით ვაყენებთ, უნდა მხედველობაში მივიღოთ ჰაგიოგრაფის სპეციფიკა, კერძოდ ის, რომ იგი გამოდის ისტორიულ ფაქტის, მოვლენის აღწერის კუთხით პრეტენზიით. (რაც იმის საფუძველი გახდა, რომ იგი შედროებით მოეჭიკათ საისტორიო ენარში), ამიტომ ქართული ჰაგიოგრაფის არასახეობრივი ნაკადიც ამით უნდა იყოს გაპირობებული. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახეობრივი ნაკადიც იდეოლოგიით არის განსაზღვრული და არც აქ ენიჭება გამოთქმას უპირველესი მნიშვნელობა გამოთქმის საგანთან შედარებით. ჰაგიოგრაფი მუდამ ცდილობს, სახეობრივმა აზროვნებამ არ გააყალბოს თვით ისტორიული ფაქტი, რომელიც მისთვის ძირითადია. მას არ შეუძლია ეს გააკეთოს, რადგან ჰაგიოგრაფია დაკარგავს „კუთხარტების“ პრეტენზიას. ამიტომ, ვფიქრობთ, ქართულ ჰაგიოგრაფიაში, წინააღმდეგ ზოგი მკვლევრის შეხედულებისა, არ დაიბეზნება ისტორიული სინამდვილის შეცვლის, გადაბრუნების ფაქტები „მხატვრული გამოსახვის“ საჭიროებით. ვიმეორებთ, „სახეობრივი ნაკადი“ ვერ აღის ჰაგიოგრაფიაში იმ სიმალეზე, რომ მხატვრული ფანტაზია გახდეს თხზულების ძირითადი წარმმართველი, ხოლო

თვით ჰაგიოგრაფმა პოეტური წარმოსახვის საგნად აქციოს „ერთეული მოვლენა“, „როგორც რაღაც თავისთავად მთლიანი“<sup>6</sup>. თუ ჰაგიოგრაფიაში კეშმარიტებიდან გადახვევას აქვს ადგილი ან კიდევ ესა თუ ის ფაქტი, მოვლენა სხვაგვარად არის გააზრებული, ეს აიხსნება არა „მხატვრული გამოსახვის“, არამედ იდეოლოგიური, მსოფლმხედველობითი საჭიროებით. ამ რიგისაა იაკობის მიერ არშუშას „მაზღედანობაზე“ მიღრეკის ფაქტის იდეოლოგიურად გაბათილება, სტეფანე მტბვერის მიერ აბულ-კასიმის ლეშქრობის შედეგების ტენდენციური გააზრება, გიორგი მერჩულის განცხადება, რომ ტაო-კლარჯეთში სიცოცხლის აღორძინება გრიგოლ ხანძთელის აქ მოსვლით დაიწყო და მრავალი სხვ. ასევე არადამაჯერებელია მხოლოდ მხატვრული ფანტაზიით ახსნა ჰერეთის ცუდი კლიმატისა. დიახ, ჰაგიოგრაფის მხატვრული იდეალი კეშმარიტების პრინციპებზე შენდება. მართალია, აგიოგრაფიაში ემპირიული სინამდვილე შეტრიალებულია, შინაგანი კვრეტისათვის ზღვარი არ არსებობს<sup>7</sup>, მაგრამ ეს ყოველივე ეხება წმიდანის შესაძლებლობათა სფეროს და არა ისტორიულად მომხდარის „მეტრიალებას“. ის, რაც მოხდა, მისი მხოლოდ ახსნა შეიძლება და თანაც სხვადასხვა იდეოლოგიური პოზიციებიდან. მთხრობელისაგან დამაჯერებლობას, მსგავსებას არავენ არ მოითხოვს, არ ამოწმებს მას რეალურად. ფაქტებთან შესატყვისობის თვალსაზრისით. პირიქით, მსმენელთა შორის გამეფებულია ნდობა ინდივიდუალური ცნობიერების „წმიდა ქმედებისადმი“, აქედან გამონაკლისს ქმნის „ხილვებთან“, სასწაულებთან დამოკიდებულება, მაგრამ ეს არ ეხება ისტორიულ ფაქტობრივ მასალას. რაც შეეხება „ხილვებს“, ისინი სხვა კუთხით იმსახურებენ ყურადღებას. ამ შემთხვევაში არ განვიხილავთ იმ საკითხს, თუ რამდენად შეიძლება მორწმუნეს ინტენსიური ლოცვისა და „განწმენდის“ დროს რეალურად მოეჩვენოს არარეალური. ფსიქოლოგიური მექანიზმება ამახსენს შესაძლებლად მიიჩნევს, მაგრამ „ხილის“ წვდომა ძალუხს მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც მტკიცე ქრისტიანული რწმენისაა, მისი ერთგულია და, რადგან ასეა, დაინტერესებულია ამ რწმენის განმტკიცებით, მისი მსოფლმხედველობის სიმყარით. იგი ჩამოყალიბებული იდეოლოგიის ადამიანია და მისთვის ირეალური ადვილად გარდაიქმნება რეალურად. ამასვე უნდა გულისხმობდეს გ. ფარულავას შემდეგი სიტყვებიც: „ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სილვათა და გამოცხადებათა კეშმარიტი შინაარსის რეალიზება გარკვეულ ცოდნას გულისხმობდა და ყოველგვარი მკითხველისათვის არ იყო გამიზნული“<sup>8</sup>. ამ გარკვეულ ცოდნაში<sup>9</sup> უდავოდ იგულისხმება „იდეოლოგიური განწყობაც“, რომელსაც ზემოა შევხებთ...

ღვთებრივი ხილვა ყველასათვის არ არის მისაწვდომი „...რამეთუ არა ყოველნივე წმიდა არიან, არცა ყოველთა არს მეცნიერებად“<sup>9</sup> (აქ ჩანს მსგავსისაგან მსგავსის შეცნობის გზა).

იდეალი სინამდვილედ არის გაცნობიერებული ქართულ ჰაგიოგრაფიაში. „ფანტაზია — დემიურგი შიშველ ფანტასტიკურ ჩვენებათა და სასწაულთა გვერდით პოეტური მზერით გაშუალებულ სურათებსაც ქმნის ხშირად, ე. ი. რელიგიური ფანტაზია გაშუალებულია მხატვრული ფანტაზიით“<sup>10</sup>. უმაღლეს ხელოვნებად მიჩნეულია მკვრეტელობითი ხელოვნება. სული უკედავია, მარადიული, ამიტომ მისი უმაღლესი სწრაფვაც მარადიულისავე ლოგიკურია. ამ შემთხვევაში ჰაგიოგრაფი „ინდივიდუალური ფანტაზიით“ გარდაქმნის საწყაროს, მაგრამ დაიწყოებული არ არის მთავარზე მთავარი — რომ ეს ყველაფერი მაინც ქრისტიანული მსოფლმხედველობის ქადაგება-განმტკიცებას ემსახურება, ადამიანებს მიემართება, რომელთათვისაც მშვენიერი კეშმარიტიც უნდა იყოს, ამიტომ ჰა-

გიოგრაფის მხატვრული ფანტაზია გამოცხადებულია „ხილვად“. თვით ამ სიტყვის შინაარსი გამორიცხავს ყოველგვარ ფანტასტიკურს — ხილვა შეიძლება მხოლოდ იმისა, რაც არის, არსებობს, მაგრამ მას ხედავს მხოლოდ განწმენდილი „თუალი სულისა“. ამ შემთხვევაში მხატვრულ აზროვნებაში იდეოლოგიის წარმმართველი როლი დავას არ უნდა იწვევდეს... ავტორისეული მხატვრული ფანტაზია უარყოფილია, რადგან იგი საკმაოდ გაცვეთილი მცნებაა მორწმუნეთათვის, რომლებიც თვით ქმნიან ამ ფანტაზიით ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს... მხატვრული ფანტაზია, რომელიც იდეალურს „ამსგავსებს“ რეალურს და ხშირ შემთხვევაში ამას არც მალავს (მაგ. ზღაპრებში), იდეოლოგიურად ეწინააღმდეგება კიდევ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, ამიტომ არის, რომ შემოქმედება, როგორც ცნება, ამ დროს გააზრებული არ არის — ყველაფერი მიეწერება „სული წმიდის“, რასაც შესანიშნავად ადასტურებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გრიგოლის „საწელიწოდო იადგარი“ იწერება „სულისა მიერ წმიდისა“... ეს ვრცელდება ქრისტიანული ხელოვნების სხვა დარგებზეც — ეკლესია-მონასტრებიც სულიწმიდის, წმ. გიორგის და სხვა ზეციური ძალების თანადგომით შენდება... ეს პროცესი ამავე დროს არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობის პროცესი.

ჩვენი აზრით, ჰაგიოგრაფიაში მხატვრული ფანტაზია გაშუალებულია რელიგიური ფანტაზიით და არა პირიქით.

თავისებურებას ამ მხრივ ქმნის ჰაგიოგრაფიაში საერო ნაკადი — მეფე, მთავარი, ფეოდალი, მდაბიო, მოკლედ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს ჰაგიოგრაფიის „იდეალურ გმირს“, ვერ დაიხატება იმავე მეთოდით, როგორც ვთქვით, წმინდანი. მხატვრული ფანტაზია აქ უფრო ნაკლებად იქნება გაშუალებული რელიგიური ფანტაზიით. მხატვრული, პოეტური, რელიგიური ფანტაზია ამ შემთხვევაში მხოლოდ იდეოლოგიური ტერორის როლს თამაშობს, ხოლო ეს პერსონაჟები იხატებიან მიწიერი იდეალის მიხედვით. სწორედ აქ იჩენდა თავს „იდეალურად დახვეწილი“, მაგრამ რეალური. ამ დროს ჰაგიოგრაფის მხატვრული ფანტაზია უფრო თავისი წმინდა სახით გვეძლევა... ამ პერსონაჟებს არ მოუთხოვებთ ჰაგიოგრაფის მიერ „უმაღლესი იდეის“ წვდომა, რადგან ამისათვის სპეციალური სულიერი შემზადება საჭირო, ეს ნათლად ჩანს შემდეგი ამონაწერადან: „ვერვინ შემძლებელ არს ხილვად მისა, არა თუ იყვნენ მის თანა ორნი საქმენი. სიფრთხილე თვალთა და სიწმიდე ჭორცთა, ხოლო უკუეთუ იხილოს იგი მძიმედ მხედველჳან და ცოდვასა ზედა დადგრომილჳან, ნათელი თუალთაჲ მოაკლდეს და საცნობელი გონებისაჲ. და მე კაცი ვარ მკურნალი და ვხედავ მძიმედ მხედველობასა შენსა და მეშინის, ნუუკუე მოგიტაცოს სინათლე თუალთაჲ, არამედ მსსშია მეფისა ძისა სიწმიდით ცხოვრებაჲ და ყრმა არს და მახელ თუალითა და იგი შემძლებელ არს ხილვად მისა“<sup>11</sup>.

გამოდის, რომ საერო პირთა მიერ ამ სიბრძნის წვდომა თითქმის შეუძლებელია. მათი „თუალი სულისა“ ვერ სწვდება იდეალს, ე. ი. მათთვის არ არის ორგანული რეალური სამყაროს „კონსტრუირება“, როგორც ეს ხდება, მაგალითად, „ხილვათა“ დროს.

გასათვალისწინებელია ის აზრიც, რომ ქრისტიანული ხელოვნების იდეალი ემყარება იმ დაპირისპირებულობას, რომელიც არსებობს სასრულოსა და აბსოლუტურს შორის. იდეალის წვდომა შეუძლია მხოლოდ სულიერი სისრულით აღბეჭდილ ადამიანს. სულიერი სიწმინდე ნიშნავს მატერიალურის უარყოფას. მატერიალურმა უნდა დაყარგოს შენს თვალში ესთეტიკური ღირებულებაც. სილამაზის საფუძველი თვით ადამიანის სულშია და არა სამყაროში, მაგრამ რა

ვეუთ იმას, რომ, ჰაგიოგრაფიის ნიხედვით, აღიარებულია საქყაროს თავის-თავადი სიღამაზე?! აწორედ აქ აზუსტებს მშვენიერების ცნებას ზემოთ ხსენებულ-ლი პრინციპი სასრულოსა და აბსოლუტურის შესახებ — აბსოლუტური მშვე-ნიერია, სასრულო კი მხოლოდ იმდენად არის მშვენიერი, რამდენადაც ამ აბსო-ლუტურის შორეული სხივის მკრთალი ნათელი სწვდება... ამიტომ ჰაგიოგრაფია-ში მხოლოდ ერთი, ზოგადი, ნამდვილად იდეალური პერსონაჟია, დანარჩენ შვი-თხევებაში კი იდეალი ლოკალიზებულია — წარმოდგენილია იდეალი ფეოდალი-სა, მეფისა, მთაწრისა და ა. შ., ანუ კლასობრივი იდეალი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰაგიოგრაფი ახდენს სინამდვილის კონსტრუირე-ბას... ამის იდეოლოგიური საფუძველი ის უნდა იყოს, რომ, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნიხედვით, მატერიალური სამყარო არარეალურია, აქაც იდეოლოგიაზე შენდება ქრისტიანული მხატვრული აზროვნების სისტემა... რომ ეს არა, შეუძლებელი იქნებოდა „კონსტრუირება“, ან კიდევ იგი დაუჭრებელი იქნებოდა მისთვის. ვისაც პირველ რიგში მივმართებოდა ეს იდეოლოგია...

ჰაგიოგრაფს კარგად ესმის, რომ, როცა რელიგიური რწმენა ეუფლება ადამიანს, მაშინ მისი საქციელი, მისი ეთიკურობა ან არათიკურობა განსაზ-ღვრავს თვით ამ რელიგიის ეთიკურობას ან არათიკურობას: ამის ცხად მაგა-ლით იძლევა „სინოს ცხოვრება“, სადაც ნათქვამია, რომ წარმართებმა „შე-ქანნეს შვილნი მათნი მსხურებლად კერბთათჳს საძაგელთა და უბრალო იგი ერო ქუეყნისაჲ და რომელნი შვილთა მათთა, ვითარცა თივასა თიბდეს, მამანი ჩუენ-ნი, რაჲთა სათნო იყენენ კერბთა“<sup>12</sup>.

თუ ამ მონაკვეთს შევუდარებთ „ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტიელობას“. მეტად საყურადღებო განსხვავებას შევნიშნავთ. ამ უკანასკნელის ავტორი ცდი-ლობს, ნაყოფიერად გაუსვას ხაზი იმას, რომ მშობლებმა — წარმართებმა პატარე-ზი დახოცეს რელიგიური ფანატიზმის გამო, წარმართობისადმი ერთგულების გა-შო, რადგან მაშინ ავტორის მიზანი მიუღწეველი დარჩებოდა, რადგან ფაქტი ლო-გიკური აღმოჩნდებოდა... მასხადამე, ჰაგიოგრაფიაში იდეოლოგიურა ბრძოლის საჭიროებას ემსახურება არა მარტო მასალის შერჩევა, არამედ ამ მასალასთან მწერლისა და მკითხველის დამოკიდებულებაც.

ქართულ ჰაგიოგრაფიაში ქარბია მოქმედება, რაც სიტყვაში გადმოიკემა. თავის წილად კი ეს მოქმედებს სიტყვის ხელოვნების დახვეწა-განვითარებაზე. სათანადო როლს ასრულებს ამ შემთხვევაში ეესტიცი.

დაკვირება გვიჩვენებს, რომ სიტყვიერი გამოსახვის მთელი ეს კომპლექსი ხმარდება ძირითად პერსონაჟს წმინდანის სახით, ე. ი. ძირითადი იდეოლოგიის გამოკვეთას, მეორეხარისხოვან პერსონაჟებს და სიტუაციებს ჰაგიოგრაფი არ ხატავს ასე გამომსახველად, ასე სრულყოფილად. აქვე დავუმატებდით, რომ ქართული ჰაგიოგრაფიის ძირითადი პერსონაჟი — წმინდანი ეროვნული მოღვა-წეც არის — იღვწის ქვეყნის საკეთილდღეოდ, ქრისტიანული, ეროვნული კულ-ტურის წარმატებისათვის, რაც კიდევ უფრო საჭიროდ ხდის იმას, რომ გამოსა-ხვის ძირითადი საშუალებები მას მიეძმართოს. ძირითადად ისეთ ეესტს არჩევს აგიოგრაფი ამა თუ იმ პერსონაჟთან დაკავშირებით, რომელიც კარგად გამოხა-ტავს მის იდეოლოგიას, მსოფლმხედველობით განწყობას, ქრისტიანულ რწმე-ნასთან დამოკიდებულებას. ამით და სხვა ამგვარი ნიუანსებით განსხვავდება ჰა-გიოგრაფია ისტორიისაგან, რომელიც მოგვითხრობს იმას, თუ „რა მოხდა“ (მწერ-ლისთვის კი მთავარია ის, თუ როგორ მოხდა). ისტორიკოსისთვის ფაქტია მთა-ვარი, მწერლისთვის კი მოქმედებათა ის კომპლექსი, რომელიც ამ ფაქტს გა-ნაპირობებს ან მიგვიყვანს ამ ფაქტთან. ისტორიაში, უკეთეს შემთხვევაში, ნა-

პროფესორმა მ. ჩიქოვანმა დაწვრილებით გამოიკვლია „სტუმარ-მასპინძლის“ სიტყვების შემკვერი ხალხური თქმულებანი, რასაც სტუმრის პატივისა და ღირსების დაცვის ადათი უღვეს საფუძვლად. ამით კიდევ უფრო ნათელი გახდა ვაჟას შემოქმედებაში ხალხური პოეზიის, როგორც შთაგონების წყაროს, როლი<sup>21</sup>.

რადგანაც ხალხური ადათ-ჩვეულების ანარეკლს წარმოადგენს, თვით, სტუმარმასპინძლობა, ამდენად საკითხის განხილვას ჩვენც ამ პოემით დავიწყებთ. გაიხსენოთ: ზვიადური შემთხვევით ღამეს ათევს ქისტებში; ჯოყოლას ოჯახში, რომელმაც არაფერი იცის მისი ვინაობის შესახებ. არ იცის, რომ სტუმარი ქისტების რისხვა—ზვიადურია.

ზვიადურს იცნობს მეზობელი, და თენს ატყობინებს ყოველივეს. თემს ესმის სტუმარმასპინძლობის რიგი, მაგრამ შურისძიებით აღგზნებული ქისტები არღვევენ ადათს და მძინარე ზვიადურს დავსხმიან თავს.

ჯოყოლასათვის მალე ყოველივე ცნობილი ხდება, მაგრამ.. ადათი?

„ეს სტუმარს კბაკეთ თოყათ?  
რად სტებთ საუფლო ჩენს წესსა,  
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?...  
დღეს სტუმარია ეგ ჩემი,  
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა.“<sup>22</sup>

<sup>18</sup> იქვე, გვ. 338. ეკლესიაზე „შეხვეწილ“ კაცის უფლებრივ მდგომარეობაზეა ლაპარაკი ვახტანგ VI კანონთა კრებულის ბერძნული სამართლის 232-ე მუხლში.

<sup>19</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. III, გვ. 11.

<sup>20</sup> ბეს. ნუჯარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 116.

<sup>21</sup> მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ ფოლკლორული ძირები, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო კრებული, თბილისი, 1961.

<sup>22</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, 5 ტომად, ტ II, თბილისი, 1961, გვ. 107.

ახლა დაეუბრუნდეთ შიოლასა და მთრეხელის თავგადასავალს. ლუღუშა-ურებისაგან დევნილ მთრეხელს ეკლესიის კარები დაკეტილი ხვდება, დრო არ ითმენს, და მთრეხელი მოკლული შიოლას დის სახლის ბანზე ახტება. მთქმელი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: მთრეხელი „... გადამხტარ და პირდაპირ შიოლას დის ბანზე შემვდარ. ქალს ჭერ ტირილ დაუწყავე, რომ ძმის მამკლავ უნახავ. მემრე იქავ დაღნანებვი, შაუნახავ სახლში მთრეხელი“. მღვერებიც ფხვდაფხვ მიპყოლიან, მაგრამ დიასახლისმა არ გასცა ძმის მკვლელი სტუმარი. ძალამ თავისი გაიტანა, შური იძიეს, მოკლეს მთრეხელი. სტუმრის მოკვლით შეურაცხყოფილი ოჯახის დიასახლისი კი თავისიანებს არარად აგდებს: „მამულნი მისწყვივნა: სახლში სტუმარი მახკალით, დაიკათ. წყეულნო! არ შეგარჩენთ! ერთხან ზო იქნების, მომივას ქმარიც შინ“. უფრო შორს მიდის მისი მოქმედება — ხარი შესწირა მოკლულის ხსოვნას: „ღმერთმა გაცხონას მთრეხელო, სტუმარო, ჩემს სახლში დახარჯულო! მალე კი ამავიყრი ჩემ მამულთ ჭავრს“<sup>23</sup>.

თითქოს დაუჭერებელია, არ ცხრება ქალი და ელოდება ნადირობიდან დაბრუნებულ ქმარს, რათა საკუთარი ძმის მკვლელის, მაგრამ ამჭერად „შეხვეწნილი“ სტუმრის მოკვლისათვის შური აძიებინოს თავისიანებზე და ამ გზით სირცხვილი ჩამორეცხოს ოჯახს.

დაბრუნებული ქმარი გებულობს ყოველივეს და ცოლის დაყინებითი მოთხოვნით მიდის სტუმრის სასისხლეზღად, მაგრამ ისევ ბრუნდება და ცოლს ატყუებს — ვერ ვნახე შენიანებო. ასეთმა განცხადებამ კიდევ უფრო ააბობოქრა ქალი. იგი განრისხებული, მაგრამ ცივი გონებით მიმართავს ქმარს: „რჯულის დაკარგვას, ხალხში უქედოს სიარულს იქავ ძმის სიკვდილი მიჩრევე. ქერეეთ გვარს ხალხში აღარ გაგვევალისთ, ხალხ გეტყვისთ: სტუმარი სახლში მოგიკლესთ და ვერაი ხქენით. მოუკლავად არა გვეშველების“<sup>24</sup>.

ამის შემდეგ ქმარი კლავს სტუმარ მთრეხელის მკვლელს, თავის ცოლის ძმას.

პოეტურ ვარიანტებში ასეა გადმოცემული მთრეხელის მიერ თავის შეფარება მის მიერ მოკლულის დის ოჯახში. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მთრეხელი ელვისებურად ბჭობს:

„ნეტარ, არ შაიხეწება  
ძმისა მამკლავი დისასა?“

ქალის პასუხიც ასეთია:

„შემოდი, შეიხეწება,  
სულს გეფიციები მისასა“<sup>25</sup>.

და იფარებს მას. კარს მღვერად მომდგარ მამის ძმებს კი ევეღრება:

„ნაწნავთ ნუ მამკრით თმისასა.  
შეფარებულნი სტუმარი  
უნდა იფიქრათ ვისასა.  
თუ არად აგდებთ სირცხვილსა,  
რას ხფიქრობთ ჩემის ქმრისასა?  
ის არ შეგარჩენთ სტუმრის თავს,  
წესს არ დაარღვევს მთისასა“<sup>26</sup>.

<sup>23</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 145.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 338.

<sup>26</sup> იქვე.

ფეიქრობთ, კომენტარი არ სჭირდება — „წესს არ დაარღვევს მთისასა“, თუ როგორ იცავს სტუმარს ადამი.

სხვა ვარიანტებშიც ასე ეხვეწება ქალი თავისიანებს:

„ნუ მაკლავთ. ჩემო მამულნო,  
ნაწნავს ნუ მომპროთ თმისასა“.

შურისძიებით აღგზნებული ლუღუშაურები კლავენ მთრეხელს. ეს ამბავი შინ მისვლამდის გახდა ცნობილი ქმრისათვის, რომელიც დაედევნება მის ოჯახში თავშეფარებულის მკვლელებს, ცოლის ნათესაებებს;

„შორით დახკივლა: დადგით,  
თავზე ნუ იხვევთ ჭირსაო.  
რად ხკლავდით სტუმარს ჩემს სახლი?  
მოდით, მითხარით პირსაო“<sup>27</sup>.

ისისხლა სტუმარი, რომლის ოჯახში მოკვლა ყოველგვარ პირობებში გაუმართლებელია. ისისხლა, მაგრამ შინსაყენ მიმავალს მაინც არ ასვენებს ფეიქრი:

„ნეტარ, რად მაკლეს სტუმარი?  
ვის სახლი ხკლავდეს ვისაო?“<sup>28</sup>.

ხალხურ სიტყვიერებაში ისეთი ცნობაც მოიპოვება, თითქოს მთრეხელმა თავისი დობილის სახლში შეაფარა თავი, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ყოველთვის წინა პლანზე სტუმრის დაცვაა წამოწეული. სხვა სიუჟეტზე შექმნილი ხალხური ლექსი ასე კიცხავს სტუმრის მოკვლისათვის მინდია თეთრაულის ძეს:

„რად ულაღატე სტუმარსა, ნაქლომსა თავის სკამზედა?  
მაგის მოკვლა თუ გეწადა, სწორს რად არ შეხვდი გზაზედა?“<sup>29</sup>

ხეცსურულმა ხალხურმა თქმულებამ მტრის „შინ შეხვეწნასთან“ დაკავშირებით ასეთი ცნობაც შემოგვინახა: ქისტ ხამფიას და მისიანებს ვაყვაცობით საქვეყნოდ განთქმული ხეცსური ალუდაურის ძმის იონას ლაღატით მოკვლა განუზრახავთ. უსერიათ კიდეც მისთვის, მაგრამ ხელიდან დასხლტომიათ.

მარცხმა მეტად ჩააფიქრა ხამფია, იცის რომ ძმები არ აპატებენ ლაღატს, მოკლავენ. სხვა გამოსავალი ვერ უპოვნია და გადაწყვიტა შინ მივიდეს მათთან „შესახვეწნად“. მიდის, გარბის სახლისაყენ და ბანზე გადმომდგარ ალუდაურს გასძახის: „ალუდაურო, მიშველევ, შინ შამახვეწილ მტერი ორავ“.

იონა დინახავს რა ხამფიას, სახლში შევარდება თოფის ასაღებად, მაგრამ ალუდაური სწვდება ხელთ: „პირცხვილიავ, კაცივ შამახვეწეწეწავ“. მართლაც, არ მოკლეს იგი ძმებმა, თუმცა კი გააფრთხილეს „თუ კლოვ მაგივდ, მოუკლავს არ გაგიშობთ, აეხლა კი შინ შამახვეწილი ხარ“<sup>30</sup>.

ოჯახში სტუმრის შეფარება-ხელშეუხებლობის ფაქტი სვანეთშიც დასტურდება: „ჩვეულებითი მართლიერება ნებას აძლევს ყოველს ოჯახს დაიცავს

<sup>27</sup> იქვე, გვ. 339.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, № 239.

<sup>30</sup> ბეს. გაბუჯრი, ხეცსურული მასალები, გვ. 176.

და თავის სახლში უვებლად მიიყვანოს მკვლელი და სხვა დამნაშავეც, რომელთაც მტერი მოსდევს. თუკი ეს დამნაშავე, რომელსამე ოჯახში შეასწრობს მტერსა. ნაშნად შეხვეწნისა მტრისაგან ღვენილი დამნაშავე ოჯახის კერას ან ნაჭას ჰკიდებდა ხელს“<sup>31</sup>.

ე. გაბლიანის ცნობითაც, ღვენილს მტრის ოჯახშიც რომ შეეფარებინა თავი, აქაც ხელშეუხებელი იყო.

სენანეთში, მსგავსად ხევსურეთისა, თავშეფარებული პირი „შემხვეწნად“ იწოდება.

3. აკაკის კრებულში გამოქვეყნებულმა ფოლკლორულმა მასალამ ძვირფასი ცნობა შემოგვინახა იმერეთის სამეფოში დარბაზის მუშაობის მიმდინარეობაზე. დარბაზობა ეძღვნება ურჩი რაკის ერისთავის როსტომის დასჯის საკითხის განხილვას, მასში თანმიმდევრობითაა აღწერილი სხდომის მიმდინარეობა, დაწყებული დასხდომის ცერემონიიდან, საკითხის მოხსენება-განსჯამდე. მსგავს ცნობას არც ერთი საისტორიო ან ნარატიული წყარო არ გვაწვდის<sup>32</sup>.

4. რამდენადაც ქართულ სამართალში ფიცი მიიჩნეოდა მტკიცებულების ერთ-ერთ ძირითად სახედ, ფიცის გატეხვა მძიმე ცოდვად ითვლებოდა. ფიცის გატეხვა, რა საქმესთან დაკავშირებითაც არ უნდა მომხდარიყო იგი, დიდ ცოდვად ირაცებოდა. ასეა ფოლკლორულ მასალებშიც. მეფე ვახტანგ გორგასალმა უვნებლობის ფიცი მისცა ოსთა ბელადს, მაგრამ დაარღვია პირობა და მოკლა იგი. ცოდვასაგან განწმენდის მიზნით ხუთი ტაბარი ააგო მეფემ, მათ შორის მეტეხიც. ეს სახელი ნიშნავს: მ ე ვ ტ ე ხ ე ფ ი ც ი<sup>33</sup>. ლექსში ასეა გახშიანებული მოკლულის სიტყვები:

„მამწულა, ფიციო მ ი ლ ა ლ ა ტ ა,  
მან დაიდვა ჩემი ბრალა“<sup>34</sup>.

ფიცის გატეხვა „ფიცით ღალატად“ იწოდებოდა.

ფიცს ვერ უღალატა თამარ მეფემაც, რომელმაც თავის მსახურს, ეროვნებით თათარს, შეჰფიცა, რომ ერთგულების საწინდრად მისცემდა იმას, რასაც მოითხოვდა. ამ უკანასკნელმაც მოახსენა: „ერთი ხარის ტყავი რამდენ მიწასაც შამაიცავს, ის მომეციო“. თამარმა თანხმობა მისცა. მსახურმა ტყავი ხარაზთან წაიღო, დააქრევიანა წვრილ თასმებად და მისი შემოვლებით მიიზომა მიწა. მოატყუა თათარმა ნეფე, „მაგრამ რაღას იზამდა: ფიცი ჰქონდა მიცემული და ფიცს ის არას გზით არ უღალატებდა“<sup>35</sup>.

„ტყვილა ფიცი შევილისშვილამდე გასტანსო“, — ამბობს ქართული ანდაზა. ფიცის არ დაჭერება არაფრით არაა გამართლებული: „ურჯულომ დაიფიცა და რჯულიანმა დაიჭერაო“.

სასამართლოს საბუთებით შეიმჩნევა, რომ ქართველი კაცი ერიდებოდა ფიცს, ხალხური რჩევაც ასეთია:

„არვიცაი და ვიცაი ფიცის კარს მიუღიანო.  
არვიცა შინაე დაბრუნდა, ვიცას აფიცებდიანა“<sup>36</sup>.

<sup>31</sup> ბ ე ს. ნ ი ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

<sup>32</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, გვ. 167—170.

<sup>33</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, ტექსტების მოშლაზე, რედაქცია, შესავალი და შეხიშვნები ქ ს ე ნ ი ა ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს, თბილისი, 1961, გვ. 61.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 55.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>36</sup> ა. კ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, № 708.

5. საინტერესო ცნობებს ვხვდებით ფოლკლორში მკვლევლობით გამოწვეულ მესისხლეობა-შურისძიებასთან დაკავშირებით.

ვიდრე სისხლი არ იქნება აღებული, ბორგავს, ბობოქრობს მესისხლე:

„შურის სამებრად შალევი მთაზე ქორიეთ კოდა;  
გულს ეშვეა თბე-თეთრ ისარი, ყიათა სისხლი სდიოდა“<sup>37</sup>.

ძმის სისხლის აღების მოლოდინი კარგადაა გამომხატული ლექსში:

„ზენ-უბან დაჯავრებულან ქირის პატრონი ყმანია.  
იონას არ სცილებია ძმის გარსიის თვალნა...  
ხანდახან მარტუა ჩაეა, ხახ-ღ-ხან ხეყებთან სხვანია“<sup>38</sup>.

შურისძიება შეებაა სისხლის შეძიებისათვის:

„სად იყავ, ფადიჯრო? ნაბაღე ნამი გდებია.  
—შშავს ვიყავ, შური ვიძებნე, მაშვარასა დამძინებია“<sup>39</sup>.

სასისხლო საქმეებზე დაზავების ამსახველ ფოლკლორულ მასალას ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, პირიქით, მკვლელო უნდა მოკვდეს, შურისძიება გვარსაც კი ეკისრება:

„შენ რო სხვა მაკლა, შენც მოკვლენ,  
მკვლელს არ შაარჩენს გვარია“<sup>40</sup>.

6. საკანონმდებლო ძეგლთა მოთხოვნებისაგან განსხვავებით, ფოლკლორში მეტად სპეციფიკური მთაში ქრილობის საზღაური, რომელსაც ეკონომიკური მოტივი უდევს საფუძვლად (აქ უმეტესად მეცხოველეობაა განვითარებული). ქრილობის ხარისხი ფურით და თხით იზომება.

სალხინო თავდაყრილობაში ხევსური ალუდა არ სვამს ლუდს, ხირჩლა ეძალება: „დალიე, თორო დაგასხამ თავზედაო“ და შეურაცხყოფას აყენებს მას. ალუდა მოთმინებიდან გამოდის და ასე აღწერს თავის მოქმედებას:

„გარდაუქნე ქირჩლასა, პირდაპირ მოხვდა თავზედა,  
ფარი შუაზედ გაწყვიტა, ცოტა უწყია თავზედა,  
ხუთ-ფურანი დააჩნდა, კიდე გადეიდა თხაზედა“<sup>41</sup>.

7. ხალხურ სიტყვიერებაში შეიმჩნევა სამაგიეროს მიზღვევის ანუ ტალიონის პრინციპზე ხელის აღების ტენდენცია. ეს კარგადაა გამოხატული ანდაზებში: „სისხლი სისხლით არ გაიბანებო“<sup>42</sup>, „სისხლი წყლით დაიბანება, სისხლით კი არაო“<sup>43</sup>, „სისხლი სისხლით კი არა, წყლით გაიბანებო“<sup>44</sup>.

მოყვანილი ცნობები დამაჯერებელ ფონს უქმნის ქართულ საკანონმდებლო ძეგლების ჰუმანურ ბუნებას, რომელთა ძირითადი მიზანი მხოლოდ სამაგიეროს მიზღვევა როდია.

<sup>37</sup> იქვე, № 260.

<sup>38</sup> იქვე, № 230.

<sup>39</sup> იქვე, № 232.

<sup>40</sup> ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. II, თბილისი, 1961, გვ. 33.

<sup>41</sup> ვ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, გვ. 46—47.

<sup>42</sup> ვ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, თბილისი, 1964, გვ. 251.

<sup>43</sup> ქართული ანდაზები. შემდგენელი ა. კანდელაკი, შესავალი წერილი და რედაქცია ზ. კვამბერიძისა, თბილისი, 1965, გვ. 220.

<sup>44</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, H ფონდი, საბუთი 2782—83.

8. ხალხურ სიტყვიერებაში შემონახულია ცნობები საჯარო ხასიათის სასაჯელთა შესახებაც. სხვა ფრიად საინტერესო ცნობებთან ერთად. 1765 წლის მარკოზაშვილის კარის შეთქმულების ამსახველ მასალაში<sup>45</sup> დამნაშავეთა დასჯასთან დაკავშირებით ვგებულობთ:

„თაქთაქიშვილსა ნავთი დაახეს,  
სულ შოგ ამოწვეს თავით ტანამდინ.  
ამილახვარსა თვალნი დასთხარეს,  
ხელები დასჭრეს,—  
ის ველარ შივა თავის კარამდინ.  
ამილახვრის შვილს თვალი მოსთხარეს  
და ხელი მოსჭრეს“<sup>46</sup>.

იმერეთში ლალატისათვის თვალები დათხარეს რაჭის ერისთავსა და მის შვილებს. აქვე ყოფილა გამოყენებული მძიმე დანაშაულისათვის საკირეშა: დაწვაც<sup>47</sup>. არსებობს ცნობა, რომ იმერეთში, თუ „ფიცის კაცი“ ომში უმოქმედობას გამოიჩინდა ან სიმხდალეს გამოამყლაენებდა, მოღალატედ ჩაითვლებოდა და გააძევებდნენ, მის მამულს კი სხვა „ფიცის კაცი“ შეისყიდდა.

ფოლკლორული მასალებისათვის არც თავისუფლების აღკვეთის სახე — პატიმრობაა უცხო, იგი საჯარო ხასიათის სასჯელს წარმოადგენს.

გადმოცემით, კრწანისის ომის წინ ბებუთოვი, მირუაშვილი, არზუმანაშვილი და ვინმე ივანე მძიმე დანაშაულთათვის „ნარიყლის საპატიმროში უნდა დაეპატიმრებინათ“, მაგრამ მათ ეს შეიტყვეს და გაიპარნენ, მიუვიდნენ ალა-მაჰმად-ხანს და ლალატი ჩაიღინეს ერეკლე II მიმართ<sup>48</sup>.

სხვა მასალით, ქალის გატაცებასთან დაკავშირებით ლეონ ბატონიშვილს (ერეკლე II ძეს) პატიმრად ჰყავს ანდარეზა, მტერთან შებმის წინ ამას მძიმედ განიცდიან ფშაველები და ასე მიმართავენ ბატონიშვილს:

„ვაიმე, ვერ ვეომებით, ლეონ უჭერან მთანია.  
ბატონო, ანდარეზაი ნუ გყავის პ ა ტ ი მ ა რ ი ა.  
მაგას თუ არ გაუშვებდით, თავად ჩამოგვკსენ კმალა“<sup>49</sup>.

მართლაც, ათავისუფლებს ლეონი პატიმრობიდან ანდარეზას და ისიც თავისიანების დასახმარებლად ებმება ბრძოლაში. თავისუფლების აღკვეთა, პატიმრობა უცხო არაა იმერეთისთვისაც. სოლომონ I-ის დროს ხოსიკა მაჭავარიანი „დაიჭირეს და ჩააგდეს საკანში“<sup>50</sup>.

9. ფოლკლორული მასალებით დადასტურებულია, ჩვეულებითი სამართლის მომარჯვებით ბჭეების მიერ საქმის განხილვა და, რაც მთავარია, ამ წესით საქმის გარჩევა მეზობელ ხალხთა შორისაც კი ხდებოდა.

ხევსურებს მეტად გართულებული მდგომარეობა ჰქონიათ ქისტებთან, სამუდამო ზავის დასადებლად ორივე მხარის ბჭეები შეყრჩილან. დაზავებისათვის

<sup>45</sup> როგორც ცნობილია, ამ შეთქმულების შესახებ, მეტად ძუნწი ცნობებია ჩვენამდე მოღწეული.

<sup>46</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, გვ. 16. ა. ამილახვარზე დადებული სასჯელის განსაზღვრის საკითხში შეუსაბამობაა ისტორიული ხასიათის წყაროებსა და ფოლკლორის შორის.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>49</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, № 65.

<sup>50</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, გვ. 151.

ქისტებმა თითოეული კომლიდან, ადრე დადგენილი წესის მიხედვით, სამ-სამი ცხვარი ითხოვეს, ხევსური მთქმელი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „რჯულს კი სამ-სამ ცხვარ უთქვამის, მიმცემ ვინ იყო ერთისა?“<sup>51</sup>.

საკითხის განხილვას შედეგი არ მოჰყოლია. ლექსში მოხსენებული „რჯული“ საქმის გამარჩევ „რჯულის კაცების“ მოთხოვნაზე მიგვანიშნებს. სხვა შემთხვევაში კი სიტყვა „რჯული“ დადგენილი წესის ან სარწმუნოების მნიშვნელობით იხმარება.

„მალრანის გორზე შაყრილთა ქვესურთ ვერა თქვეს მართალი.  
თან გამაფყებების, ქვესურნო, რჯული ურჯულოთ ხათქვაში“<sup>52</sup>.

მოყვანილი მასალიდან იმასაც ვგებულობთ, რომ ბჭეები საკითხის განსახილველად უკაცრიელ ადგილას, გორაზე იკრიბებიან.

ამის მსგავსია სვანეთში მორვალთა მიერ საქმის გარჩევის წესი.

10. პოეტურ თუ პროზაულ სწავდასხვა ქანრის ქმნილებებში ეხედებით ცნობებს როგორც საერთოდ მოსამართლის, ისე ცენტრალური ხელისუფლების, ანუ მეფის, მოსამართლეების — მდივანბეგების შესახებაც.

კარგად ჩანს ისიც, რომ მდივანბეგის სახელო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მეტად საპატიო იყო.

1768 წელს იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს სურს შემოირიგოს რაჭის ერისთავი როსტომი, რისთვისაც მას თავის კარზედ „ვეზირობა უბოძა, მის შვილს გიორგის სარდლობა და მეთოდეს დივანბეგობა“<sup>53</sup>.

ცნობილია, იმერეთშიც მხარეების მიხედვით იყვნენ მდივანბეგები განწესებულნი. ამ შემთხვევაში მეთოდე ერისთავი ალბად რაჭაში შეასრულებდა ამ მოვალეობას.

მდივანბეგმა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ძლიერმა სახელის მფლობელმა, ანდაზებშიც პოვა ასახვა. ხალხს ასე ჰყავს იგი წარმოდგენილი: „ბრძანებელი ღმერთია და დიანბეგო“<sup>54</sup>, ან: „როგორც უნდა დიამბეგსა, ისე შეცვლის ყველას ბედსა“<sup>55</sup>.

11. ქართული სამართლის ისტორიაში რიგი საკითხი იმის მიზეზითაცაა წარმოუჩენელი, რომ მათ შესახებ საკანონმდებლო ძეგლები დღეს. გამორიცხული არაა, რომ ისინი არც არსებობდნენ, მაგრამ ზოგჯერ ისეთ საკითხზედაც ვერ ვპოულობთ პასუხს, რომელიც ძირითადი ინსტიტუტიდანაა ნაწარმოები. ეს კი გვარწმუნებს იმაში, რომ ისინი თავის დროზედ დამუშავებული და ჩვეულებითი სამართლის სახით დანერგულნი იქნებოდნენ.

ასეთი ბუნდოვანი საკითხებით დამძიმებულია ქართული სასამართლო პროცესი, აი ერთი მაგალითი.

ვიცით, რომ სასამართლოს წინაშე თვითონ მხარეები უნდა წარმდგარიყვნენ, მაგრამ როგორი წესით (ცერემონიით), როგორ უნდა მოეხსენებინათ მისთვის საჩივარი, თუ პასუხი — ეს უცნობია. ამ საკითხზე სხვა პირველწყაროსთან ერთად ფოლკლორული მასალაც იძლევა პასუხს.

<sup>51</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, № 265.

<sup>52</sup> იქვე, № 627.

<sup>53</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, გვ. 165.

<sup>54</sup> თ. ს ა ხ ო კ ი ა, ქართული ანდაზები, თბილისი, 1967, გვ. 54.

<sup>55</sup> იქვე.

ფოლკლორის მიერ შემონახული ცნობები რომ სანდოა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხალხური სიტყვიერების ყველაზე უფრო კრიტიკულად შესაფასებელ რელიგიური ხასიათის ლექსებშიც ვხვდებით მხარეთა მიერ სასამართლოზე საჩივრის, თუ პასუხის მოხსენების გარკვეულ წესს.

ჯოჯოხეთში მსაჯულებად მსხდომი მიქელი და გაბრიელი აწარმოებენ ცოდვილთა განსჯას. მორიგეობით გამოიძახებენ მათ და ეუბნებიან:

„— დაიჩოქე, მეწისქვილე, აღვიარე ცოდო შენი!“

ამოსტირდა მეწისქვილე: „საქმე ვქენი საზარელი!

ვაი დედიჩემის მზესა, ხერილს რო შემოუსვი ხელი!“

შეშდევ ფეიქარზე მიდგება ჯერი,

„— დაიჩოქე, ფეიქარო, აღვიარე ცოდო შენი!“

დაიჩოქა ფეიქარმა, ჩამოჰყარა ცხარე ცრემლი:

„ვაი დედიჩემის მზესა, შულოს წაეპარე ხელი!“<sup>56</sup>.

ახლა ვნახოთ სხვა ძასალები: ალექსანდრე ჭამბაკურ ორბელიანი ასე გადმოგვცემს თავის დედის. ერეკლე II-ის უმცროსი ქალის თეკლა-ბატონიშვილისაგან მოსმენილ ამბავს 1765 წლის შეთქმულების მოწაწულე ჰირთა გასამართლებასთან დაკავშირებით.

აღმფთოებულს შეთქმულთა მოქმედებით, სასამართლოს და დიდებულთა წინაშე „მეფეს წამოუჩოქინა როგორც მოჩივარს, სადაც გადმოძახებით უთქვამს ეს სიტყვები: „დღეს საქართველოს დიდებულნი, სულ ერთიან აქა ხართ შეყრილნი. მე თქვენთან ვჩივი, არა მეფე, არამედ როგორც მომჩივარი: წინაშე ღმერთთან გამეცით პასუხი, თუ ჩემს მეფობას მოხედოთ და მეფობისათვის გამამართლოთ“. იგი ჰყვება საჩივრის შინაარსს და კითხულობს, თუ რად სურდათ შეთქმულთ მისი ოჯახის ამოწყვეტა“<sup>57</sup>. აქაც „როგორც მომჩივარი“ იჩოქებს თვით მეფეც კი.

გიულდენშტედტის ცნობით. სამეფოში მოგზაურობისას ერეკლე მეორეს გზაში ხვდებოდნენ მომჩივანნი: „ისინი დაიჩოქილენი ეხვეწებოდნენ მეფეს სამართალი ექნა“<sup>58</sup>.

ახლა საქართველოს სსრ ცენტრალურ არქივში დაცულ 1776 წლით დათარიღებულ მეფე ერეკლე მეორისადმი მიცემულ გორჯას მდივნის საჩივარს მოვუსმინოთ. გორჯას მდივანი შეახსენებს მეფეს: „თქვენს წინაშე დავიჩოქეთ და ჩვენი საჩივარი ყველა მოგახსენეთ“<sup>59</sup>.

სასამართლოს წინაშე, მოდავე მხარეების მიერ დაიჩოქილ მოხსენება საქმელისა სამეგრელოს ცხოვრებაში XVII საუკუნეშიც დასტურდება. არქანჯელო ლამბერტი წერს: „მოსამართლეები და საქმის მომხსენებელი, რომ დასხდებიან, ჯერ გამოცხადდება მომჩივანი და მუხლ-მოდრეკით მოახსენებს მათ თავის საჩივარს და წარუდგენს რაც საბუთები აქვს. მერე მოსამართლეთა წინა-

<sup>56</sup> თურმე მეწისქვილეს საფქვაი მოუპარავს, მქსო ელსევი ხართი. იხ: პ. უ მ ი კ ა შ ე ი ო, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, გვ. 161.

<sup>57</sup> ა. ლ. ჭ ა მ ბ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ნაწერი და ოთხი ლექსი ვახტანგ ვახტანგაძის ორბელიანისა, ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოცემა, ტფილისი, 1879, გვ. 111; სასამართლოსათვის დაიჩოქეთ მოხსენების წესზე უნდა შევიანიშნებდეს, ვახტანგ VI სამართლის 24-ე მუხლში ჩაწერილი, ... ჯერ ერთი აჩივლონ, ის ა ა ყ ე ნ ო ნ ა.

<sup>58</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ლექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 25.

<sup>59</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი 1344.



შე გამოცხადდება და მუხლს მოიდრეკს მოპასუხე“, რომელიც ამ მდგომარეობაში მყოფი მოისმენს მოსამართლეთაგან მომჩივანის ნათქვამ საჩივარს და პასუხს გასცემს მასზე<sup>60</sup>.

12. ხალხურ სიტყვიერებაში მოიპოვება ცნობები სამოქალაქო სამართლის ზოგიერთ ინსტიტუტზე და, რაც მთავარია, მათში კარგად გამოსჭევივის ამ ინსტიტუტთა ეროვნული ბუნება.

ცხოვრებაში ლაკონურად გადმოსროლილ კოლექტიური აზროვნების ნიმუშად მიჩნეულ ქართულ ანდაზებში, სამოქალაქო სამართლის პრინციპები ასეა ასახული: „სესხი და ვალი არ დაბერდება“. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული სამართალი სესხზე არ იცნობდა ხანდაზმულობას, კრედიტორს ყოველთვის ეძლეოდა უფლება ეძია იგი დებიტორისაგან.

„ადგილი ვისია და ვინც მოხნა და დასახლდა“. აქ მიწაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში უპირატესი უფლებით ის სარგებლობდა, ვინც ფაქტიურად ფლობდა მას.

ანდა ქართული ჩვეულებითი სამართლო თავდები მონაცვლე პირია თავდებ ქვეშ დაყენებულისა. სწორედ ამიტომ უთქვამთ: „თავდებს ხელი ჭიბეში უნდა ჰქონდესო“.

უფრო გამოკვეთითაა ნათქვამი თავდების პასუხისმგებლობაზე ანდაზაში: „თუ ვალი არ გაქვს, სხვას თავდებად დაუდებო“.

განა საუკუნეებით გამტკიცებული კაცურიკაცის სიტყვის ფასის გამოხატველი არაა თქმანი: „პირობა კაცს ცოლს წაართმევსო“, „ანაბარი მგელს შეუწახიაო“, „ამანათის შენახვა მიწამაც იცისო“ და სხვ. მსგავსი თქმები სხვაც მრავალი გვხვდება. მათში ვალდებულებითი სამართლის ამოსავალი პრინციპებია ჩაქსოვილი.

13. ხალხური სიტყვიერება ფრიად საყურადღებოა ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც. ჭევესურული პოეზიის ნიმუშებში ხშირად გვხვდება ტერმინი „ანდრეზი“.

ანდრეზი ყოველთვის მაგალითის სახით შემონახული წარსულის გადმოცემაა (რ. ხარაძე). სულ ერთია ცხოვრების რა სფეროსაც არ უნდა შეეხებოდეს იგი, მათ შორის სასამართლო პრაქტიკის ზეპირი შენახვაც იგულისხმება. აი მაგალითებიც: „იკითხეთ, თუ ას ან დ რ ე ზ ი, ვის გაუწირავ მკვდარია“<sup>61</sup>. ან „ძველთაგან მოდის ანდრეზი: ბევრს ცოცხალსა სჯობ ზოგ მკვდარი“<sup>62</sup>. „ძველთაგან მოდის ანდრეზად: კოკა სრუ არ ზიდს წყალსაო“<sup>63</sup>.

სოლომონ I პირობას აძლევს კათალიკოსს, არ დასჯის ურჩ როსტომ ერისთავს: ვფიცავ ისე მივიღო, რომ „საარაკოდ დარჩესო“<sup>64</sup>. ეთნოგრაფიული მასალებით „პარაკი“ ჩვეულებითი სამართლის წყაროა, რომელიც ასე სრულყოფილად შემორჩენილია დღემდე ქართველ მთიელებში. იმერეთში ზოგჯერ საერო

<sup>60</sup> ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე კუონისი, მეორე გამოცემა, ლეიან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1938, გვ. 80.

<sup>61</sup> ა. კ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, № 224.

<sup>62</sup> იქვე, № 229.

<sup>63</sup> იქვე, ვარიანტებში, გვ. 462.

<sup>64</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, 11, გვ. 172.

ხასიათის სასჯელის მნიშვნელობით სიტყვა „საკანონოც“ იხმარება. მეფე სოლომონ I სცემს განკარგულებას ლალატისათვის როსტომ ერისთავს „ახლავე საკანონო მოვახდევინოთ“, და მართლაც სჯიან მას<sup>65</sup>.

14. ამავე მასალიდან ირკვევა ისიც, რომ იმერეთში მეფის კარზე სპეციალური მოხელეები ყოფილან, რომლებსაც „საიდუმლო კარისკაცებ“ ეწოდებოდათ. ისინი, სხვა მოხელეთაგან განსხვავებით, სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო საკითხებით იყვნენ დასაქმებულნი.

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, მსგავსება გვაქვს ბალსზემო სევანეთსა და ხევსურეთის მაგალითებზე — სიტყვა „ქორას“ გაგებაში.

სევანეთში „ქორა მახვში“ საზოგადოების ან ოჯახის უფროსია. ხევსურეთში კი სიტყვა ქორა ასეთ კონტექსტში გვხვდება: მინდიას გორულის ჭეარისათვის „ქორა ხარის დაკვლა“ და შეწირვა განუზრახავს, მაგრამ ცოლს არ დაუწებებია<sup>66</sup>.

მოკლულ სტუმარს ოჯახის დიასახლისმა „ქორა თავის გარი“ შესწირა<sup>67</sup>.

როგორც ჩანს, „ქორა“ ორივე შემთხვევაში უფროსს ნიშნავს. სევანეთში ქორა მახვში (ოჯახის უფროსს) სასამართლო ფუნქციაც ჰქონდა.

15. თუ რაოდენ ზუსტად აისახებოდა სინამდვილე ფოლკლორში, ამაზე დამაჯერებელ პასუხს გვაძლევს ფოლკლორში დაცული ცნობა ტყვეობიდან დაბრუნებულის განთავისუფლებაზე.

ტყვეობიდან დაბრუნებული თამარ ვაშლოვანელი თავისუფალია და ცხოვრობს თავისივე სოფელში. „იმას ახლა ბატონი აღარ ჰყვანდა, რადგან ტყვეობიდან ვინც თავს იხსნიდა, მეფის კანონისამებრ თავისუფალი იყო“<sup>68</sup>.

დიმიტრი ჯანაშვილის „ისტორიული სურათებიდან“ ამოწერილი ეს თქმულება 1882 წელს „ივერიის“ № 12-ში დაიბეჭდა. მასში მითითებული ერეკლე მეორის მიერ შედგენილი კანონი საქართველოს სსრ ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩვენ, მეფეს ერეკლეს, საქართველოს კათალიკოსსა, ეპისკოპოსთა და დარბაისელთა ეს პირობა დაგვიდგია ღმერთის ფიცითა, რომ რომელიც ტყვე მოვიდეს, ძველს პატრონს ჯედი აღარ აქვს, თავისუფალია, ვისაც უნდა, იმას ეყმობა. ამის წიგნი დაგვიდგია და დაგვიმტკიცებია“ (1765 წ.)<sup>69</sup>.

კანონში ჩაწერილი ადგილი: ტყვეობიდან დაბრუნებულთან „ძველ პატრონს ველი არა აქვს, თავისუფალია, ვისაც უნდა იმას ეყმობა“ — მკვლევართა მიერ გაგებულ იქნა ისე, რომ თითქოს თავდახსნილ ყმას, მხოლოდ იმის უფლება ჰქონდა, აერჩია ახალი ბატონი, უბატონოდ კი ვერ დარჩებოდა.

ჩვენ მიერ დამოწმებულ ფოლკლორულ მასალაში დაცული ცნობა (ტყვეობიდან თავდახსნილ თამარ ვაშლოვანელს „ახლა ბატონი არ ჰყავდა“ და თავისუფლად ცხოვრობდა სოფელში) საბუთიანობას მატებს ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ტყვეობიდან თავდა-

<sup>65</sup> იქვე, გვ. 173.

<sup>66</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 478.

<sup>67</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 145.

<sup>68</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, გვ. 110.

<sup>69</sup> ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ.: მ. ქეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I (ქართლ-კახეთის სამეფო), თბილისი, 1970, გვ. 59.

ხსნილი ყმის სურვილზე იყო დამოკიდებული — ისევ ეყმებოდა ვისმეს თუ თავისუფლებაში დარჩებოდა?<sup>70</sup>

ასეთი მნიშვნელოვანი მასალები გვხვდება ფოლკლორში ეროვნული სამართლებრივი ხასიათის ზოგიერთ ინსტიტუტზე.

М. М. КЕКЕЛИА

## ФОЛЬКЛОР КАК ИСТОЧНИК ИЗУЧЕНИЯ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ПРАВА

### Резюме

В результате изучения фольклорного материала автор устанавливает, что в фольклоре имеются такие сведения о ряде правовых институтов, которые сохранились только в устном народном творчестве.

Автор анализирует основные жанры фольклора, рассматривает фактический материал, позволяющий заключить, что иногда народное творчество (особенно образцы поэзии) может служить единственным источником сведений о древнегрузинском праве.

<sup>70</sup> ი. ანთელავა, ირაკლი II-ის 1765 წლის კანონი ტყვეობიდან დაბრუნებულ გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბრილო კრებული, თბილისი, 1976.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. დოლიძემ

## ზურაბ სარჯველაძე

## ძიებანი ძველი ქართულის ლექსიკონიდან

1. **წართქრომილი**. ძველ ქართულში გვხვდება **თქრ-ზმნური** ძირიდან ნაწარმოები პირიანი, თუ სახელზმნური ფორმები. აღიშნის ოთხთავში გვაქვს: „რბიოდეს ორნივე ერთად. და ერთი იგი მოწაფჳ წინა **წაშთქრა** უ ა დ რ ე ს პ ე ტ რ ე ს ა და მიიწია პირველ სამარესა მას“ (ი. 20, 4).

ჯრუქიაა და პარხლის ოთხთავეებში იკითხება: „რბიოდეს ორნივე ზოგად. ხოლო ერთი იგი მოწაფჳ წინა რ ბ ი ო ლ ა უ ა დ რ ე ს პ ე ტ რ ე ს ა და მოვიდა პირველად საფლავად“.

ამჟარაა, რომ აღიშნის ოთხთავის წაშთქრა ნიშნავს „გაუსწრო“. ამასვე ადასტურებს ბერძენ.: *καὶ ἔβλεψεν μαθητῆς πρὸς τὸ πρῶτον τῶν Πέτρων* და სომხ.: *և միւս աշակիրտն յառաջևսց, ընթացաւ վաղագույն քան զպետրոս*.

ასევე „გასწრებას“ აღნიშნავს ჩვენთვის საინტერესო ზმნა ამ კონტექსტშიაც: „მცირენი დიდთა წარსთქრებოდეს და შთავიდოდეს ნავსა მას“ (A-144 171v, 12-15b), ე. ი. უმცროსები უფროსებს უსწრებდნენ და გემზე აღიოდნენ.

აქედან ჩანს, რომ ამომწურავი არაა ამ სიტყვის ის განმარტება, რომელიც ი. აბულაძის ლექსიკონშია წარმოდგენილი: **წათქრომა** „რბოლა“ (1, გვ. 531).

სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა, **თქრ-ძირი** დაკავშირებულ იქნეს **დგრ-ზმნური** ძირთან. ნ. მარის ფიქრობდა, რომ შატბერდის კრებულის **წართქრომილ** მიმღეობა შეიძლება მომდინარეობდეს **წარდგრომილ** ფორმისაგან, ოღონდ რამდენადმე საეჭვოდ მიაჩნდა დ-ს თ-დ ქცევა (2, გვ. XXVI).

მ. ძიძიშვილი განიხილავს ნ. მარის მიერ შემოთავაზებულ ახსნას და წერს: „საგულისხმო მაგალითია: მელერ ბგერებს შორის მოქცეული **დგ** ბგერები კარგავენ მელერობას. შესაძლოა პირველად დ იქცა თ ბგერად, შემდეგ კი პროგრესული ასიმილაციით გ-ც დაყრუვდა.“

საკითხავია, რა არის დ-ს თ-დ ქცევის მიზეზი? ამ ცვლილებას არ იწვევს ყრუ მკვეთრი წ ბგერა: მას შეეძლო მელერი გადაექცია ყრუ მკვეთრ ბგერად და არა ყრუ ფშვინვიერად.

თუ ფორმა წ ა რ თ ქ რ ო მ ი ლ ი არაა მიღებული ჰ პრეფიქსიანი ზმნის ფორმის ანალოგიით (წ ა ჰ თ ქ რ ა), სადაც ჰ ბგერაა ასიმილატორი, მაშინ ერთადერთი ახსნა რჩება: წ ა რ თ ქ რ ო მ ი ლ ი დისიმილაციური დაყრუების შედეგია“ (3 გვ. 71).

სხვაგან მ. ძიძიშვილი წერს: „წ ა ჰ თ ქ რ ა-ში ძირია **თქრ** (—**თქერ**); მას კავშირი უნდა ჰქონდეს დ გ რ ო მ ა (—**დ გ ო მ ა**)-სთან.\* წ ა რ ჰ დ ე გ ე რ ა → წ ა რ ჰ დ გ რ ა → წ ა ჰ დ გ რ ა → წ ა ჰ თ ქ რ ა → წ ა ჰ თ ქ რ ა.“

ჩანს, ხმოვანთა რედუქცია, თანხმოვნის დაკარგვა, ყრუ ჰ ბგერის გავლენით მელერი დ-ს ქცევა ყრუ ფშვინვიერ თ-დ, ხოლო ამ უკანასკნელის გავლენით მელერი გ ბგერის დაყრუება ერთად იყრის თავს და ვიღებთ **წაშ-თქრა**“-ს.

როგორც ვხედავთ, მ. ძიძიშვილის აზრით, **ჰ** ბეგრა იმგავსებს **ღ**-ს (**წაჰ-თქრა** < **წაჰღგრა**), რაც არაა დამაჯერებელი. ქართულში, როგორც წესი, **S<sub>2</sub>** ან **O<sub>2</sub>** პირის ნიშნები თვით ემსგავსებიან ხმის მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით ზმნის ძირის საწყის თანხმოვნებს, პირუკუ პროცესი არ ხდება. ასევე ძნელად აიხსნება **ღგრა** > **თქრა** დისიმილაციით. თუ დისიმილაცია მართლაც მოხდა, რატომღაა, რომ შემოგვრჩა: **ღგომა**, **ღგრომა** და მისთ. ფორმები? ამასთან უსათუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში **ღგრა**- და **თქრა**- ზმნათა სემანტიკის სხვაობასაც.

საქმე ისაა, რომ **ღგრა**- და **თქრა**- სხვადასხვა ზმნური ძირებია. ერთმანეთთან მათი დავაუშორება შეუძლებელია. **თქრა**-(მისი ხმოვნური ვარიანტია **თქერა**-) ხმაბაჟითი ძირია, რომელიც სწრაფ, ხმაურიან მოძრაობას (სირბილს, სვლას, ხტომას) გამოხატავს (ამავე ძირისაა თანამედროვე ქართულის: **თქრა**-იალ-ი, **თქარა**-**თქური**...): „დასრულიან **თქერება** იგი ჰუნეთა მათთა და სიციბილნი იგი ცხენთ-რბევათანი (A—144 183, 26—28b). „და მიერითგან იტალიკოსის ცხენნი იგი ფრინველის სახედ ეტლთა მათ მტერისათა დასატრუნვიდეს და **თქრებოდეს**“ (Sin-11 333r, 22-24), „ორნი იგი ლომნი მყის **შესთქრეს** მას ორკერძოდთვე“ (იქვე 177r). <sup>6</sup>

ძველ ქართულში გვაქვს კომპოზიტი **პირველმთქრე**, რომლის მეორე ნაწილში ჩვენთვის საინტერესო ზმნის მიმღობა (**მ-თქრა-ე**) შედის: „მოლუაწეთა წინამძღუარი და **პირველმთქრე** ასპარეზსა მას მვენეთასა და უმაღლსისა მის ძღვევის მნისა მიმღებელი“ (Ath-57 26r, 14-19a).

**პირველმთქრე** აქ ნიშნავს „გამსწრები, გამარჯვებული ასპარეზობაში“. ზემოთ დამოწმებულ კონტექსტში წმიდანის მიმართ იგი გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი.

2. **კეწერი**. გელათის ბიბლიაში დასტურდება სიტყვა **კეწერი**: „და მოასრულეს იგი უცხოთა ბუგრთა წარმართთაგანთა და დაამკუეს იგი მათთა ზედა; ყოველთა შინა კევენებთა დაკვეეს რტონი მისნი, და დაიმუსრნეს **კეწერი**-ნი მისნი ყოველსა ზედა ველსა ქუეყანისასა“ (ეზეკ. 31, 12[4]).

ოშკის ბიბლიაში ეს ადგილი ასე იკითხება: „და მოსრეს იგი უცხოთა ბილწთა წარმართთაგანთა და დაამკუეს იგი მათთა ზედა; და ყოველსა კევენებსა დასცნეს **რტონი** მისნი, და შეიმუსრა ხმ მისი ყოველსა ველსა ქუეყანისასა“.

როგორც ვხედავთ, ოშკურ ბიბლიაში ხე იხმარება გელათური **კეწერ** სიტყვის ადგილას. შტრ.: ბერძნ.:  $\beta\epsilon\gamma\alpha\sigma\alpha\iota\varsigma\ \tau\alpha\iota\varsigma\ \phi\alpha\rho\alpha\gamma\gamma\iota\upsilon\varsigma\ \xi\pi\alpha\sigma\sigma\upsilon\upsilon\ \sigma\iota\ \chi\lambda\acute{\alpha}\mu\iota\sigma\iota\ \alpha\delta\iota\tau\omega\varsigma$ ,  $\kappa\alpha\iota\ \sigma\upsilon\sigma\epsilon\rho\iota\phi\eta\ \tau\acute{\alpha}\ \sigma\tau\epsilon\lambda\acute{\epsilon}\chi\eta\ \alpha\delta\iota\tau\omega\varsigma\ \acute{\epsilon}\nu\ \pi\alpha\upsilon\tau\iota\ \rho\epsilon\delta\omega\varsigma\ \tau\eta\varsigma\ \gamma\eta\varsigma$ .

სომხ.: *և խորտակեցաւ ստիկն նորա ընդ ա՛մ գազուս կրկրի.*

ეზეკიელის წინასწარმეტყველების ტექსტში ეს სიტყვა მეორედაც გვხვდება: „განისუენეს ყოველთა მფრინველთა ცისათა და **კეწერთა** მისთა ზედა იქმნეს ყოველნი მკეცი ველისანი“ (31, 13<sup>7</sup>).

ოშკის ბიბლიაში აქაც ხე იხმარება: „განისუენეს ყოველთა მფრინველთა ცისათა და **ხესა** მისთა ქუეშე იუენეს ყოველნი მკეცი ველისანი“.

ეს ადგილი ბერძნულში ასეა წარმოდგენილი:  $\beta\epsilon\tau\iota\ \tau\eta\varsigma\ \pi\epsilon\delta\omega\varsigma\ \alpha\delta\iota\tau\omega\varsigma\ \alpha\lambda\epsilon\pi\alpha\sigma\alpha\upsilon\tau\omega\ \pi\acute{\alpha}\nu\tau\alpha\ \tau\alpha\ \pi\epsilon\tau\epsilon\iota\omega\acute{\iota}\ \tau\omega\varsigma\ \sigma\beta\alpha\upsilon\sigma\iota\varsigma$ ,  $\kappa\alpha\iota\ \acute{\epsilon}\nu\ \tau\acute{\alpha}\ \sigma\tau\epsilon\lambda\acute{\epsilon}\chi\eta\ \alpha\delta\iota\tau\omega\varsigma\ \acute{\epsilon}\gamma\acute{\epsilon}\nu\omega\sigma\iota\ \pi\acute{\alpha}\nu\tau\alpha\ \tau\acute{\alpha}\ \phi\eta\rho\iota\alpha$ .

სომხურში იკითხება: *հանդիստ եղև ա՛մ թռչնոց երկնից և ի ստիկն նորա հասին ա՛մ գազանք վայրի.*

ილ. აბულაძის ლექსიკონში **კეწერი** არ შესულა. საბას განმარტებით, **კეწერი** არის „რტოთა ნაწილი“. თ. ცქიტიშვილის განმარტება: „ხის წვერი“ არ ჩანს ზუსტი ზემოთ განხილული კონტექსტისათვის.

**კეწერ** სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა უნდა იყოს: „ტოტი, რტო“. შემდგომში კი შეიძლება მას ჰქონდეს წვრილი შემის, ფიჩხის მნიშვნელობაც. სწორედ ამ გაგებით იხმარება იგი ქართულში (5, გვ. 281), აგრეთვე კახურში. როგორც ამაზე მიმითითა ე. გიუნაშვილმა.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ **კეწერ** სიტყვას გელათის ბიბლიაში **წუელის** მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთ კომენტარში დამოწმებულია ცნობილი ადგილი სახარებისა (მ. 7, 5; ლ. 6, 42), რომელიც ასეა წარმოდგენილი: „ორჯულთ, აღმოიღე პირველად ღვრე თულისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად **კეწერი** თულისაგან ძმისა შენისა“, (397r, 18-23).

ქართულ ოთხთავებში აქ, როგორც წესი, **წუელი** იკითხება. საფიქრებელია, რომ **წუელის** აღნიშვნა ამ სიტყვისათვის მეორეულია.

დაბოლოს, ხომ არ არის **კეწერ**- ძიტის კანონზომიერი ფონემური შესატყვისი ზანური **კაჭარ**-, რომელსაც შეიცავს გვარი **კაჭარავა**?

3. **კსუობს**: გელათის ბიბლიაში გვხვდება **განკსუვდენ** ზმნა: „და შენ ძეო კაციასო, ნუ ეშიშვი მათ, ნუცა განკვრთები პირისაგან მათისა, მით რამეთუ **განკსუვდენ** და ზედ შეკრბენ შენ ზედა“ (ეზექ. 2, 6).

ამჟის ბიბლიაში იკითხება: „და შენ, ძეო კაციასო, ნუ გეშინინ მათა, ნუცა განკვრთები წინაშე მათსა, რამეთუ **განგარისხონ** შენ და შეგკრბენ შენ ზედა“.

**გან-კსუ(ვ)-დ-ენ** ნიშნავს „განრისხდებიან“ ვარაუდობენ, რომ იგი „ნასახელარი ზნაა, მომდინარე კსუ- ფუძიდან (კსუ საბას განმარტებით, „შეუჩვეველი ფრინველია“) (4, გვ. 296). ამავე ძირს უნდა უკავშირდებოდეს დიალექტური **გაქსუება**, **გაქსუებული**, აგრეთვე ძველი ქართული **სიკსუვე** (6, გვ. 131).

დიალექტური ფორმა **ქსუ<კსუ** ასიმილაციური დაყრუების გზით.

**კსუობს** „უჩუობს, მრიხნანებს“ ვეფხისტყაოსანშიც გვხვდება:

თქვა თუ: „მისი არ-გაწირვა ჩემგან მტკიცობს, არ სათუობს.

ყოელი ცრუ და მოლალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს:

გული, მისი უნახაეი, ტირს და სულ-თქვამს, ვაებს, უობს,

ლხინსა არას არ იხსლებს, კრთების, კუშტობს, ვახშობს, **კსუობს** (778).

ეს სტროფი ჰგუობს. სწორედ **კსუობს** წაკითხვას, რაც მიღებულია პოემის აკადემიურ გამოცემაში ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით. ზოგიერთი ადრინდელი და შემდგომი გამოცემაც მხარს უჭერს **ქსუობს** ფორმას, რაც აშკარად მერმინდელია. გელათის ბიბლია შოთას ეპოქისაა. (7, გვ. 149). და იქ სწორედ **კსუ** გვხვდება. ამიტომაც **კსუობს** ფორმა უნდა მიეცეს უპირატესობა.

4. **საბრთხე**. ძველ ქართულში მახის, საცთურის მნიშვნელობით იხმარება **საბრქე||საფრქე**. სიტყვა წარმოქმნილია. ძიოია **ფერქ||ხერქ**, რომელიც რედუცირებულია (9, გვ. 210).

„მამინ წარვიდეს ფარისეველნი იგი და ზრახვა-ყვეს მისთვის, რამთა სიტყუთა **საფრქჳ** უგონ მას“ (მ. 22, 15DE); შდრ.: „რამთამცა დაუდგეს მას **მახე** სიტყუთა“, (C). „რამეთუ ვითარცა **საფრქჳ** (**საფრქე** D) მოუკლეს მსხდომ-

რთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა“ (ლ. 21, 35DE). „მრავალ არიან საბრკენი მისნი“ (Ath-11 274v, 8—9b) და მისთ.

XI საუკუნის დასაწყისის ხელნაწერში (A-92) ამავე მნიშვნელობით დასტურდება **საბრთხე**, რომლის ვარიანტია დღევანდელი ქართლის **საფრთხე**: „სხუთა კულად სხუა რაჲნე ამოებამ და სიცრუე მოიპოეს და უბადრუქსა მას ნათესაჲსა კაცთასა **საბრთხედ** დაუდგეს“, (137v, 4-6).

**საბრთხე**—**საბრკე** ფორმისაგან, თ-ს გაჩენამ ავტომატურად გამოიწვია კ-ს ხ-დ ქცევა (თ-ს შემდეგ ქართულში დაუშვებელია კ, როგორც ნიუთითა ე. თოფურიამ (9, გვ. 175). რას უნდა მიეწეროს თ-ს განვითარება ამ სიტყვაში? ფონეტიკური საფუძველი ამ ნოვლენას თითქოს არ გააჩნია.

საფიქრებელია, **საბრთხე** კონტამინაციის გზით იყოს მიღებული: ბრქი|ფრქ + ფრთხოზა (განფრთხოზა), ფრთხილი. ფრთხოზა ზმნას ილ. აბულაძე ასე განმარტავს: შეშინება, შეძრწუნება, კრთობა (11, გვ. 447). ფრთხილი არის „ფხიზელი, მღვთარე. მორიდებული“ (i, გვ. 447) განფრთხოზა „გამოფხიზლება“ (1, გვ. 72). კონტამინაცია გამოწვეულია პროცესში მონაწილე სიტყვათა ფორმალური და სემანტიკური სიახლოვით.

5. **სიმამრი**. ძველ ქართულში **სიმამრი** აღნიშნავს ცოლის მამას. საინტერესოა, რომ გელათის ბიბლიაში დასტურდება ქართველი მთარგმნელის (კომენტატორის) ერთი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ **სიმამრი** სიტყვა ცოლის მამის მნიშვნელობითაც იხმარებოდა: „ხოლო სიმამრად სახელ-სდვა მამა, ვითარცა ძმასა მეთულისასა. ვითარ-იგი მრავალნი აწცა უწოდებენ ესევეითართა სახელის-დებითა ამით“ (353v, 17-25).

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი გახაზავს, რომ სიმამრი „აწ“ ნიშნავსო ცოლის ძმას“ (ძმასა მეთულისასა). ეს ერთი შეხედვით უცნაური მოვლენა გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართულში სიდედრი ცოლის დის მნიშვნელობითაც დასტურდება (5 გვ. 103).

რაკი **სიმამრი** გელათის ბიბლიის თარგმნის დროს (XI-XII სს.) ცოლის მამის მნიშვნელობითაც იხმარებოდა, უნდა დავუშვათ, რომ ამ დროს სიდედრი აღნიშნავდა ცოლის დასაც. რაც არქაიზმის სახით შემოინახა ქართულში.

6. **მასაკი**. პასაკი/ასაკი ძველ ქართულში, როგორც წესი, ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება. იგი აღნიშნავს წლოვანებას, ან სიმალეს (1, გვ. 576). ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“ ეს სიტყვა ძალის მნიშვნელობითაც იხმარება, რაზედაც ყურადღება ჭერჭერობით არ მიუქცევიათ: „მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ქაბუქსა ასაკითა, რომელ არს ძალითა“ (10, გვ. 328, 6-7).

აქ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ავტორი სპეციალურად მიუთითებს ასაკ სიტყვის ამ ნიუანსზე, ურთაუც სპეციალურ განმარტებებს „რომელ არს ძალითა“. ისიც აღსანიშნავია, რომ ამგვარი ლექსიკოგრაფიული შენიშვნები საკმაოდ გვხვდება როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძეგლებში.

7. **ბეჰი**. **ბეჰ** სიტყვას ძველ ქართულში აქვს შემდეგი მნიშვნელობები: „ნჯარი“, „ბექთ-საშუალ“, „ზურგი“. (1, გვ. 31).

ძველ ქართულ ძეგლებში დაიძებნება ისეთი კონტექსტებიც, სადაც ბეჰ სიტყვას აქვს წყლის ზედაპირის მნიშვნელობაც: „იხილნეს... გუამნი მოწავეთანი ბეჰთა ზედა წყალთასა“. (11, 261,16). „იტრთანი ბეჰთა თჳსთა ზედა

უსულომან მან ტბამან“ (11, 261, 15). ამ ფრაზებში ბექ სიტყვას აქვს ზედპირის მნიშვნელობა, რაც, ცხადია, გადატანითა და ძირითადი მნიშვნელობიდან არის განვითარებული.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. Н. М а р р. Ипполит, Толкование Песни Песней, ТР, III, С. Петербург, 1901.
3. შ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.
4. ეზეკელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გამოსცა თ. ციციშვილმა, თბ., 1976.
5. აღ. ლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974.
6. გ. კიკნაძე, გიორგი მთაწმიდელის თარგმანი გრ. ნოელის თხზულებისა „თარგმანებაჲ ქებია ქებათაჲაჲ“, საღისერტაციო ნაშრომი, თბ., 1968 (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).
7. ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკნაძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფოლოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.
8. ე. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, ბგერით მოვლენათა თანამდებრობა, „მომომხილელი“, I, ტფ., 1926.
9. ე. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, საქართველოს არქივი, ტფ., 1927.
10. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964.
11. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, თბ., 1971.

### З. А. САРДЖВЕЛАДЗЕ

## К РАЗЪЯСНЕНИЮ НЕКОТОРЫХ ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ СЛОВ

### Резюме

Автор уточняет значения нескольких древнегрузинских слов — *çartkromili*, *ķeçeri*, *ķsuobs*, *sabrtxe*, *simamri*, *hasaķi*, *beçi* (წართქრომილი, კეწერი, კსუობს, საბრთხე, სიმამრი, ჰასაკი, ბეჭი).

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიშვილმა



ო ლ ი კ ო რ ა ბ ა ვ ა

პ ო რ ფ ე მ ტ ი ინ ფ ო ე მ გ რ ო პ ო ლ და ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ე ბ შ ი

ცნობილმა ფრანგმა ენათმეცნიერმა ე. ბენვენისტმა ინდოევროპული პერფექტის პრობლემას სტატიების მთელი რიგი მიუძღვნა, რომელიც წარმოდგენილია კრებულში „ზოგადი ლინგვისტიკა“<sup>1</sup>. ე. ბენვენისტის მიერ მიღებული შედეგების დიდი ნაწილი შორს მიმავალ ანალოგიას პოულობს ქართველური ენების ზმნურ სისტემასა და სინტაქსურ სტრუქტურაში<sup>2</sup>.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ინდოევროპული და ქართველური პერფექტის სტრუქტურათა შედარება კონტენსიური ტიპოლოგიის ფარგლებში.

1. ინდოევროპული სირველი პერფექტი — როგორც ამას გერმანიკული პერფექტო-პრეზენტები გვიჩვენებს — ნებისმიერად არ ნაწილდებოდა სხვადასხვა სემანტიკურ კლასებში. ამ ზმნური ძირების სემანტიკურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი სუბიექტის გარკვეულ ემოციურ, აფექტურ ბღგომარეობას გვიჩვენებენ. გოთურის პერფექტო-პრეზენტების კლასში შედის ზმნები: „ცოდნა“, „ქონება“, „ნდომა“, „შეძლება“ და სხვ. ყველა ეს ზმნა თავის სიღრმისეულ სტრუქტურაში „ქონების“ სემანტიკას შეიცავს.

wait „ვიცი“ = „ცოდნა მაქვს“

mag „შემიძლია“ = „შეძლება მაქვს“

eg „მეშინია“ = „შიში მაქვს“

part „მჭირდება“ = „მაქვს საჭიროება“ და ა. შ.<sup>3</sup>

ანალოგიური სემანტიკის მქონე ზმნები ქართველურ ენებშიც გარკვეულ კლასს ქმნიან, რომელიც ინვერსიული (resp. აფექტური, ობიექტური წყობის) ზმნების სახელწოდებითაა ცნობილი. ე. წ. „ინვერსიული ზმნის“ სიღრმისეულ სტრუქტურაშიც „ქონების“ სემანტიკა მკვეთრად არის გამოხატული. შდრ.:

სვან. მიხალ = „მახალ მულა“: მეგრ. მიჩქე = „ჩქინა მიღ“: ქართ. ვიცი = „ცოდნა მაქვს“

სვან. მაკუ = „ლიჯოდ მულა“: მეგრ. მოკო = „კორინა მიღ“: ქართ. მინდა = „ნდომა მაქვს“

სვან. მალატ = „ლილათ მულა“: მეგრ. მიკოს = „კოროფა მიღ“: ქართ. მიყვარს = „სიყვარული მაქვს“.

ე. ბენვენისტმა აღნიშნავს, რომ „ქონება“ ზმნა სხვა არაფერია, თუ არა ინვერსირებული „ყოფნა“. ამიტომ ქართველური ინვერსიული ზმნების ზედამიროულ სტრუქტურაში რეალიზებული მეშველი ზმნა „ყოფნა“, რომელიც პირველი და მეორე ობიექტური პირის ფორმებში გვაქვს, არსებითად „ქონების“, და არა „ყოფნის“, შინაარსს გამოხატავს.

შდრ.: მამას ეუყვარება = „მამას ჩემი სიყვარული აქვს“

მტერს სძულხარ = „მტერს შენი სიძულვილი აქვს“

ნათელია, დამხმარე ზმნა „ყოფნა“ მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილ სუბიექტთან ერთად „ქონების“ შინაარსს გადმოსცემს.

გერმანიკული პერფექტო-პრეზენტები „უკვე კარგა ხანია ინდოევროპული პერფექტის გაგრძელებად განიხილება. ამ ზმნათა პრეზენტის ძველი პერფექტიდან მომდინარეობს“<sup>4</sup>.

ქართველურ ინვერსიულ ზმნებსაც საკუთარი ფორმები მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში გააჩნია. ამ მხრივ საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული „ვიცი“ ზმნა. ამჟამად უკვე არაინვერსიული, „სუბიექტური“ წყობის „ვიცი“ ზმნას, რომელსაც გარდამავალი ზმნის რამდენიმე სტრუქტურულ-გრამატიკული თვისება გააჩნია, შემორჩენილი აქვს ინვერსიული ზმნის გარკვეული პოტენცია არა მხოლოდ შინაარსის პლანში, არამედ გამოხატულების პლანშიც. ამ მხრივ ქართული „ვიცი“ არაფრით არ განსხვავდება თავისი სვანური, მეგრული ან ლაზური შესატყვისებისაგან.

ცნობილია, რომ ინდოევროპული ძირეული პერფექტი, ისევე როგორც ქართველური ინვერსიული ზმნები, საშუალ გვარს განეკუთვნება. ძირეულმა პერფექტმა თანამედროვე ინდოევროპულ ენებში იცვალა სახე და ამჟამად შესაბამისი ზმნები უმთავრესად გარდამავალ ზმნათა კლასში შედის. მათი სინტაქსური პოტენცია სრულიად აკმაყოფილებს გარდამავალ ზმნათა სინტაქსურ მოთხოვნებს, თუმცა მათი სემანტიკური ინვარიანტი ძველებურად ისევე სუბიექტის ემოციურ, აფექტურ მდგომარეობას გადმოსცემს. სწორედ ამიტომ ე. ბენვენისტი ამ ზმნებს, აქტიური მოქმედების გამომხატველი გარდამავალი ზმნებისაგან განსხვავებით. „ფსევდო-გარდამავალ“ ზმნებს უწოდებს.

ქართველური ინვერსიული ზმნებიც ნომინალიზაციის პროცესში გარდამავალ ზმნათა კლასში გადასვლის ტენდენციას აძლავნებენ. ამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია განვიხილოთ ლაზური „ოყოროფუ“ (სიყვარული). ამჟამად ეს ზმნა გარდამავალ ზმნათა კლასში შედის და შესაბამისი სინტაქსურ-მორფოლოგიური თვისებებიც გააჩნია: ბერე-ქ ყოროფს ნანა-ს — „შვილს უყვარს დედა“<sup>5</sup>, თუმცა „ყოროფს“ ობიექტზე უშუალოდ გადასულ მოქმედებას კი არ გამოხატავს, არამედ სუბიექტის გარკვეულ „აფექტურ“ მდგომარეობას აღნიშნავს.

მთელ რიგ განმასხვავებელ ნიშნებთან ერთად, ინვერსიულ ზმნას ზოგი რამ საერთოდ გააჩნია გარდამავალ ზმნასთან: როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნა რელატიურია, ორივე აქუზატივთან ფუნქციონალურად მიხსლოებულ სახელობით ბრუნვაში დასმულ ობიექტს მოითხოვს და ა. შ.

ამრიგად, ქართველურ ინვერსიულ ზმნას გააჩნია ყველა ის თვისებებურება, რაც ინდოევროპულ ძირეულ პერფექტს ახასიათებს. აქედან გამომდინარე, არსებობს საფუძველი იმისა, რომ ინვერსიულ ზმნას, ინდოევროპული ძირეული პერფექტის ანალოგიურად, ეწოდოს ქართველური ძირეული პერფექტი.

ე. ბენვენისტის განმარტება რომ მოვიშველიოთ, პერფექტი „ისეთა ფორმაა, რომელშიც „ქონების“ ცნებასთან შერწყმული „მდგომარეობის“ ცნება მოქმედ პირს განეკუთვნება“<sup>6</sup>. ინვერსიული ზმნა სრულიად აკმაყოფილებს ამ პირობას.

2. ცნობილია, რომ ინდოევროპულმა პერფექტმა განიცადა ევოლუცია, რაც გამოიხატა ძირეული პერფექტის (რომელიც მხოლოდ გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნათა კლასს ეხებოდა) გარდაქმნაში გრამატიკულ პერფექტად, რომელმაც გარკვეულ ინდოევროპულ ენათა ზმნური სისტემების თითქმის ყველა უბანი მოიცვა.

ინდოევროპული გრამატიკული პერფექტის ჩამოყალიბების ცალკეულ ეტაპებსაც ეძებნება მეტად საგულისხმო პარალელები ქართველურ ენათა ზმნურ სისტემაში. ცალკეული ინდოევროპული ენის გრამატიკული პერფექ-

ტის ჩამოყალიბებაში „ყოფნა“ და „ქონება“ ზმნების როლის შესახებ ე. ბენ-ვენისტი აღნიშნავდა: „ის გარემოება, რომ პერფექტის გამოსახვა ამ ენებში დაკავშირებულია „ყოფნა“ და „ქონება“ მეშველი ზმნების გამოყენებასთან და რომ პერფექტს არ გააჩნია გამოხატვის სხვა შესაძლებლობა, ნათელს ფენს პერფექტის კატეგორიის ბუნებას“<sup>7</sup>.

ე. ბენვენისტმა აჩვენა, თუ როგორ იქმნება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა პერფექტების ოპოზიცია ზოგიერთ ინდოევროპულ ენაში.

გარდაუვალი ზმნის პერფექტის წარმოების წესი ასეთია: სუბიექტი (ნომინატივი) + „ყოფნა“ (დამხმარე ზმნა) + ძირითადი ზმნის ნამყო დროის მიმლეობა.

გარდამავალი ზმნის პერფექტის წარმოება კი ორი სხვადასხვა წესით ხდება: 1. სუბიექტი (ნომინატივი) + „ქონება“ + ძირითადი ზმნა (ან მიმლეობა); 2. სუბიექტი (რომელიმე ირიბ ბრუნვაში) + „ყოფნა“ (= „ქონება“) + ძირითადი ზმნა (ან მიმლეობა).

გარდამავალი პერფექტის გამოხატვის წესის არჩევა ენაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იწარმოება ამ ენაში „ქონების პრედიკატი“. თუ „ქონება“ ზმნა ენაში ქმნის ნომინატიურ კონსტრუქციას, მაშინ გარდამავალ პერფექტს ამ ენაში ნომინატიური კონსტრუქციით იწარმოება.

შდრ.: ფრანგ. *il a une maison* (ნომინატიური კონსტრუქციის მქონე „ქონების პრედიკატი“); *ila vu* (ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი პერფექტი).

თუ ენაში „ქონების პრედიკატი“ მოითხოვს ირიბ ბრუნვაში დასმულ სუბიექტს, მაშინ გარდამავალი ზმნის პერფექტს შესაბამისად აიგება.

შდრ.: ძვ. სპარსული: *manā pussa astiy* (გენეტივ-დატიური კონსტრუქციის მქონე „ქონების პრედიკატი“);

*manā krtam astiy* (გენეტივ-დატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი პერფექტი).

კლასიკურ რომხურში „ქონების პრედიკატი“ ქმნის შემდეგ კონსტრუქციას: სუბიექტი (გენეტივი) + „ყოფნა“.

შდრ.: *nora ē handerj-* „მისი არის სამოსელი“ = მას აქვს სამოსელი.

გარდამავალი პერფექტი კლასიკურ რომხურში გენეტიურ კონსტრუქციას ქმნის.

შდრ.: *nora ē gorceal-* „მისი არის გაკეთებული“ = მას აქვს გაკეთებული<sup>8</sup>.

ქართველურ ენებში პერფექტის წარმოება იშვიათი სიზუსტით ექვემდებარება ზემოთ აღნიშნულ კანონზომიერებას.

ველე სპარსულის და კლასიკური რომხურის ანალიტიკური პერფექტის მიმართება ძველი ქართლის პერფექტულ კონსტრუქციებთან საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული მ. სახოკიას<sup>9</sup>.

თუ შევადარებთ ერთმანეთს კლასიკური რომხურის გარდამავალ და გარდაუვალ პერფექტულ კონსტრუქციებსა და ქართული თურმეობითის მწკრივებიდან ნაწარმოებ შესაბამის კონსტრუქციებს<sup>10</sup>, დავინახავთ წარმოების წესის აშკარა ერთგვარობას.

სომხ.: გარდამავალი პერფექტი — *որո* (გენეტივი) *teseai ē* — „მისი დაწახული არის“ — მას დაუნახავს;

გარდაუვალი პერფექტი — *sa* (ნომინატივი) *ekeal ē-* „იგი მოსული არის“ — იგი მოსულა.

ქართ.: გარდამავალი პერფექტი — მას (დატივი) დაუნახავს;

გარდაუვალი პერფექტი — იგი (ნომინატივი) მოსულა.

მსგავსება კიდევ უფრო აშკარა ხდება, როცა ქართულ პერფექტულ ფორმაში თავს იჩენს მეშველი ზმნა „ყოფნა“.

სომხ.: გარდამავალი პერფექტი—*nora tesimal ē* „მისი დანახული არის“ = მას დაუნახავს.

ქართ.: გარდამავალი პერფექტი—მას დაუნახივარ.

სომხ.: გარდაუვალი პერფექტი—*sa ekeal ē*—„იგი მოსული არის“ = იგი მოსულა.

ქართ.: გარდაუვალი პერფექტი—მე მოვსულ-ვარ.

ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს სხვა ქართველური ენებიც. გარდა ლაზურისა. ლაზურის გარდამავალი თურმეობითები უკვე აღარ არის ინვერსიული ფორმა. ამდენად, ლაზურში როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი პერფექტი ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის, მსგავსად თანამედროვე დასავლეთევროპული ენების პერფექტისა.

3. შუხარდტიდან მოყოლებული ბევრი მკვლევარი ქართველურ ზმნათა თურმეობითების ფორმებს პერფექტულ ფორმებად მიიჩნევს. მართლაც, ქართველურ თურმეობითებს გრამატიკული პერფექტის ყველა თვისება გააჩნია. გარდამავალი ზმნის თურმეობითების სიღრმისეულ სტრუქტურაში აშკარად იგრძნობა „ქონება“ ზმნის სემანტიკა:

ქართ. დამიხატა = „დახატული მაქვს“,

მეგრ. მიხატუ = „ხატილი მიღუ“,

სვან. მგ ხტატი-ს ოთხატუხტი = მხატვარს დაუხატა—ვარ

როგორც ვხედავთ, „ქონების“ სემანტიკა გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფორმებში გადმოიცემა მიცემით ბრუნვაში დასმული სუბიექტისა და „ყოფნა“ მეშველი ზმნის საშუალებით. მეშველი ზმნა „ყოფნა“ გარდაუვალ თურმეობითებშიც გვაქვს, მაგრამ აქ მას „ქონების“ მნიშვნელობა არა აქვს.

მდრ.: კაცი მოსულა = „კაცი მოსული არის“.

ქართველურ ენებში „ქონების პრედიკატიც“ დატიური კონსტრუქციით არცაა წარმოდგენილი.

სვან: ეჩის ხულუა ეჩი: მეგრ.: თის უღუ თინა: ქართ:მას აქვს ოგი.

ამგვარი ანალიზი შესაძლებელს ხდის პასუხი გაეცეს ქართულ ენათმეცნიერებაში არაერთხელ წამოჭრილ კითხვას: რატომ ფორმდება გარდამავალი ზმნის თურმეობითები ინვერსიულად, მათ ლექსიკურ მნიშვნელობაში ხომ, ძირეული ინვერსიული ზმნებისაგან განსხვავებით, არავითარი აფექტური შინაარსი არ იფელისხმება?

როგორც ირკვევა, გარდამავალი ზმნის თურმეობითის ფორმების ინვერსიულობას განაპირობებს ქართველური „ქონება“ ზმნის ინვერსიულობა.

ინდოევროპული პერფექტის განვითარების კონცეფციას რომ აყალიბებდა, ე. ბენვენისტი აღნიშნავდა: „ამის (კონცეფციის. — ო. კ.) გასაოცარ ილუსტრაციას ეპოულობთ სომხურ ენაში“<sup>11</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველურ ენათა პერფექტის სტრუქტურაც ე. ბენვენისტის კონცეფციის ბრწყინვალე ილუსტრაციაა.

3. გარდამავალი ზმნის პერფექტი (I თურმეობითი) ქართველურ ენებში გარდაუვალი ზმნის პერფექტისაგან განსხვავდება: ა) სუბიექტის ბრუნვით; ბ) სასხვისო ქცევის ნიშნის ქონა-არქონით.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ახსნილი გარდამავალი ზმნის პერფექტის ფორმაში სასხვისო ქცევის ნიშნების ასეთი შესაშური სიჭიუტით გამოჩენა (ეს ფორმები ზომ ქცევას არ გამოხატავენ).

ამგერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ქცევის ნიშნების კვლევის ისტორიის მიმოხილვა. საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ სასხვისო ქცევის ნიშნებად კვალიფიცირებული /ი/ და /უ (სვან. /ო//) ფორმანტები ერთგვარი პოსესიურობის დამოკიდებულებაშია წინადადების ნიციემით ბრუნვაში დასმულ წევრთან. ეს სახელი შეიძლება სუბიექტიც იყოს და ობიექტიც. როცა მიციემით ბრუნვაში მდგომი სახელი ირიბი ობიექტია, აღნიშნული პოსესიურობის დამოკიდებულება სასხვისო ქცევად რეალიზდება. მაგალითად: მამამ შეიღ-ს სურათი და-უ-ხატა. თუ მიციემით ბრუნვაში მდგომი სახელი სუბიექტია, მაშინ ამ პოსესიურობის დამოკიდებულებას ორგვარი შინაარსის გადმოცემა ეკისრება:

ა) ძირეული პერფექტისა ინვერსიულ ზმნებში. მაგ.: მამა-ს შეილი უ-ცვარს;

ბ) გრამატიკული პერფექტისა გარდამავალი ზმნის I თურმეობითში: ეხატვარ-ს სურათი და-უ-ხატავს<sup>12</sup>.

თუ ინვერსიულ ზმნებში /ი/ და /უ (სვან. /ო//) ფორმანტების არსებობა აუცილებელი არ არის (რამდენადაც პერფექტულ შინაარსს აქ მათი ლექსიკური მნიშვნელობაც გადმოსცემს), გარდამავალი ზმნების I თურმეობითში ეს ნიშნები ერთადერთი საშუალებაა გარდამავალი პერფექტის შინაარსის გამოსახატავად.

თუ ზემოთ ნათქვამს დავეყრდნობით, მიზანშეწონილია /ი/ და /უ (სვან. /ო//) პრეფიქსების გამოჩენა (resp. არგამოჩენა) მივიჩნიოთ ნიშნად ოპოზიციისა — გარდამავალი პერფექტი ~ გარდაუვალი პერფექტი, სადაც ოპოზიციის მარკირებულ წევრად წარმოგვიდგება გარდამავალი ფორმა — შდრ.: მო-უ-კლავს ~ მომკვდარა.

იმის ილუსტრაციას, რომ /ი/ და /უ (სვან. /ო//) პრეფიქსები ყოველთვის ქცევას არ გამოხატავენ და მათი გამოჩენა მიციემით ბრუნვაში მდგომ სახელთანაა დაკავშირებული. იძლევა „ვიცი“ ზმნა.

აწმყოს წრის ფორმებში ეს ზმნა სათავისო ქცევის ნიშნებს ავლენს: ვ-ი-ცი. ი-ცი, ი-ცოდა. განსხვავებით თავისი სვანური, მეგრული და ლაზური შესატყვისებიააგან, რომლებსაც აღნიშნულ მწკრივებში სასხვისო ქცევის ნიშნები აქვს.

შდრ.: სვან. ხ-ო-ხალ: მეგრ. უ-ჩქუ: ლაზ. უ-ჩქინ.

სვანურსა. მეგრულსა და ლაზურში „ვიცი“ ზმნა ინვერსიულია და სუბიექტს მიციემით ბრუნვაში მოითხოვს. რამდენადაც ქართული „ვიცი“ ინვერსიული აღარაა, იგი ვეღარ ითავებს სახელს მიციემითი ბრუნვის ფორმით და სასხვისო ქცევის ნიშნის ნაცვლად სათავისო ქცევის ნიშნებს ავლენს.

4. როგორც ცნობილია, განხილული ფორმების გარდა, ქართველურ ენებში წარმოდგენილია მთელი რიგი ინვერსიული ფორმებისა. საპეციალურ ლიტერატურაში ინვერსიულად მიჩნეულია, აგრეთვე, ზმნები, რომლებსაც ა. შანიძე შესაძლებლობის (პოსიბილიტივი, პოტენციალისი), გუნებნა და მიჩნევის ენებიზეებს უწოდებს და რომლებიც გარკვეულ მოდალურ მნიშვნელობებს გამოხატავენ. ეს ზმნები დატიურ კონსტრუქციას ქმნის და ინვერ-

სიულად განიხილება, რადგანაც მათი ლექსიკური მნიშვნელობანი იმპლიციტურად შეიცავს „შემიძლია“, „მინდა“ და „მგონია“ ინვერსიული ზმნების შინაარსს. მაგალითად, პოტენციალისი — „მეკმევა“ = „ჰამა შემიძლია“; გუნების ვნებითი — „მემღერება“ = „მღერა მინდა“; მიჩნევის ვნებითი — „მეცოტაება“ = „ცოტა მგონია“. ამრიგად, საქმე გვაქვს ქართველური ძირეული პერფექტის მოდალურობის კატეგორიისაკენ მიმართულ ტრანსფორმაციასთან.

ამ შემთხვევაშიც ქართველური ძირეული პერფექტი იმეორებს ინდოევროპული ძირეული პერფექტის ევოლუციის გზას.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ი. ს. სტეპანოვის მოსაზრების გახსენება: „ინდოევროპული პერფექტის სემანტიკა თავიდან აღნიშნავდა მდგომარეობას წინაზე მოქმედებასთან მიმართების გარეშე და, როგორც ჩანს, გენეტურად უკავშირდებოდა უფრო ძველ, განსაკუთრებული ჯგუფის ზმნებს. პროტონდოევროპული ენის ზმნათა ეს ჯგუფი, საკმაოდ დიდი ალბათობით, შეგვიძლია დავაყენოთ არაინდოევროპული ენების „სტატიკური“ და „აფექტური“ ზმნების გვერდით“. ინდოევროპულ ენებში პერფექტის სემანტიკის ტრანსფორმაცია კი, როგორც ე. ბენვენისტმა გვიჩვენა, ორი მიმართულებით წარიმართა: ა) გარდამავალი ზმნის შემთხვევაში — ქონების კატეგორიისაკენ; ბ) გარდაუვალი ზმნის შემთხვევაში — მოდალობის კატეგორიისაკენ<sup>13</sup>. დაბოლოს, განვიხილოთ ქართული ე. წ. „სტატიკური ვნებითები“.

გარდამავალი ზმნების თურმეობითის ფორმებისა და „სტატიკური ვნებითების“ ფორმალური მსგავსებისა<sup>14</sup> და ზოგიერთი სპეციალური გამოკვლევების (რომლებშიც თურმეობითის მწკრივები პერფექტად არის განხილული<sup>15</sup>) გათვალისწინებით ბ. ჯორბენაძე აანალიზებს „სტატიკური ვნებითის“ შინაარსს და მასში პერფექტისათვის დამახასიათებელი სემანტიკის არსებობას ადასტურებს<sup>16</sup>.

„სტატიკური ვნებითების“ პერფექტულ ფორმებად აღიარება, ჩვენი აზრით, წარმოადგენს მრავალსმთქმელ ფაქტს, რომელიც შეუქს ფენს ქართული პერფექტის გზას (მსგავსად ინდოევროპული პერფექტისა) ძირეული პერფექტიდან გარდამავალი ზმნის პერფექტამდე.

„სტატიკური ვნებითები“, რომლებიც დიდ ფორმალურ და შინაარსობრივ მსგავსებას იჩენენ როგორც პირველი<sup>17</sup>, ისე მეორე ჯგუფის ზმნებთან, წარმოადგენს იმ შუალედურ რგოლს, რომელიც ძირეულ პერფექტს გრამატიკულ პერფექტთან აკავშირებს.

ღრმა ტიპოლოგიური ანალოგია ინდოევროპულ და ქართველურ პერფექტებს შორის გვაფიქრებინებს, რომ ეს მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ქართველური და ინდოევროპული პერფექტების მსგავსება უნდა მიემართოს ამ ენების ტიპოლოგიური სიახლოვის მამტიკებელ იმ ფაქტებს, რომლებიც საკმაოდ დაგროვდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში<sup>18</sup>.

#### შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი

1. Э. Бенвенист, *Общая лингвистика*, М., 1974, თავი XI, XV, XVI, XVII.
2. М. М. Сахокия, *Сопоставительный анализ форм possessивности и переходности в древнеперсидском, древнеармянском и древнегрузинском языках*, автореф. канд. дисс., Тбилиси, 1974; Ю. Г. Кортავа, *Глаголы обладания в грузинском языке*, «Проблемы внутренней и внешней лингвистики», М., 1978.

3. Э. Бенвенист, დასახ. ნაშრომი, გვ. 144—146.
4. იქვე, გვ. 217.
5. Г. А. Климов, Общинеоевропейский и картвельский, «Вопросы языкознания», 1978, № 4, გვ. 21; აგრეთვე, Ю. Г. Кортава, Инверсивные глаголы в лазском (чанском) языке, Тезисы докладов конференции аспирантов Ин-та языкознания АН СССР, М., 1978.
6. Э. Бенвенист, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.
7. იქვე, გვ. 195—196.
8. იქვე, გვ. 196—200.
9. М. М. Сахокия, დასახ. ნაშრომი.
10. იქვე, გვ. 25—29.
11. Э. Бенвенист, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.
12. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 435.
13. Ю. С. Степанов, «Перфектный центр» в русском синтаксисе, Изв. АН СССР, Серия литературы и языка, т. 37, № 4, 1978, გვ. 347.
14. ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 319; ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1, თბილისი, 1948, გვ. 5.
15. ნ. ნათაძე, შესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იყე, ტ. VII, 1955.
16. ბ. ჭორბენაძე, ზმნის გვარის ფორმების წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975, გვ. 23—24.
17. ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 320—323 („სტატიკური ენებთების“ მსგავსების შესახებ მედიოპასივებთან, რომლებსაც მიეკუთვნება ინვერსიული ზმეები).
18. Г. А. Климов, Типология активного строя, М., 1977, გვ. 207—213; Г. А. Климов, Общинеоевропейский и картвельский, ВЯ, 1978, № 4, გვ. 18.  
თ. გამყრელიძე, გ. შაქავერიანი, სონანტა სისტემა და აბლაური ქართველურ ენებში, თბილისი, 1965; გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1973, გვ. 52—54.

Ю. Г. КОРТАВА

## ПЕРФЕКТ ИНДОЕВРОПЕЙСКИЙ И КАРТВЕЛЬСКИЙ

### Резюме

В рамках контенсивной типологии сравниваются структурные параллелизмы индоевропейского и картвельского перфектов. Корневые индоевропейские перфекты, так же, как и картвельские инверсивные глаголы, входят в класс глаголов определенной «аффективной» семантики. В содержании этих глаголов отчетливо обозначается семантика обладания. Эти и другие структурные аналогии дают основание предполагать, что картвельские инверсивные глаголы суть «корневые перфекты».

Дальнейшие преобразования индоевропейского перфекта как в сторону модальности, так и в сторону обладания (образование переходного перфекта) находят глубокие аналогии в преобразованиях картвельского перфекта, которые реализуются в этих языках, с одной стороны, в инверсивных модальных словоформах, а с другой — в инверсивных формах результативных рядов переходного глагола. Промежуточным звеном в преобразовании корневого перфекта в грамматический в картвельских языках оказываются так называемые «статические страдательные».

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტის კავკასიურ ენათა სექტორი  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

## რ მ ვ ა ზ ძ ნ ე ლ ა მ ი

-ა-, -იან-, -ოვან სუფიქსთა ფუნქციისა და განაწილებისათვის  
ბუჩიის ტოპონიმიაში

ტოპონიმოლოგიური კვლევის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს ტოპონიმების წარმოების შესწავლა-დადგენა წარმოადგენს. ჩვენი ინტერესის სფეროდ სწორედ ამით შემოიფარგლება. შევხებით მხოლოდ -ა-, -იან-, -ოვან სუფიქსთა ფუნქციის საკითხს გურიის ტოპონიმის მაგალითზე.

-ა სუფიქსის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთ მკვლევარს [1, 8, 10, 11, 13, 14, 9] გამოუთქვამს მოსაზრება. დადგენილია მისი სიტყვათწარმოებითი ფუნქციები. გამოთქმულია აზრი -ა-ს მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელ ფუნქციის შესახებ [9].

საინტერესოა -ა-ს მატოპონიმებელი ფუნქციის შესწავლა რეგიონების მიხედვით.

გურიის ტოპონიმიაში ჩვენი ყურადღება მიექცია -ე-ზე დაბოლოებულმა მიკროტოპონიმებმა (ნაბადე, ქვაბე, კინჩხე და სხვა.) ეს -ე დაბოლოება გვხვდება არა მხოლოდ ტოპონიმებში, არამედ საკუთარ სახელებშიც. სპეციალურ გამოკვლევებში [4, 6, 7, 11] დადგენილია ამ -ე-ს წარმომავლობა. იგი მიღებულია -ა-საგან. ქვემო გურულში -ა-ს დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი და გვაძლევს -აი დაბოლოებას. ზემო გურულში მისი ეკვივალენტია -ე (აი > ეი > ე). ეს კანონზომიერება უცვლელადაა დაცული გურიის ტოპონიმიაში.

ჩვენ ზემოთ საუბარი გვქონდა -ა-ს მატოპონიმებელი ფუნქციის შესახებ ქართულში. ეს ფუნქცია აქვს მას გურიის ტოპონიმიაშიც. მაგალითად, საზოგადო სახელის დონეზე გვაქვს — ქვაბი, ჭილოფი, ტალახი, კინჩხი. ტოპონიმიაში ვხვდებით:

საერთოქართული (სხვა დიალექტებშიც დასტურდება)	ქვემო გურული	ზემო გურული
1. ტალახა გორი, შთა, ს. ქვიანი (ლანჩხ.) საძოვარი, ს. ძირქუმათი (მახარაძე)	// ტალახაი საყანე, ს. გვიბალაური, ფერდობი, ს. კანჭათი ლანჩხ. რ.	// ტალახე ჭალა, ს. შუგანახლება (ჩოხატაური)

2. ქვაბა // ქვაბი // ქვაბე

3. აკვანა // აკვანაი // აკვანე და სხვ.

ტალახა (ტალახაი, ტალახე), ქვაბა (ქვაბაი, ქვაბე), კინჩხა (კინჩხაი, კინჩხე) აკვანა (აკვანაი, აკვანე) გურულში საზოგადო სახელად არ გაიგება, ისინი უნდა განვიხილოთ საკუთარ სახელთა დონეზე, მოცემულ შემთხვევაში ტოპონიმოლოგიის დონეზე.

-ა (შესაბამისად -აი, -ე) შეიძლება დაერთოს როგორც მარტივ, ასევე ნებისმიერი წარმოების ფუძეებს და აწარმოოს მათგან ტოპონიმები:

ვაშლიანი—ტყე, ს. ზედა ჩიანთი (ლანჩხუთის რ.).

კუდიანა—გორი, ს. შემოქმედი (მახარაძის რ.) (მღრ. კუდიანი).

ნიგვზნარა—ტყე, ს. ქაქუთი (მახარაძის რ.) (მღრ. ნიგვზნარი).



ნათორნალი—ტყე, ს. ზემოაკეთი (ლანჩხუთის რ.) (შდრ. ნათორნალი).

ნაშვავება—საყანე, ს. ვაგური (ლანჩხუთის რ.) (შდრ. ნაშვავები).

სახნავა—გორი, ს. ჩოლობარგი (ლანჩხუთის რ.) (შდრ. სახნავი).

ნაციხვარე—გორაკი, ს. ქვემოხეთი (ჩოხატაურის რ.) (შდრ. ნაციხვარი).

კუდიანი, ნიგვზნარი, ნათორნალი, ნაშვავები, სახნავი, ნაციხვარი, ვაშლიანი — შეიძლება შეგვხვდეს ადგილის სახელებად. აქ მოდელი საზიაროა საზოგადო და საკუთარი სახელისათვის (ტოპონიმისათვის). მაგრამ—კუდიანა, ნიგვზნარა, ნათორნალა, ნაშვავება, სახნავა, ნაციხვარე, ვაშლიანაი — გაიგება მხოლოდ საკუთარი სახელის (მოცემულ შემთხვევაში ტოპონიმის) დონეზე.

ყურადღება მისაქცევია ის ფაქტიც, რომ ჩამოთვლილი ფუძეები ენაში ვერ ქმნიან მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილებს: ნაშვავები ადგილი (პარალელურად არ გვხვდება ნაშვავება ადგილი), ნაციხვარი გორი (და არა ნაციხვარე გორი), ვაშლიანი ფართობი (და არა ვაშლიანაი ფართობი). ამდენად, მოცემულ მაგალითში -ა (ზემ. გურ. -ე და ქვ. გურ. -აი) სუფიქსს მასუბსტანტივებელი ფუნქცია აქვს.

-ა (-ე, -აი) შეიძლება დაერთოს მსაზღვრელ-საზღვრულს როგორც პრეპოზიციული, ასევე პოსტპოზიციური წყობისას:

თეთრელა—ლეღე, ს. ვაიჭვარი (მახარაძის რ.)

გრძელგორა—გორი, ს. უკანავა (მახარაძის რ.).

შაფეხე—საბანაო, ს. ქვემო ერკეთი (ჩოხატაურის რ.).

წიფეკაკალი—ფერდობი, ს. კინათი (ლანჩხუთის რ.).

ტაშაშა—ჩაყარდნოლი ადგილი, ს. მშვიდობაური (მახარაძის რ.).

მუხამალა—უსწორმასწორო ადგილი, ს. განახლება (ჩოხატაურის რ.).

ხიღმალა—საყანე, საძოვარი, ს. ნიგვზიანი (ლანჩხუთის რ.).

თეთრელა, გრძელგორა, წიფეკაკალი, ტაშაშა-ს პარალელურად ენაში შეიძლება არსებობდეს მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილები:

თეთრი ლეღე, გრძელი გორი, წწიფე კაკალი, ტაშა შავი... სქემის სახით მსაზღვრელ-საზღვრული //მსაზღვრელ-საზღვრული +-ა (-ე, -აი). მოდელი— მსაზღვრელ-საზღვრული +-ა (-ე, -აი) (თეთრელა, გრძელგორა, წიფეკაკალი, ტაშაშა) მხოლოდ საკუთარი სახელის (მოცემულ შემთხვევაში ტოპონიმის) დონეზე გაიგება ენისათვის.

გურულში შემდეგნაირი ტოპონიმებიც გვხვდება:

გრძელა—ტყე, ს. ჩოლობარგი (ლანჩხუთის რ.).

უმაღლე—ფერდობი, საყანე ს. შუაფარცხა (ჩოხატაურის რ.).

ამ ტიპის მაგალითებში -ა (-ე, -აი) საზღვრულის კომპენსაცია უნდა იყოს: \* გრძელი გორი > გრძელა (შდრ. წითელა).

-ა სუფიქსიანი ტოპონიმები ჩვენ განვიხილეთ ფორმის თვალსაზრისით, ახლა შევეცდებით წარმოვადგინოთ მათი შინაარსობრივი კლასიფიკაცია.

1. -ა (-ე, -აი) სუფიქსით აღინიშნება ქონება:

ორწიფელა—საბანაო და მისი მიმდებარე ტერიტორია, ს. გომი (მახარაძის), ვაკე, ს. ორმეთი (ლანჩხუთის რ.).

ცხენისბილე [15]—შეფენება, საძოვარი, ს. უკანავა (მახარაძის რ.).

თიხაი—საყანე, ს. ეწერი (ლანჩხუთის რ.).

2. -ა (-ე, -აი) სუფიქსით აღინიშნება მსგავსება:

ხარისთვალა—საბანაო, ს. ახალსოფელი (ჩოხატაურის რ.).  
 კეირისთავა—შემადლება, ს. მაღალი ეწერი, შუაისნარი (მახარაძის რ.).  
 უნაგირე—გადასასვლელი, ს. ბუკისციხე (ჩოხატაურის რ.).  
 კინჩხე—შთა, ს. ჩომეთი (ჩოხატაურის რ.).  
 ქვაბაი—ჩაქარდნილი ადგილი, ს. ჭანჭათი (ლანჩხუთის რ.).

3. -ა (-ე, -აი) სუფიქსი ახალიათებს ადგილს მისი რაიმე თვისების ან ნიშნის მიხედვით:

ბოლოწერა—ფერდობი, ს. წყალწმინდა (ლანჩხუთის რ.).  
 ორმოსავალა—საყანე, ს. ჭანიეთური (მახარაძის რ.).  
 შიმშილე—აკე, ს. ქვენობანი (ჩოხატაურის რ.).  
 გაფხევილე—ფერდობი, ს. ჩაკიტორი (ჩოხატაურის რ.).  
 ფართუაი—ტყე, ს. ლესა (ლანჩხუთის რ.).

4. -ა (-ე, -აი) კნინობითობის ფუნქცია უნდა ჰქონდეს:

ველე—საქარმდამო, ს. გოგოლესუბანი (ჩოხატაურის რ.)

ამრავალ, ზომოვნილეთ რა სათანადო მაგალითები, დავასკვნით, რომ -ა (-ე, -აი) სუფიქსი გურულში აწარმოებს მიკროტომონიმებს და აქვს მასუბსტანტივებელ-მატომონიმებელი ფუნქცია. იგი იხმარება როგორც მარტივ (ბოსტანა, აყვანე, კინჩხე, ქვაბაი), ასევე ნებისმიერი წარმოების ფუძეებთან (ნიგეზნარა, ნაციხვარე, ვაშლიანი). -ა (-ე, -აი) სუფიქსი აწარმოებს აგრეთვე ტომონიმებს კომპოზიტური წარმოშობის ფუძეებიდან (ტაშავეჯ, მუხამალა-ლე, წიფეკაკალაი). ენაში არსებულ მოდელთაგან: მსაზღვრელ-საზღვრული // მსაზღვრელ-საზღვრული + ა. პირველი საერთოა საზოგადო და საკუთარი სახელისათვის, მეორე გაიგება მხოლოდ საკუთარი სახელის (მოცემულ შემთხვევაში ტომონიმის) დონეზე.

-ა (-ე, -აი) სუფიქსით აღინიშნება: ა) ქონება (ორწიფელა), ბ) მსგავსება (ხარისთვალა, უნაგირე), გ) ადგილის დახასიათება მისი რაიმე თვისების ან ნიშნის მიხედვით (ორმოსავალა, შიმშილე, ფართუაი), დ) კნინობითობა (ველე).

საინტერესოა -ა სუფიქსის განაწილება ერთი რეგიონის (ამჭერად გურიის) ფარგლებში. იგი თანაბარი სიხშირით დასტურდება როგორც ქვემო, ასევე ზემო გურიის ტომონიმიაში. ქვემო გურულში -ას დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი და გვაქვს -აი დაბოლოება.

ზემო გურულში -ე (ა+ი>აი>ეი>ე). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გურული დიალექტის კილოკაური თავისებურებანი თავს იჩენს ამ რეგიონის ტომონიმიაშიც.

გურულში საინტერესოა ფენას ქმნის -იან სუფიქსით ნაწარმოები ტომონიმები. ამ სუფიქსის წარმოშობა და სიტყვათწარმოებითი ფუნქციები დადგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში [1, 2, 5, 13, 12].

საკვლევ რეგიონში ჩვენ დავადასტურეთ -იან სუფიქსით ნაწარმოები 182 ტომონიმი. -იან აწარმოებს როგორც მიკროტომონიმებს (ტყემლიანი—ტყე, ს. ჭურყვეთი; ბეოლიანი—საყანე, ს. გულანი), ასევე ოიკონიმებსაც (ქვიანი, ნიგვიანი, გულანი—(სოფლების სახელებია ლანჩხუთის რაიონში).

საანალიზო 182 ერთეულიდან 117 მაგალითში -იან სუფიქსი აწარმოებს ტომონიმებს მცენარეთა სახელებიდან.

ვაშლიანი—ვაშლის ბალი, ს. ჩიბათი (ლანჩხუთის რ.).  
 ბალიანი—საყანე, ს. შეკვეთილი (მახარაძის რ.).  
 ბეოლიანი—ტყე, ს. ჭურყვეთი (ლანჩხუთის რ.).  
 ჰადრანი—საყანე, ს. ორმეთი (მახარაძის რ.).

დანარჩენ 65 შემთხვევაში ტოპონიმთა საწარმოებლად სხვადასხვა ფუძეა გამოყენებული:

ქვიშიანი—საყანე, ს. ქველა ომთარეთი (ლანჩხუთის რ.).  
 ჰიანი—საყანე, ს. შრომისუბანი (ლანჩხუთის რ.).  
 მაზუტიანი—სამოყარი, ს. ქვიანი (ლანჩხუთის რ.).  
 წისქვილიანი—შეფენება, ს. ხრიალეთი (მახარაძის რ.).  
 გორახიანი—საყანე, ს. ნიგოეთი (ლანჩხუთის რ.).  
 საცივიანი—ტყე, ს. ქვიანი (ლანჩხუთის რ.).

-იან ერთვის არა მხოლოდ მარტივ ფუძეებს, არამედ მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილსაც:

დიდგორიანი—ფერდობი, ქველა მაკენეთი (მახარაძის რ.).  
 ოთხქტარიანი—საყანე, ს. ჯაანა (ლანჩხუთის რ.).  
 ორპოტიანიგვიზიანი—ფერდობი, ს. ჰანიეთური (მახარაძის რ.).

ტოპონიმებში -იან სუფიქსი ზოგჯერ იწვევს რედუქციას, ზოგჯერ არა. მაგ. შღრ. ბერსელიანი||ბერსლიანი, ქასრაიანი||ქასრაიანი.

-იან სუფიქსის ძირითადი ფუნქცია თანამედროვე ქართულში არის აღინიშნოს რისიმე მქონებლობა (ყოლა). ძირითადია მისი ეს ფუნქცია ტოპონიმიკური წარმოებისასაც:

მამულიანი—საყანე, ს. ღრმაღლე (ლანჩხუთის რ.).  
 ბარლიანი—ჩაის პლანტაცია, ს. ზედა მამათი (ლანჩხუთის რ.).  
 თხილიანი—ფერდობი, ს. ორაგვე (ლანჩხუთის რ.).  
 ჩხავრანი—ტყე, ს. აცანა (ლანჩხუთის რ.).

საინტერესოა ისიც, რომ მრავლობითის ფორმანტს ებ + იან ფუნქციით უტოლდება კრებითობის გამომხატველ -ნარ-ს:

მანქლებიანი—ტყე, ს. ქვიანი (ლანჩხუთის რ.). (// მანქლნარი).  
 სხლებიანი—ფერდობი, ს. ქვემო მამათი (ლანჩხუთის რ.). (// მსხლნარი).

ვფიქრობთ -იან სუფიქსი გადატანითი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი შემდეგ მაგალითებში:

გულიანი—სოფელი (ლანჩხუთის რ.).  
 ლექსიანი—ეკე, ტყე, ს. ზოტი (ჩოხატაურის რ.).  
 შაურანი—ფერდობი, ს. ორმეთი (ლანჩხუთის რ.).

საინტერესოა -იან სუფიქსის გავრცელების გეოგრაფია ერთი რეგიონის მაგალითზე. საანალიზო 182 ტოპონიმიდან -იან სუფიქსით ნაწარმოები მხოლოდ 11 ადგილის სახელი დასტურდება ზემო გურიის ტერიტორიაზე. ყველა დანარჩენი ქვემო გურულის კუთვნილებაა. ამ 11 ტოპონიმიდან 3-ის სემანტიკა (ლექსიანი, კერჩხიანი, ლოლობიანი) ჩვენთვის ჭერჯერობით ბუნდობანია.

დანარჩენი 8 ტოპონიმიდან 5 ქვემო გურიის მოსაზღვრე სოფლებშია, რაც გვაეარაულებინებს იმას, რომ ქვემო გურულის წარმოებაა ნასესხები. აქედან გამომდის, რომ ზემო გურიაში -იან სუფიქსით ნაწარმოები მხოლოდ

3 ტომონიმი გვაქვს: 1. ვაზიანი — სოფელი (ჩოხატაურის რ.), 2. ხაცივიანი (ადგილი ს. ზოტში), 3. ბალიანი — საძოვარი (ბახმაროში). სოფლის სახელი შეიძლება გვიანდელი შერქმეული იყოს. ს. ზოტში ზემო აჭარიდან გადმოსულნი ცხოვრობენ (ამიტომ საეკვოა). რაც შეეხება ტომონიმს ბალიანი (საძოვარი) იგი მდებარეობს ბახმაროზე, რომელიც არის შეხვედრის ადგილი ქვემო და ზემო გურიის მოსახლეობისათვის ჩერ საძოვრების გამო, შემდეგ — კურორტისა. ამიტომ არ არის გამორიცხული ბალიანი ქვემო გურიის წარმომადგენელთა შერქმეული იყოს.

მოცემული სურათი საფუძველს გვაძლევს დაეასკვნათ, რომ — იან სუფიქსით ტომონიმების წარმოება დამახასიათებელია ქვემო გურულისათვის.

-ოვან სუფიქსი ძალზე პროდუქტიული იყო ძველ ქართულში. თანამედროვეში ნაკლებ პროდუქტიულაა. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია მისი სიტყვათწარმოებითი ფუნქციები.

გურიის ტომონიმიანი ჩვენ სულ 11 მაგალითი (7 ზემო გურულში, 4 ქვემო გურულში) შეგვხვდა -ოვან სუფიქსით ნაწარმოები.

-ოვან უნდა გამოხატავდეს ქონებას შემდეგ მაგალითებში:

მალღვანი—გორი, ს. ჭიხანჭირი (ლანჩხუთის რ.).

თელვანი—ტყე, ს. ქვაბლა (ჩოხატაურის რ.).

თელვანი—თელოვანი (შღრ. ფერვანი კაცი).

ლაქაშენა—ფერდობი, ს. დაბლაციხე (ჩოხატაურის რ.).

ტაბელვანი—სათესი, ს. ბაილეთი (ჩოხატაურის რ.).

ჩვენ დავინტერესდით და საანალიზო მასალაში დავძებნეთ ისეთი ფუძეები, რომლებითაც ერთსა და იმავე დროს (პარალელურად) იწარმოება ტომონიმები -ა, -იან და -ოვან სუფიქსებით. სამივე მათგანი ერთ ფუძესთან ვერ დავადასტურეთ, ორი მათგანი, ან, -იან და -ა, ან, -იან და -ოვან (-ა და -ოვან არასდროს არ გვხვდება) გვაქვს რამდენიმე მაგალითში:

გულიანი—სოფელი (ლანჩხუთის რ.)//გულვანი—ფერდობი, ს. ჭიხანჭირი (ლანჩხუთის რ.).

ცაცხვიანი—სოფელი, საყახე (ლანჩხუთის რ.)//ცაცხვა—ტყე, ს. უკანა (მახარაძის რ.).

ურთხვანი//ურთხლანი.

თელვანი//თელვახი... (სულ 13 შემთხვევა).

ამ პარალელურ ფორმათაგან ტომონიმის ფუძედ მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული არა მცენარის სახელი (გულიანი//გულვანი), ყველა დანარჩენ შემთხვევაში (13 შემთხვევიდან) პარალელურ ფორმებში ფუძედ მცენარის სახელი გვხვდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სემანტიკურად ეს ფორმები აბსოლუტურად დუპლეტური არ უნდა იყოს -იან და -ოვან სუფიქსებით ნაწარმოები მაინც. შღრ. თელიანი//თელვანი.

-ოვან უფრო ქონებას გამოხატავს თვისების გახაზვით.

საზოგადო სახელებში ცნობილია და ტომონიმებმაც დაგვიდასტურეს, რომ — იან სუფიქსი თანაბრად შეიძლება შეენაცვლოს -ას და -ოვან-საც:

ურთხვახი//ურთხლანი.

თელვანი//თელიანი,

ტყემალა//ტყემლანი.

საზოგადო სახელის დონეზე:

შავთვალა//შავთვლიანი (მაგრამ არა შავთვალოვანი)

ე. ი. ტოპონიმებიც მხარს უჭერენ იმას, რომ -იან უფრო ზოგადი ხასიათის სუფიქსია, მისი შოკმედების არე ვრცელია.

-ოვან ენაცვლება -იან-ს კონკრეტულ მაგალითებში, კერძოდ, მაშინ შეიძლება ეს მოხდეს, როცა ქონება გამოიხატება თვისების განაზვით. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ -ოვან სუფიქსიან მაგალითებს არ ეძებნება პარალელი -ათი ნაწარმოებ არცერთ ფუძესთან (არ გვხვდება, ვთქვათ ასეთი რამ: ცაცხვა //ცაცხე-ოვან-ი).

გურიის ტოპონიმიაში. როგორც უკვე წარმოვადგინეთ, გვხვდება -ა, -იან, -ოვან სუფიქსით ნაწარმოები ადგილის სახელები.

-ა თანაბარი სიხშირით დასტურდება როგორც ქვემო, ასევე ზემო გურიის ტოპონიმიაში. ქვემო გურულში -ა-ს დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი და მიიღება -აი დაბოლოება. ზემო გურულში -ა გვაქვს -ე-ს (ა+ი>აი>ეი>ე).

-იან სუფიქსიანი წარმოება დამახასიათებელია ქვემო გურიის ტოპონიმისათვის.

-ოვან სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები მცირეა და განაწილებულია მთელს რეგიონში.

ამრიგად, -ა და -იან სუფიქსები, გარდა ტოპონიმური წარმოებისა, დამატებით საბუთს (საფუძველს) ქმნიან გურულის კილოკავური დაყოფისათვის.

#### ლიტერატურა

1. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.
2. არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
3. არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, -ონ სუფიქსი მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტფილისი, 1926.
4. ე. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იყე, ტ. VI, თბილისი, 1954.
5. ს. ქ ა ნ ა შ ი ა, -თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, III, თბილისი, 1959.
6. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვანთა კომპლექსის ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იყე, ტ. I, 1946.
7. ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, თბილისი, 1936.
8. თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961.
9. ფ. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, ა ხმოვნის მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქციისათვის, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1974. გ
10. ა. შ ა ნ ა ჯ ა ლ ა ძ ე, ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში, სახელის ბუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956.
11. ო. კ ა ხ ა ძ ე, -ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში, იყე, ტ. V, თბილისი, 1953.
12. თ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, სიტყვათწარმოება აკაკი წერეთლის თხზულებებში, საკანდიდატო დისერტაცია, მახქანაზე ნაბეჭდი, თბ., 1972.
13. შ. ტ უ ს კ ი ა, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სლიტერატურო ქართულსა და დი-ალექტებში (საკანდიდატო დისერტაცია, მახქანაზე ნაბეჭდი), თბილისი, 1975.
14. ა. კ ა პ ი ძ ე, -ა. სუფიქსის სიტყვათწარმოებითი ფუნქციები, ეურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, თბილისი, 1974. № 1.
15. ბალახია ერთგვარი. იხ.: ა. შ ა კ ა ლ ა თ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961, გვ. 139.

Р. А. ДЗНЕЛАДЗЕ

К ФУНКЦИИ И РАСПРЕДЕЛЕНИЮ СУФФИКСОВ -а, -ian, -ovan  
В ГУРИЙСКОЙ ТОПОНИМИИ

Резюме

В работе рассматриваются имена собственные (географические названия), образованные при помощи суффиксов -а, -ian, -ovan. На основе материалов одного региона анализируются те закономерности, которые проявляются при данном образовании.

Суффикс -а с одинаковой частотой фиксируется в топонимии как Нижней, так и Верхней Гурии. В нижнегурийском говоре за суффиксом -а следует падежный знак и получается окончание -ai. В верхнегурийском -а дает -е ( $a+i > ai > ei > e$ ).

Суффикс -ovan, хотя встречается реже, но распределяется по всему региону.

Суффиксы -а и -ian, кроме топонимического образования, создают дополнительную основу для деления гурийского диалекта на говоры.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი  
ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმო-  
კური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიურმა

## ნ ა ნ ა კ ი ზ ი რ ი ა

## ს ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ო ბ გ ე რ ის ა ს ო ც ი ა ც ი ა ფ ი რ თ ა ნ

ცნობილია, რომ ფერსა და მუსიკალურ ბგერას (ან, მუსიკალურ ნაწარმოებს) შორის არსებობს კავშირი. ამ კავშირზე ადრე მიუთითებდნენ ლეონარდო და ვინჩი, ნიუტონი და სხვები. აღსანიშნავია ცნობილი რუსი კომპოზიტორების სკრიაბინისა და რიმსკი-კორსაკოვის უნარი ფერებით განეტყუათ მუსიკალური ნაწარმოებები.

ასევე არსებობს კავშირი სამეტყველო ბგერასა და ფერს შორის, სამეტყველო ბგერასაც შეუძლია ადამიანში გამოიწვიოს რაიმე ფერის ასოციაცია.

სამეტყველო ბგერასა და ფერს შორის კავშირს ერთ-ერთმა პირველთაგანმა ყურადღება მიაქცია რ. იაკობსონმა. მან გამოთქვა აზრი, რომ ხმოვნები იწვევენ ქრომატული ფერების ასოციაციებს, თანხმოვნები კი—აქრომატული ფერებისას<sup>1</sup>. იგივეა გამეორებული ნაშრომში «Введение в анализ речи», რომელიც იაკობსონს პალესთან და ფანტთან ერთად აქვს გამოქვეყნებული, კერძოდ, აქ ნათქვამია: «Испытуемые, наделенные цветовым слухом, воспринимают гласные как хроматические, а согласные—как ахроматические, серые»<sup>2</sup>. დაახლოებით ასევე ფიქრობს ა. ყურაელიოვიც, რომელსაც ჩატარებული აქვს ექსპერიმენტი რუსულ სამეტყველო ბგერებზე. როგორც ყურაელიოვი აღნიშნავს, ცდისპირები სამეტყველო ბგერებს უკავშირებენ რაიმე ფერს, მაგრამ ბგერისა და ფერის ურთიერთკავშირი უფრო ნათლად შეამჩნევა ხმოვნებთან, ვიდრე თანხმოვნებთან<sup>3</sup>.

ქართულ სამეტყველო ბგერებსა და ფერს შორის კავშირის დაადგენად ჩავატარეთ ცდა, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა სპეციალობის მქონე 20 ცდისპირი 20-დან 50 წლის ასაკამდე. ცდისპირებს ევალუბოდათ ეთქვათ, მიწოდებული ქართული სამეტყველო ბგერა მუქი იყო თუ ღია ფერის და კონკრეტულად რომელი ფერის ასოციაცია უჩნდებოდათ. წარმოვადგინეთ ექსპერიმენტის შედეგებს.

ცალ-ცალკე განვიხილავთ ხმოვნებსა და თანხმოვნებს.

**I. ხმოვნები.** ცდისპირებს ხმოვანთა დახასიათების დროს უჩნდებოდა სხვადასხვა ფერის ასოციაცია. შესაძლებელი ხდება კანონზომიერების დადგენა, მაგალითად, არაბაგისმიერ ხმოვნებს ცდისპირთა დიდი უმრავლესობა ღია ფერებით ახასიათებს. ბაგისმიერი ხმოვნებიდან კი უ ხმოვანი ცდისპირებში უმეტესად იწვევს მუქი ფერების ასოციაციას, ო ხმოვანი—უფრო ხშირად

<sup>1</sup> R. Jakobson, Kindersprache, Aphasie und allgemeine Lautgesetze, Uppsala universitets arsskrift, 1942, გვ. 60, დამოწმებულია გ. ნ. ივანოვა-ლუკიანოვას სტატიაში: «О восприятии звуков», კრ. «Развитие фонетики современного русского языка», Москва, 1966, გვ. 137.

<sup>2</sup> Р. Якобсон, Г. М. Фант и М. Халле, Введение в анализ речи, «Новое в лингвистике», II, Москва, 1962, გვ. 198.

<sup>3</sup> А. П. Журавлев, Фонетическое значение, Ленинград, 1974, გვ. 51.

ლია ფერების ასოციაციას. მაგრამ არაბაგისმიერებთან შედარებით მუქი ფერებიც საკმაოდ ხშირადაა გამოყენებული (იხ. ტაბულა 1).

როგორც ტაბულადან ჩანს, ბაგისმიერ ხმოვნებთან მუქი ფერების არჩევანი უფრო მეტია, ვიდრე არაბაგისმიერებთან. რაც შეეხება ღია ფერების გამოყენებას, აქ ერთი რამ არის საინტერესო: არც ერთ ცდისპირს არ გაუჩნდა თეთრი ფერის ასოციაცია ბაგისმიერი ხმოვნების დახასიათების დროს.

როგორც ვხედავთ, ფერების მიხედვით შეფასების დროს ცდისპირები ახერხებენ ერთმანეთს დაუპირისპირონ ბაგისმიერი და არაბაგისმიერი ხმოვნები.

**11. თანხმოვნები. ა) ხშულები.** ფერების მიხედვით ხშულთა დახასიათებისას ცდისპირები ერთმანეთს უპირისპირებენ მკურ და ყრუ (ფშვინვიერსა და აბრუპტივს) ბგერებს. მკურები ძირითადად მუქი ფერების ასოციაციას იწვევენ. გამოჩნდა წარმოადგენს დ, რომლის შეფასების დროს ცდისპირთა ერთი ნახევარი ასახელებს მუქ ფერებს, მეორე კი — ღია ფერებს.

ყველაფერი ეს კარგად ჩანს ტაბულაზე (იხ. ტაბულა 2).

ფშვინვიერები ცდისპირებს უფრო ხშირად დახასიათებული აქვთ ღია ფერებით. განცალკევებით დგას ჩ, რომელიც ცდისპირებში უმეტესად მუქი ფერებს ასოციაციას იწვევს. მუქი ფერებიდან ყველა ფშვინვიერთან უგამონაკლისოდ გამოყენებულია რუხი, ღია ფერებიდან კი — ყვითელი (იხ. ტაბულა 3). აქვე ცდისპირები ხშირად შენიშნავენ, რომ ფშვინვიერი ბგერები სირითადად გახუნებული ფერების ასოციაციას იწვევენ.

ზემოთ ნათქვამია, რომ მკური ბგერების დახასიათების დროს ცდისპირებს ძირითადად მუქი ფერების ასოციაცია უჩნდებათ, ფშვინვიერებსა დახასიათებისას კი — ღია ფერებსა. აბრუპტივებს, შეიძლება ითქვას, მკურებსა და ფშვინვიერებს შორის უჭირავთ ადგილი. მაგალითად, ბ, წ, ჭ ბგერებს ცდისპირთა უმეტესობა ღია ფერებით აფასებს, ტ, ყ, ქ ბგერებს კი — მუქით (იხ. ტაბულა 4).

ტაბულადან ჩანს, რომ მკურებთან და ფშვინვიერებთან შედარებით აბრუპტივები უფრო ბევრ ფერთან ასოცირდება. საინტერესოა ისიც, რომ ცდისპირები აბრუპტივების დახასიათებისას ხშირად ხმარობენ ეპითეტებს — მჭახე, ცუდი, უსიამოვნო, მკვეთრი, კრიალა, ჭყეტელა, ლაბლაბა, კაშკაშა. ზოგჯერ აბრუპტივთა ფერი შედარებულია ლითონებთან, როგორცაა სპილენძი, ტყვია და ფოლადი. ეს შეფასება უნდა უკავშირდებოდეს თვით აბრუპტივების მაგარ წარმოებას ძლიერ დაჭიმული საარტიკულაციო ორგანოებით.

**ბ) ნაპრალოვნები.** ცდისპირთა მიერ ფერების მიხედვით ხშულთა დახასიათება უკავშირდება მკურობა-სიყრუეს. ნაპრალოვნებთან კი ძირითადად მნიშვნელობა აქვს საწარმოო ადგილს. კერძოდ, წინა წარმოების, პრეალვეოლარული ზ, ს უფრო ხშირად ღია ფერების ასოციაციას იწვევს (იხ. ტაბულა 5). უფრო უკანა წარმოების ბგერებთან (პოსტალვეოლარულ ჟ, შ და უფულარულ ლ, ხ ბგერებთან) ცდისპირებს უფრო ხშირად უჩნდებათ მუქი ფერების ასოციაცია.

წარმოების ადგილის გარდა ფერების მიხედვით ნაპრალოვანთა შეფასებაზე მკურობა-სიყრუეც ახდენს გავლენას. მაგალითად, პრეალვეოლარულთა (ზ, ს) ჭკუფში შემდეგი ვითარება აღინიშნება: ზ ბგერის შესახებ ცდისპირები ამბობენ, რომ იგი იწვევს მკვეთრი, მჭახე, კრელი, კრიალა ფერების ასოციაციას, ს კი უფრო ნაზი ფერებით არის დახასიათებული. პოსტალვეო-



ლარულთა (ფ, შ) ჯგუფში პრეალეოლარულებთან შედარებით უფრო ჩნდება მუქი ფერების ასოციაცია. მაგრამ შ ბგერას მეტი ცლისპირი აფასებს მუქი ფერებით, ვიდრე ფ-ს. გარდა ამისა, ფ ბგერა შ-სთან შედარებით უფრო მეტი ფერით არის დახასიათებული.

უეულარული ლ, ხ ბგერებიც ძირითადად მუქი ფერებით არის დახასიათებული. მაგრამ ხ უფრო მეტ ცლისპირში იწვევს მუქი ფერების ასოციაციას. ვიდრე ლ.

განცალკევებით დგას მ, რომელიც მხოლოდ ღია ფერებით არის დახასიათებული. აღსანიშნავია, რომ ცლისპირები ამ შემთხვევაში უპირატესობა ანიჭებენ ნახ ფერებს.

გ) სონორები. სონორები ცლისპირებში მრავალი ფერის ასოციაციას იწვევენ, მაგრამ აქ კანონზომიერების დადგენა ქირს. ე- ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სონორები ცალეულებია და აქ დაპირისპირების საშუალება ისედაც რაობა. გამოჩეკლია მ და ნ, რომლებსაც საერთო ნიშანი — ნახლობა აერთიანებს. ცლისპირები ახერხებენ ამ ორი ბგერის დაპირისპირებას, კერძოდ, მ ხშირად იწვევს მუქი ფერების ასოციაციას, ნ კი — ღია ფერებისას (იხ. ტაბულა 6).

როგორც ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, ქართული ხმოვნებიც და თანხმოვნებიც ცლისპირებში ქრომატული ფერების ასოციაციებს იწვევენ. ამით ქართულ მასალაზე ჩატარებული ცდის შედეგები უპირისპირდება იაკობსონისა და ყურავლიოვის მიერ ჩატარებული ცდების შედეგებს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მათა ცდების მიხედვით ცლისპირებს მხოლოდ ხმოვნებთან დაკავშირებით უჩნდებათ ქრომატული ფერების ასოციაცია.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ბგერათა დაპირისპირება ფერის მიხედვით გარკვეულად უკავშირდება ამ ბგერათა ფონეტიკურ საკლასიფიკაციო ნიშნებს.

ტაბულა 1

ბგერა	მუქი ფერები	ღია ფერები
ა	ლურჯი — 3, წითელი — 1, რუხი — 1	თეთრი — 9, შემოდგომის ღია ფერები — 1. ფოთოლისფერი — 1, ღია წითელი — 1. ვარდისფერი — 1, ცისფერი — 1, ღია ვერცხლისფერი — 1
	პასუხების წამი — 5	პასუხების წამი — 15
ბ	ლურჯი — 1, ყვითელი — 1	თეთრი — 2, სალათისფერი — 3, ნიჟარისფერი — 4, ყვითელი — 2, ცისფერი — 2, ლიმონისფერი — 1, ღია წითელი — 1, ცეცხლისფერი — 1, წყლისფერი — 1, შავით შემოვლებული წყლისფერი — 1
	პასუხების წამი — 2	პასუხების წამი — 18

\* ციფრებით მითითებულია ცლისპირთა პასუხების რაოდენობა.

ბგერა	მუქი ფერები	ღია ფერები
o	შავი — 2 <hr/> პასუხების წამი — 2	თეთრი — 4, ცისფერი — 3, ყვითელი — 4, ვარდისფერი — 2, ნაცრისფერი — 1, სალათისფერი — 2, იასამნისფერი — 1, შავით შემოვლებული წყლისფერი — 1 <hr/> პასუხების წამი — 18
o	შავი — 3, მწვანე — 1, მღოგვისფერი — 1, ლურჯი — 1, რუხი — 1, ყავისფერი — 1 <hr/> პასუხების წამი — 8	სალათისფერი — 2, ნაცრისფერი — 2, ცისფერი — 2, ყვითელი — 4, ვარდისფერი — 1, წყლისფერი — 1 <hr/> პასუხების წამი — 12
უ**	ლურჯი — 4, ყავისფერი — 3, რუხი — 3, წითელი — 1, შავი — 1 <hr/> პასუხების წამი — 12	ყვითელი — 2, ფორთოხლისფერი — 1, ზოლისფერი — 1, სალათისფერი — 1, ნაცრისფერი — 1, ვარდისფერი — 1 <hr/> პასუხების წამი — 7

ტაბულა 2

ბგერა	მუქი ფერები	ღია ფერები
ბ	მწვანე — 3, რუხი — 3, ლურჯი — 2, შავი — 2, ყავისფერი — 3, წითელი — 1, შვინდისფერი — 1 <hr/> პასუხების წამი — 15	ყვითელი — 5 <hr/> პასუხების წამი — 5
ღ	ყავისფერი — 4, რუხი — 2, ლურჯი — 2, შვინდისფერი — 1, წითელი — 1 <hr/> პასუხების წამი — 10	ვარდისფერი — 2, ცისფერი — 1, ფორთოხლისფერი — 2, ყვითელი — 2, ნაცრისფერი — 1, წყლისფერი — 1, სალათისფერი — 1 <hr/> პასუხების წამი — 10
d	ლურჯი — 4, ყავისფერი — 5, რუხი — 2, შავი — 1, მწვანე — 1, წითელი — 1, აგურისფერი — 1, იისფერი — 2 <hr/> პასუხების წამი — 17	ყვითელი — 3 <hr/> პასუხების წამი — 3
ჭ	შავი — 4, მწვანე — 3, ლურჯი — 3, წითელი — 2, სპილენძისფერი — 1, ყანვისფერი — 1, რუხი — 1 <hr/> პასუხების წამი — 15	ოქროსფერი — 1, ვარდისფერი — 1, ყვითელი — 1, სალათისფერი — 1, ღია წითელი — 1 <hr/> პასუხების წამი — 5

\*\* 1 ცდისპირის არ გაუჩნდა ფერის ასოციაცია.

ბგერა	მუქი ფერები	ღია ფერები
გ	ყავისფერი —4, რუხი —2, ლურჯი —2, წითელი —2, მღოგვისფერი —1, მწვანე —1, შავი —1, აგურისფერი— 1	ნაცრისფერი —2, თეთრი —1, ცისფე- რი —1, სალათისფერი —1, ფორთო- ხლისფერი —1
	პასუხების წამი —14	პასუხების წამი —6

ტაბულა 3

ბგერა	მუქი ფერები	ღია ფერები
ფ	ყავისფერი —4, რუხი —1, შავი—1	ყვითელი —8, ცისფერი —3, ფორთო- ხლისფერი —1, ნაცრისფერი —1, სა- ლათისფერი —1
	პასუხების წამი —6	პასუხების წამი —14
თ	ყავისფერი —2, რუხი —1, წითელი —1, შვინდისფერი —1	ნაცრისფერი —3, თეთრი —2, ვარდის- ფერი —2, ცისფერი —2, ყვითელი — 5, იასამნისფერი —1
	პასუხების წამი —5	პასუხების წამი —15
ც	წითელი —1, რუხი —1	ცისფერი —4, თეთრი —3, ვარდისფე- რი —3, ღია წითელი —2, ყვითელი— 2, წყლისფერი —1, ღია ვერცხლის- ფერი —1, მტრედისფერი —1, ალის- ფერი —1
	პასუხების წამი —2	პასუხების წამი —18
ჩ	ყავისფერი —7, ლურჯი —2, მწვანე—1 რუხი —1, შავი—1, შვინდისფერი—1, წითელი —1	ნაცრისფერი —1, ცისფერი —1, ყვი- თელი —2, ფორთოხლისფერი —1, გახუნებული ღია ფერების ნარევი— 1
	პასუხების წამი —14	პასუხების წამი —6
ქ	ყავისფერი —2, შავი —2, შვინდისფე- რი —1, ლურჯი —1, აგურისფერი — 1, რუხი—1, ვერცხლისფერი —1	ნაცრისფერი —4, ყვითელი —5, სალა- თისფერი —2
	პასუხების წამი —9	პასუხების წამი —11

ტაბულა 4

ბგერა	მუქი ფერები	ღია ფერები
კ	ყავისფერი —2, წითელი —3, იისფერი —1, რუხი —1  პასუხების ჩამი —7	ყვითელი —4, ნაცრისფერი —3, ცისფერი —1, ცეცხლისფერი —1, ფორთოხლისფერი —1, თეთრი —1, წყლისფერი —1, ღია წითელი —1  პასუხების ჩამი —13
ტ	შავი —2, წითელი —4, ფოლადისფერი —2, რუხი —2, კაობისფერი —1, მწვანე —1, იისფერი —1, ლურჯი —1, მუქი მწვანე ღია მწვანე წერტილებით —1  პასუხების ჩამი —15	ყვითელი —3, ვარდისფერი —1, წყლისფერი —1  პასუხების ჩამი —5
წ	მწვანე —2, შავი —2, წითელი —1  პასუხების ჩამი —5	ყვითელი —5, სალათისფერი —4, ღია წითელი —2, ცეცხლისფერი —2, ნაცრისფერი —1, ოქროსფერი —1  პასუხების ჩამი —15
კ	შავი —3, ლურჯი —1, აგურისფერი —1, ყავისფერი —1, შინდისფერი —1, რუხი —1  პასუხების ჩამი —8	სალათისფერი —2, ყვითელი —2, ცისფერი —1, ყვითლისა და წითლის ნარევი —1, თეთრლაქებიანი სალათისფერი —1, ფორთოხლისფერი —2, ცისფრისა და თეთრის ნარევი —1, ღია წითელი —1, ვარდისფერი —1  პასუხების ჩამი —12
კ	ლურჯი —2, შავი —2, მელნისფერი —1, ყავისფერი —2, მწვანე —1, ტყვიისფერი —1, ფოლადისფერი —1, წითელი —1  პასუხების ჩამი —11	ნაცრისფერი —2, ყვითელი —2, თეთრი —1, ალისფერი —1, ცისფერი —1, სალათისფერი —1, ფორთოხლისფერი —1  პასუხების ჩამი —9
ყ	მწვანე —3, ყავისფერი —3, შინდისფერი —1, ლურჯი —1, ტყვიისფერი —1, რუხი —1, შავი —2, სპილენძისფერი —1  პასუხების ჩამი —13	ყვითელი —3, სალათისფერი —3, ფირუზისფერი —1  პასუხების ჩამი —7

## ტაბულა 5

ბგერა	მუქი ფერები	ღია ფერები
ზ	ვერცხლისფერი —1, რუხი —1, ლურჯი —1, წითელი —1, სპილენძისფერი —1  პასუხების წამი —5	სალათისფერი —5, ყვითელი —4, ცისფერი —2, თეთრი —1, ფორთოხლისფერი —1, ღია წითელი —1, ღია ყვრების ნარევი —1  პასუხების წამი —15
ს	ყაისფერი —2, რუხი —1, წითელი —1, შავი —1  პასუხების წამი —5	ნაცრისფერი —4, სალათისფერი —4, ცისფერი —3, თეთრი —1, ყვითელი —1, ღია წითელი —1, ღია ფოლადისფერი —1  პასუხების წამი —15
შ	ლურჯი —2, წითელი —2, შვინდისფერი —1, ყაისფერი —1, რუხი —1, იისფერი —1, მუქი ღიაწითელი —1  პასუხების წამი —9	ყვითელი —3, ეარდისფერი —2, ღია წითელი —1, ფორთოხლისფერი —1, ოქროსფერი —1, სალათისფერი —1, ღიაწითელი —1, ცისფერი —1  პასუხების წამი —11
ფ	რუხი —5, ყაისფერი —3, ლურჯი —2; შავი —2, მწვანე —2, იისფერი —1  პასუხების წამი —15	ნაცრისფერი —4, თეთრი —1  პასუხების წამი —5
ლ	ლურჯი —3, ყაისფერი —3, წითელი —1, მწვანე —1, შავი —1, კაობისფერი —1, იისფერი —1, რუხი —1  პასუხების წამი —12	ყვითელი —5, ნაცრისფერი —1, ფორთოხლისფერი —1, ღია წითელი —1  პასუხების წამი —8
ხ	ყაისფერი —7, შავი —3, ლურჯი —3, რუხი —2, რკინისფერი —1, მწვანე —1  პასუხების წამი —17	ნაცრისფერი —1, სალათისფერი —1, ეარდისფერი —1  პასუხების წამი —3
კ		თეთრი —5, ცისფერი —5, ეარდისფერი —3; ფერფლისფერი —1, ნაცრისფერი —4, წყლისფერი —1, ფირუზისფერი —1  პასუხების წამი —20

ბგერა	მუკი ფარები	ლია ფერეპა
3	ყავისფერი —4, ლურჯი —2, მწვანე —1, შავი —1 <hr/> პასუხების წამი —8	ცისფერი —3, ყვითელი —4, ვარდისფერი —2, ნაცრისფერი —2, სალათისფერი —1 <hr/> პასუხების წამი —12
მ	ლურჯი —3, მწვანე —3, ყავისფერი —3, რუხი —2, შავი —1, შვინდისფერი —2 <hr/> პასუხების წამი —14	სალათისფერი —2, ღია წითელი —1, ნაცრისფერი —1, ვარდისფერი —1 <hr/> პასუხების წამი —6
6	ლურჯი —2, მწვანე —1, შვინდისფერი —1, იისფერი —1, რუხი —1, ყავისფერი —1, შავი —1 <hr/> პასუხების წამი —8	ვარდისფერი —3, ფორთოხლისფერი —2, ოქროსფერი —1, სალათისფერი —2, ცისფერი —1, ყვითელი —1, თეთრი —1, ღია ლენისფერი —1 <hr/> პასუხების წამი —12
რ*	ყავისფერი —5, ლურჯი —3, რუხი —2, შვინდისფერი —2, მწვანე —2, იისფერი —1, წითელი —1 <hr/> პასუხების წამი —16	ნაცრისფერი —1, ღია წითელი —1, თეთრი წითელი წერტილებით —1 <hr/> პასუხების წამი —3
ლ	მწვანე —3, შვინდისფერი —2, ლურჯი —2, წითელი —3, ყავისფერი —1 <hr/> პასუხების წამი —11	ყვითელი —2, ღია წითელი —2, ვარდისფერი —1, ნაცრისფერი —1, იასამნისფერი —1, ფორთოხლისფერი —1, წყლისფერი —1 <hr/> პასუხების წამი —9

Н. А. КИЗИРИЯ

## АССОЦИАЦИЯ РЕЧЕВОГО ЗВУКА С ЦВЕТОМ

## Резюме

Известно, что между цветом и музыкальным звуком (или музыкальным произведением) есть связь. На эту связь указывали еще Леонардо да Винчи, Ньютон и др. Отмечают также способность композиторов Скрябина и Римского-Корсакова ассоциировать музыкальные произведения с цветом.

Такая же связь наблюдается между речевым звуком и цветом. На это обратили внимание Р. Якобсон, А. Журавлев и др. По мнению этих

\* 1 ცდისპირს არ გაუჩნდა ფერის ასოციაცია.

авторов, гласные воспринимаются как хроматические цвета, а согласные—как ахроматические.

Нами был проведен эксперимент на материале грузинского языка. В эксперименте принимали участие 20 испытуемых разных специальностей от 20 до 50 лет. Испытуемые должны были определить, с каким цветом ассоциировался предъявленный речевой звук грузинского языка и являлся ли этот звук темным или светлым.

Как показали эксперименты, между речевым звуком грузинского языка и цветом есть определенная связь, которая зависит от свойств речевых звуков. Этим объясняется тот факт, что противопоставление грузинских звуков по цвету совпадает с той классификацией, которая существует в грузинской фонетической литературе.

Для характеристики гласных и согласных звуков грузинского языка испытуемые используют как хроматические, так и ахроматические цвета.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

## რუსულან ასათიანი

## სახელის სიღრმისეული კატეგორიების ტიპოლოგიური ანალიზი

სახელი თავისთავად უნივერსალური ლოგიკური კატეგორიაა. ნებისმიერი ენის უმცირესი აზრობრივ-ფორმალური დასრულებულობის მქონე კონსტრუქციის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ელემენტი არის სახელი: მარტივი წინადადების სიღრმე განისაზღვრება ზმნითა და მასთან ლოგიკურ-სემანტიკურად დაკავშირებული სახელებით. სახელის უნივერსალური ლოგიკური კატეგორია სხვადასხვაგვარად რეალიზდება სხვადასხვა ენის გრამატიკულ დონეებზე. საზოგადოდ. შესაძლებელია: 1. გაუდიფერენცირებული იყოს ზმნურ-სახელური ფუძე (მაგალითად, ასეა იაპონურში<sup>1</sup>, ინგლისურში, ჩინურში...) და მათი გამიჯვნა მხოლოდ სპეციფიკური, განსხვავებული სინტაქსური ძალით ხერხდებოდეს. (ე. ი. სახელი როგორც გრამატიკული კატეგორია ამ ენებში მხოლოდ სინტაქსურ დონეზე გამოიყოფა); 2. სახელსა და ზმნას ჰქონდეს თავისი სპეციფიკური მორფოლოგიური მახასიათებელი: ა) სახელს (ქართული, მეგრულ-ქანური, არაბული, აქადური, ლათინური, ბერძნული, გერმანული, რუსული, ლენდი, თურქული, უგარიტული, ხურიტული, შემერული, ბაგვალური...) (როგორც წესი, ამ ენებში ზმნასაც აქვს თავისი სპეციფიკური მორფოლოგიური მაჩვენებელი); ბ) ზმნას (აფხაზური, ძვ. ებრაული, არამეული, ელამური, თანამედროვე ასურული, პაპუასური, ფრანგული...). (ამ ენებში სახელსა და ზმნას შორის განსხვავება მორფოლოგიურ დონეზეა წარმოდგენილი, ე. ი. სახელი მორფოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენს)<sup>2</sup>.

სახელს თავის მხრივ ახასიათებს გარკვეული ლოგიკურ-უნივერსალური სიღრმისეული კატეგორიები როგორცაა, მაგალითად, რიცხვი, სულიერობა, აბსტრაქტულობა, ზოგადობა, განსაზღვრულობა, სუბიექტურობა... ეს სიღრმისეული კატეგორიები გარკვეული ენობრივი კოლექტივის სპეციფიკური აზროვნების შესაბამისად სხვადასხვაგვარად იხსახება სხვადასხვა ენის გრამატიკულ დონეზე. ამასთან, არ არსებობს ენა, სადაც გრამატიკულ დონეზე არ იყოს ასახული არც ერთი ან ასახული იყოს ყველა ლოგიკური კატეგორია. ამ სიღრმისეული კატეგორიების გრამატიკალიზაციის შედეგად ყოველ ენაში წარმოიქმნება გარკვეული თვალსაზრისით უნიკალური კონები და რთული კვებები უკვე **გრამატიკული** კატეგორიებისა. ამ სიღრმისეულ კატეგორიათაგან გამოიყოფა ზოგიერთი, რომელიც უნივერსალური (ყველა ენაში გვხვდება) ან კვაზიუნივერსალური (დიდი სიხშირული გავრცელებულობის) გრამატიკული კატეგორიაა. მაგალითად:


1. **რიცხვის კატეგორია.** თუმცა რიცხვი სახელის უნივერსალური გრამატიკული კატეგორიაა — არ არსებობს ენა, სადაც გრამატიკულ დონეზე არ იყოს გარჩეული რიცხვის სიღრმისეული კატეგორია — დაპირისპირებათა რიცხვი ამ კატეგორიის ფარგლებში სხვადასხვაგვარია<sup>3</sup>. მაგალითად, ჩინურში სახელთა ნებისმიერი რაოდენობა გადმოიცემა შესაბამისი რიცხვითი სახელითა და სპეციფიკური, განზომილების მნიშვნელობის მქონე სუფიქსებით. ე. ი. დაპირისპირებას რიცხვის შიგნით აქვს **მრავალგანზომილებიანი** სახე: 1/2/3/4/5...



უმრავლესობა ენებში გვაქვს **ორგანზომილებიანი** დაპირისპირება: მხოლო-  
ბითი ~ მრავლობითი. აქ, როგორც წესი, მარკირებულია ოპოზიციის მეორე  
წევრი — მრავლობითი<sup>1</sup>. მორფოლოგიური მაჩვენებელი შეიძლება წარმოდგე-  
ნილი იყოს<sup>2</sup>: 1. მხოლოდ სახელებში (სკანდინავიური ენები), 2. მხოლოდ ზმნებ-  
ში (ყაბარდო-ჩერქეზული ენები), 3. სახელებსა და ზმნებში (ეს მოდელი ყვე-  
ლაზე უფრო გავრცელებულია და თითქმის ყველა ჩვენ მიერ განხილულ ენაში  
გვხვდება).

საზოგადოდ, „მრავლის“ გაგება სხვადასხვა ენაში შესაძლებელია სხვადა-  
სხვაგვარი იყოს: მაგალითად, ქართულში მრავლობით ფორმაშია სახელი,  
თუ ის არ არის დათვლილი (არ გვხვდება რიცხვით სახელთან ერთად): ერთი  
კაცი, ორი კაცი, ხუთი კაცი, ასი კაცი... მაგრამ: კაცი (მხ.) ~ კაცები (მრ.)  
(ასეთივე ვითარებაა დაღესტნის ენებში); რუსულში მრავლობითშია სახელი  
დაწყებული ხუთიდან: один дом, два дома, три дома... ~ пять домов; ინგლი-  
სურში, გერმანულში, ფრანგულში, ლათინურში, ელამურში...—დაწყებული  
ორიდან: one boy ~ two boys...

საკმაოდ გავრცელებულია ენებში სამგანზომილებიანი დაპირისპირება:  
1/2/3, 4, 5... ამ ენებში გვაქვს **მხოლობითი ~ ორობითი ~ მრავლობითი**  
რიცხვი, სადაც მარკირებულია **ორობითი** და **მრავლობითი**. უფრო ზუსტად  
დაპირისპირებას რიცხვის შიგნით უნდა ჰქონდეს ასეთი სახე:



ასეთი ენებია: არაბული, აქადური, ბერძნული, ასურული...

ნაკლებ გავრცელებული, საკმაოდ იშვიათია ოთხ- და მეტგანზომილებიანი  
დაპირისპირება: ზოგიერთ პაპუასურ ენაში გამოიყოფა სამობითი რიცხვიც.

შესაძლებელია, რიცხვის კატეგორიის შიგნით განსხვავდეს სხვადასხვა  
კატეგორია და გრამატიკულ დონეზე წარმოდგენილ იქნეს მათი თანაკვეთები.  
მაგალითად, შუმერულში გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის მრავლობითი რიცხვის  
ფორმები: კოლექტიურ მრავლობითი, განსაზღვრული, ინკლუზიური, ხარის-  
ხობრივი და სხვა<sup>3</sup>.

საკმაოდ ხშირია ენებში რიცხვის კატეგორიის თანაკვეთის ასახვა II.  
**სულიერობის** (პიროვნობის) კატეგორიასთან — მთელ რიგ ენებში სულიერი ~  
უსულო (პიროვნება ~ არაპიროვნება) დაპირისპირება აისახება სინტაქსურ  
დონეზე ზმნის სახელთან რიცხვში შეთანხმების უნარის მიხედვით: როგორც  
წესი, სულიერი ([+ პიროვნება]) ითანხმებს ზმნას რიცხვში, უსულო ([— პი-  
როვნება]) კი — არა. მაგალითად, ასეა ქართულში, შუმერულში, თურქულში,  
უღიურში... ასეთივე ვითარებაა ენებში, სადაც სქესის ორგანზომილებიანი  
(იხ. ქვემოთ) გრამატიკული კატეგორია გამოიყოფა (არაბული, ძვ. ებრაული,  
არამეული...); ხოლო იმ ენებში, სადაც სქესის სამგანზომილებიანი გრამატიკუ-  
ლი კატეგორიაა, სულიერობის (პიროვნობის) კატეგორია იჩრდილება სქესის  
კატეგორიით და რიცხვში შეთანხმების ზემომოცემულ წესს ოდნავ განსხვავე-  
ბული სახე აქვს: **საშუალო სქესის მრავლობითი** რიცხვის სახელებთან ზმნა  
წარმოდგენილია მხოლობითი რიცხვის ფორმით (ძვ. ბერძნული, ხეთური...).

სულიერობის კატეგორია შეიძლება აისახოს მორფოლოგიურ დონეზეც.  
მაგალითად, აფხაზურში მრავლობითი რიცხვის პიროვნების აღმნიშვნელი სახე-  
ლის მაჩვენებელი (—ცა) განსხვავდება მრავლობითი რიცხვის ნივთის აღმნი-

შენელი სახელის მაჩვენებლისაგან (-ქა). ასეთივე ვითარებაა დალესტნის ენებში (ბავალურში): პიროვნების მრ. რიცხვის ნიშანია—ბ~ნითვის—რ; ძვ. სპარსულში: ა (სულაერი~ჰ (უსულა); ელამურში:—კ~ყ. ე. ი. ამ ენებში პიროვნობის კატეგორია მორფოლოგიურ დონეზე აისახება: დაპირისპირება [-პიროვნება, +მრავლობითი] ~ [-პიროვნება, +მრავლობითი] შესაბამისი მორფოლოგიური მარკერების დაპირისპირებით გადმოიკემა<sup>7</sup>.

როგორც წესი, ენებში, სადაც პიროვნობის კატეგორია მორფოლოგიურ დონეზე გამოიყოფა, ამ კატეგორიის გამოყოფისათვის ზემომოცემული სინტაქსური საბუთიც მოიქმნება.

მიუხედავად განხილული კატეგორიის გავრცელებულობისა, ის მაინც არ არის უნივერსალური გრამატიკული კატეგორია, რადგან მთელ რიგ ენებში (ლათინური, ინგლისური, რუსული, ბერძნული, ფრანგული...) არ აისახება გრამატიკულ დონეზე, თუმცა ლექსიკურ დონეზე ვინ ~ რა დაპირისპირება ყველგანაა წარმოდგენილი.

სახელის განსხვავება პიროვნობის მიხედვით (ადამიანი ~ არაადამიანი) ბუნებრივი, მარტივი ასახვაა ობიექტური სინამდვილისა, სადაც გარკვეული ენობრივი კოლექტივი მთელი სინამდვილიდან გამოყოფს ენის მფლობელ, მოლაპარაკე (ადამიანი) და ენის არამფლობელ, არამოლაპარაკე (ყველა დანარჩენი) ჯგუფებს. შესაძლებელია ობიექტური სინამდვილის უფრო დეტალური დანაწევრება — საგანთა დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ყველაზე უფრო გავრცელებულია პიროვნობის მიხედვით განსხვავებული სახელების შემდგომი დანაწევრება სქესის მიხედვით — მდედრობითი ~ მამრობითი:

$$[+პიროვნება] \left\{ \begin{array}{l} [+მდედრობითი] - [-მდედრობითი] \\ [+მამრობითი] - [-მამრობითი] \end{array} \right. \left\{ \begin{array}{l} [-პიროვნება] \\ [+ნივთი] \end{array} \right.$$

ენებში, სადაც სახელების ამგვარი დანაწევრება გვაქვს, გამოიყოფა ე. წ. III. კლასის კატეგორია, რომელიც შეიძლება რეალიზებულ იქნეს გრამატიკულ დონეზეც, მაგალითად, დალესტნურში, აფხაზურში, ადიღეურში... შესაძლებელია კლასობრივი განსხვავება მხოლოდ ნაცვალსახელებში იყოს წარმოდგენილი<sup>8</sup>. მაგალითად, ასეთი ვითარებაა ინგლისურში.

სქესის ლოგიკური კატეგორია შესაძლებელია განსხვავდეს არა მხოლოდ პიროვნობის კატეგორიის ფარგლებში, არამედ უფრო ფართო, სულიერობის კატეგორიის ფარგლებში: ობიექტურ სინამდვილეში ბუნებრივ სქესობრივ განსხვავებას ეხედებით ცხოველებსა და ფრინველებშიც<sup>9</sup>. ზოგიერთი ენობრივი კოლექტივის ცნობიერების მიერ ხდება სქესის ლოგიკური კატეგორიის განზოგადება ნივთებზეც და საბოლოოდ ვლემულობით სისტემას ან ორგანოზომილებიანს: მთელი ობიექტური სინამდვილე იყოფა მდედრობით ~ მამრობითად<sup>10</sup> (მაგ. ფრანგულში); ან სამგანზომილებიანს: მდედრობით ~ მამრობითი ~ საშუალო (რუსული). ორგანოზომილებიან სისტემებში, როგორც წესი, მარკირებულია მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი, ხოლო სამგანზომილებიანში კი ყოველი წევრი ოპოზიციისა.

IV. სქესის ლოგიკურ-სიდრმისეული კატეგორია აისახება როგორც მორფოლოგიურ (სპეციფიკური მორფოლოგიური ელემენტები გამოიყოფა სახელთა ფორმაში), ასევე სინტაქსურ (ზმნებთან, ზედსართავეებთან შეთანხმებით) დო-

ნეზე. აქაც სხვადასხვაგვარი, ყოველი ენისათვის გარკვეული თვალსაზრისით უნიკალური მექანიზმები იძებნება, რაც შესაბამისად შესაძლებელია განსხვავებული ტრანსფორმაციული წესებით აისახოს.

სქესობრივი ნიშნის გარდა ობიექტური სინამდვილის დანაწევრებისათვის ენობრივი კოლექტივის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რაიმე სხვა ნიშანიც. მაგალითად, პაპუასურ ასმათ ენაში საგნები ჭკუფდება მათი მოძრაობის სპეციფიკურობის მიხედვით: მჯღომი ~ მღგომი ~ მჭრანავი ~ მცურავი...; ზოლო ჩინურში ფორმის მიხედვით: სახელურის მქონე ~ ბრტყელი ~ ...

სინამდვილის ამგვარი დანაწევრება უფრო იშვიათი და ნაკლებგავრცელებულია მსოფლიოს ენებში (ჩვენ მიერ განხილულ ენათაგან მხოლოდ ორში შევხვდით)<sup>11</sup>.

განხილული კატეგორიების გარდა რამდენიმე ენაში (აფხაზური, ჩინური, პროტოხეთური (?)) გამოიყო V. ზოგადობის მორფოლოგიური კატეგორია: ნებისმიერი, საგნის აღმნიშვნელი სახელი ამ ენებში მიუთითებს არა კონკრეტულ, არამედ ზოგად საგანზე. ამ ზოგად საგანთა კლასიდან კონკრეტულის გამოყოფისათვის სპეციალურ მორფოლოგიური მაჩვენებლები გამოიყენება. მაგალითად, ჩინურში გვაქვს სუფიქსთა მთელი წყება, რომლებიც განზომილების მნიშვნელობის არამქონე საგანთა ზოგადი კლასებიდან გამოყოფენ კონკრეტული კლასის საგნებს<sup>12</sup>: სახელურის მქონე კონკრეტული საგნები ~ ბრტყელი საგნები... ე. ი. ჩინურში მორფოლოგიურად მარკირებულია კონკრეტული სახელები; აფხაზურში კი ზოგადი სახელი: პრეფიქსით ა-. (ასეთსავე ვითარებას ვარაუდობენ პროტოხეთურისთვის). აფხაზურში ზოგადობის მაჩვენებელი ეს პრეფიქსი უპირისპირდება რა განუსაზღვრელობის სუფიქსს -კ, ერთგვარად ითავსებს განსაზღვრულობის მნიშვნელობასაც. (აბაზურში ეს -ა უკვე მთლიანად მხოლოდ განსაზღვრულობის მაჩვენებელია)<sup>13</sup>.

საზოგადოდ, VI. განსაზღვრულობა საკმაოდ გავრცელებული გრამატიკული კატეგორიაა<sup>14</sup>. ლოგიკურ დონეზე ამ კატეგორიის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება ყველასათვის ცნობილი, ერთადერთი (განსაზღვრული) და არა ცნობილი (განუსაზღვრელი) სახელი. მაგალითად, მზე, დედამიწა, მთვარე... ერთადერთი, თავისთავად განსაზღვრულია. კომუნიკაციის პროცესში ამ სახელების გარდა შესაძლებელია განსაზღვრული იყოს უკვე ცნობილი, ადრე მოხსენიებული სახელი. ე. ი. განსაზღვრულობის კატეგორიის საზღვრები კომუნიკაციის პროცესში ფართოვდება და ამ პირობებში კი ნებისმიერი სახელი შეიძლება იყოს განსაზღვრულიც და განუსაზღვრელიც. ენებში, სადაც განსაზღვრულობის გრამატიკული კატეგორია გამოიყოფა, გვაქვს განსაზღვრულობის მაჩვენებელი სპეციალური ელემენტი ე. წ. არტიკლი (член, ნაწევარი). ერთადერთი, თავისთავად განსაზღვრული სახელები ყოველთვის წარმოდგენილია განსაზღვრულობის ნიშნით. ამ კატეგორიის მარკირებულობის მიხედვით ენობრივი სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაძლებელია, მარკირებული იყოს განსაზღვრული ~ განუსაზღვრელი ოპოზიციის: 1. ორივე წევრი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, სპარსული, სომხური, აბაზური, არაბული...); 2. მხოლოდ პირველი წევრი (ბერძნული, ხურიტული, ურარტული, ძვ. ებრაული, არამეული...); 3. მხოლოდ მეორე წევრი (ჩინური).

ბევრ ენაში განსაზღვრულობის კატეგორია იკვეთება სქესის კატეგორიას-

თან და წარმოდგენილია ფლექსიური (სქესისა და განსაზღვრულობის) ტიპის ნიშანი (ბერძნული, გერმანული, ფრანგული...)¹⁵.

ენებში, სადაც განსაზღვრულობის კატეგორია გამოიყოფა, თავისთავად ხდება საზოგადო ~ საკუთარ სახელთა გრამატიკული დაპირისპირება: საკუთარი სახელებისათვის ჭარბია განსაზღვრულობის კატეგორია და მათთან ყველა განხილულ ენაში გვაქვს  $\bar{\theta}$  არტიკლი. გარდა ამისა, ზოგიერთ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ხდება ანსტრაქტული, ნივთიერებადი სახელების გამოყოფაც — ამ სახელებთანაც  $\bar{\theta}$  არტიკლი გვაქვს; თუნცა ეს არ არის აუცილებელი და, როგორც ჩანს, ენობრივი კოლექტივის სპეციფიკური აზროვნებითაა განპირობებული, მაგალითად, არაბულში, ბერძნულში, აბაზურში — ანსტრაქტულ, ნივთიერებად სახელებთანაც ვხვდებით განსაზღვრულ არტიკლს.

ყველა ზემოგანხილული გრამატიკული კატეგორია წარმოდგენს სახელის ერთგვარ თავისთავად მახასიათებელს — სახელი კომუნიკაციის პროცესისაგან დამოუკიდებლად შესაძლებელია ფლობდეს ამ კატეგორიებს, ამიტომ ვუწოდოთ მათ: I. სახელის თავისთავადი კატეგორიები. მათგან განსხვავებით, სილამისეულ დონეზე გამოიყოფა კატეგორიების II. ჭგუფიც: კომუნიკაციაში სახელის როლის მიხედვით განსხვავებული კატეგორიები¹⁶.

მაგალითად, კომუნიკაციისას მოლაპარაკე პირი ერთმანეთისაგან განასხვავებს კომუნიკაციის პროცესში მონაწილე ~ არამონაწილე პირებს. კომუნიკაციის პროცესში მონაწილე პირებია: თვით მოლაპარაკე (I პირი) და ის, ვისაც ის ელაპარაკება (II პირი); ყველა დანარჩენი სახელი არის კომუნიკაციის პროცესში არამონაწილე — არაპირი. სახელების ასეთი დანაწევრება პირის მიხედვით უნივერსალურია ყოველი ენისათვის¹⁷ და ის, როგორც წესი, აუცილებლად გადმოიცემა ლექსიკურ დონეზე მაინც ნაცვალსახელების დაპირისპირებით¹⁸. რიცხვისა და სქესის მიხედვით ნაცვალსახელებს შორის სხვადასხვაგვარი დაპირისპირებები არსებობს სხვადასხვა ენაში¹⁹. კორელაცია პირი (I/II) ~ არაპირი (III) ყველგანაა წარმოდგენილი და მის არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ III პირის ნაცვალსახელების არ არსებობა — თითქმის ყველა ენაში III პირის ნაცვალსახელი მომდინარეობს ჩვენებითი ელემენტებისაგან²⁰.

დაპირისპირება პირი ~ არაპირი შესაძლებელია მორფოლოგიურ დონეზეც იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, ქართულში ამ კორელაციის მორფოლოგიურ-სინტაქსური საბუთებია:

1. I/II პირი უშუალოდ მართავს ზმნას პირში პრეფიქსებით, III პირი კი სხვა კატეგორიებთან კვეთის შედეგად სუფიქსებით;

2. I/II პირი ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში, III პირი კი პირობითად: თუ ის არის a) [+ სულიერი], b) [+ თემა].

ენათა უმრავლესობაში პირის კატეგორიის შიგნით გამოყოფილი ბინალური დაპირისპირებები:

პირი ~ არაპირი (III)



გადაიზარება სამწევროვან დაპირისპირებად: I ~ II ~ III, სადაც ყოველი წევრი მარკირებულია ზმნაში ე. წ. პირის ნიშნებით. ასეთი ენებია: არაბული, არამეული, ებრაული, აქადური, უგარიტული, ელამური, შუმერული, თურქული, რუსული, ლათინური, ბერძნული, გერმანული... — ყველა ის ენა, სადაც კი უღლების (პიროვნის) კატეგორია გამოიყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ პირი უნივერსალური ლექსიკური კატეგორიაა<sup>21</sup>, როგორც გრამატიკული კატეგორია ის შეიძლება არ გამოიყოს მთელ რიგ ენებში: ჩინური, იაპონური, დაღესტნისა და საზოგადოდ ყველა ის ენა, სადაც ზმნის პიროვანი უღვლილება არ გამოიყოფა.

ამგვარად, პირის უნივერსალურ-ლოგიკური კატეგორია ენებში ძირითადად რეალიზებულია როგორც სინტაქსურ (ზმნებთან შეთანხმებით) — მორფოლოგიური (ზმნის ფორმაში წარმოდგენილი პირის შესაბამისი განსაზღვრული მორფოლოგიური ელემენტით) კატეგორია<sup>22</sup>.

ზემოთ განხილული პირიანობის კატეგორიის გარდა II ტიპის კატეგორიათაგან უნდა გამოვეყოთ სუბიექტურობა/ობიექტურობის უნივერსალური კატეგორია<sup>23</sup>.

კომუნიკაციის პროცესში ხდება ობიექტური სიტუაციების შესაბამისა გამონათქვამების გაცეცა-გამოცეცა. ნებისმიერი სიტუაციის შემადგენელი ელემენტებია<sup>24</sup> სახელები და ზმნა. ზმნის სპეციფიკური მნიშვნელობის შესაბამისად სახელები ნაწილდება გარკვეული როლების მიხედვით<sup>25</sup>. მაგალითად, ერთადგილიან<sup>26</sup> ზმნასთან დაკავშირებულია მოქმედი სახელი, რომელიც ზმნის მიერ გადმოცემული მოქმედების მიხედვით შეიძლება იყოს აქტიური (Agens) (მაგალითად, ის ცხოვრობს), ან არაქტიური (Paciens) (მაგალითად, ის გლია). ორადგილიან ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან ერთ-ერთი სახელი არის Ag ან P, ხოლო მეორე აუცილებლად იქნება P ან Ad. აქ შესაძლებელია შემდეგი კომბინაციები: Ag P (აშენებს); PP (თეორიულად გამორიცხულია)<sup>27</sup>; Ag Ad (პატრონობს); PA (უგლია);

სამადგილიან ზმნასთან, როგორც წესი სახელები ნაწილდება შემდეგნაირად: Ag—P—Ad<sup>28</sup>.

საგანთა ეს დანაწილება როლების მიხედვით ხდება საგანთა ლოგიკის შესაბამისად<sup>29</sup>. მაგალითად, თუ სიტუაციის შემადგენელი ელემენტებია: „ცხენი“ — „კაცი“ — „შეკაზმვა“, მაშინ საგანთა ლოგიკის შესაბამისად სახელები განაწილდება შემდეგნაირად: კაცი (Ag)—შეკაზმვა (V)—ცხენი (P)—(კაცმა შეკაზმა ცხენი).

სახელთა როლების აღმნიშვნელი ეს ცნებები Ag—P—Ad სიღრმისეული ცნებებია<sup>30</sup>. მათი გრამატიკულ დონეზე რეპრეზენტაციისას ვლდებულობთ: სუბიექტს (S) ~ პირ. ობიექტს (პO) ~ ირ. ობიექტს (ირO); ანუ Ag (P) არის სიღრმისეული სუბიექტი (ობიექტი), ხოლო თვით სუბიექტ-ობიექტი კი ზედაპირული ცნებებია. ეს განსხვავება აღნიშნული ცნებებისა აუცილებელია, რადგან სიღრმიდან ზედაპირზე გადასვლისას პირდაპირი შესაბამისობები (Ag-S, P-O) შეიძლება დაირღვეს.<sup>31</sup> ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ კიდევ ერთი ლოგიკურ-სიღრმისეული კატეგორია: თემა/რემა<sup>32</sup>.

კომუნიკაციის პროცესში მოლაპარაკის მიერ კონკრეტული ობიექტური სიტუაცია შეიძლება გადმოცემულ იქნეს სხვადასხვა სახელის პოზიციიდან.

მაგალითად, სიტუაცია, რომლის ელემენტებია: „კაცი“ — „ცხენი“ — „შეკაზმვა“ — შეიძლება მოლაპარაკის მიერ წარმოდგენილ იქნეს: 1. „კაცი“ — ს. (Ag) პოზიციიდან: „კაცმა შეკაზმა ცხენი“. ე. ი. აქ გამონათქვამის თემა (ის, რაზეც ლაპარაკობენ) არის „კაცი“; 2. „ცხენი“ — ს. (P) პოზიციიდან: „ცხენი შეიკაზმა კაცის მიერ“. ამ შემთხვევაში გამონათქვამის თემა არის „ცხენი“.

თემობის ლოგიკური კატეგორია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს გრამატიკულ დონეზე და შედეგად ვლენულობთ: ქვემდებარე — დამატებას. (ე. ი. თემა არის სიღრმისეული ქვემდებარე, რემა კი სიღრმისეული დამატება)<sup>33</sup>. ნებისმიერი სიტუაციისათვის შესაძლებელია გამოიყოს მხოლოდ ერთი თემა და რემათა ნებისმიერი რაოდენობა<sup>34</sup>.

განვიხილოთ, ამ სიღრმისეულ კატეგორიათა მარკირებულობის რა შესაძლებლობები არსებობს კონკრეტულ ენებში.

Ag-P-Ad ცნებების შესაბამისი გრამატიკული S/O-ს წარმოდგენა მორფოლოგიურ დონეზე საკმაოდ იშვიათია; ჩვენ მიერ განხილულ ენათაგან მხოლოდ ჩინურში შეიძლება ვივარაუდოთ, სადაც სუბიექტი ყოველთვის ერთსა და იმავე პოზიციაში, ერთი და იმავე ფორმით გვევლინება<sup>35</sup>. მაგალითად<sup>36</sup>:

Та кань чжунго бао — он читает китайские газеты; აქ Та არის [+S, +თემა].

Та каньшы шы чжунго бао — им читаемое есть китайские газеты; აქ კი [+S, —თემა].

რაც შეეხება S/O ცნებების განსხვავებას სინტაქსის დონეზე — ეს უნივერსალური ფაქტი უნდა იყოს, რადგან ნებისმიერ ენაში თავიზაცია<sup>37</sup> იწვევს მხოლოდ სუბიექტი.

უფრო მეტადაა გავრცელებული ენებში თემობის გრამატიკალიზაცია, რაც შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს: A. მორფოლოგიურ დონეზე

#### 1. სახელების განსაზღვრული ფორმით:

a) თემა საწყისის პოზიციაში, რემა — არა (ინგლისური, იაპონური, რუსულის ზოგიერთი „мать любит дочь“ — ტიპის კონსტრუქცია...);

b) თემა პირდაპირ ბრუნვაში, რემა — ირიბში (სპარსული, ურდუ...).

c) თემა ნომინატივში, რემები — დატივ-აკუსატივში (რუსული, ლათინური, ბერძნული, არაბული, არამეული, ძვ. ებრაული, თურქული, სომხური, ჭეთური, უგარიტული...);

d) თემა ერგატივში, რემები — ნომინატივ-დატივში (ქართული, სვანური, ზეგრულ/ვანური...);

e) თემა დატივში, რემა-ნომინატივში (ყველა ენაში, სადაც კი ეს მოდელი არსებობს, მას მიჰყვება მხოლოდ გრძნობა-აქქმას ზმნები).

ყველა ეს მოდელი შეიძლება თანაარსებობდეს ენაში და შემოფარგლული იყოს გარკვეული სტილისტური (ნომინატივში მდგარი თემის საწყისი პოზიციით შემოფარგვლა გრამატიკული მარკირებულობის თვალსაზრისით ჭარბია და მხოლოდ სტილისტური მიზეზებით აიხსნება: ლენდი, ურდუ, არამეული, ხურიტული...); გრამატიკული (ნომინატივ-ერგატივის მოდულები ნაწილდება დრო-კილოს (ზეგრულ/ვანური...), დრო-კილოსა და გარდამავლობის (ქართული, სვანური, ლენდი...), გარდამავლობისა და ასპექტის (შუმერული, ან სხვა კატეგორიების მიხედვით), ან სემანტიკური (დატივიანი მოდელი) სფეროებით.

2. ზმნების განსაზღვრული ფორმით<sup>38</sup>. აქაც სხვადასხვა შემთხვევებია შესაძლებელი<sup>39</sup>: ზმნაში წარმოდგენილია — a) მხოლოდ თემის ნიშანი<sup>40</sup> (რუსული, ბერძნული, ლათინური, გერმანული, არაბული, ძვ. ებრაული, ფრანგული, აქადური...); b) თემისა და ერთ-ერთი (= პირდაპირი O) რემის ნიშანი (ქართული, შუმერული, უნგრული, პაპუასური, ელამური, ხურიტული (არის [—თემა] ნიშანი...); c) თემისა და ყველა რემის ნიშანი (აფხაზური...);

**B. სინტაქსურ დონეზე:** ენათა უმრავლესობაში თემობის გრამატიკული კატეგორიის გამოყოფისათვის, მორფოლოგიური საბუთის გარდა, არსებობს სინტაქსური საბუთიც: თემა ითანხმებს ზმნას რიცხვში, რემა — ვერა (მაგ., ქართული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური, არაბული, აქადური...).

თუმცა თემობის კატეგორია საკმაოდ გავრცელებულია ენათა შორის, ის მაინც არ არის უნივერსალური გრამატიკული კატეგორია. ტიპურ ერგატიულ Ag ( $\neq$  P) — ტიპის ენებში<sup>41</sup> თემობის კატეგორია გრამატიკულ დონეზე არაა წარმოდგენილი. მის სანაცვლოდ ამ ენებში მორფოლოგიურ-სინტაქსურ დონეზე აისახება ზმნისა და სახელის სემანტიკური შეთანხმებულობა<sup>42</sup>. საზოგადოდ, ლოგიკურ დონეზე სემანტიკური შეთანხმებულობა ზმნასა და სახელებს შორის წარმოდგენილია შემდეგნაირად: ერთადგილიან ზმნასთან დაკავშირებული სახელი ყოველთვის ითანხმებს ზმნას სემანტიკურად: ჩიტი მიფრინავს, გველი მისრიალებს, თევზი ცურავს... ორადგილიან ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან კი მხოლოდ მეორე სახელი (არამოქმედი) ითანხმებს ზმნას სემანტიკურად: სახლის აგება, სურათის დახატვა, წერილის დაწერა... ე. ი. სემანტიკური შეთანხმებულობის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება სახელი, რომელიც ითანხმებს (გარდაუვალის Ag და P, გარდამავალის P) და რომელიც ვერ ითანხმებს (გარდამავალის Ag) ზმნას სემანტიკურად. ტიპურ ერგატიულ ენებში ეს ფაქტი აისახება გრამატიკულ დონეზეც: ზმნასთან სემანტიკურად შეთანხმებული ყველა სახელი წარმოდგენილია გარკვეული ბრუნვის ფორმით — ყველა ნომინატივით (პირდაპირი ბრუნვა), ხოლო არაშეთანხმებული კი სპეციფიკური ბრუნვით — ერგატივით (ირიბი ბრუნვა). ასეთი ენებია: აფხაზური, შუშერული, ბავალური, უდიური...

თემობისა და სემანტიკური შეთანხმებულობის გრამატიკული კატეგორიები ურთიერთგამომრიცხავია: იქ, სადაც თემობის გრამატიკული კატეგორია გამოიყოფა, არა გვაქვს სემანტიკური შეთანხმებულობის გრამატიკალიზაცია და პირიქით. ეს კატეგორიები შესაძლებელია ერთმანეთს შეენაცვლოს დროთა სისტემებში (მაგ., ლენდი, ქართული, სვანური, მეგრულ-ქანური...).

განხილული კატეგორიების<sup>43</sup> გარდა ენათა უფრო დიდი სიმრავლის განხილვის შედეგად შესაძლებელია აღმოჩნდეს კიდევ სხვა ლოგიკურ-გრამატიკული კატეგორიები, რაც გამოიწვევს სახელების სიღრმისეული კატეგორიების სიის გაერკობასა და დაზუსტებას.

ზემოთ განხილული კატეგორიები, რამდენადაც ისინი სიღრმისეულია, აუცილებლად აისახება ნებისმიერი ენის ლექსიკურ დონეზე მაინც. რაც შეეხება მათ გრამატიკალიზაციას (ამ სიღრმისეული კატეგორიების გრამატიკულ დონეზე წარმოდგენას), ეს პროცესები სპეციფიკურია და სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს სხვადასხვა ენაში, რაც შესაბამისად ყოველი ენისათვის განსხვავებული, უნიკალური ტრანსფორმაციებით შეიძლება აღიწეროს.

მაგალითად, თანამედროვე ქართული ენისათვის აღნიშნული პროცესები აღიწერება შემდეგი ტრანსფორმაციებით: რიცხვის ტრანსფორმაცია ( $T_{num}$ ), ზმნური მართვის ტრანსფორმაცია ( $T_r$ ) და პირის ტრანსფორმაცია ( $P_{pers}$ ).

განვიხილოთ ეს ტრანსფორმაციები, შესაბამისი მორფო-ფონემური წესე-

ბი და ვნახოთ სახელის რომელი გრამატიკული კატეგორიები გამოიყოფა ქართულში.

I.  $T^{num}$ . უნივერსალურად რიცხვის ტრანსფორმაციის არსი შემდეგში მდგომარეობს: (1)  $TN^{num} \rightarrow TV^{num}$ —სახელის (N) რიცხვი განსაზღვრავს ზმნის (V) რიცხვს. (2)  $num \rightarrow sing$  ან  $\neg sing$ , სადაც  $\neg sing = plural$  (მრავლობითი, ორობითი, სამობითი...).

ქართული ენისათვის, იმისდა მიხედვით (2) წესიდან რომელი გამოსავალი აირჩევა:  $sing$  თუ  $\neg sing$ <sup>44</sup>, ვლებულობთ სახელისა და ზმნის ფორმათა გარკვეულ ცვლილებებს, რაც შემდეგნაირად შეიძლება აღიწეროს: თუ ( $num \rightarrow sing$ ), მაშინ არავითარი ცვლილებები არა გვაქვს არც ზმნაში და არც სახელში; ხოლო თუ ( $num \rightarrow \neg sing$ ) მაშინ ( $N \rightarrow N+Pl$ ): ეს კი (1) უნივერსალური კანონზომიერების თანახმად იწვევს ზმნის ფორმის შესაბამის ცვლასაც:

$$(a) V \xrightarrow{T^{num}} V+P \quad \left\{ \begin{array}{l} N_1I+Pl \\ N_2II+Pl \end{array} \right.$$

$$(b) V \xrightarrow{T^{num}} \left\{ \begin{array}{l} V+P/N_1III+Pl \text{ და } N_1 [+სულეირი]^{45} \\ V/N_{2-3}III+Pl \text{ ან } N_1 [-სულეირი] \end{array} \right\}$$

როგორც ამ წესებიდან ჩანს, ქართულში  $NI/NII$  (I—II პირის სახელი) ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში, არის ის  $N_1$ ,  $N_2$ , თუ  $N_3$  ( $N_1$ -თემა,  $N_{2-3}$ -რემა); ხოლო  $NIII$  (მესამე პირის სახელი) პირობითად: (a)  $N$  უნდა იყოს თემა ( $N_1$ ); (b)  $N$  უნდა იყოს სულიერი ( $N [+სულიერი]$ ).

II.  $T^{pers}$ . უნივერსალურად პირის ტრანსფორმაცია განისაზღვრება წესით:  $V \rightarrow V+P_1, P_2, P_3, \dots$ , სადაც  $P_1$  არის ზმნასთან დაკავშირებული  $N_1$ -სახელის მარკერი, განსხვავებული ამ სახელის პირის შესაბამისად: ყოველი  $N_1$  შეიძლება იყოს I, II ან III პირის სახელი. ქართულში ეს ტრანსფორმაცია იღებს ასეთ სახეს:

$$V \rightarrow V + \left\{ \begin{array}{l} I/N_2I, \text{ ან } (N_1I \wedge N_2III), \text{ ან } [N_1I \wedge (V \div Z)] \\ II/N_2II, \text{ ან } (N_2II \wedge N_2III), \text{ ან } [N_2II \wedge (V+Z)] \\ III/N_1 III \end{array} \right.$$

საიდანაც გამომდინარეობს: 1. ქართული ზმნის ფორმა შეიძლება იყოს მაქსიმუმ ორპირიანი—ე. ი. ზმნაში აღინიშნება  $P_1$  (თემა) და  $P_2$  ან  $P_3$  (ერთ-ერთი რემა) (სამადგილიანი ზმნის  $N_3 = Paciens$  ზმნაში აღნიშნული არაა); 2. I-II პირის ერთდროული ასახვა ზმნაში გამორიცხულია — (ერთ-ერთი ყოველთვის მოცემულია თავიზაციით)<sup>46</sup>; 3. ( $V+Z$ )—ეს არის ზმნა ე. წ. III სერის ფორმით<sup>47</sup>, მასთან კი ყოველთვის აღინიშნება პირველი (მეორე) პირის თემა.

III.  $T^{tense}$ .  $T^{tense}$ —უნივერსალურად არის დროის ტრანსფორმაცია<sup>48</sup> (თითქმის ყველა ენაში გამოიყოფა დროთა განსხვავებული სისტემები), რომლის განსაზღვრა ზოგადად შეიძლება შემდეგნაირად:  $V \rightarrow V+t$ , სადაც  $t$  არის გარკვეული დროის მარკერი.

ქართულში  $T^{tense}$  ტრანსფორმაცია დამატებით ასახავს ზმნის მიერ სახელის მართვის ფაქტს და შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:



1.  $T^{tense}$  არის სამი სახის:  $T_x, T_y, T_z$ ;
2.  $T_x$  ასახავს იმ სინტაქსურ ურთიერთობებს, რომელიც წარმოიქმნება სახელებსა და ზმნას შორის I სერიაში<sup>49</sup>;
3.  $T_y$  ასახავს II სერიაში არსებულ ურთიერთობებს;
4.  $T_z$ —III სერიაში;
5.  $T^{tense}$ -ის შესაბამისად სახელებისა და ზმნის ფორმა იცვლება შემდეგნაირად: ზოგადად,  $V, N_1, N_2, N_3 \rightarrow T^{tense} (V+t), (N_1+case)$ ;

$$V, N_1, N_2, N_3 \xrightarrow{x} T^{t50} \left\{ \begin{array}{l} \{(V+x), (N_1+t)\}/V1 a; \text{ მაგ., კაცი დგას, ცხოვრობს...} \\ \{(V+x), (N_2+t)\}/V1 b; \text{—მაგ., კაცს ძინავს, აცეხს,} \\ \text{ემღერება...} \\ \{(V+x), (N_1+t), (N_2+t)\}/V2a; \text{ მაგ., კაცი წერს წერი-} \\ \text{ლს, კაცი ემალება ბავშვს...} \\ \{(V+x), (N_1+t), (N_2+t)\}/V2b; \text{ მაგ., კაცს უყვარს ბავშვი...} \\ \{(V+x), (N_1+t), (N_2+t), (N_3+t)\}/V3; \text{ მაგ., კაცი აძლევს} \\ \text{ბავშვს წიგნს...} \end{array} \right.$$

$$T_t \xrightarrow{y} \left\{ \begin{array}{l} \{(V+y), (N_1+t)\}/V1 \times a; \text{—მაგ., კაცი გაიქცა, კაცი დაწვია...} \\ \{(V+y), (N_1+t)\}/V1 \times b; \text{—მაგ., კაცმა იცხოვრა...} \\ \{(V+y), (N_1+t)\}/V1 \times c; \text{—მაგ., კაცს დაეძინა...} \\ \{(V+y), (N_1+t), (N_2+t)\}/V_2 \times a; \text{—მაგ., კაცმა დახატა სურათი...} \\ \{(V+y), (N_1+t), (N_2+t)\}/V2 \times b; \text{—მაგ., კაცი დაეძალა ბავშვს...} \\ \{(V+y), (N_1+t), (N_2+t)\}/V2 \times c; \text{—მაგ., კაცს შეუყვარდა ბავშვი...} \\ \{(V+y), (N_1+t), (N_2+t)\}/V2 \times d; \text{—მაგ., კაცმა აყოცა ბავშვს...} \\ \{(V+y), (N_1+t), (N_2+t), (N_3+t)\}/V3 \times a; \text{—მაგ., კაცმა კაცს აუშენა} \\ \text{სახლი...} \end{array} \right.$$

$$T_t \xrightarrow{z} \left\{ \begin{array}{l} \{(V+z), (N_1+t)\}/V1 \times ya; \text{—მაგ., კაცი დამალულა...} \\ \{(V+z), (N_1+t)\}/K1 \times yb; \text{—მაგ., კაცს უცხოვრია...} \\ \{(V+z), (N_1+t), (N_2+t)\}/V2 \times ya; \text{—მაგ., კაცს აუშენებია სახლი, კაცს} \\ \text{ჰყვარებია გოგო...} \\ \{(V+z), (N_1+t), (N_2+t), (N_3+t)\}/V2 \times yb; \text{—მაგ., კაცს უკონცია გოგოსთვის...} \\ \{(V+z), (N_1+t), (N_2+t), (N_3+t)\}/V3 \text{—მაგ., კაცს აუშენებია სახლი} \\ \text{ბავშვისათვის...} \end{array} \right.$$

$T^{tense}$  ტრანსფორმაციამ გამოიწვია ზმნური ინდექსების წარმოქმნა: ქართულში, ყოველი ზმნა ლექსიკონში წარმოდგენილ უნდა იქნეს გარკვეული ინდექსით:  $VAXYZ$ , სადაც  $A$  გვიჩვენებს ზმნის ადგილიანობას<sup>51</sup>;  $X$ —რა ურთიერთობებია ზმნასა და სახელებს შორის I სერიაში;  $Y$ —II სერიაში;  $Z$ —III სერიაში.

აღნიშნული ტრანსფორმაციების შემდეგ მოქმედებს გარკვეული მორფო-ფონემური წესები, რის შედეგადაც ვიღებთ ენაში რეალურად დადასტურებულ ფორმებს. ეს მორფო-ფონემური წესებია:

(1)  $(N + pl) + case \rightarrow^{52} \left\{ \begin{array}{l} (N' - ებ^{52}) + case, \text{ სადაც } (+case) \text{ განისაზღვრება} \\ \text{I-ტაბულით;} \\ (N - \bar{n}) + case, \text{ სადაც } (+case) \text{ განისაზღვრება II-} \\ \text{ტაბულით;} \end{array} \right.$

I ტაბულა

ფუძე	მარკერი		
	+sing +ი	+sing +მა	+sing +ს
N თანხმოდან- ფუძიანია	N-ი	N-მა	N-ს
N ხმოდანფუძიანი	N	N-მ	

II ტაბულა

ფუძე	მარკერი		
	+ pl +ი	+ pl +მა	+ pl +ს
N	N-ნი	N-თ(ა)	N-თ(ა)

A ტაბულა

A	pers.	კონტექსტი	
		(Ni + ს) ან {(N+ი), (N+მა)}	დანარჩენი
(V + I) + pers.	I	მ-V	ვ-V
	II	გ-V	Ø-V <sup>54</sup>
	I + pl	გვ-V	ვ-V-თ
	II + pl	(V + II) + თ	

დამატებითი წესი:  
 $მ + (\bar{n} - V) \rightarrow \text{მი} - V$   
 $გ + (\bar{n} - V) \rightarrow \text{გი} - V$

B ტაბულა

$(V + III) \rightarrow V \left\{ \begin{array}{l} (NIII + ს); \\ (NIII + ი) \wedge (N + მა); \end{array} \right.$   
 $[V + [III + pl]] \rightarrow V - \text{თ} / N \text{ III} + pl + ს$   
 $[V + x_3, y_3, z_3] + III] \rightarrow (V + x_3, y_3, z_3) - ს.$

სხვა შემთხვევებში (V + III) კარგავს თავის მკაცრად აგლუტინაციურ ხასიათს და ფორმდება x, y, z ელემენტებთან ერთად ფლექსიურად.

აღნიშნული ტრანსფორმაციული და მორფო-ფონემური წესებიდან გამომდინარე ქართულში გრამატიკულ ღონეზე გამოიყოფა შემდეგი კატეგორიები:

1. პირის სინტაქსურ-მორფოლოგიური კატეგორია; (I/II მარკირებულია ~ III არამარკირებული); (იხ.  $T_{pers}$  და A—B ტაბულები).

2. სულიერობის სინტაქსური კატეგორია (იხ.  $T_{num}$ ).

3. თემა/რემობის სინტაქსურ-მორფოლოგიური კატეგორია (იხ.  $T_{num}$ ,  $T_{tense}$  ტრანსფორმაციები).

4. სუბიექტურობა-ობიექტურობის სინტაქსურ-მორფოლოგიური კატეგორია.

ეს კატეგორია ქართულში გამოიხატება თემობის კატეგორიასთან თანაკეთაში:

1.  $\left[ \begin{array}{c} +\text{თემა} \\ +S \end{array} \right]$  — გამოხატულია {მა~ი-ს} ალომორფებით სახელში;
2.  $\left[ \begin{array}{c} +\text{თემა} \\ -S \end{array} \right]$  — {ი~ს};
3.  $\left[ \begin{array}{c} -\text{თემა} \\ +S \end{array} \right]$  არასინტაქსური<sup>55</sup> ბრუნვის ფორმებით;
4.  $\left[ \begin{array}{c} -\text{თემა} \\ -S \end{array} \right]$  — {ი~ს}; ე. ი. ფორმალური თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდება:  
 $\left[ \begin{array}{c} +\text{თემა} \\ +S \end{array} \right]$  ~  $[-S]$ . ( $[-S]$ -ისთვის კარბია თემობის კატეგორია და  
 $\left[ \begin{array}{c} +\text{თემა} \\ -S \end{array} \right]$  და  $\left[ \begin{array}{c} -\text{თემა} \\ -S \end{array} \right]$  ერთნაირად არის გამოხატული სახელში {ი~ს} ალომორფების სახით).

5. მთავარი-არამთავარი<sup>56</sup> წევრობის სინტაქსურ მორფოლოგიური კატეგორია.

განხილული კატეგორიები ქართლისათვის შემდეგ იერარქიულ დაპირისპირებას გვიჩვენებენ: I. რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით:

ა) პირის კატეგორია სჯობნის ფუნქციის (თემა-რემობის, სულიერობის, S/O) კატეგორიას; ბ) I/II პირი > III პირი; გ) თემა > რემა; დ) სულიერი > უსული;

II. პირში შეთანხმების თვალსაზრისით: ა) რემა > თემა; ბ)  $(N+S) > (N+ი) > (N+მა)$ .

### შ ე ნ ი შ ე ნ ე ზ ი

1. სხედასხვა ენათა მონაცემები ამოკრებილია შემდეგი ლიტერატურიდან: Веег G., Meyer R., Hebräische Grammatic, Berlin, 1955; Бертельс Б. Э., Грамматика персидского языка, Л., 1926; Боровский Я. М., Болдырев А. В., Латинский язык, М., 1949; Гранде Б. М., Введение в сравнительное изучение семитских языков, М., 1972; Грау L. H., Introduction to Semitic Comparative Linguistics, — 1934; Гордонишкова С. К., Кибиркштис А. Б., Учебник языка урду, М., 1969; გულაძე ტ., ბავკალური ენა, თბ., 1971; Драгунов Л. А., Исследования по грамматике современного китайского языка, М., 1952; Дьяконов И. М., Языки древней Передней Азии, М., 1967; Заславская П. И., Алямская И. В. и др., Грамматика французского языка, М., 1969; Кизда М., Грамматика японского языка, М., 1959; Ковалев А. А., Шарбатов Г. Ш., Учебник арабского языка, М., 1969; ლეიბვი ი. ა. ექსი, არაბული ენა, თბ., 1977; Леонтьев А. А., Папуасские языки, М., 1974; Липин Л. А., Аккадский язык, М., 1964; Смирнов, Ю. А., Язык лени, М., 1970; Соболевский С. И., Древнегреческий язык, М., 1948; Туманин Э. Г., Древнеармянский язык, М., 1971; Фридрих И., Краткая грамматика хетского языка, М., 1952; წერეთელი კ., თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა, თბ., 1968; ჩიქობავა ა., ცერცვაძე ი., ხუნძური ენა, თბ., 1962; Чуваева В. Г., Практическая грамматика немецкого языка, М., 1976; ქვიციანიანი ი. ლ., უღიერი

ენა, თბ., 1971; შილაკაძე ი., ახალი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1971; Шакрыл К. С., Очерки по абхазско-адыгским языкам, Сухуми, 1971.

<sup>2</sup> და მაინც, სახელი არ არის უნივერსალური გრამატიკული კატეგორია: ინდოელთა ენებში, როგორც ჩანს, სახელსა და ზნის შორის დაპირისპირება არ არის ასახული გრამატიკულ (არც სინტაქსურ და არც მორფოლოგიურ) დონეზე (იხ. ბენეშევიჩი, უორფი, ლინგვისტიკა და ლოგიკა, მიომბილველი, 6—9, თბ., 1972); თუმცა ლექსიკურ დონეზე ამ დაპირისპირების წარმოდგენა უნივერსალური ფაქტია: „ყოველ ენას აქვს განსაკუთრებულად ლექსიკალიზებული სახელები და ზნები“, (Moravcsik E. A., On the Case Marking of Objects, Universals of Human Language, V. 4, Syntax, Stanford, California, 1978, გვ. 251).

<sup>3</sup> Ярцева В. Н., Проблема универсалий и классификация языков, Универсалии и типологические исследования, М., 1974, გვ. 5—10.

<sup>4</sup> თუმცა გრინბერგისაგან განსხვავებით, მაკოლის მიაჩნია, რომ „მხოლოდით“ არამარკირებულობა „მრავლობითთან“ შედარებით უბრალოდ სტატისტიკური უპირატესობის ასახვაა და არა, საზოგადოდ, იმ სისტემისა, რომელზედაც ხალხს უღდება ლაპარაკი, (McCowley G. D., Review of Current Trends in Linguistics, Vol. 3, Theoretical Foundations, Grammar and Meaning, Japan, 1973).

<sup>5</sup> იხ. Гак В. Г., Кузнецов С. Н., Опыт типологического анализа категории числа, Тезисы дискуссии «Типология как раздел языкознания», М., 1976, გვ. 56—58.

<sup>6</sup> Дьяконов И. М., Языки древней Передней Азии, М., 1967, გვ. 59.

<sup>7</sup> საზოგადოდ, ზედაპირული მარკირება რიცხვისა არაა დამამართა (უსულოთა) კლასისთვის, გულისხმობს ზედაპირულ მარკირებას რიცხვისა ადამამართა (სულიერთა) კლასისთვის, (Moravcsik E. A., Agreement, Universals of Human Language, V. 4, Syntax, Stanford, California, 1978, გვ. 253).

<sup>8</sup> საზოგადოდ, თუ სქესის (კლასის) კატეგორია გამოიყოფა სახელებისთვის, მაშინ ის გამოიყოფა ნაცუალსახელებისათვის, მაგრამ არა პირიქით; თუ სქესის (კლასის) მიხედვით განსხვავებულია II (I) პირის ნაც. სახელი, მაშინ ასევე განსხვავებული იქნება III (II) პირის ნაც. სახელი, მაგრამ არა პირიქით. (Greenberg G. H., Some Universals of Grammar with Particular Reference to the Order of Meaningful Elements, Universals of Language, Cambridge, 1963, Un. 43, 44).

<sup>9</sup> ჩვენ მიერ განხილულ ენებში ეს დონე სქესის მიხედვით სახელთა დანაწევრებისა არსად არ არის ასახული გრამატიკულ დონეზე.

<sup>10</sup> ბევრ ენაში (არაბული, აქადური, არამეული, ძე. ებრაული...) სქესის კატეგორია თანაარსებობს პიროვნობის კატეგორიასთან და მაშინ მთელი ობიექტური სინამდვილე იყოფა შემდეგნაირად: სულერი-უსულო-მდედ. -მამრ. / მდედ. -მამრ.

<sup>11</sup> ანტრალიურ მარანუნგკუ ენაში მორფოლოგიურ დონეზე გამოიყოფა სახელთა ოთხი კლასი: 1. ხორცის საკვები (awa მაჩვენებლით); 2. ჭოხი, პალა (yili მაჩვენებლით); 3. ბოსტნეული საკვები (miya მაჩვენებლით); და 4. ყველა დანარჩენი (შე მაჩვენებლით). ამ კლასიფიკაციის სინტაქსური ღირებულება არ გააჩნია, ე. ი. მორფოლოგიურ დონეზე კლასის (სქესის) კატეგორიის გამოყოფა არ გულისხმობს ამ კატეგორიისათვის სინტაქსური საბუთის არსებობას. (Greenberg G. H. How does a Language Acquire Gender Markers? Universals of Human Language, V. 3, Word structure, Stanford, California, 1978).

<sup>12</sup> ეს სუფიქსები ითავსებენ კლასის კატეგორიის მნიშვნელობასაც. მათი საშუალებით გადმოიცემა განზომილების მნიშვნელობის არამქონე კონკრეტული, გარკვეული კლასის სახელები.

<sup>13</sup> მსგავსი ვადასელა ზოგადობიდან განსაზღვრულობისკენ ტიპოლოგიურად უცხო მოვლენა არაა, მაგ., ბანტურ ენებში ბეამბას ზოგადობის სისტემა ზამბაში განსაზღვრულობის სისრულე იქცევა (Givón T., Definiteness and Referentiality, Universals of Human Language, Vol. 4, Syntax, Stanford, California, 1978, გვ. 300).

<sup>14</sup> განსაზღვრულობის კატეგორიის ტიპოლოგიური ანალიზისათვის იხ. Moravcsik E. A., Determination, Working Papers on Language Universals, 1969, №1, November, გვ. 64—99.

<sup>15</sup> სქესისა და განსაზღვრულობის გრამატიკული კატეგორიები დიქციონერულ კავშირში იმყოფებიან: როგორც ფ. გრინბერგი ვარაუდობს, ბევრ ენაში სქესის ნიშნები მომდინარეობს განსაზღვრული არტიკლიდან (Greenberg G. H., How Does...).

<sup>16</sup> შდრ. ნ. ხომსკის მიერ გამოყოფილ ორ ტიპს სახელთა მახასიათებლებისა: Н. Хомский, *Аспекты теории синтаксиса*, МГУ, 1972.

<sup>17</sup> იბ. Э. Бенвенист, *Структура отношений лица в глаголе*, *Общая лингвистика*, М., 1974, გვ. 259—270.

<sup>18</sup> ნაცუალსახელების უნივერსალურობის შესახებ იბ. К. Е. Майтинская, *Местомы и универсалии*, *Универсалии и типологические исследования*, М., 1974, სადაც განხილულია ჰოკეტის, ფორპაიმერის, უსპენსკის, ბენვენისტის, გრინბერგისა და სხვათა მსჯელობები ნაცუალსახელების უნივერსალურობის შესახებ.

<sup>19</sup> იბ. Ingran D., *Typology and Universals of Personal Pronouns*, *Journal of Stanford University*, № 5, 1971.

<sup>20</sup> Бенвенист Э., დასახ. ნაშრომი.

<sup>21</sup> იქვე. მაგრამ ნაცუალსახელების უნივერსალურობა სუსტდება და ქრონოლოგიკული განხილვისას—ნაცუალსახელოვან ელემენტები არა გვაქვს ბავშვების მეტყველებაში, პრიმიტიულ ენებში (მაგ. ამერიკულში) (იბ. Майтинская, დასახ. ნაშრომი).

<sup>22</sup> საზოგადოდ, I ტიპის კატეგორიებისაგან განსხვავებით, სადაც სახელური კატეგორიის შესაბამისი მარკერი ძირითადად სახელისავე ფორმალურ ჩაქვში გამოიყოფა, II ტიპის კატეგორიებთან სპეციფიკური მარკერი ზნის ფორმალურ ჩაქვში დასტურდება.

<sup>23</sup> სტბიქტის და ობიექტის უნივერსალურობის შესახებ იბ.: Я р ц е в а В. Н., *Проблема универсалий и классификация языков*, *Универсалии и типологические исследования*, М., 1974; А л и е в а И. Ф., *Выражение объектных отношений глагола как универсальное свойство языков*, *Языковые универсалии и лингвистическая типология*, М., 1969.

<sup>24</sup> სიტუაციის რაობის შესახებ. იბ. Г а к В. *Высказывание и ситуация*, *Проблемы структурной лингвистики* М., 1972; მ ი ს ი ე ვ ე, *К проблеме синтаксической семантики*, *Инвариантные синтаксические значения и структура предложения*, М., 1969, Х р а к о в с к и й В. С., *Пассивные конструкции*, (*Типология пассивных конструкций*), Л., 1974.

<sup>25</sup> როლების გრამატიკისათვის იბ. Ch. Fillmore, *The Case for Case*, 1968.

<sup>26</sup> ზნის ადგილიანობის განსაზღვრისათვის იბ. რ. ა. ა ს ა თ ი ა ნ ი, *მარტივი წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა*, „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 3.

<sup>27</sup> საზოგადოდ, როლების გამოერება ერთი სიტუაციის ფარგლებში გამორიცხულია.

<sup>28</sup> ნაკლებადაა გავრცელებული ენებში Ag-P-P ან Ag-Ad-Ad ტიპის კომბინაციები.

<sup>29</sup> იბ. С а и ж е е в Г. Д., *Проявление логики вещей в языке*, *Языковые универсалии и лингвистическая типология*, М., 1975.

<sup>30</sup> იბ. Ч е й ф У. Л., *Значение и структура языка*, М., 1975; К у р и л о в и ч Е., *Эргативность и стадияльность в языке*, *Очерки по лингвистике*, М., 1962.

<sup>31</sup> იბ. ხ რ ა კ о ვ ს კ ი ს, გ ა კ ი ს, ფ ი ლ მ ო რ ი ს ა და კ უ რ ი ლ ო ე ი ჩ ი ს დასახ. ნაშრომები.

<sup>32</sup> თემა/რემის განსაზღვრისათვის იბ.: Кацнельсон Д., *О категории субъекта предложения*, *Универсалии и типологические исследования* М., 1974.

<sup>33</sup> ამგვარად, სიღრმისეული ცნებებია—Ag—P—Ad; თემა/რემა

|| || || || || ||

ზედაპირული ცნებებია:—S—პO—ირO; ქველ./დამატ.

<sup>34</sup> როდესაც რემა=O, სიტუაციაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი სახელი (თემა, და ამგვარად თემობის კატეგორია ტარბი გამოდის).

<sup>35</sup> ინგლისურში თემა S-ის ფორმა თემობის ცელის შედეგად არ იცვლება, პოზიცია მაინც ცვალბადა:

The boy reads the book—ბიკი კითხულობს წიგნს;

||  
[+S,+თემა]

The book is read by the boy—წიგნი იკითხება ბიკის მიერ.

||  
[-S,+თემა]

და ე. ი. გრამატიკულ დონეზე განსხვავებულია არა Ag/P (-S/O), არამედ თემა/რემა გარკვეულ პოზიციური შეზღუდვით: თემა ყოველთვის საწყის პოზიციაში.

<sup>26</sup> Драгунов Л. А., Исследования по грамматике современного китайского языка, М., СССР, 1952, გვ. 92—93.

<sup>27</sup> თავიზაციისა და S/O ცნებების სხვა სინტაქსური საბუთების შესახებ იხ. Harris A. C., Grammatical Relations on Modern Georgian, Harvard University, 1976.

<sup>28</sup> თემობის კატეგორია შესაძლებელია მარკირებული იყოს მხოლოდ ზნებში (მაგ. აფხა-ზურში თემისთვის რაიმე სპეციფიკური ბარუნების ფორმა არ გამოიყოფა და ე. ი. თემობის გრ. კატეგორია მხოლოდ ზნის ფორმაშია მარკირებული); ან ზმებზე და სხვებში ერთდროულად.

<sup>29</sup> იხ. რ. ა. ასათიანი, მარტივი წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა...

<sup>30</sup> ნებისმიერ ენაში, სადაც კი თემობის გრამატიკული კატეგორია გამოიყოფა, აუცილებლად მარკირებულია თემა—არსებობს ენა, სადაც მარკირებული იყოს რემა, თემა კი არა.

<sup>31</sup> ტიპური ვრგავილი ენებია, სადაც გარდამავალი ზნის აქტიური მოქმედი პირი (Ag) ფორმალურად უპირისპირდება ეველა სხვა ტ-პის (გარდაეველის Ag და P. გარდამავალის P) სახელს. იხ. სეპირის მიერ გამოყოფილი ენათა ტიპები წიგნში: ch. Fillmore, The Case for Case, 1968, გვ. 21.

<sup>32</sup> იხ. Гах В. Г., К проблеме семантической синтагматики, Проблемы структурной лингвистики, М., 1971.

<sup>33</sup> უკანასკნელ სამ (S/O, თემობის და სემ. შეთანხმებულობის) კატეგორიათაგან ერთ-ერთი შინძ აუცილებლად აისახება ყოველი ენის გრამატიკულ დონეზე—ფუნქციონალურად განსხვავებული პარტიციპანტების განსხვავება ყოველ ენაში აისახება ლექსიკურის გარდა ბევრი სხვა საშუალებითაც: სემანტიკური მარკირებით (ან/და), წრფივი რიგით (ან/და), მხვილით (Moravcsik E. H., On the Case Marking..., გვ. 252).

<sup>34</sup> ყოველ ენაში ეს არჩევანი განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციითა და ამ ენობრივი კოლექტურის სპეციფიკური ცნობიერებით: მრავლის გავება სხვ.დასხვა ენაში რაოდენობიდან იწყება ქართულში  $\neg$ sing იქნება სახელი თუ ის ერთზე მეტია და თუ ის არ არის დათვლილი (არ არის განსაზღვრული რიცხვითი სახელით).

<sup>35</sup> „გწერთ“, „გწერს“—ტიპის არასწორი ფორმების თავიდან ასაცილებლად შემოგვაქვს ორი დამატებითი წესი:  $[(V+I)+(I+pl)] \rightarrow [V+(I+pl)]$ ;  $[\lambda+(I+pl)+(I+pl)] \rightarrow [V+(III+pl)+I]$ .

<sup>36</sup> იხ. Braithwaite, Case Shift and Verb Concord, in Georgian, Dissertation for the degree of doctor of philosophy, Austin, May, 1973; Harris A. C., დასახ. ნაშრომი.

<sup>37</sup> იხ. ქვემოთ Tense ტრანსფორმაცია.

<sup>38</sup> უფრო ზოგადად, Tense არის ტრანსფორმაცია, რომელიც ყოველ ზნის (V) მიუწერს დამხმარე (AUX) ელემენტებს: მოდალობა, დრო, ასპექტი, Ni-ის შეთანხმება... ამ ელემენტთაგან გრამატიკულად უნივერსალურია დრო, ეველა დანარჩენი ენათა მიხედვით სპეციფიკურია. (AUX ელემენტის უნივერსალობის შესახებ. იხ. Steele Susan, 'The Category AUX as a Language Universal, Universals of Human Language, v. 3, Word Structure, Stanford, California, 1978,). სახელის სიღრმისეულ კატეგორიებთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესოა Ni-ის შეთანხმებულობა, რაც თავის მხრივ დროის მოდალობას უკავშირდება და შეიძლება განისაზღვროს ზემოთ მოცემული წესებით.

<sup>39</sup> I სერია—ესაა ზმურ-სახელურ ფორმათა პირველი ჯგუფი, II სერია—II ჯგუფი, III სერია III ჯგუფი. სერიალად (და შემდეგ მწკრივებად) დაყოფა ისეთივეა, როგორც ეს მოცემული აქვს აკ. შ ა ნ ი ძ ე ლ „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (აკ. შ ა ნ ი ძ ე ლ, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973).

<sup>40</sup> T<sub>1</sub> ტრანსფორმაცია იშლება სამ ქვეწესად T<sub>x</sub>, T<sub>y</sub>, T<sub>z</sub>, რომელთაგან მხოლოდ ერთ-ერთია აუცილებელი. არჩევანი ქვეწესისა ფაქტიურად თავისუფალია. (კომპენიაციის პროცესში ეს არჩევანი კონკრეტული სიტუაციით განისაზღვრება).

<sup>41</sup> ადგილიანობის განსაზღვრისათვის იხ. რ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი.

<sup>42</sup> აქ N<sup>1</sup> აღნიშნავს რედუცირებულ ფუძეს: N (ბალა)~N<sup>1</sup> (ბლ-); N (დელა)~N<sup>1</sup> (დელ-).

<sup>83</sup> ...ე+ებ>ეებ; მაგ., ხე-ებ>ხეებ, და არა ჩენი წესით მოსალოდნელი ხებ.

<sup>84</sup> ჩვენ II პირის ნიშნად ვირჩევთ მ ალომორფს და უკუეაგდებთ მ, ს ალომორფებს, რადგან: „პ-და ს თანამედროვე ქართულში არ იხმარება“ (ანტ. კ ი ბ ი რ ი ა, ქართული ენა, თბ. 1966, გვ. 61); ან „თითქმის არ იხმარება“ (ა. ლ. ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, სინტაქსური დამოკლებულების სახეები ქართულში, ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტ. შრომები, ტ. 18, 1965); ან „შენ აღნიშნულია (ერთპირიან) ზნაში პორტენციურად (ხედავ)“ (არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, რა თავიებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, ახალი სკოლისაკენ“, 1928, № 3) აგრეთვე ა. დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1974, გვ. 265.

<sup>85</sup> სინტაქსური ბრუნვებია Ttense ტრანსფორმაციით აღწერილი ბრუნვები. ბრუნვათა დაყოფის შესახებ სინტაქსურ-სემანტიკურ ბრუნვებად იხ.: Курилов И. Е., Проблема классификации падежей, დასახ. ნაშრომი; Есперсен О., Философия грамматики, М., 1958; Aronson H. G., Towards a Formal Analysis of the Georgian Declension, 1973.

<sup>86</sup> A ტაბულის განხილვის შედეგად ვლდებულობთ პირის ნიშანთა ორ რიგს: მ—ვ. ტრადიციულად ამ ნიშნებს მიჩნევენ შესაბამისად O/S მარკერებად, რაც არ უნდა იყოს მართალი, რადგან მ ხშირად გამოხატავს მოქმედს (S), ვ კი არა მოქმედს (O), (იხ. ალ. ო ნ ი ა ნ ი, ქართულურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 26—39).

განწილება ამ პირის ნიშნებისა ასეთია: ნებისმიერი სახელი ვაფორმებული როგორც (1) (N+L) ზნაში იჩენს მანის რიგის ნიშნებს; (2) (N+მა)—ვინის რიგის ნიშნებს; (3) (N+ი)—იქცევა ხან (N+ს), ხან (N+მა)-ს მსგავსად: ა) (N+ი) აჩენს მანის რიგის ნიშნებს, თუ მასთან ერთად ზნასთან ურთიერთობაშია (N+მა); ბ) (N+ი) ზნაში აჩენს ვინის რიგის ნიშნებს, თუ მასთან ერთად ზნასთან ურთიერთობაშია (N+ს); ც) (N+ი) არ აჩენს არავითარ ნიშანს, თუ მასთან ერთად ზნასთან ურთიერთობაშია ორივე—(N+მა) და (N+ს).

ვ. ი. (ა). ნებისმიერი ზნის ფორმაში აუცილებლად არის წარმოდგენილი ერთი მაინც ვინის რიგის ნიშანი (იხ. ალ. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი) (მანის რიგის ნიშნები ამ თვალსაზრისით აუცილებელი არაა); (ბ). ვინის რიგის ნიშნების გაჩენის თვალსაზრისით გვაქვს შემდეგი იერარქიული დაპირისპირება: (N+მა) > (N+ი) > (N+ს).

აღნიშნული (ა) პირობა და (ბ) იერარქია საფუძველს იძლევა ახალი გრამატიკული კატეგორიის გამოყოფისათვის. ვუწოდოთ ამ კატეგორიას კომუნეიკაციისათვის მთავარი წევრობის კატეგორია, რომლის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება: მთავარი სახელი, რომელსაც კომუნეიკაციის პროცესში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება (სემანტიკურად ასეთია: 1. აქტიური ზნის Ag; 2. პასიური ზნის P; 3. პერფექტულ-რეზულტატური დროების P; 4. „მიყვარს“ ტიპის ზნათა P); და რომელიც ფორმალურად აისახება: (1) ზნაში ვინის რიგის ნიშნებით; (2) სახელში (ბ) იერარქიის მაღალ დონის წევრით; და არამთავარი სახელი, რომელიც კომუნეიკაციისათვის არაძირითად წევრად მიიჩნევა (ასეთია: 1. აქტიური ზნის P; 2. პასიური ზნის Ad; 3. პერფექტულ-რეზულტატური დროების Ag; 4. „მიყვარს“ ტიპის ზნათა Ad); და ფორმალურად აისახება: (1) ზნაში მანის რიგის ნიშნებით; (2) სახელში (ბ) იერარქიის დაბალი დონის წევრით (შდრ. საუკლებულო-არასაუკლებულო პირს (ალ. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40—46). ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინს: მთავარი-არამთავარი, რადუნდაც აქ მოცემული პირების სემანტიკური განსხვავებულობა აისახება და გრამატიკული კატეგორიის გამოყოფისათვის კი, რომელიც თავის მხრივ უნივერსალური კატეგორიის გრამატიკალიზაციის შედეგია, ძირითადი სემანტიკური ნიშანი უნდა იყოს).

მთავარი-არამთავარი ახლოს დგას თემობისა და S/O კატეგორიასთან, მაგრამ არ ემთხვევა არც ერთ მათგანს, მაგალითად:

1. მე (კაცს) მიყვარს ბავშვი. „მე“ არის [+თემა, +S, მთავარი]. „ბავშვი“ არის [-თემა, —S, +მთავარი]).

2. კაცი ხატავს ბავშვს. „კაცი“ — [+თემა, +S, +მთავარი]. „ბავშვი“ — [-თემა, —S, —მთავარი)

3. სურათი იხატება კაცის მიერ. „სურათი“ — [+თემა, —S, +მთავარი]. „კაცი“... — [-თემა, +S, —მთავარი]).

P. A. ASATIANI

## ТИПОЛОГИЯ ГЛУБИННЫХ ИМЕННЫХ КАТЕГОРИИ

## Резюме

Имя является универсальной категорией, которая в свою очередь характеризуется рядом логико-семантических категорий. Эти категории распадаются на два класса: 1. характеризующие собственно именные признаки (число, род, класс, определенность...) и 2. выделенные по роли имени в процессе коммуникации (лицо, субъект/объект, тема/рема...). Поскольку эти категории универсальны, они однозначно определяются на глубинном уровне языка, все языковые различия же являются результатом различного отображения этих категорий на грамматическом уровне, т. е. каждый язык характеризуется в какой-то мере уникальным набором уже грамматических категорий. Эти различия в генеративной грамматике можно описать различными, для каждого языка специфически определенными трансформациями.

В работе даны трансформации (и соответственно набор грамматических категорий) современного литературного грузинского языка.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა



## ენის ბარნობი

## თანხმოვანთა კომპლემენტები ანდიურ ენებში

1.1. ჩვენ განვიხილავთ თანხმოვან ფონემათა დისტრიბუციულ მიმართებებს ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ანდიურ ქვეჯგუფში. დალესტნის ენების კონსონანტიზმი საფუძვლიანად არის შესწავლილი სპეციალურ ლიტერატურაში<sup>1</sup>, მაგრამ აღნიშნული ჯგუფის ენათა კონსონანტური სისტემის განხილვა სინტაგმატური (resp. დისტრიბუციული) თვალსაზრისით არ წარმოადგენდა სპეციალური შესწავლის საგანს.

ანდიური ქვეჯგუფის ენებია — ანდიური. ბოთლიხური, ლოდობერიული. კამალური, ბაგვალური, ტინდიური, კარატული, ასვახური. ეს ენები კონსონანტურ ფონემათა ინვენტარით და პარადიგმატულ მიმართებათა თვალსაზრისით დღესაც საკმაოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან. საინტერესოა გავარკვიოთ, როგორ განსხვავდებიან ზემოაღნიშნული ენები ერთმანეთისაგან დისტრიბუციული მიმართებებით.

სანამ უშუალო კონკრეტული ენების კონსონანტური ჯგუფების განხილვაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ანდიური ენების თანხმოვანთა სისტემები, ისევე, როგორც მთის კავკასიურ ენათა დიდი უმრავლესობის სისტემები, გამოირჩევიან თანხმოვანთა მდიდარი ინვენტარით, მკვეთრების, სიბილანტებისა და უკანაველარების სიმრავლით. ანდიურ ენებში გამოიყოფა თანხმოვანთა 9 რიგი: 1. ბაგისმიერები, 2. კბილისმიერები, 3. ალვეოლარები, 4. ალვეოპალატალურები, 5. ლატერალები, 6. წინაველარულები, 7. უკანაველარულები, 8. ფარინგალურები, 9. ლარინგალურები. სონორთა კლასის წარმომადგენლები (რ. ლ, მ, ნ) კონსონანტურ ფონემათა კლასს მიეკუთვნებიან და შესაბამისად სონანტების თანხმოვნებთან კომბინაციებს განვიხილავთ როგორც კონსონანტურ ჯგუფებს.

ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს უპირველეს ყოვლისა თანხმოვანთა განაწილება ძირეულ მორფემულ სტრუქტურებში, მაგრამ ამავე დროს განვიხილავთ აგრეთვე თანხმოვანთა არანეირებას კომპლექსებში, რომლებიც მიღებულია მორფემათა საზღვრებზე და კომპლექსებში, რომლებიც მიღებულია სესხების (resp. ინტერფერენციის) შედეგად.

თანხმოვანთა დისტრიბუციის განხილვისას გ. მაქუავარიანის ლეფინიციის თანახმად<sup>2</sup> ჩვენ გავარჩევთ ორი კატეგორიის კონსონანტურ კომპლექსებს: 1. მარკირებული ჯგუფები ანუ თანხმოვანთა კომბინაციები, რომლებიც შეიძლება არ შეგვხვდეს ჩვენ ხელთ არსებული მასალის უკმარობის გამო, და 2. არამარკირებული ჯგუფები, ანუ თანხმოვანთა კომბინაციები, რომელთა არარსებობა შეპირობებულია ენის ფონოლოგიური სტრუქტურით.

<sup>1</sup> იხ. Т. Е. Г у д а в а, Консонантизм андийских языков, Тбилиси, 1964. აგრეთვე Б. К. Г и г и н е й ш в и л и, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси, 1977.

<sup>2</sup> გ. მაქა ვ ა რ ი ა ნ ი, სავრო-ქარაველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 78.

ანდიურ ენათა თანხმოვანთა კომპლექსები გვხვდება ძირითადად პოზიციასში ხმოვნებს შორის (resp. ინლაუტში), ამგვარად, ჩვენი გამოკვლევა ინლაუტში წარმოდგენილ თანხმოვანთჯგუფებს ეხება: სიტყვის თავიკიდურ პოზიციასში (resp. ანლაუტში) მხოლოდ (Cv) სახის კომპლექსებს ვადასტურებთ<sup>3</sup>, ხოლო სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციასში (resp. აუსლაუტში) თანხმოვანთა ჯგუფები უაღრესად იშვიათად გვხვდება.

განვიხილოთ მოკლედ თანხმოვანთკომპლექსები ანუ თანხმოვანთა შეთავსებადობის წესები თითოეულ ანდიურ ენაში ცალ-ცალკე.

2.1. განხილული მასალიდან ჩანს, რომ ანდიური ენების (ისევე, როგორც სხვა დალესტური ენების) კონსონანტური ჯგუფების უმრავლესობა ორი წევრისაგან შედგება. მეტად იშვიათად გვხვდება სამწევრიანი ჯგუფებიც.

ანდიური ენის თანხმოვანთა სისტემა 43 წევრს შეიცავს: ანდიურ ენაში ინლაუტში 79 განსხვავებული თანხმოვანთწყვილია რეალიზებული<sup>4</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად ანდიურ ენათა კონსონანტური კომპლექსების უმრავლესობა შედგება სონორი+ჩქამიერი კომპონენტებისაგან<sup>5</sup>. კომპონენტების შებრუნებული მიმდევრობა ბუნებრივად არ ჩაითვლება.

მასალის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ანდიურ ენებში დასტურდება თანხმოვანთკომპლექსები შედგენილობით ჩქამიერი+ჩქამიერი და ამ თანხმოვნების შეთავსებადობა შეზღუდვათა გარკვეულ წესებს ექვემდებარება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანდიურ ენათა კონსონანტურ ჯგუფებში მეორე ადგილზე შეიძლება იყოს თანხმოვანთა სისტემის ნებისმიერი წევრი, ხოლო პირველი წევრის (ე. ი. ჩქამიერის ან სონორის) დისტრიბუცია ემორჩილება გარკვეულ პოზიციურ შეზღუდვებს.

ანდიური ენის თანხმოვანთა განაწილების განხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ანდიურში ჩქამიერი+ჩქამიერი შედგენილობის თანხმოვანთკომპლექსებში პირველ წევრად შეიძლება იყოს ლაბიალურთა რიგის წევრი და სიბილანტური სპირანტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ კომპლექსები სიბილანტური სპირანტით პირველ ადგილზე მეტწილად ნასესხები წარმოშობის სიტყვებში და მორფემათა საზღვარზე შეგვხვდა:

ჩქამიერი+ჩქამიერი: ყ'ობდუ<sup>6</sup> „შეხება“, ლ'აობდუ „ხერება“. „ქაუბდუ „ღარტყმა“, „მოკლა“ (ქ. ლთა მეტყველებაში); ლ'აობგუ „სამი“ (ანდ.), აზჩიდუ „რეცხვა“.

ლაბიალური+ჩქამიერი: რებცჟუ „კავი“, ლ'აობჟოლგუ „ოცდაათი“, აბეიდუ „დაწყება“, ლობრო „ტყის ქათამი“ (შდრ. ლოლობ. ლაბლა, ტინდ. ქაძალ. ბაგვ. ღაღა, კარატ. ღაბღა), სიბრჟუ „შემოდგომა“ (რიკვ.), რებლ'ა „ვპატი“...

ლიბილაბშდუ ჟუ „ხეხვა“ (ძრავალგზ.),თაფცჟუ „ბაულისწო“...

ანდიურ ენებში ინლაუტში დასტურდება ბაგისმიერი თანხმოვნით პირველ

<sup>3</sup> ლაბიალიზებული კომპლექსების დეტალური აღწერა მოცემულია ავტორის სტატიაში „ლაბიალიზებული კომპლექსების რაობის დადგენისათვის ხუნძურ ენაში“, თსუ-ს ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები, 3-4, თბილისი, 1974, გვ. 132-155.

<sup>4</sup> ი. ც ვ რ ც ვ ა მ ე, ანდიური ენა, თბილისი, 1965.

<sup>5</sup> Т. Е. Г у д а в а, Консонантизм индийских языков, Тбилиси, 1964, გვ. 55.

<sup>6</sup> ტ. გულდავას დაკვირვებით ყ' წარმოადგენს სუსტ აბრუბტვის, რომელიც ამჟამად რეალიზებულია მელერის სახით.

ადგილზე შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები: -ბღ-, -ბგ-, -ბჩ-, -ბცა, -ბჭ-, -ბჭყ-, -ბე-, -ბღ-, -ბრ-, -ბლ', -ბლჲ-, -ბლ', -ფცა-. სიბილანტური სპირანტი + ჩქა-  
ძიერი: მაზგარ „თუჯი“, ისაბოლ „გვერდები“, მისჯარა „ობობა“, მაშქულ  
„ყუთში“, დოშკა „ქალი“ (ანდ.), ყ'ოშაღუ „მიღწევა“...

თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი წევრია სიბილანტური სპი-  
რანტი, შემდეგია: -ზგ-, -საბ-, -სვ-, -შქ-, -შკ-, -შღ-.

ზემოთ წარმოდგენილი ჯგუფების გარდა დასტურდება კიდევ რამდენიმე  
კომპლექსი, სახელობრ, ჯგუფები, რომელთა პირველი წევრია წინაველურთა  
რიგის თანხმოვანი: ჰჲ უჯშუ „დადგენილება“ (ნასესხები ლექსიკიდან) და  
კომპლექსები, რომელთა პირველი წევრია ლატერალური თანხმოვანი ან ფა-  
რინგალური თანხმოვანი, მაგრამ ამ ჯგუფების შემცველი ფუძეები თავისუფ-  
ლად მონაცვლეობს ხმოვნით გათიშულ თანხმოვნებიან ფუძეებთან: ბეტაღუ  
(||ბეტჲიღუ) „ხენა“, ბუყაღუ (||ბუყუიღუ) „ქრა“...

2. 2. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანდიურ ენათა თანხმოვანთკომპლექსებ-  
ში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სონორები. ასეთი კომ-  
პლექსების სტრუქტურა შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით: Cსონორი+Cნების-  
მიერი ჩქამიერი, ე. ი. Cჩქამი.

აქვე გავხაზავთ, რომ ანდიური ენის მასალის მიხედვით თანხმოვანთ-  
წყვილებში პირველ წევრად სონორები რ და ნ განსაკუთრებით აქტიურად  
გვევლინება, ხოლო სონორები ლ და მ ამავე როლში ძალიან მცირე რაოდენო-  
ბით დასტურდება<sup>7</sup>.

სონორი + ჩქამიერი: დავიწყოთ ჩამოთვლა იმ ჯგუფებით, რომელთა პირ-  
ველი წევრია სონორი რ ან ნ.

სონორი რ ან ნ + ჩქამიერი: ჰარფი „ასო“, კვორღო „ბალახი“, ქურტა „ჩა-  
ტუჩი“, ჰარკოღლ „თვალეები“, ჰირწი „მაღალი“, ბორწი „მთვარე“, „თვე“,  
ღერჩოღ „ღრუბელი“, ჰორქი „ცოლი“, „ღედალი“, წირყი „ფოცხვერი“,  
ორბული „გარეული“ (შღრ. ხუნდ. ჰალხულ), ჰარჰაშღუ „რყევა“ (მრავალგზ.),  
ღ'ურღა „ერბო“..., ჰანტიკა „ყური“, ინგურ „ფანჯარა“, ჰინკჲუ „თავი“,  
ტჯნკი „წარბი“; ჰინჯიშ. „ყუავილი“ (შღრ. კარატ. გიგინ, ბოთლ. გიგინა), ჩო-  
ნჩი „კარგი“, კონჩჲუ „ხვლიკი“, ჰუნჯა „თივა“, უნსო „ხარი“, ონეი „ზღარ-  
ბი“, ტ'ენშჲურ „ფქვილი“, ანღ'ი „გაიგონა“, კონტა „ფიწალი“, ჰანტო „ოფ-  
ლი“...

სულ აღნუსხულია 50-მდე განსხვავებული კომპლექსი, რომელთა პირვე-  
ლი წევრია სონორები რ ან ნ: -რბ-, -რფ-, -რღ-, -რტ-, -რგ-, -რკ-, -რწ-,  
-რჭყ-, რჩ-, -რჩჲ-, -რჭჲ-, -რყ-, -რს-, -რღ-, -რხ-, -რჰ-, -რლ', -რლჲ-, -რტდ-,  
-რრ-, -ნტ-, -ნგ-, -ნკ-, -ნყ-, -ნცა-, -ნწ-, -ნჭყ-, -ხგ-, -ნჩ-, -ნჩჲ-, -ნჭ-, -ნყ-,  
-ნზ-, -ნს-, -ნსჲ-, -ნე-, -ნშ-, -ნშჲ-, -ნხ-, -ნღ', -ნღჲ-, -ნნ-.

სონორი ლ ან მ + ჩქამიერი: ჰალტუნწუ „მუშაობა“, მიღჩა „მოზვერი“,  
წაქამვალ „პეპელა“ (პატარა), ჰამტჲულ „სასა“: ჰამლუ „ოფლი“...

<sup>7</sup> განსახილველსაკითხთან დაკავშირებით საჯულისხმო ბ. გვიგინიშვილის მიერ საერთო-  
დაღესტურ ფუძე-ენაში რეკონსტრუირებული თანხმოვანთა კომპლექსების აგებულება. აღდგე-  
ნილი რ და ნც ჯგუფების შემცველი ფუძეები არცთუ მცირე რაოდენობისა, ლ-ს შემცველი  
ფუძეები მეტად იშვიათია, ხოლო მც ჯგუფები არაა რეალურად აღმოჩენილი.

<sup>8</sup> ტრუბეკოსი აზრით, ანდიურ ენაში ჯ ფონემას არ წარმოადგენს. ი. ცერცვაძე ამ ბეგრას  
თანხმოვანთა სისტემაში ჩართავს. ტ. გულავას დაკვირვებით ანდიურ ენებში ჯ აფრიკატი  
მეორეულია, თანამედროვე ანდიურ ენაში ფონემად ჩაითვლება.

დასტურდება ლ და მ სონორებით პირველ ადგილზე შემდეგი თანხმონათკომპლექსები: -ლბ-, -ლტ-, -ლჩ-, -ლლ-, -მწ-, -მღ-, -მტე-, -მლ-, -მმ-.

აქვე შევნიშნავთ, რომ ანდიურ ენაში დადასტურებულია შემთხვევები, როდესაც გვხვდება ჯგუფი სონორი+სონორი შემადგენლობით, მაგრამ პირველია მხოლოდ იდენტური სონორების შემცველი კომპლექსები: ხაანუ „თიბვა“, ჰონნო „შუბლი“, „ყუჟრუ „ბაყაყი“, ჰელლი „გაიქცა“, ყამმუ „კბენა“... ნ. ტრუბეცკოის აზრით, ანდიურ ენაში სონორების ორი რიგია: მოკლე და გრძელი სონორი თანხმოვნები. ტ. გულდავას დაკვირვებით გრძელი სონორი ფონემები ანდიურ ენაში არ დასტურდება, ე. ი. სონორების სიგრძე-სი-მოკლე ანდიურისათვის არაა რელევანტური.

რაც შეეხება თანხმონათკომპლექსებს სიტყვის ბოლოში, ანდიურ ენაში აუსლაუტში სრულხმოვნობაა დასული, სიტყვები დაბოლოებულია ან ხმოვნით ან სონორით. თანხმონათკუფები ამ პოზიციაში დაუშვებელია.

სამწვერიანი კონსონანტური ჯგუფები ანდიურ ენაში მეტად იშვიათად გვხვდება. დადასტურებულია სულ რამდენიმე სამთანხმოვნიანი კომპლექსი, რომლებიც ძირითადად მორფემათა შესაყარზე არსებობს: ლ'ლ'აბშაუ<sup>9</sup> „ხეხვა“, ჩიხაფშაბუ „გამოვლება“ (წყლისა), ბერჰაბუ (||ბერჰაბუ) „წველა“, ინშაბუ „ხუთი“. ლილაშაბუ „რწვევა“, ანუდი „ნაჯახი“ (რიკახის თქმაში)... ყველა სამწვერიანი ჯგუფების სტრუქტურა ანდიურ ენაში შემდეგია: I ლაბიალური ხშული ან სონორი რ, ნ + II შიშინა სიბილანტი + II! დენტალი დ.

3.1. ბოთლიხურ ენაში ინლაუტში არცთუ მცირე რაოდენობით დასტურდება ჩქამიერი + ჩქამიერი შედგენილობის თანხმონათწყვილები. ბოთლიხურ ენაში დადასტურდა სულ 123 განსხვავებული თანხმონათკომპლექსი (ბოთლიხურის თანხმონათკომპლექსების სისტემა 40 წევრს შეიცავს). ამათგან ორმოცამდე კომპლექსი მხოლოდ ჩქამიერი თანხმოვნებითაა შედგენილი.

განხილული მასალიდან ჩანს, რომ, თუ კომპლექსის პირველ წევრად დასტურდება ჩქამიერი, მაშინ ამ ჩქამიერს შეიძლება წარმოადგენდეს ლაბიალური, დენტალური, სიბილანტური, პოსტერიორული ან ფარინგალური თანხმონათკომპლექსი.

საანალიზო მასალაზე დაკვირვება<sup>10</sup> საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დენტალურთა, პოსტერიორულთა და ფარინგალურთა რიგის წევრები კომპლექსში პირველ წევრად გვხვდება ძალიან იშვიათად და დასტურდება მხოლოდ ნასესხებ ფორმებში ან მორფემათა შესაყარზე.

განვიხილოთ ჯერ ჩქამიერი+ჩქამიერი აგებულების ჯგუფები:

ლაბიალური+ჩქამიერი: ყაბბდი (ნამყ. უწყყ.) „ფხაჟნა“, ტეიბტა „ისარი“, „ჩანგალი“, თაბცუუ „ბალინჯო“, ჰიბწი (ნამყო უწყყ.) „აესება“, იბხი (ნამყო უწყყ.) „ალება“, „ყიდვა“, წოზბლი „წყალობა“, ლაბლუ „სალამური“, ჩაჟკინ „თავდასხმა“, ჰიფრით „დევი“ (I კლ.), ჩიფჩიჟ „ფოჩივი“, „საკველა“ (სიმინდისა)...

<sup>9</sup> ლ ანდიურში, ი. აერცვაძის დაკვირვებით, მეორეული წარმოშობის ნახევარაბრუპტივია (იხევეთ როგორც ბ, ქ, გ), რომელიც ფონემას არ წარმოადგენს.

<sup>10</sup> იხ. ტ. გულდავა, ბოთლიხური ენა, გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 1963.

ლაბიალური თანხმოვნით პირველ ადგილზე ბოთლიხურში შემდეგი თანხმოვანთწყვილები გვხვდება: -ბღ-, -ბტ-, -ბცჲ-, -ბწ-, -ბჩ-, -ბხ-, -ბლ'-, -ბლ-, -ფჟ-, -ფშ-, -ფლ-, -ფრ-, -ფჩ-.

კომპლექსები სიბილანტური თანხმოვნით პირველ ადგილზე დასტურდება როგორც საკუთარ, ძირითად ლექსიკურ მასალაში, ისე სესხების გზით შემოსულ ფორმებში:

სიბილანტი+ჩქამიერი: აზბარ „ეზო“. უზდენაბ „უზდენი“, „თაეისუფალი გლეხი“. ბუსყე „უეან“, მუსრუ „სუღარა“, ნასლუ „წარმომავლობა“, კუშტილი (ნამყ. უსრ.) „დასტლომა“ (ფენისა); კაშთა „ჩიხთიკობი“, მაშქიდ „მეჩეთი“, მაშველ „ხელობა“...

კომპლექსები, რომელთა პირველი წევრია სიბილანტური რიგის წევრი შემდეგია: -ზბ-, -სქ-, -სჯ-, -სრ-, -სლ-, -ხნ-, -შტ-, -შთ-, -შქ-, -შჯ-, -შმ-.

რაც შეეხება დენტალური, პოსტერიორული და ფარინგალური თანხმოვნებით დაწყებულ წყვილებს, როგორც უკვე აღინიშნა. მათ მეტად იშვიათად ვხვდებით და მათი შეთავსება სხვა თანხმოვნებთან მხოლოდ მორფემათა შესაყარზე ან ალაპტირებულ ფორმებში ხდება. მაგალითად:

დენტალი. პოსტერიორული, ფარინგალური + ჩქამიერი: შადლუ, ითნა „ორშაბათი“, ჰეტხოზურ „ქია-ლუა“, ჰუქმე „გადაწყვეტილება“. ფახროაჟე „ამაყი“, ზაჰოშათაბ „ძნელი“, სოუქმაჯ „ბილიკი“...

ასეთი კომპლექსებია: -დლ-, -ჯხ-, -თნ-, -ტხ-, -ქმ-, -ხრ-, -ჰნ-, -ჰმ-, -ჯმ-.

3.2. ბოთლიხურ ენაში, სხვა ანტიური ენების მსგავსად, ძალიან ხშირად გვხვდება კომპლექსები, რომელთა პირველი წევრია სონორი (უაღრესად ხშირად ეს სონორია რ ან ზ). ხოლო მეორე წევრი — ჩქამიერია. ასეთი შედგენილობის ჯგუფები დისტრიბუციული თვალსაზრისით ძალიან მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანი:

სონორი+ჩქამიერი: მოვიყვანოთ საილუატრაციო მასალა რ და ნ სონორებით პირველ წევრად: კურდი (ნამყ. უწყყ.) „თრევა“, ღორღოლ „ღარი“, თურთი „სელი“, რ ან ნ+ჩქამი: კვარტას „აკენის საფენი“, კარკამე „კვერციხი“. ფერცოუ „გუონანი“, ფერწოჟე „მეჭებე“, ჩორჩოლ „ჩანჩქერი“, ჰარკანუ „ყველის სახეობა“, ყარყალა „პური“, გურზულუ „სადღვებელის თავსარქველი“. ღარსიი „ღანჩა“, ერშინა „წელს“, არხეაში „ქსოვა“, წარში „ქურჭელი“, ჰურაულუ „ხელიკი“, ჰურტეა „კალი“, ინდი „ტინდი“ (აულია), ხანტა „ჯონი“, ყავარჩენი, ჩინქურ „ჩვარი“. ტილო“, კანკა „ჩოჩორი“, ჰუენწოი „თაფლი“, ხანჯარ (||ხანჯარ) „ხანჯალი“, ინჩიტა „პიტნა“, ყინყილ „საყურე“, ანსაჟა „გათობა“, შანში „თესვა“, ჰინლულ „ფსკერი“, ანლ'ა „პრილობა“, კვანტა „ორთითი“...

ბოთლიხურ ენაში დასტურდება 60-ზე მეტი განსხვავებული თანხმოვანთ-ჯგუფი, რომელთა პირველი წევრია სონორი რ ან ნ: -რბ-, -რფ-, -რღ-, -რთ-, -რტ-, -რგ-, -რქ-, -რკ-, -რც-, -რწ-, -რწხ-, -რჯ-, -რჩ-, -რცხ-, -რკქ-, -რკყ-, -რკჯ-, -რხ-, -რს-, -რსხ-, -რჯხ-, -რპ-, -რპხ-, -რლ', -რტჯ-, -რმ-, -ნღ-, -ნთ-, -ნტ-, -ნგ-, -ნქ-, -ნკ-, -ნკჲ-, -ნწ-, -ნწხ-, -ნქ-, -ნჩ-, -ნჩხ-, -ნკქ-, -ნყ-, -ნხ-, -ნს-, -ნსხ-, -ნე-, -ნშ-, -ნშხ-, -ნღ-, -ნხ-, -ნხს-, -ნლ'ჲ-, -ნლ'-, -ნტჯ-.

დასტურდება თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც შედგებიან ლ ან შ სონორისა და ჩქამიერისაგან. ეს ჯგუფები, როგორც ჩანს, მცირე რაოდენობით გვხვდება რ და ნ სონორებით დაწყებულ კომპლექსებთან შედარებით: მ ან

ლ+ჩქამ.: ჰამფარა „პატარა ბალიში“, ტვიმდი „ყურების ცქეცა“, ქამსა „ხვიმრა“, ეამეა (||ყანეა) „ციყვი“, ლალბაწოლ „ლომები“, ლალიბარ „კეხი“ (ვირის); კალწი „საქმელი“ (ცხენის), ალუან (||ალჯან) „სამოთხე“, ჰელჰმედი, „მლიქნელობა“...

ვადასტურებთ ბოთლიხურ ენაში შემდეგ მ ან ლ სონორით დაწყებულ წგუფებს: -მბ-, -მფ-, -მდ-, -მტ-, -მს-, მსო-, -მე-, -მშო-, -მრ-, -ლფ-, -ლდ-, -ლქ-, -ლკ-, -ლწ-, -ლუ-, -ლპ-, -ლმ-, -ლჯ-.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანდიური ენებისათვის არ არის დამახასიათებელი თანხმოვანთა თავმოყრა სიტყვის აუსლაუტში<sup>11</sup>. ბოთლიხურ ენაში რამდენიმე ნასესხებ ფორმაში შეგვხვდა კონსონანტური წყვილები სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. ჩამოვთვლით კონკრეტულ მაგალითებს: კართ „როკაპი“ (ზღაპრ), ვერს „ვერსი“, ჩარხ „ჩარხი“, ჯინს (||ჯინს) „სახე“.

ბოთლიხურ ენაში სამწვერიანი თანხმოვანთჯგუფები ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ შეგვხვდრია.

4. 1. ლოდობერიული ენა ბოთლიხურ ენასთან ძალიან დიდ სიახლოვეს ავლენს. ეს ენები იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით ერთი ენის დიალექტებადაც შეიძლება ჩაითვალოს. ლოდობერიული ენა მეცნიერულად თითქმის შეუსწავლელია. ამიტომ იძულებული ვართ შემოვიფარგლოთ ლოდობერიულის შესახებ ერთადერთი გამოკვლევით — ტ. გუდავას მიერ ჩატარებული ლოდობერიული ენის გრამატიკის მოკლე მიმოხილვით<sup>12</sup>.

როგორც ჩანს, საანალიზო მასალის სიმცირის გამო ლოდობერიულ ენაში არ დადასტურდა ჩქამიერი + ჩქამიერი შედგენილობის კომპლექსები. მაგრამ არსებული მასალის განხილვის შედეგად არცთუ მცირე რაოდენობით დასტურდება ანდიური ჯგუფის თანხმოვნებისათვის ყველაზე დამახასიათებელი კომბინაციები: სონორი ნ ან რ + ჩქამიერი: ხვარდი „ძაღვები“, გირგამუ „მრგვალი“<sup>13</sup>, ბერქა „გველი“, ჰერშინა „ამ წელიწადს“, ირხა „წითელი“, ტუნტუ „ბუზი“, ჰეიენკა „სიმიწი“, ჰანყუ „სახლი“, ინლიდა „ქეცის“...

ლოდობერიული ენის კონსონანტთა სისტემა 40 წევრს შეიცავს. ინლაუტში წარმოდგენილია სონორი რ, ნ + ჩქამიერი სტრუქტურის შემდეგი თანხმოვანწყვილები: -რდ-, -რგ-, -რქ-, -რქო-, -რშ-, -რხო-, -ნთ-, -ნტ-, -ნგ-, -ნკ-, -ნყ-, -ნშ-, -ნლ-.

5. 1. ჰამალური ენის თანხმოვანთა სისტემა 39 წევრს შეიცავს. ჰამალურ ენაში კონსონანტური კომპლექსები შეიძლება შეიცავდეს ორ ჩქამიერს ან სონორი + ჩქამიერი შემადგენლობით გვხვდება. დადასტურებულია ასანდე განსხვავებული კონსონანტური ჯგუფი. მასალა ჰამალური ენის თანხმოვანთა განაწილების აღსაწერად აღებულია ძირითადად ა. ბოკარიოვის ნაშრომიდან ჰამალური ენის შესახებ<sup>14</sup>.

<sup>11</sup> იხ. Т. Е. Г у д а в а, Консонантизм андийских языков, Тбилиси, 1964, გვ. 55.

<sup>12</sup> Т. Е. Г у д а в а, Годоберинский язык, Языки народов СССР, т. IV, М., 1967, გვ. 307—321.

<sup>13</sup> ლოდობერიულში გვხვდება უკახანისმიერი პალატალიზებული გ, ქ, კ, კჲ ბგერები, რომელთაც ფონემატური ღირებულება არ გააჩნიათ.

<sup>14</sup> А. А. Бокарев, Очерк грамматики Чамалинского языка. АН СССР (сборник слов, тексты), М. — Л., 1949. З. М. Магомедбекова, Чамалинский язык. Языки народов СССР, т. IV, М., 1967, გვ. 384—397.

ქამალური ენის თანხმოვანთა დისტრიბუციული ანალიზი ცხადყოფს, რომ კონსონანტური ჯგუფების პირველი წევრი შეიძლება იყოს ლაბიალური, დენტალური, სიბილანტური, პოსტერიორული, ფარინგალური და ლარინგალური თანხმოვანი. სანამ განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითებს, შევნიშნავთ, რომ გარჩეული მასალის მიხედვით კომპლექსებში პირველ წევრად ლაბიალური, დენტალური, ფარინგალური, ლატერალური და ლარინგალური თანხმოვნები დასტურდება იშვიათად და მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში ან მორფემათა შესაყარზე. ჩქამიერი + ჩქამიერი:

ლაბიალური + ჩქამ.: ზაბდალ „სულელი“, ებმაგილა „ყოველი“... თანხმოვანთწყვილები ბაგისპივრით პირველ ადგილზე: -ბდ-, -ბჟ-, -ფრ-.

დენტალური + ჩქამ.: ზადჟაბაბ „შვენიერი“, ეთლა (II ეთნლა) „ფრენა“, ნაქვათლა „შიშნული“, სეტკულე „დილით“.. დენტალით დაწყებული ჯგუფებია: -დჟ-, -თლ-, -ტჟ-.

ფარინგალური + ჩქამ.: ბაქნა (||ბაქინა) „დამტერევა“ აქლა (||აქნლა) „დაფქვა“, ზიყლა (||ზიყლა) „გაყოფა“. „დარიგება“, იყყმუყ „ქერი“, დამბა „ჩხუბი“... ფარინგალურით პირველ ადგილზე შეგვხვდა შემდეგი ჯგუფები: -მბ-, -ქნ-, -ქლ-, -ყლ-, -ყდ-, -ყმ-.

ყრუ ლატერალური + ჩქამ.: ბალ'გო „ფარულად“, ბილ'ნა (||ბილ'ინა) „ხარშეა“... ყრუ ლატერალით დაწყებული კომპლექსებია: -ლ'გ-, -ლ'ნ-, -ლ'ხ-.

რაც შეეხება თანხმოვანთა კომბინაციებს, რომელთა პირველ წევრად დასტურდება სიბილანტი, ასეთი ჯგუფები საკმაოდ მრავალრიცხოვანია ქამალურ ენაში. აქვე უნდა გავხაზოთ, რომ მხოლოდ ქამალური და ახვახური ენების მონაცემებით დასტურდება კომპლექსები სიბილანტური აფრიკატით პირველ წევრად. სხვა ანდიურ ენებში ამ როლში გვხვდება მხოლოდ სიბილანტური სპირანტები. შევნიშნავთ, რომ ქამალურში კორელაცია სუსტი-ძლიერი მხოლოდ სპირანტებს გააჩნია. სპირანტულად შეიძლება შეგვხვდეს ძლიერი სიბილანტური აფრიკატი (სისიანც და შიშინაც), მაგრამ, როგორც წესი, დატურდება ზუნძურიდან ნასესხებ სიტყვებში.

სიბილანტი + ჩქამიერი: ბეზლა (||ბეზნლა) „წვა“, ბისქინო „ლარიბი“, ასლუ „ფესვი“, ძირი“, ბისნა „პოვნა“, ხოსმე „ღვეზელი“ (მრ.), ბაწსლა (||ბაწწლა) „მისვლა“, „მიდგომა“, ბაწსნა (||ბაწწინა) „ყურება“, „ლოდინი“. ბეეტა „ბეეიტა“ (ტოპ.). ბეშნა (||ბეშწნა) „რეცხვა“, მაჩხილ „შაბიამანი“, ზაჩხა (||ზაჩხინა) „შერჩევა“ (ხუნძ.)...

კომპლექსები, რომელთა პირველი წევრია სიბილანტი: -ზბ-, -ზლ-, -ზმ-, -სქ-, -სლ-, -სრ-, -სნ-, -სმ-, სან-, -სელ-, -წლ-, -წსლ-, -წსნ-, -ქტ-, -შდ-, -შლ-, -შნ-, -შმ-, -ჩხბ-.

ქამალურ ენაში პოსტერიორული თანხმოვნით დაწყებული თანხმოვანთწყვილები არცთუ მცირე რაოდენობით გვხვდება, თუმცა საკუთარ ლექსიკაში მეტწილად ასეთი კომპლექსები სუპერაციას განიცდის და ეილებთ პარალელურ ფორმებს. (იხევე, როგორც ზემომოყვანილ სიბილანტური აფრიკატით დაწყებულ წყვილებში).

პოსტერიორული + ჩქამ.: ბიქნა „საზეიმოდ გამოწყობა“. ჩაქმა „ჩექმა“, ნიყსილ „ბეკედი“, ბელლა (||ბელნლა) „დადება“, ბილნა (||ბილნნა) „დამარცხება“, ოხცელ „კიტრი“, უხწილ „კუპი“, ბეხახლა „მატყლის ჩეჩვა“, ბიხსლა (||ბიხსნლა), „სიარული“, ზახხმათე „რთული“, „ძნელი“ ...

თანხმოვანთწყვილები პოსტერიორულით პირველ ადგილზე შემდეგია: -ქნ-, -ქრ-, -ქმ-, -ქსა-, -ლლ-, -ლნ-, -ლმ-, -ხბ-, -ხთ-, -ხც-, -ხწა-, -ხს-, -ხნ-, -ხლ-, -ხლ', -ხხლ-, -ხხლ', -ხხმ-.

5. 2. ისევე, როგორც სხვა ანდიურ ენებში, ჰამალურ ენაშიც ჩქამიერ თანხმოვანთა კომბინაცია სონორებთან მრავალფეროვან სურათს იძლევა. უფრო ზუსტად, სონორი რ და ნ თანხმოვნების დისტრიბუციული მიმართებები სხვა თანხმოვნებთან სრული თავისუფლებით გამოირჩევა. ნ ან რ + ჩქამიერი შედგენილობის კომპლექსები, სხვა აგებულების თანხმოვანთგვლებთან განსხვავებით, რაოდენობრივადაც ძალიან ბევრია ანდიურ ენებში.

სონორი + ჩქამიერი თანხმოვნების შემცველი ჯგუფებია:

რ, ნ - ჩქამ.: ზარბა „დარტყმა“, ჩერგეს „ჩერქეზი“, კურკურნა „ქაქა-ნი“, კარკილა „ქერა“, ყარყა „კერი“, ხხარქიდილა „მოუსვენრად“, ბეტერნას „პატონი“, „პატრონი“ (ხუნძ.); თანთე „თხვეადი“ (პიპათლის დილა), ჩანგით „ლაგამი“, ღანწა „რკინის სოლი“, ცანჩაალ „კურდღელი“, ტანსა „ხალიჩა“, ინლა „ლობე“...

ლ ან მ სონორებით პირველ წევრად ძალიან მცირე რაოდენობის თანხმოვანთკომპლექსები შეგვხვდა: ღალბაწ „ლობი“, ფილფანა „ფერფლი“. ხხალტი „საქმე“, „სამუშაო“, თალლაღლი „ჩრგუშეთი“, ზულმუ „ძალადობა“, ღამდა „გამუდმებით“...

განსხვავებული კომპლექსები, რომელთა პირველი წევრი სონორია: -ნთ-, -ნტ-, -ნგ-, -ნქ-, -ნყ-, -ნწა-, -ნჩა-, -ნს-, -ნსა-, -ნც-, -ნლა-, -რბ-, -რფ-, -რდ-, -რგ-, -რქ-, -რყ-, -რც-, -რჯ-, -რყ-, -რლ-, -რხ-, რპ-, -რნ-, -ლბ-, -ლფ-, -ლტ-, -ლგ-, -ლჭ-, -ლღ-, -ლმ-, -მდ-.

6. 1. ბაგვალური ენის კონსონანტთა სისტემა დანარჩენ ანდიურ ენათა სისტემებთან შედარებით გამარტივებულია. ბაგვალურში ძლიერ მოშლილია დაპირისპირება სუსტი-ძლიერი. პარალიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებათა თვალსაზრისით მეზობელი ენებიდან ბაგვალური ყველაზე ახლოს დგას ჰამალურ და განსაკუთრებით ტინდიურ ენებთან. ბაგვალურ ენაში რეალურებულა 50-ზე მეტი თანხმოვანთკომპლექსი. ბაგვალურს თანხმოვანთა სისტემა 33 წევრს შეიცავს<sup>15</sup>.

ბაგვალური ენის საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გამოავლინა კომბინატორული მიმართებანი ჩქამიერ და სონორ თანხმოვან ფონემათა შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, ზემოთ განხილული ანდიური ენების მსგავსად, ბაგვალურ ენაშიც კონსონანტური კომპლექსები შეიცავენ ორ ჩქამიერს ან სონორს და ჩქამიერს.

მასალის ანალიზის შედეგად გავარჩევთ თანხმოვანთა კომპლექსებს. რომელთა პირველი წევრებია ბაგისმიერი, სიბილანტური და ფარინგალური თანხმოვნები. აქვე უნდა აღენიშნოს, რომ ჩამოთვლილი ჯგუფებიდან სიბილანტებით დაწყებული კომპლექსების გარდა ყველა დანარჩენი ჯგუფი მეტად იშვიათად გვხვდება. თანხმოვანთა კომბინაციები ლაბიალით ან ფარინგალით პირველ წევრად დასტურდება მხოლოდ ნასესხებ ფორმებში და მორფემათა სახელვარზე და ამავე დროს ძალიან მცირე რაოდენობით.

<sup>15</sup> ტ. გუდავა, ბაგვალური ენა, გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, თბილისი, 1971. Т. Е. Г у д а в а, Консонантизм... Е г о ж е, Багвалинский язык, Языки народов СССР, IV, М., 1967, გვ. 351—368.



ამგვარად, ბაგვალურ ენაში მოიპოვება ჩქამიერ თანხმოვანთა შემდეგი კომბინაციები:

ლაბიალური + ჩქამ., ფარინგ. + ჩქამ., სიბილ. + ჩქამ.: ლაბდა „სამი“ (თლის. კლოკავი), ქიბქაგა<sup>16</sup> „ლოცვა“ (კვან.), დამბა „დავა“... პასთუბ „ასეთი“ (თლის), ბისთი „თქვენ“, ბესტალა „ობოლი“, აშთუბ „ასეთი“, რეწტირი „ცხენიდან ჩამოხტომა“...

6.2. თანხმოვანთა კომპლექსებში რ და ნ სონორების არანეირების თვალსაზრისით ბაგვალური ენა გამონაკლისს არ წარმოადგენს. კომპლექსები რ და ნ სონორებით პირველ წევრად ბაგვალურში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს წარმოადგენს.

განვიხილოთ სონორი + ჩქამიერი შედგენილობის ჯგუფები ბაგვალურ ენაში:

რ ან ნ + ჩქამ.: პარდი „ძალიან“, ვარტა „უცოხი“, პარკინ „ცხვარი“, ჰერწობ (||ქეწობ) „მალაღი“, ჰარქან „კვერცი“ (თლის), პარკიმ „ურდული“, ლიერსა „მდინარე“, გურქიდავ „ქართველი“, ვარშილა „ქორი“<sup>17</sup>, პინდუქ „თლონდოდა“ (აულია), ქუნტავ „ხვადი“, ტსანკალ „კურდღელი“, პინწილ „თითი“, მინჩაბ „ახალგაზრდა“ (ხუშტ.), ეუნეა „ჭიანჭველა“ (მრ.), ქეანშა „ვეჯი“ (თლონდ.), ჰუნაშაქ „ხუშტადა“ (აული). ლუნლა „მტრედები“, ანლ'ა „დაუყოდავი ცხვრები“...

თანხმოვანთწყვილებში პირველ წევრად ლ და მ სონორებიც გვხვდება. ასეთი ჯგუფები მცირერიცხოვანია: ბელჩა (||ბერჩა) „გველი“, ლვაჰა „ირემი“, ნილამ „მონარშული“, ელშუჰა „წამწამი“, ყამჩა „ფაფარი“...

ბაგვალურ ენაში დასტურდება სონორი + ჩქამიერი შედგენილობის შემდეგი განსხვავებული კონსონანტური კომპლექსები: -რდ-, -რთ-, -რტ-, -რქ-, -რყ-, -რჟ-, -რწ-, -რჩ-, -რჰ-, -რჟჰ-, -რყჰ-, -რზ-, -რს-, -რსჰ-, -რე-, -რშჰ-, -რლ-, -რლ'-, -ნდ-, -ნთ-, -ნტ-, -ნგ-, -ნკ-, -ნყ-, -ნწ-, -ნჯ-, -ნჩ-, -ნჰ-, -ნშჰ-, -ნზ-, -ნს-, -ნსჰ-, -ნლ-, -ნტჰ-, -ნლ'ჰ-, -ნდჰ-, -ლდ-, -ლჩ-, -ლქ-, -ლჰ-, -ლმ-.

ბაგვალურში პოზიციაში ხმოვნებს შორის ორიოდ შემთხვევაში გვხვდება თანხმოვანთა სამწევრიანი ჯგუფებიც: ინსთუდა „ასი“, ინშთურა „ათი“...

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ანდიური ჯგუფის ენებს არ ახასიათებს თანხმოვანთა თავმოყრა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. თანხმოვანთა კომპლექსები აღნიშნულ პოზიციაში მხოლოდ ბაგვალურსა და ჰამალურში დასტურდება.

ბაგვალურ ენაში აუსლაუტში შეიძლება გამოიყოს 16 თანხმოვანთწყვილი — შემდგარი სონორებისაგან და ჩქამიერებისაგან. წევრთა თანმიმდევრობა დასაშვებია მხოლოდ ერთი: სონორი + ჩქამიერი.

ამგვარად, სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ბაგვალურში გვხვდება შემდეგი ჯგუფები: მენდ „მენ“ (ერგ.), ჰანტ „რწყილი“, უნშო „მიწა“, ინხო „წყარო“, კვანლ'ო „კვანადელი“, წიერთ „ტალახი“, ფერტ „გუთანი“ (თლის.), ერწ „შრავი“, ლ'ორლ' „ერბო“, მილპ „შე“ (თლონდ.)...

<sup>16</sup> ბაგვალური ენის დასავლურ დიალექტში პალატალიზებულ უკანაენისმიერთა—გ,ქ,კ—რეცი გამოიყოფა. ამ რეცის წევრები— გ, ქ, კ.—სთან იდენტურ პოზიციებში გვხვდება და ამჟამად ფონემატურობას იძენს.

<sup>17</sup> ბაგვალურს ახასიათებს ძლიერი ფშვინეიერი აფრიკატების სპირანტიზაცია, ამ გარემოებით ადვილად აიხსნება სიბილანტური და ველარული სპირანტების სირავლე ბაგვალურის თანხმოვანთკომპლექსებში.

დადასტურდა შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში: -ნდ, -ნტ, -ნწ, -ნშო, -ნღ, -ნხე, -წლ'ე, -რთ, -რც, -რწ, -რწე, რყ, -რლ', -ნლ'ე, -ლპ, -ლყ.

7. 1. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ტინდიური ენა განსაკუთრებულ სი-აბლოვეს ამკლავებს ბაგვალურთან. ბაგვალური ენის კვანადური დიალექტა იმდენად ახლოს დგას ტინდიურ ენასთან, რომ შეიძლება მათი გავრთიანება. ტინდიური ენა, ისევე როგორც ლოდობერიული, თითქმის არაა შესწავლილი. ტინდიური ენის შესახებ არსებობს მხოლოდ ერთი სპეციალური გამოკვლევა. ტინდიურის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა, რომელიც ეკუთვნის ტ. გუდა-ვას<sup>18</sup>.

ტინდიური ენის თანხმოვანთა სისტემა 40 წევრს შეიცავს. როგორც ჩანს, სა-ანალიზო მასალის სიმცირის გამო ინლაუტში 31 განსხვავებული კონსონან-ტური წყვილი აღირიცხა. თანხმოვანთა ჯგუფების დიდი უმრავლესობა, რო-გორც მოსალოდნელი იყო, სონორი + ჩქამიერი შედგენილობით ხასიათდება. თანხმოვანთა ასეთი კომბინაციების გარდა დასტურდება ლაბიალით და სიბი-ლანტით დაწყებული რამდენიმე კომპლექსი: ლეაბდილა „ადულება“. ტყებზა „მტვერი“, ოც'ხერ „კიტრი“, ყოშთა „სკამი“. რეშტილა „ცხენიდან ჩამოხ-ტომა“...

სონორი + ჩქამიერი სტრუქტურის ჯგუფები შემდეგია: ფირღუ „გამო-ნაყარი“, ქარტი „ხვრელი“, ურჩა „ატამი“, ბერცხენობ „ლამაზი“, ყარყალა „ტანი“, მარღალ „ლილი“, ჩ'ურტა „ჩოხა“, ქვარლ'ა „თოკის“, ლორწოინ „ქო-რი“ (შღრ. ხუნძ.: შორწენ), თანთილა „დარბილება“, ინციი „წყარო“ (შღრ. ხუნძ. იცა), ცანზი „თოვლი“; ჰინტო ჭბალა „რამდენი“, ქხალდი „ხეობა“ (ერგ.)... ტინდიურში დასტურდება სონორი+ჩქამიერი ტიპის ასეთი კომპლექ-სები: -რფ-, -რღ-, -რთ-, -რტ-, -რჩე-, -რცე-, -რწ-, -რყ-, -რე-, -რღ-, -რხ-, -რწ-, -რლ'-, -რმ-, -ნღ-, -ნფ-, -ნტ-, -ნქ-, -ნცე-, -ნყ-, -ნზ-, -ნე-, -ნტე-, -ნლ-, -ლღ-.

8. 1. კარატული ენის თანხმოვანთა კომპლექსების აღწერის დროს ძირი-თადი მასალა, რომელსაც ჩვენ ვემყარებით, მოცეპულია ზ. მაგომედბეკოვას ვრცელ და საფუძვლიან მონოგრაფიაში კარატულის შესახებ<sup>19</sup>. საანალიზო მასალის რაოდენობა შესაძლებლობას გვაძლევს საკმაოდ სრულად აღწეროთ კარატული ენის თანხმოვანთა კომბინატორული მიმართებები მათთვის დასაშ-ვებ პოზიციაში — ინლაუტში. კარატულში აღნუსხულია 90-ზე ჰეტე თანხმო-ვანთწყვილი პოზიციაში ხმოვნებს შორის. კარატული კონსონანტური სისტემა 45 წევრისაგან შედგება.

კარატულ ენაში მკაფიოდ გამოვლინდა ანდიური ენების კონსონანტურა ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისება: კარატულის თანხმოვან-კომპლექსების უმრავლესობას სონორი + ჩქამიერი სტრუქტურის ჯგუფებია შეადგენს. ასეთი ჯგუფების გარდა გავარჩევთ კიდევ ორი ჩქამიერისაგან შემ-დგარ კომბინაციებს.

კარატულის თანხმოვანთა შეთავსებადობის ანალიზის შედეგად უნდა აღი-ნიშნოს, რომ კონსონანტურ ჯგუფებში პირველ წევრად გვხვდება ბაგისმიერი.

<sup>18</sup> Т. Е. Г у д а в а, Тиндинский язык, Языки народов СССР, т. IV, М., 1967, გვ. 368-383.

<sup>19</sup> З. М. Магомедбекова, Каратилский язык, Грамматический анализ, тексты, словарь, Тбилиси, 1971.

სიბილანტური, პოსტერიორული და ფარინგალური ფონემები. ძალიან იშვიათად გვხვდება აგრეთვე თანხმოვანთა კომბინაციები, რომელთა პირველი წევრია ყრუ ლატერალი ან ლარინგალი.

დასტურდება რამდენიმე განსხვავებული კომპლექსი ბაგისმიერი თანხმოვანით პირველ ადგილზე. მოვიყვანოთ მაგალითები: ებდა „ცეკვა“, ხობდალ<sup>1</sup>ო „სასაფლაო“, გაბღუ „ურქო თხა“, ლაბცე „კემსი“, ტაბჩოუ „უანგი“, შიბ-შიბი „ფიქვის მწვანე გირჩები“ (შდრ. ტიბტიბი), ჰაბლი „ხუნძახი“ (აულია), ტაფჩოუ „უანგი“...

აქვე შევნიშნავთ, რომ კარატულ ენაში ინლაუტში ბდ ჭვუფი მარტივდება პირველი ან მეორე წევრის გაქრობის შედეგად. ბდ ჭვუფის სუპერაცია კარატულის დიალექტებში ამ გზით ხორციელდება: ლაბდა „სამი“ (საკუთრივ კარატული) — ლაბი (ტოკიტური დიალ.) — ლადა (კარატული დიალექტის რაჩაბაღდოური კილოკავი). საერთოდ, ბდ კომპლექსის დაძლევის ტენდენცია დამახასიათებელია ბევრი ანდიური ენისათვის.

კომპლექსები, რომელთა პირველი წევრია ლაბიალური თანხმოვანი: -ბღ-, -ბც-, -ბჩო-, -ბშო-, -ბლ<sup>2</sup>-.

გვხვდება ჭვუფები სიბილანტური სპირანტებით პირველ ადგილზე: აზბარ „ეზო“, ბესხდალ<sup>3</sup>აბ „ობოლი“, ვასშალ „ბიძაშვილი“, ოსქერ (||ოხცერ) „კიტრი“, ჰოუერუყო „ზღარბი“, ყოშხდა „სკამი“, ჯაშხტა „ნაწნავი“, ბარაშხჯალა „სიძენწე“...

თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი წევრია სიბილანტი. შემდეგია: -ზბ-, -ზმ-, -სად-, სჟ-, -სღ-, -სჯ-, -ყრ-, -შჩრ-, -შჩტ-, -შჩჟ-, -შჩჯ-.

კარატულში დასტურდება რამდენიმე შემთხვევა ორი თანხმოვნის შეთავსებისა, რომელთაგან პირველი პოსტერიორული ან ფარინგალური ფონემაა: ჩაქმა „ჩქმა“, ჩახხდა „რაცის ქვა“, ჩუხხდი „ჩიხთიკობი“... ზაჰამათობ „მძინე“, ყუყრა (||ყურუნ) „წერო“, შაყრაბ „მორიელი“, შაყლუ „ჭკუა“...

ფარინგალური და პოსტერიორული თანხმოვნით პირველ წევრად შემდეგი კომპლექსები გვხვდება: -ქმ-, -ხღ-, -ჰმ-, -ყრ-, -ყლ-.

კარატულში აღინიშნა თანხმოვანთა შეთავსების ერთი მაგალითი, სადაც რედუქციის შედეგად მიიღება კომპლექსი ყრუ ლატერალით პირველ ადგილზე: ლ<sup>4</sup>ბ რელ<sup>5</sup>აბ „მაკე“ — ირიბ ბრუნვათა ფუ.ე რელ<sup>6</sup>ბი. თანხმოვანთა კომბინაცია ლარინგალით პირველ წევრად გვხვდება მხოლოდ ადაპტირებულ ფორმებში: ზაჰრუ „საწამლავი“...

8. 2. როგორც მოსალოდნელი იყო, კარატულის სონორი ფონემები დისტრიბუციულ მიმართებათა თვალსაზრისით ინლაუტურ პოზიციაში ისევე იქცევიან, როგორც დანარჩენ ანდიურ ენათა სონორები. კარატულშიც, სხვა ანდიური ენების მსგავსად, რ და ნ სონორთა დისტრიბუციული ძალა გაცილებით მეტია ლ და შ სონორების დისტრიბუციულ ძალაზე.

აღნუსხულია რ ან ნ სონორით პირველ წევრად 60-ზე მეტი თანხმოვანთკომპლექსი. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები: ჯანდირო „ცელი“, „პანდე „დოქი“, ჰუნთა „ლოკვა“. კანტა „ჯობი“ ტოკიტ. დიალ. კანტა<sup>2</sup>, ჰანაქუ „ლანძილი“, სოუნჯალა „ყნოსვა“, კუნცოი „ხავისი“, ლანწა „კავი“, „ლუგმა“,

<sup>20</sup> კარატულის ტოკიტურ დიალექტში ველარული ხშულები (გ, ჰ, კ, კჰ) პალატალიზაციის განიცდის. პალატალიზებული ალოფონები გვხვდება პოზიციაში (ა, ე, ი) ხმოვნების წინ. იხ. **3. M. M a g o m e d b e k o v a**, *Каратинский язык*, Тбилиси, 1971, გვ. 31.

პინწე „კალო“. პანჯარ „სარეველა ბალახი“, ანქოუ „ჩრდილი“. ღანყალა „დასრჩობა“. კანსა „ნაფოტი“, ანეთო „ცული“, ანლობ „ყრუ“, ქვანხე „სა-  
ფხევი“, ბენიანლა „დამეაება“, ანლოა „ქრილობა“, ანლერ „სიტყვა“, ამ-  
ბავი, პანტოე „სამღერა“, პანტუ<sup>21</sup> „ნისლი“. „ღრუბელი“...

კომპლექსები, რომელთა პირველი წევრია სონორი ნ, შემდეგია: -ნდ-,  
-ნთ-, -ნტ-, -ნგ-, -ნქ-, -ნქა-, -ნჯ-, -ნცა-, -ნწ-, -ნწა-, -ნჩ-, -ნჭ-, -ნჭა-, -ნჭა-,  
-ნყ-, -ნხ-, -ნს-, -ნსა-, -ნქ-, -ნჰა-, -ნღ-, -ნაა-, -ნლ-, -ნლ', -ნჭა-, -ნტ'.

აქვე გავსახავთ, რომ კარატულსა და ქამალურში სონორი ნ+ჩქამიერი  
შედგენილობის კომპლექსები ინლაუტში ხშირად სუსტდება, იშლება, მაგრამ  
სონორი ნ უკვალოდ არ ქრება, ის წინამავალი ვოკალის ნაზალიზაციას ახდენს:  
V̄NCV—<—V̄NCV—.

აქლა განვიხილოთ სონორი რ + ჩქამიერი სტრუქტურის ჯგუფები კარა-  
ტულში: ორბა „სელის ზეთი“, ლორლობ „მეწვერი“, ქარტა „ხერელი“, კორ-  
კობ „ქრელი“. პარკოუყა „ქალი“, ერწე „შრბატი“. ორჩა „წვიმა“, „აეღარი“  
(ანქიხ.) ფურჩე „წიწკა“, ყენწე „ელენთა“, მორკე „საზღვარი“, ღეარზა  
-ლეიბი“, ლარსე „ტყაი“. დარკი „გოგრა“. ღარლა „ხრეში“, თერხეხეა-  
ლა<sup>22</sup> „დაკიდება“, ქერბუნ „ანწლი“ (ტოკიტ.). ლარპა ხშირად, სინდარტოუ  
„ობობა“ (ტოკიტ.), ლორლე „კარაქი“...

გვხვდება სონორი რ და ჩქამიერისაგან შემდგარი შემდეგი კონსონანტუ-  
რი წყვილები: -რბ-, -რდ-, -რთ-, -რტ-, -რგ-, -რქ-, -რჯ-, -რც-, -რწ-, -რჩ-, -რჭ-,  
-რჭა-, -რჭა-, -რჭა-, -რჭ-, -რყ-, -რხ-, -რს-, -რსა-, -რც-, -რწა-, -რლ-, -რხ-,  
-რხა-, -რხა-, -რჰ-, -რჰა-, -რტა-, -რლ-, -რლ'.

კარატულში მეტად მცირე რაოდენობით გვხვდება სონორი ლ + ჩქამი-  
ერი შედგენილობის ჯგუფები, ხოლო ჯგუფები შემდგარი მ სონორისა და ჩქამი-  
ერისაგან საანალიზო მასალაში არ შეგვხვდა: ჰალბაქენ „მარცხოვანი“, ღა-  
ნულდი „ხის უნაგირი“, ტელტუ „სელი“, ჰალკუტან „ჰარხალი“, ხეღჩინ  
(ქხეღჩინ) „ხმალი“, ჩვალხალა „მიშხეფება“, ჰალმალ „ამხანაგი“ ..

ასეთი კომპლექსები შემდეგია -ლბ-, -ლდ-, -ლთ-, -ლტ-, -ლქ-, -ლჩ-, -ლწ-,  
-ლჩა-, -ლმ-.

კარატულ ენაში ინლაუტში სამწვერიანი კონსონანტური კომპლექსები  
მეტად იშვიათად გვხვდება. სამთანხმონიანი კომბინაციები მხოლოდ მორფე-  
მათა შესაყარზე დასტურდება. მაგალითად: ინშთუღა „ხუთი“, ჰინშთაღა  
„როგორ“...

9. 1. ახვახური ენის თანხმოვანთა კომბინატორიკისათვის ნიშანდობლივია  
კონსონანტური ჯგუფების დაძლევის ტენდენცია. ახვახური, სხვა ანდიურ ენებ-  
თან შედარებით, უფრო გაუბნის თანხმოვანთა თავმოყრას სიტყვის ნებისმიერ  
პოზიციასში. თანხმოვანთკომპლექსების დაშლის ტენდენცია (resp. სრულხმოვ-  
ნობისაკენ მიდრეკილება) ახვახურისათვის სიახლეს არ წარმოადგენს<sup>23</sup>. მაგ-  
რამ, მიუხედავად ამისა, ახვახურის თანხმოვანთა დისტრიბუციული ანალიზი

<sup>21</sup> ტ'—აბრუპტიული ლატერალური აფრიკატა, სუსტი, აუღ კარტის თქმას ახასიათებს.  
ტოკიტურ დიალექტში ტ'<' ( —V), ხოლო ტ'<'ლ'(V—V).

<sup>22</sup> ანდიურ ენებში კომპლექსი თანხმოვანი+ყრუ ლატერალური სპირანტი ლ' ძირითადად  
მხოლოდ მორფემათა შესაყარზე დასტურდება. ლ' ფონემა ანდიურ ენებში ნასახლარი ზმნე-  
ბის მაწარმოებელია. ლ' სუფიქსი ძალიან პროდუქტიულია და ჩვეულებრივ ერთვის სუფთა  
ფუძეს.

<sup>23</sup> იხ. З. М. Магомедбекова, Ахвахский язык, Тбилиси, 1967, გვ. 23—25.

გამოავლენს, რომ კონსონანტური ჯგუფები საკმაოდ დიდი რაოდენობით დასტურდება ენაში. ახვახურში რეალიზებულია 80-მდე თანხმოვანთკომპლექსი, ახვახურის კონსონანტთა სისტემა 47 წევრს შეიცავს<sup>24</sup>.

ახვახურში გაირჩევა სამხრეთული და ჩრდილოური დიალექტები. ჩრდილოური დიალექტი, სამხრეთულთან შედარებით, უფრო ძლიერაა მიდრეკილი კომპლექსების თავიდან აცილებისაკენ. რაც შეეხება სამხრეთულ დიალექტებს, კერძოდ წელობურსა და ტლანებურს, საგულისხმოა მათთვის დამახასიათებელი ხმოვანთა რედუქცია, რასაც თანხმოვანთწყვილების შექმნა მოჰყვა შედეგად. აქვე შევნიშნავთ, რომ საილუსტრაციო მაგალითებში ყველგან. სადაც სპეციალური მითითება არ არის, ჩრდილოური დიალექტების ფორმა მოგვეყავს.

ახვახური ენის კონსონანტური ჯგუფების კომბინატორული თვალსაზრისით შესწავლა ცხადყოფს, რომ კომპლექსების გარკვეული რაოდენობა შეიცავს ორ ჩქამიერ თანხმოვანს. ასეთ ჯგუფებში პირველ წევრად დასტურდება ლაბიალური, დენტალური, სიბილანტური და ფარინგალური თანხმოვნები.

აღვნიშნავთ კიდევ ჩვენთვის საინტერესო ორ მაგალითს, სადაც ჯგუფის პირველი წევრებია წინაველარული და ყრუ ლატერალური ფონემები.

ჩქამიერი + C: გიბგუ „გუგული“ (ტლან. რატლ.) (შდრ. ჩრდილ. დ. გე-ჯუ), ყებჭუ „ქერქი“ (ტლან.) (შდრ. ჩრდ. დ. ყეჭუ), შიდლე „ზეგ“ (რატლ. ტლან.) (შდრ. ჩრდ. დ. შიდი), კოკოტრო „ხერხი“ (ინსტრუმენტი) (წელ.) (შდრ. ჩრდ. ქუქადირო).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჯგუფები სიბილანტური ხშულით პირველ წევრად ქამალური ენის გარდა მხოლოდ ახვახურში დასტურდება: სოაჩმა „საფანტი“ (ალმად.) (შდრ. ჩრდ. სოაჩმა), რაკმიხი „რკინა“ (წელ.) (შდრ. ჩრდ. რაკინხე), ტაეჭე „ვერი“ (წელ.) (შდრ. ჩრდ. ტაეჭილ'), ნუშილ „სიძეები“ (მხ. ნუშა), ყ'ოშთა „სკამი“, ბეტუქელი<sup>25</sup> „გლეხები“ (მხ. ბეტუნჯა), აშჯან „სანაყი“, ბუშნა „ნამცხვარი“, ქამანჯე „მოწყენა“ (წელ.)..., სოუკრა „ფინჯანი“ (წელ.) (შდრ. ჩრდ. სოუკარო), მილ'ჩადაბ „ახალგაზრდა“ (რატლ.)...

ახვახურში ჩქამიერი + ნებისმიერი თანხმოვანი აგებულების შემდეგი ჯგუფებია: -ბგ-, -ბჭ-, -დლ-, -თნ-. -ტრ-, -კრ-, -ჩმ-, -ჭმ-, -ჭკ-, -ქდ-, -ყდ-, -შბ-, -შბდ-, -შთ-, -შქ-, -შნ-, -ხეშე-, -შნ-, -ლ'ჩ-.

9. 2. თანახმად ანლიური ენების საერთო ტენდენციისა აწარმოოს კონსონანტური ჯგუფები სონორითა და ჩქამიერით, ახვახური ენის თანხმოვანთკომპლექსების უმრავლესობა შედგება ორი წევრისაგან, რომელთაგან პირველი სონორი თანხმოვანია, ხოლო მეორე წევრად დასტურდება ნებისმიერი თანხმოვანი ფონემა: პოზიციურ შეზღუდვათა გარეშე (resp. სპონტანურად). ახვახური ამ მოდელით აგებული ჯგუფების სუპერაციას ახდენს, კომპლექსების დაშლა შემთხვევათა უმრავლესობაში სონორების ამოვარდნით ხორციელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ჯგუფები რ და ნ სონორებით პირველ ადგილზე ყველაზე მრავალრიცხოვანია, ლ სონორით დაწყებული კომპლექსები მეტად იშვიათად გვხვდება, ხოლო მ სონორის შემცველი ჯგუფები ორიოდ შემთხვევის გარდა არ დადასტურდა.

<sup>24</sup> З. М. Магомедбекова, Ахвахский язык, грамматический анализ, тексты, словарь, Тбилиси, 1967.

<sup>25</sup> ახვახურში, სხვა ანლიური ენებისაგან განსხვავებით, არასიბილანტმა ფორმატებმა კორელაცია სუსტი-ძლიერი სრულად შეინარჩუნეს, ფარინგალთა და ლატერალთა რიგებიც ახვახურში სრულადაა წარმოდგენილი.

კონსონანტური ჯგუფების დაძლევის ტენდენციის მიუხედავად ახვაჭურ-ში სონორი + ჩქამიერი ტიპის თანხმოვანთა შეთავსებადობა მაღალი სიხშირით ხასიათდება:

სონორი ნ, რ + C: ჰანდე „ყური“, ლ'ენტუ „მორწყვა“ (რატლ.), ჰანტი „რწყილი“, ყვანკაბ „მაგარი“ (წელ. ტლან.), ჰუნწი „კენკრა“, უნწი „თაფლი“ (აღმ. დ.) (შღრ. ჩრდ. უნწი), ინჰუდაბ „ცარიელი“ (წელ.) (შღრ. რატლ. ეჰუ-დასხი), ინჰ'ატუ „აკალი“, ტუნსი „თივა“ (აღმ. დ. შღრ. ჩრდ. ტ'უნსი), მანეირ „ცული“, ლვანშა „კეფა“, გვანლ'იხ „გარიყრაჟი“, ტხანტა „აკჰაკი“ (აღმ. დ.); ხურდე „მინდორმა“ (სახ. ხურ.), ჰაბურტი „კაჟი“ (ტლან.) ჩრდ. ჰეტუ), ჰერჰელ „ლრძილი“ (რატლ), არკა „ცოლი“, (ტლან. რატლ.) (შღრ. წელ. აჟე), შერცე „გუთანი“ (ტლან.) ლ'არწო „ხმა“, ყორჩო „ბიბილო“ (ტლან.), ლ'რსი „ბალღინჯო“ (რატლ.), გორჟო „ეშვი“ (წელ.) (შღრ. ჩრდ. დ. გოჟო), ერხამ „ტყავის თოკი“ (წელ.), ორხ'ობა „ღარი“ (რატლ. ტლან.), ზარჰო „საწამლაჟი“...

სონორი ლ + C: მიწოლდაბ „იშვიათი“ (აღმ. დ.), ყვალჰა „წყარო“ (ტლან. რატლ.), რუშუმგე „ჩრდილის მხარე“ (წელ), კამრუ „თალი“...

ახვახურში დასტურდება 60-მდე სონორი + ჩქამიერი შედგენილობის თანხმოვანთკომპლექსი: -ნდ-, -ნთ-, -ნტ-, -ნგ-, -ნქ-, -ნკ-, -ნც-, -ნწ-, -ნწო-, -ნჩ-, -ნჟ-, -ნჯ-, -ნყ-, -ნყ', -ნზ-, -ნს-, -ნსხ-, -ნე-, -ნშ-, -ნშო-, -ნხ-, -ნხო, -ნლ', -ნლ', -ნტ', -ნრ-, -რდ-, -რთ-, -რტ-, -რქ-, -რკ-, -რკო-, -რცო-, -რწო-, -რჩ-, -რჯ-, -რყ-, -რზ-, -რს-, -რსხ-, -რე-, -რლ-, -რხ-, -რხო-, -რხ', -რჰ-, -რტო-, -რლ-, -რმ-, -ლდ-, -ლყ-, -ლწ-, -მგ-, -მრ.

ახვახურის საანალიზო მასალაში დასტურდება სამწევრიანი კონსონანტური ჯგუფების ორიოდე შემთხვევა: არშთერ „ოხვა“ (რატლ.), შღრ. ჩრდ. დ. უნჰე, ინწითუდა „ხუთი“.

10. 1. დასასრულს, შევაჯამოთ შედეგები და აღვნიშნოთ ანდიური ენების თანხმოვან ფონემათა შეთავსებადობის ძირითადი კონსონომიერებანი:

ანდიური ენების კონსონანტური ჯგუფების აბსოლუტური უმრავლესობა ორი წევრისაგან შედგება. ეს ჯგუფები წარმოდგენილია პოზიციასი ხმოვნებს შორის (V — V).

თანხმოვანთა კომპლექსები ანდიურ ენებში ზემომოყვანილი მასალის საფუძველზე შეიძლება ორ კლასად გავყოთ: 1. ჯგუფები, რომელთა პირველი წევრი ჩქამიერი ფონემაა; 2. ჯგუფები, რომელთა პირველი წევრი სონორი თანხმოვანია.

რაც შეეხება ორივე კლასის კომპლექსების მეორე თანხმოვანს, დისტრიბუციული ანალიზი ცხადყოფს, რომ საკუთარ ლექსიკურ სტრუქტურებში ეს ყოველთვის ჩქამიერი თანხმოვანია.

ამგვარად, ანდიურ ენებში გვხვდება შემდეგი სტრუქტურის თანხმოვანთა კომბინაციები: 1. ჩქამიერი + ჩქამიერი, 2. სონორი + ჩქამიერი.

(2) კლასის ჯგუფები (ე. ი. სონორი + ჩქამიერი) მიეკუთვნება უაღრესად მაღალი სიხშირის თანხმოვანთკომპლექსთა რიცხვს. განხილული მასალებიდან ჩანს, რომ სონორი თანხმოვნების დისტრიბუციული ძალა წარმოდგეს კომპლექსის პირველ წევრად გაცილებით მეტია ჩქამიერის დისტრიბუციულ ძალაზე: ანდიური ენები საკმაოდ ღარიბია (1) კლასის კონსონანტური ჯგუფებით.

სამაგიეროდ ჩქამიერი \* თანხმოვნების დისტრიბუციული ძალა წარმოდგეს ჯგუფის მეორე წევრად შეუდარებლად მეტია სონორის დისტრიბუციულ ძალაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯგუფის მეორე წევრად საკუთარ ლექსიკაში სონორები არ დასტურდება.

ანდიური ენების ჩქამიერი + ჩქამიერი შედგენილობის ჯგუფების კომბინატორული ანალოზის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ასეთი ჯგუფების პირველ წევრად დასტურდება ყველა ლოკალური რიგის თანხმოვანი. ამგვარ პოზიციამი თანხმოვნის წინ დასაშვებია ლაბიალური, დენტალური, სიბილანტური, ლატერალური, პოსტერიორული, ფარინგალური და ლარინგალური რიგის წევრი.

აქვე უნდა გავხაზოთ, რომ ჩქამიერი + ჩქამიერი აგებულების ჯგუფები ანდიურ ენათა ლექსიკის ძირითად ფონდში (resp. საკუთარ მასალაში) დასტურდება იშვიათად. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ასეთ ჯგუფებში პირველ ადგილზე დასტურდება მხოლოდ ანტერიორული (ლაბიალური, დენტალური, ალვეოლარული და ალვეო-პალატალური) თანხმოვნები, ხოლო მეორე ადგილზე აღნიშნულ სტრუქტურებში გვხვდება აგრეთვე მხოლოდ წინა წარმოების თანხმოვნები.

ამგვარად, ანდიურ ენათა (1) კლასის კონსონანტური ჯგუფებიდან მარკირებულია კომპლექსები ნებისმიერი ჩქამიერი ფონემით პირველ წევრად. ეს დებულება ძალაში რჩება, როდესაც განვიხილავთ თანხმოვანთკომპლექსებს როგორც ძირეულ სტრუქტურებში, ისე მორფემათა შესაყარზე და ნასესხებ ლექსიკაში. მაგრამ თუ გავარჩევთ თანხმოვანთა შეთავსებადობას მხოლოდ ნორფემის ფარგლებში საკუთარ ლექსიკურ ფონდში, მაშინ მივუთითებთ, რომ მარკირებულია ჯგუფები, სადაც წვეილის როგორც პირველ, ისე მეორე წევრად მხოლოდ ანტერიორული თანხმოვნები გვხვდება, ე. ი. ანდიურ ენათა (1) კლასის ჯგუფები (ჩქამიერი — ჩქამიერი) გამოირჩევა დიდი დისტრიბუციული თავისუფლებით, როდესაც განვიხილავთ ზოგადად ყველა სახის (1) კლასის კომპლექსებს. მაგრამ თუ განვიხილავთ თანხმოვანთა შეთავსებადობას მხოლოდ საკუთარი ლექსიკური მასალის ძირეულ სტრუქტურებში, დავინახავთ, რომ ასეთ სტრუქტურებში მარკირებულია მხოლოდ წინა წარმოების თანხმოვნებისაგან შემდგარი ჯგუფები (ანტერიორული + ანტერიორული). სხვა ტიპის ჯგუფები ამ შემთხვევაში არამარკირებულად ჩაითვლება. ძირეულ ფორმებში წარმოდგენილია ანტერიორული თანხმოვნებით შედგენილი როგორც აქცესიური, ისე დეცესიური კომპლექსები (შდ. შთ, შტ, ეტ, სთ, სტ; ბდ, ბტ, ბც, ბწ, დე). აღნიშნულ სტრუქტურებში არ გვხვდება კომპლექსის პირველ წევრად აფრიკატები. პირველ წევრად ამ ფორმებში არ დასტურდება აგრეთვე არც ფშვინვიერი ლაბიალური (ფ.).

მაშასადამე, ანდიურ ენებში ძირეული სტრუქტურის ფარგლებში არამარკირებულია მიმდევრობები: ყრუ ლატერალური + ჩქამიერი, პოსტერიორული + ჩქამიერი, ფარინგალური + ჩქამიერი და ლარინგალური + ჩქამიერი. ე. ი. თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი წევრია უკანა წარმოების თანხმოვანი, ანდიურ ენებში მხოლოდ მორფემათა საზღვარზე ან ადაპტირებულ ფორმებში დასტურდება.

ბარნოვა ნ. ა.

## КОМПЛЕКСЫ СОГЛАСНЫХ В ИНДИЙСКИХ ЯЗЫКАХ

### Резюме

Консонантизм дагестанских языков основательно исследован в специальной литературе, однако вопрос дистрибутивных взаимоотношений в группах согласных особо не изучался.

Сочетаемость согласных в консонантных комплексах рассмотрена по отдельности во всех восьми языках андийской подгруппы апарек-андийско-дидойской группы: андийском, ботлихском, годоберинском, чамалшском, багвалинском, тиндинском, каратинском и ахвахском.

Комплексы согласных в андийских языках в основном встречаются в позиции между гласными (геср, в иллауте). Большинство консонантных групп в андийских языках состоит из двух членов.

Комплексы согласных в андийских языках подразделяются на два класса: 1. группы, первый член которых — шумная согласная фонема; 2. группы, первый член которых — сонорная фонема.

Что касается второй согласной обонх классов комплексов, то она всегда представлена шумной согласной. Следовательно, в андийских языках имеются следующие комбинации согласных: 1. шумная + шумная; 2. сонорная + шумная.

Группы (2) типа (т. е. сонорная + шумная) принадлежат к числу комплексов согласных особо высокой частотности. По способности являться первым членом группы дистрибутивная мощность сонорных согласных гораздо выше мощности шумных согласных. Зато по способности являться вторым членом комплекса дистрибутивная мощность согласных во много раз превосходит сонорные. В основной лексике в качестве второго члена группы сонорные не встречаются.

В комплексах структуры шумная + шумная в собственной лексике на первом месте встречаются только антериорные (лабиальные, дентальные, альвеолярные, и альвео-палатальные) согласные, на втором месте в комплексах указанного типа также представлены согласные только лишь переднего образования.

Следовательно, в андийских языках из консонантных групп (1) класса маркированными являются комплексы с любой шумной согласной в качестве первого члена. Это утверждение имеет силу при рассмотрении комплексов согласных как в корневых структурах, так и на стыке морфем и в заимствованной лексике. Однако, если рассматривать сочетаемость фонем только в пределах одной морфемы основного лексического фонда, то маркированными являются только группы, имеющие в качестве обонх членов лишь только антериорные согласные.

В корневых формах встречаются как акцессивные, так и десцессивные комплексы антериорных согласных. В качестве первого члена не представлены аффрикаты. Не имеется в таких комплексах на первом месте придыхательной лабиальной согласной.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრასთან არსებული ექსპერტ-მენტული ფონეტიკის ლაბორატორია  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ



## პ უ ბ ლ ი კ ა ტ ი ა

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ზ ე

შ ა ნ შ ი

პ ო ე მ ა <sup>1</sup>

ე უ ძ ლ ე ნ ი ძ ვ ი რ ფ ა ს ი მ ე გ ო ბ რ ის ლ ე მ ო ნ ის  
ს ს ო ე ნ ა ს

### I

მეგობრულ საღამს გიძღვნი მშვიდად  
ბნელ საფლავეში მყოფს,  
საყვარელ ღემონს ჩენის სულის  
ღემონად ქცეულს.  
შავი ფიქრებით, მწარე ხევედრით  
დაღლილს, ავაღმყოფს,  
რად, რად აშუოთებ ეგრე რისხვით  
ჩემს სულს იჭვენულს?...

#### 1

მიჰქრიან ღღენი...  
და მკაცრი სენი  
სულით ობლობის აღარ მშორდება.  
ატყდება გული,  
როცა წარსული  
იმედის სხივი მომაგონდება.  
აღარ იტაცებს  
გულის ფრთხილ ძაფებს  
ეს უნდობელი სამსალა მწვევე.  
ზღვას, ზღვას მივმართავ  
და იქ დავმარხავ  
სეველა-კაეშანს... გასწი, მენაე!

#### 2

ხარობს ეთერი —  
პირმშვენიერი  
ცა ეარსკველავებით შემოჭვდილა.  
ოჰ, მთვარე, მთვარე,  
სხივმონარნარე,  
ისიც ზომ ჩემებრ ობლად შთენილა.  
მზადა ვარ, მის გულს,  
ციე-მინელებულს,  
ეს ცივი გულიც დაუგმონაო,

<sup>1</sup> დასაბეჭდად მოამზადა ლევან კრელაშვილმა.

აქ კი ზღვა წყნარად,  
ტკბილ ფიქრთა გვარად,  
სთვლემს და მღუმარებს... შენი ვარ, ზღვაო!

## 3

მიქტრის ნიავი,  
რომ მომხიბლავი  
ჰანგი თაედახრილ ყვაეილს უმღეროს,  
აქ სულთქმას ებედავ...  
ვერად ვერ ეხედავ  
ტანჯვა-წამებას საბედისწეროს.  
ღეე, სხვა ჟამ-დროს  
სულს კვლავ ეწვიოს  
მოწყენილობა და ფიქრი მწვავე.  
ღეე, დამწველი  
მფლობდეს ნაღველი,  
ეხლა მე ესტკბები... გასწი, მენავე!

ასე მღეროდა შუაღამისას  
ზღვის მოსაუბრე და მოტრფაალე.  
მიქტროდა ნაეი... სიმღერას ყრმისას  
გულში იკრავდა ზღვა გამჭვირვალე.  
თითქო გრძნობდაო, რომ დატანჯული  
მასში სახაედა ბედნიერებას,  
ქვეყნად ადრევე მოცილებული  
სულის სიმშვიდეს და მოსვენებას.  
ბევრჯერ, როდესაც ადამიანი  
ქვეყნიურ ტრფობის წყურვილს მოიკლავს,  
სულით ობლობა და კაეშანი  
ზღვის გულში ტრფობას გამოისახავს,  
ბევრჯერ, როდესაც ღვენილ-კიცხული  
ქვეყნად სიყვარულს ვერ ეღირსება,  
განყენებული, მშფოთვარე გული  
მხოლოდ ბუნებას შეეთვისება.  
მიყვარს ბუნება, მხოლოდ იქ არის  
მშვენეირება ხატად შექმნილი.  
განღვენილია ჩრდილი სამარის,  
მოკვეთილია მონობის ჩრდილი.

## II

მაგრამ ეს რაა? შანშეს აკვირებებს  
ყრუ და საეჭუო იღუმალება.  
არსით ძახილი... შორს, ზღვის ნაპირებს  
მიმოფენია ღრმა მწუხარება.  
ერთი წუთი და მის ნაეს ყოველ მხრით  
აუაზაკები მიესევიან.

„არ გაუშვათო... დაჰკათ... დაიჭით!“  
 და დასაჭერად მიიწევიან.  
 გაშეშდა შანშე... მენავემ კრძალვით  
 მისკენ დახარა ამაყი თავი:  
 „რას მიბრძანებო...“ — მაგრამ სიმალით  
 იქავე გაჩნდა სულთამხუთავი,  
 შეჯახტვეს მაგრად... მიჰყავთ, მაგრამ სად?  
 აი, გამოჩნდა კიდეც კუნძული,  
 მთვარის სხივებზე ბრგელ და ლამაზად  
 იდუმალ ხელით შემოქარგული.  
 შურისძიების და სიბრაზისკენ  
 გადაიხარა გრძნობის სასწორი.  
 შანშე აღგზნებდა თვალს კუნძულისკენ  
 და თრთოდა როგორც გლადიატორი.  
 „დასცხრი, მენავემ ჩაუჩურჩულა,  
 ამაო არი აჟ მრისხანება.  
 რაკი ამგვარად გამოხატულა  
 ჩვენი ხვედრი და ღეთაების ნება“.

## III

გამოცანაა შანშე ყველასთვის,  
 თავის წარსულზე არაფერს ამბობს;  
 ტყვე არის, მაგრამ ბატონიც არის,  
 თავს არვის უხრის... უფლად არვის სცნობს.  
 ამაყი თავის ვინაობაზე  
 გულწათხრობილი კრინტისაც არა სძრავს;  
 საუბარს მის სულს და მის გრძნობაზე  
 ვერვინ ახერხებს, ვერვინ უბედავს.  
 ავაზაკების წრფელ ყურადღებას  
 უცნაურ ძალით თვისკენ იზიდავს.  
 რალაც აერთებს მათ მისწრაფებას,  
 რალაც მათ გრძნობას ჯაჭვს სდებს და ხიბლავს.  
 კითხვებზე პასუხს აძლევს ნაწყვეტად,  
 თუ მეტს კითხავენ, ყურს აღარ უგდებს.  
 გულზე რა აწევს ფიქრად და სეველად,  
 ვერვინ მიხვდება, ვერვინ გაუგებს.  
 ხალხს ეტანება, მაგრამ იქაც კი  
 ბუნდლოვანია, გასაოცარი,  
 ვერც ერთი მკვლეელი და ავაზაკი  
 ვერ გახდა მისი სწორ-მეგობარი.  
 თითქო მეტია ყველაფრისათვის,  
 მას არაფერი ქვეყნად არ ატკობს.  
 ხალხს ისე უცქერს, თითქო არავის  
 არ მიენდობა, ფიქრს არ გაანდობს.  
 ძვირად შეხედებით მხიარულ სახით,

თავდავიწყების ბურუსში ხვეულს.  
 ვერ მოატყვილებთ უნდობელ მახით  
 შანშეს გულს სასტიკს, მუდამ იჭვენულს.  
 როგორც მანქანა, უცხო ღიმილი  
 იმის სახეზე თუ გადაირბენს,  
 გულის სიცხოვლე, იმედის ჩრდილი  
 ნაღვლიან თვალებს ნათელს ვერ მიჰყენს.  
 თვალთა სიღრმეში, იქ, სადაც ერთი  
 მეფობს საფლავი და მწუხარება,  
 წყვილიაღსეი ებრძვის მეორე ღმერთი  
 მკაცრი, სასტიკი იღუმალეზა!...

## IV

მოხიბლულაა მითი ელილი,  
 ამური მის გულს ნაზად აწვალებს.  
 სედიანია და მოწყენილი  
 უიმედობით ძირს ნაბავს თვალებს.  
 ის ყვავილია, მსუსხავე ჭინჭრებში  
 ბრგელ და წარმტაცად ამოკვეთილი;  
 სულ სხვა სხივია ავაზაკებში  
 ბუნების ჟინი, ტურფა ელილი.  
 თვალების შუქი — ცის არის ძალა,  
 თვით გრძნობის სიმებს ეთამაშება,  
 ეინც მით აღინთო და გაიმსჭვალა.  
 ის მონა არის, ვეღარ აღსდგება —  
 ქვეყნის მძლეველი და მბრძანებელი  
 თუ სულს ერთ მიზნად დაისახავდა,  
 მთლად რომ მოეველო ქვეყანა მთელი,  
 ვფიცავ, უკეთესს ვერვის ნახავდა.  
 ელილის მამა მეთაურია  
 ავაზაკების მრისხანე გუნდის,  
 მუდამ ბრძოლა და სისხლი სწყურია,  
 მშვიდ ნეტარებას მისთვის გაურბის.  
 ან რას დაეძებს, თუ ცეცხლის აღი  
 იმის ასულის გულში ტრიალებს?  
 მოვაო წამი და ქარიშხალი  
 ყველას მოგვსრესო, გაგვატიალებს.

## V

სედიანი და დაფიქრებული  
 შანშე მზის ჩასვლას თვალს ადევნებდა.  
 ცის პორიზონტი აწითლებული  
 ზღვისა დასავალს მკრთალ ნათელს ჰყენდა.  
 მიუახლოვდა ელილი წყნარად,  
 ფრთხილად უცხოელს შვახო ხელი.

მობრუნდა შანშე და ცეცხლის გვარად  
 ერთხელ გამოკრთა თვალთგან ნათელი.  
 უცნაურ ძალამ მთლად დაატყვევა,  
 „იცი, — ელილიმ მას უთხრა გზნებით, —  
 ჩემი ცრემლები და ღამეთ თევა  
 მარტოდენ ზეცამ იცის საეხსებით.  
 ოჰ, შენ მიყვარხარ... ნუ განრისხდები,  
 გთხოვ... თანაგრძნობის მომაპყრო თვალი;  
 ოჰ, გევედრები... შენს მონად ვზღები  
 თავისუფალი სეიმის ქალი.  
 დეე, განრისხდეს ჩემზე სეიმი,  
 თემმა ურცხოების დამადოს ხუნდი,  
 არ შეშფოთდება გონება ჩემი,  
 ტანჯვა ის იყო: მე ვსწუხდი, ვსდუმდი.  
 მითხარი რამე... სული მიშფოთავს...  
 მითხარ, სანამდი უნდა ვიწვალო?  
 ძალა არ შემწევს, გრძნობა აღარ მაქვს,  
 შენს გარდა ვინმე გავეთვალთვალო“...  
 თითქო განცხრომა და აღტაცება  
 ტკბილ სხიუნახავ გულს კვლავ ეწვია.  
 ერთი წუთი და ელილი სტკბება,  
 შანშე მზურვალედ გადაეხვია.

## VI

როცა ტკბილის და ნაზ გრძნობის ნაცვლად  
 აღამიანებს ქვა გვიდევს გულში,  
 ვერარა გვაქცევს აღამიანად,  
 ამოღ ეძებთ ხსნას სიყვარულში.  
 ნაზ ტუჩებს ვკოცნით... ვეალერსებით...  
 წუთითაც თითქო არსება სტკბება.  
 მაგრამ სულის ხსნას ვერ ვეღირსებით,  
 სუყველაფერი სწრაფად გააქრება.  
 ადრე მობეზრდა შანშეს ელილი,  
 ადრე სიყვარულს ჩამოტყდა ფრთები.  
 სად გააქრა, შანშე, ოცნება ტკბილი,  
 სად გააქრენ ღზენა და იმედები?  
 იგი ისევე უნდობელია,  
 ჯაერიანია და მოწყვნილი,  
 მაგრამ რაც უფრო საკვირველია,  
 ერთ ღამეს გააქრა სადღაც ელილი.  
 ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს,  
 გადააჯერეს ძებნით მთა-ბარი,  
 ვის არ ჰკითხავდნენ... ვის არ მოსთხოვეს,  
 გააქრა ელილი... აღარსად არი...  
 მშობლებმა კიდევ გამოიტირეს,

სამგლოვიარო ჩაიცივეს შაი.  
 ცას შესანდობრად მსხვერპლი შესწირეს,  
 ისევ რბის ზანი დაულალავი.  
 ვინ შეამჩნედა, თუ რა სასტიკად  
 შანშე კრთოდა და იტანჯებოდა.  
 მარტო დარბოდა ველად და მინდვრად,  
 აღარ ჩნდებოდა... იმალებოდა.  
 არ იტაცებდა ავაზაკების  
 მისწრაფება და ლტოლვა ახალი:  
 „უნდა ავიღო თემი თათრების,  
 გავსწყვიტოთ ერთად კაცი და ქალი!“

## VII

„ეინ არ იცის, რა სასტიკად  
 გეგმუქრება ულუმ-ხანი,  
 ძმებო... სევდა მაწევს ფიქრად,  
 ძლიერი მაქვს კაეშანი,  
 მოგვდგებიან თათრები და  
 ამოგეწყვეტენ... ამოგვსრესენ,  
 თქვენთვის ცუდი მე არ მინდა,  
 მფარველი ვარ თქვენი ესდენ.  
 მისთვის ვამბობ: რომ დავასწროთ,  
 ის სჯობია, გეფიცებით,  
 დავეცეთ და ავაოხროთ,  
 დავდნებით და დავიწვებით...  
 ჩვენი ბედი ბრძოლა არის,  
 სიკვდილია განსვენება.  
 გამომევეით, ვისაც კაცის  
 სიცოცხლე არ ენანება,“ —  
 ეუბნებოდა ერთხელ სეიმი  
 მის ავაზაკებს, განწირულ ჯავართ,  
 ბრბოს იტაცებდა ბრძოლის ციმციმი,  
 „გავვიძელ, სეიმ, ჩვენც, ჩვენც შენთან ვართ!“

## VIII

აფრა აშალეს... ზღვა წყნარად სთელემდა,  
 შორს მიფრინავდა ყვილით გედი;  
 უფრო შორს კიდეე კაცთ მუნ იწვევდა  
 ახალი სხივი, ახალი ბედი.  
 იქ უშრეტელი შფოთავს ქარცეცხლი,  
 იქ კელავ ისმიან ბრძოლისა ხმები;  
 ზღვაზე გაისმა რისხვის აღმძვრელი  
 ხმა... იმღეროდნენ ავაზაკები:

## 1

მიჰქრის ნავი,  
 მომხიბლავი  
     კამარა კრთის  
 ზღვის სივრცეზე,  
 ამაყ-ცელქზე  
     მზის სხივი თრთის!

## 2

ჩვენ კი მარად  
 უღალაუად  
     ბრძოლას ვეძებთ  
 და მით გრძნობას  
 კელავ აღდგომას  
     ვაიმედებთ.

## 3

სულს მოსწყინდა  
 სივრცე წმიდა,  
 ერთფერობა.  
 ახალ იმედს,  
 ახალ ტკბილ ბედს  
     ემებს გრძნობა.

## 4

იმ დროს კელით,  
 როცა ცეცხლით  
     დაჰკრავს ალი,  
 წარიტაცებს  
 მოკვდავ კაცებს  
     ქარიშხალი.

## 5

ვინ უწყს, რამდენს  
 სისხლს დაადენს  
     მკაცრი ბრძოლა.  
 შორს წუხილი,  
 ტანჯვის ჩრჩილი,  
     შიში, ძრწოლა...

## 6

დაგველონებს,  
 დაგვეამონებს  
     სეულა წამით  
 და მოვასწრობთ,

რომ გაეაქროთ  
ბრძოლის შხამით!

## 7

წუთი არი  
და სიზმარი  
ეს ცხოვრება,  
როგორც მკრთალი  
ცისა რკალი  
ნელ-ნელ ჰქრება.

## 8

მაგრამ გაჰქრეს  
მკაცრ ბრძოლის დღეს  
ამაყურად  
და ჩვენ მოეკვდეთ  
ბრძოლის ველზე  
ეაუქაცურად!

მისწყდა სიმღერა და ავაზაკთა  
ურიცხვი გუნდი კლდეს მიეფარა,  
აღარსად სჩანდნენ... ნაცელად ზღვის წყალთა  
მკრთალი სიბნელე შემოეპარა.  
დაცალიერდა უცებ კუნძული,  
აღამიანთა მისწყდა ძახილი;  
მხოლოდ აქა-იქ გადაჩადრული  
ჯაგებში კრთოდა ქალების ჩრდილი.

## IX

„ჩქარა, მენავე!“ — შანშე ამბობდა, —  
მოაცურევი სისწრაფით ნავი...  
გული გასკდომას ტანჯვით ლამობდა,  
მტანჯავდა ფიქრი სულთამხუთავი.  
დრო ჩვენს ხელთ არის... ვერვინ შეგვამჩნევს,  
ეხლავე ჩუმად მოვსცილდეთ კუნძულს.  
ოჰ, რად ცახცახობ... რა ფერი გადგეს,  
ვერვინ გაგვიგებს ლტოლვას დაფარულს.  
მაგრამ სასტიკად დაშინებული  
მენავე გადგა კანკალით განზე;  
შეაცვლევეინეს ავაზაკთ გული  
გამბედაობა — ერთგულებაზე.  
„მაშ, არ მოდიხარ? — შანშემ შეჰყვირა,  
— მენავე იდგა გაშეშებული —  
მონაუ! სჩანს ურცხვად გადაიბირა  
ავაზაკთ რიცხვმა ეგ შენი სული“, —  
სთქვა და უბიდან საშინელ რისხვით



ამოაცურა ბასრი ხანჯალი  
 და წუთის უმალ მჩქეფარე სისხლით  
 შეშოილება მონა საწყალო.  
 მკვლარი დაეცა... შანშე ყელში სწვდა  
 და ზღვის სიღრმისკენ გადაისროლა...  
 ერთის ნახტომით ის ნავთან გაჩნდა,  
 კიდე შეაკრთო და აათრთოლა.  
 საჭე მოზიდა... და ნაპირიდან  
 ნაეი ნაპრალებს გადააცილა,  
 მოუსო ნინაბს... ერთხელ შვა წყლიდან  
 კუნძულს შეხვდა და მიიმალა.

## X

რა წარმტაცია თვალუწვდენელი  
 ზღვის სივრცე შორი განთიადის ეამს,  
 როდესაც მთვარე, სხივთა მურქვეველი,  
 ღიმილით დასცქერს მომხიბლავ კამკამს.  
 როცა მსუბუქი, შეტოკებული  
 ფერს იცვლის წყნარად ვარსკვლავთა კრება.  
 და ცის ბრწყინვალელ მარათული გული  
 ზღვის შორ ლაქუარდში უებრად კრთება.  
 თითქო პანგს სძღუნინან განთიადისას  
 შემაერთებულ ფრთაშესხმულ კავშირს  
 და იქარკებენ ტანჯვას გულისას,  
 მარხვენ თან მიმსრბოლ კენესა-გასაჭირს,  
 არც სღვა ნეტარი, არც ცა მორთული  
 არ ემოხება გულისთქმას ვიწროს.  
 და საიღუმლოდ ათრთოლებული  
 იქ სული ხარობს... მიყვარს ზღვა ამ დროს...  
 მაშინაც, როცა აღშფოთებული  
 ტალღა ტალღასე ქქუხს და ვრიალებს  
 და ფრთაშესხმულად აგორებული  
 ნაპირებს წალექს, გაატიალებს,  
 როცა ქაფს იყრის და მრისხანებით  
 ვით ცეცხლის მარცვლებს ჰაერში აბნევს.  
 და ველურ ხმებით, საზარელ ხმებით  
 შიშში შთაგდებულ მიდამოს არყევს,  
 როდესაც ანბა ხოშაღდთ ქარაენის  
 გადახეული მიმოფრიალებს,  
 როცა წყლის ქაჯი განგაშებს... დაძრწის...  
 როცა დემონი ცაში ხრიალებს,  
 თითქო ვერ ითმენს სასტიკ მონობას,  
 სამარცხვინოს და საბედისწეროს,

და შხამ-ნაღველში იღვსავეს გრძნობას...  
ომობს, თავხედობს... მიყვარს ზღვა ამ დროს...

ერთხელ, როდესაც აღტაცებულნი  
გადავსცქეროდი ზღვის ამაყ ტალღებს,  
ნავი შევნიშნე, მთლად დამსხვრეული  
ძლივსდა იჭერდა დაფლეთილ კალთებს.  
მე მომაგონდა ობოლი სული,  
ქარიშხლის ცეცხლში ობლად მფრინავი.  
დაეაკვირდი და მიტოვებულნი  
მაშინვე შანშეს ეიტანი ნავი.

## XI

შორს კი, იქ, სადაც მოულოდნელად  
შეშფოთდა ერი და ულუმ-ხანი  
და კარ-მიდამოს დამწველ-მდაგველად  
გადაეფინა სეედის საბანი,  
ომობს სეიმი, თვალეებში უკრთის  
განწირულება და მრისხანება;  
ის გამარჯვებას სულაც არ უტდის,  
მაგრამ სიცოცხლეს არ ენანება.  
აღფრთოვნებულნი მისი სიტყვებით  
წინ ისწრაფვიან ავაზაკები;  
ვერც ჯართა რიცხვით, ვერც ძლიერებით  
ვერას გამხდარან იმათთან მტრები,  
ცეცხლის აღმულში ინათლებიან,  
ფრთაშესხმულ ძალას ბრძოლით იჩენენ,  
სიკედელს უშიშრად ეგებებიან  
და ძლევის ნათელს მიდამოს ფენენ.

სალამოედება... აგერ დიდებით  
მნათობი მთებში გადაისვენა.  
ტკბილმა სიმღერამ ტკბილის იმედით  
სეიმის მეზობლოთ აღუძრა ლხენა.  
ესეც მიწყნარდა და მღუმარებამ  
სისხლით მოსერილი მოიცვა არე;  
კაშკაში იწყო ვარსკვლავთა კრებამ  
და მთას გვირგვინად დაადგა მთვარე.  
ხის ძირში სძინავს სეიმს მოქანცულს,  
მთვარის ნათელი მის შუბლს ძლივს ზვდება  
და არემარეს, ღრმად ძილში შთანთქმულს,  
ნელი ნიაკი ეთამაშება.  
დროგამოშვებით სადმე ბულბული  
დაუსტვენს ნაზად და სეედის ხმაზე,  
რომ გამოხატოს ამ ღამის სრული

მშენებლობა და სილამაზე.  
 დროგამოშვებით ნაკადი წყნარი  
 ნალექს შესცინებს, ჩაიბუტბუტებს  
 და ღამის ჩრდილი, გაუგებარი,  
 მთის ობოლ ყვაილს გულში იხუტებს.

სძინავს მოქანცულს სეიმს და ძილში  
 სიზმრებსა ხედავს გამარჯვებაზე,  
 მაგრამ ვინ მოსჩანს, ავერ ხის ძირში  
 მძინარ სეიმს რომ წაადგა თავზე?  
 შეკრთა სეიმი... წამოადგა ზეზე,  
 უცნაურ ძილ-ქვეშ კრთოდა და თრთოდა,  
 უცნობს მიაპყრო თვალნი სახეზე  
 და მრისხანედ სთქვა: „აქ რა გინდოდა?  
 შანშე შენ ტყვე ხარ!“ მაგრამ მოსულმა  
 მსწრაფლ დააფარა ტუჩებზე ხელი:  
 „ჩუმად... ოჰ, ჩუმად! ვერ შესძლო გულმა,  
 სააღსარებოდ შენთან მოველი,  
 დამიგდე ყური... ბედკრულს აღარ მაქვს  
 მშვიდობიანი ცხადი და ძილი,  
 ეს მოგონება ჩემს გრძნობას სწამლავს,  
 მე, მე მოვკალი შენი ელილი.  
 ნუ მკითხავ, რისთვის... მე ასე მსურდა...  
 და პირველია ელილი განა?  
 ჩემი ნაზი მზე როცა შემურდა,  
 მეც სისხლით მოვრწყე მთელი ქვეყანა“.

მუხლთ მოეკეცა სეიმს... ამოიდ  
 ხმლისკენ მარჯვენის წაღება სცადა,  
 გრძნობა დაჰკარგა... მოკედა საბრალოდ,  
 წუთი და შანშე აღარსად სჩანდა.  
 მოულოდნელი უბედურება  
 მკვეთრად, ძლიერად გამოიხატა:  
 ავაზაკთ გუნდი, ეს გულქვათ კრება,  
 დამარცხდა... გაჰქრა... მიმოიფანტა.

მოშორებული ზრახვას ქვეყნიურს  
 სიკეთეს, ლხენას, ქება-დიდებას  
 შანშე არ ეძებს მშენებებს ციურს,  
 ის ეძებს მხოლოდ თავდავიწყებას.  
 კვლავ მღერის, როცა მსხვერპლი ესდენი  
 დროს სვლასთან ერთად მოაგონდება,  
 „მიჰქრიან დღენი... და მკაცრი სენი  
 სულით ობლობის აღარ მშორდება!“

## ლევან ზრალაშვილი

## ბალახტიონ ტაბიძის ბამოუჰმეჰნაბალი პოემა „შანშე“

აქად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში (S) დაცულია ვალახტიონ ტაბიძის პოემა „შანშე“. იგი აღწერილია დასახელებული ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“<sup>1</sup>. ტექსტი ავტოგრაფს წარმოადგენს, აქვს მცირე ჩასწორება. ე. კანკიეთი, რომელმაც აღწერა ხელნაწერი, საპართლიანად წერს: „პოემის სათაური ჟერ „მირზა“ ყოფილა, შემდგომ ეს სათაური გადახაზულია და პოემას „შანშე“ აწერია. პოემის ტექსტშიც მირზა ყველგან შანშეთია შეცვლილი“. თხზულების დასაწყისისა და მიძღვნის ციტირების შემდეგ იქვე მართებულად არის შენიშნული, რომ „პოემა არ არის გამოქვეყნებული. შექმნილი ჩანს ვალახტიონ ტაბიძის მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში“.

როგორც ვხედავთ, ვალახტიონ ტაბიძის პოემა „შანშე“, მეცნიერული აღწერილობის მიუხედავად, დღემდის უცნობია ქართული მკითხველისათვის. იგი S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ VII ტომის ვიან გამოქვეყნების გამო ვერ შევიდა პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში.

პოემის ტექსტს თარიღი არ უზის, ამიტომ პირველ რიგში ეს საკითხია გადასაწყვეტი: როლის შეიქმნა ნაწარმოები? ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში „შანშე“ 5188 ნომრით არის გატარებული: „ოთხდამირველად, — წერენ „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ ტომის შემდგენლები, — ამ საზოგადოებას (წ. კ. გ. საზოგადოებას — ლ. ქ.) ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების აღრიცხვა ერთად უწარმოებია. მათი საერთო რაოდენობა შეადგენდა 5338 ერთეულს. ერთმანეთისაგან მათი გამოყოფა მოხდა 1914 წელს“<sup>2</sup>. მამასადავამ, რადგან პოემის ნომერი 5338-ზე ნაკლებია, ნაწარმოების ტექსტი 1914 წლამდის მოხვედრილა წ. კ. გ. საზოგადოების ფონდებში, ე. ი. დაწერილია 1914 წლამდე.

არსებობს პოემა „შანშე“ დაწერის თარიღის უფრო დაზუსტების საშუალება. „1909 წლის დამდეგს, — წერია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების 1909 და 1910 წლების ანგარიშში. — წიგნთსაცავში კატალოგიით იყო ქართული დაბეჭდილი წიგნი 3146 და ხელნაწერი 1724 ც. სულ 4870 ც. წლის განმავლობაში მოემატა ქართული დაბეჭდილი 30, ხელნაწერი 20... სულ წლის დამდეგს იყო: ქართული დაბეჭდილი 3176 წიგნი, ხელნაწერი 1744...“

1910 წლის განმავლობაში მიემატა ქართულს დაბეჭდილი 216, ხელნაწერებს 64... ასე, რომ 1910 წლის ბოლოს იყო ქართული ხელნაწერი 1528, დაბეჭდილი წიგნი 3392 ც.<sup>3</sup>

მოყვანილი ანგარიშის მიხედვით, წ. კ. გ. საზოგადოების წიგნთსაცავში 1909 წლის ბოლოსათვის იყო 4870 ერთეული, ხოლო 1910 წლის ბოლოსათვის კი 5220 ერთეული. მამასადავამ, გ. ტაბიძის პოემის ხელნაწერი წ. კ. გ. საზოგადოების ფონდებში მოხვდა 1910 წელს, რადგან მისი ნომერი 5188 მხოლოდ ამ წლის ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების ჯამში ითვლება.

როგორც პოემის ტექსტი ვეიხვენებს. დასაწყისშივე პოეტი წერს: „ვეძღვნი ძვირფას მეგობრის დემონის ხსოვნას“. „დემონი“ ფსევდონიმი ტრავიკულად დაღუპული პოეტის დიმიტრი (ქუჩუ) ქაუთარაძისა. მასთან გ. ტაბიძის მეგობრობის შესახებ არსებობს თვით მწერლის მოგონება-ჩანაწერი და აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>4</sup>. მან თავი მოიკლა 1910 წლის 18 იანვარს ჩანს, გ. ტაბიძეს მეგობრისადმი მიძღვნილი პოემა დაუწერია დემონის გარდაცვალების წელსვე, რადგან იგი, როგორც ზემოთ იყო დადგენილი, წ. კ. გ. საზოგადოების ფონდში 1910 წელს მოხვდა. ამრიგად, პოემა „შანშე“ თარიღდება აღნიშნულ წლით.

დათარიღების შემდეგ პოემა „შანშე“ გარკვეულ ადგილს იკავებს გ. ტაბიძის შემოქმედებით ისტორიაში. ჩანს, საქმე გვაქვს პოეტის ჟერჯერობით ჩვენთვის ცნობილ პირველ პოე-

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII, თბილისი, 1973, გვ. 152.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, წინასიტყვაობა, თბილისი, 1960.

<sup>4</sup> ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1909 და 1910 წლებისა, წელთაღრიცხვა XXII, 1911 წ., გვ. 47.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. XII, თბილისი, 1975, გვ. 245—248, 691—692. იხ. აგრეთვე, ი. ლორთქიფანიძე, ვალახტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბილისი, 1968, გვ. 38.

მასთან. ეს ფაქტი მრავალმხრივ არის საინტერესო. მწერლის „ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში“ აღნიშნულია: „190... ჩამოსვლისთანავე ოცამდე დღი „პოემით“, რამდენიმე ასული ლექსითა და რომანტიულ-დრამატული ნაწერებით მიმაქვს იერიშები ყველა რედაქციებზე“<sup>6</sup>. ი. იმედაშვილის ცნობით, რომელიც დასტურდება გ. ტაბიძის ერთ-ერთი ჩანაწერითაც, პეტრე-ში, გაანადგურა თავისი აღრინდელი ნაწერები? „ჩვენამდე არ მოუღწევია პოემებს „ქველი ჯოჯი“ და „ალვის ხეებს“, რომლებსაც გ. ტაბიძე ასახელებს მისა ბოქორიშვილისადმი 1912 წლის 22 ოქტომბერს მიწერილ წერილში. ასევე არ ჩანს პოემის „ოდისეას“ თარგმანი, რომელიც პეტრეს 1912—1913 წლებში შეუსრულებია“<sup>7</sup>, — წერს ი. ლორთქიფანიძე. ასეთ პირობებში პოემა „შანშე“ პეტრის შერე განადგურებული თხზულებებიდან გადარჩენილ ნაწარმოებდა გვევლინება. იგი სხვა ცნობილ პოემებთან ერთად წარმოადგენს გვიქმნის, როგორც იყო ის აღრინდელი „ოცამდე დღი პოემა“.

„შანშე“ შინაარსის მიხედვით ლირიკულ-რომანტიკული პოემაა. იგი/მიძღვნილია დიმიტრი (ქუჩუ) ქაეთარაძისადმი, რომელიც „ღმომონის“ ფსევდონიმით წერდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქუჩუ ქაეთარაძე იყო გალაკტიონ ტაბიძის ყრმობისდროინდელი მეგობარი, რომლის სიკვდილი პეტრემ მტკივნეულად განიცადა. ნაწარმოების გმირთა ბელი, მათი სიცოცხლის დასასრული ეხმანება „ღმომონის“ ცხოვრების ტრაგიკულ დაბოლოებას.

პოემა საინტერესოა აგრეთვე ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით. აქ გამოყენებულია ქართული ლექსის სხვადასხვა ზომა. განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი მათგანი: შერე თავის 1—8 სტროფებში გამოყენებული სალექსო ფორმა — თორმეტმარცვლოვანი საზომი 4/4/4 გაუფილია ექვს ტაქსად: პირველი და მეორე ტაქსები ერთმანეთს ერთმანეთს; მესამე და მეხუთე კი ერთიმეორეს (სჯა რითშიო); მესამე და მეექვსე ტაქსები ერთმანეთს არის შერითმული. ლექსის ასეთი წყობა იმდროისათვის და შემდეგშიც ახალი ჩანს, რაც, რასაკვირველია, საინტერესო ვერსიფიკაციული მოვლენაა როგორც გ. ტაბიძის, ისე საერთოდ ქართული პოეზიის სტროფიკა-ვერსიფიკაციის თვალსაზრისით.

Л. П. ЧРЕЛАШВИЛИ

## НЕИЗВЕСТНАЯ ПОЭМА ГАЛАКТИОНА ТАБИДЗЕ «ШАНШЕ»

### Резюме

В труде выяснены текстологические вопросы неизвестной поэмы Галактиона Табидзе «Шанше». Указанное произведение датируется 1910 годом, т. е. является первой поэмой поэта.

«Шанше» — лирико-романтическое произведение, представляющее собой значительный литературный факт как для изучения истории творчества Галактиона Табидзе, так и с точки зрения истории грузинской литературы XX века.

Особенно значительно версификационное многообразие поэмы. Один из ее стихотворных метров является новым для грузинской поэтики того времени.

<sup>6</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზულებანი, თორმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი, 1975, გვ. 278.

<sup>7</sup> ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 79.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუს. თაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## ქეცნიერის იუბილე

ალექსანდრა ბარამიძე

ა კ ა კ ი ბ ა წ ე რ ე ლ ი ა

(დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო)

აკაკი გაწერელია სტუდენტობის დროიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მუყაითობითა და შრომისმოყვარეობით. წერა და ბეჭდვა ადრე დაიწყო, იმთავითვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება და სახელი მალე მოიხვეჭა. ახლა იგი გამოჩენილი მკვლევარია, ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, ლექსთმცოდნე, კრიტიკოსი და ბელეტრისტი (ნოველისტი). ა. გაწერელიას კვლევის სფერო ძალიან დიდია და ფართოა. იგი თანაბარი ინტერესითა და გატაცებით იკვლევ-იძიებს როგორც ძველი, ისე ახალი და თანამედროვე ქართული მწერლობის საჭირობოროტო საკითხებს. საერთოდ იშვიათია ისეთი ფართო დიაპაზონის ერუდირებული მკვლევარი, როგორც ა. გაწერელიაა. თქმულს ისიც უნდა დავუმატო, რომ ა. გაწერელია წარმატებით სწავლობს რუსული და დასავლეთევროპული მწერლობისა და კრიტიკული აზრის ისტორიას. ამ პატარა ნარკვევში მე მოკლედ ვეხები ა. გაწერელიას ღვაწლს მხოლოდ ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის სფეროში.

ა. გაწერელია მრავალრიცხოვანი შრომის ავტორია. ამ შრომების უმრავლესობა თავმოყრილია მის წიგნებში — „ქართული პოეტიკის საკითხები“ (თბილისი, 1938), „რჩეული ნაწერები“ (თბილისი, 1962), „რჩეული ნაწერები სამ ტომად“ (ტომი პირველი, თბ., 1977; ტომი მეორე, თბ., 1979). ცალკე აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები — „ქართული კლასიკური ლექსი“ (თბ., 1953), „ქართული ლექსი“ (მეორე გამოცემა, თბ., 1955) და „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1974).

ა. გაწერელიას პირველ წიგნში „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“ შესულია ავტორის შრომები XV-XVIII საუკუნეების ანუ ქართული მწერლობის ე. წ. აღორძინების პერიოდის საკითხებზე (თეიმურაზ პირველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი). ეს შრომები მოხვდა აგრეთვე ა. გაწერელიას პირველ, დიდტანიან „რჩეულ ნაწერებში“ (თბილისი, 1962). წიგნის სათაური „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“ გარკვევით მიგვანიშნებს მის საერთო ხასიათზე. ავტორს საგანგებოდ შეუსწავლია და შესაფერისად გაუანალიზებია დამოწმებული მწერლების შემოქმედების პოეტურ-მხატვრული და ენობრივ-სტილისტური მხარეები. ესაა წიგნის სიახლე და დიდი ღირსება. რა თქმა უნდა, ა. გაწერელია არ გაუბრბის, მეტიც, საპატიო ადგილს უთმობს ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კვლევა-ძიებას. ასეთია, მაგალითად, „მასალა ვახტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის“, რომელიც ჯერ „მნათობში“ დაიბეჭდა (1957, №12; 1958, №1; იგივე, რჩეული ნაწერები, 1, 1962, გვ. 467-509). სამწუხაროდ, ეს საინტერესო ნარკვევი ავტორს არ დაუმთავრებია. შესანიშნავია ა. გაწერელიას წერილები „ლეონარდო და ვინჩი და სულხან-საბა ორბელიანი“, „ისევ

საბას „მთიელი და კაკლის ხის“ გამო“ (რჩეული, 1962, გვ. 441-455, 456-457). მკვლევარი მახვილგონივრულად ადგენს სულხან-საბა ორბელიანის ორი იგავის („მთიელი და კაკლის ხე“, „სადაფი და კირჩხიბი“) სიუჟეტურ პარალელს მსოფლიო ლიტერატურაში. კერძოდ, ავტორმა მოუძებნა უცომელი პარალელი სულხან-საბას „სადაფსა და კირჩხიბს“ ლეონარდო და ვინჩის იგავების წიგნში, გამოიძია მათი საერთო წყარო ბიზანტიური მწერლობის ისტორიიდან—ბასილ კესარიელის „ექუსთა დღეთათვის“. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების საერთო შეფასება მოცემულია ა. გაწერელიას ნარკვევში «Мудрость таланта» (Литературная Грузия, 1959, № 10).

ა. გაწერელიას ინტერესთა ცენტრში ყოველთვის იყო და არის რუსთველოლოგიური და არეოპაგიტული პრობლემები. არეოპაგიტული პრობლემა ბუნებრივად ერწყმის პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთულ საკითხებს.

ჯერ პეტრეს ცხოვრების შესახებ.

ჩვენ დრომდის მოღწეულია პეტრე იბერის ანუ პეტრე ქართველის (409/412—491) „ცხოვრების“ მოკლე, გავრცობილი და სვინაქსარული რედაქციები. ყველა ესენი ახლა გამოქვეყნებულია:

1. ცხოვრება პეტრე იბერისა, ქართული დედანი გამოსცა, რუსულად სთარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ნიკო მარამან, სანკტპეტერბურგი, 1896.

2. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისაჲ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, II. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967).

3. ცხოვრება და მოქალაქობა პეტრე ქართველისაჲ. გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, რედაქტორი კ. კეკელიძე (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946).

4. ცხოვრება პეტრე იბერისა, სვინაქსარული რედაქცია (ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, IV, 1968, ენრიკო გაბიძაშვილის რედაქციით, თბილისი, 1968).

პირველი ცნობა პეტრე იბერის ცხოვრების ქართული რედაქციის თაობაზე გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანმა 1849/1850 წლებში. „ცხოვრების“ მისივე თაოსნობით გადაწერილი ნუსხა პ. იოსელიანს 1838 წელს გადაუგზავნია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისათვის. მის ხელთ არსებული მასალების კვალობაზე პ. იოსელიანი ამბობს, რომ „პეტრეს ცხოვრება“ შეუთხზავს წმიდანის მოწაფეს ვინმე ზაქარია ქართველს სირიულენაზე. სირიულიდან იგი ქართულად უთარგმნიაო ვიღაც მღვდელ მაკარის (Жизнеописание святых, православных грузинскою церковию, Тифлис, 1850). პ. იოსელიანის მოსაზრებანი დიდხანს ბატონობდა მეცნიერებაში, თუმცა ზაქარია ქართველის ავტორობის თაობაზე სკეპტიკური აზრი გამოთქვეს ჯერ ნ. მარმა და შემდეგ (უფრო ბეჭითად) კ. კეკელიძემ. საქმე ისაა, რომ პეტრე ქართველის „ცხოვრების“ გავრცობილ რედაქციას შემოუნახავს საინტერესო ანდრძი ვინმე პავლე ხუცისა და დეკანოზისა, რომელიც ამბობს, რომ მას ჰქონია პეტრეს ცხოვრების დაშლილი და ფურცლებარეული, შესავლისა და დასასრულის უქონელი ხელნაწერი, რომელიც მისი შეხედულებისამებრ გაუმართავს, ტექსტი დაულაგებია, გაუვრცია,

დაურთავს შესავალი და დასასრული („გაცამიერებელია შესავალითაცა და დასასრულთა მიწყებითა და ბოლოსა კეთილად დასრულებითა“). „ცხოვრებას“ ახლავს ტექსტის ქართულად მთარგმნელის მაკარი მესხის ანდერძი. იქ ნათქვამია, რომ პეტრეს „ცხოვრება“ „ასურებრითა ენითა აღწერა... კურთხეულსა და სანატრელსა ზაქარიას, მოწაფესა მის წმიდისა პეტრესსა“. „ხოლო, განაგრძობს მთარგმნელი, მე გლახკმან მაკარი ხუცესმან მესხმან გარდამოვთარგმნე ქართულად ასურთა ენისაგან, რამეთუ მეცა მეცნიერ ვიყავ მათსა ენასა“. „ცხოვრების“ პოლოსიტყვაში შენახულია თვითონ ზაქარიას თვითმოწმობა, სადაც ხაზი ესმება მის ქართველობას: „მე, გლახკმან ზაქარია, მოწაფე მისი ქართლითაგანვე, უც(უ)ანა შეუღლე წმიდასა მას ვიდრე მიცვალებაჲმდე მისა, ამისთვისცა აღწერე ცხოვრებაჲ მისი და სასწაული თულითა ჩემითა ხილულნი და ყურითა სმენილნი“. აი, ანდერძის ამ ტექსტმა შეუწყო ხელი იმ აზრს გავრცელებას, რომ პეტრე იბერის ცხოვრების ასრული დედნის ავტორი იყო ზაქარია ქართველი.

ნიკო მარის პუბლიკაციას (1896 წ.) წინ უსწრებდა პეტრეს ცხოვრების ასრული ტექსტის გამოცემა გერმანული თარგმანით, რომელიც ეკუთვნის რიხარდ რააბეს (R. Raabe, Petrus der Iberer, ლაიფციგი, 1895). ძეგლის ავტორი მაშინ ცნობილი არ იყო, ამიტომაც იგი ანონიმის სახელით აღინიშნებოდა. ნ. მარისათვის ცხადი იყო, რომ პეტრეს ცხოვრების ქართული ვერსია სწორედ ანონიმის თხზულებიდან მომდინარეობდა, იქიდან იყო გადმოთარგმნილი თუ გადმოკეთებული. ავტორის თაობაზე დედანი არაფერს ამბობდა, ქართული კი ავტორად თვლიდა ვინმე ზაქარია ქართველს. სწორედ ეს გახდა მარის დაქვევების მიზეზი. ქართული თარგმანის ენობრივ-ფილოლოგიურმა ანალიზმა მარი დაარწმუნა, რომ მაკარი მესხი უნდა ყოფილიყო XIII-XIV საუკუნის მოღვაწე, პავლე დეკანოზი კი—შესაფერისად XV ს. მწიგნობარი. მნიშვნელოვანი გარემოება იყო ისიც, რომ პეტრეს ცხოვრება თავის დროზე უნდა აღწერა მის მოწაფეს ზაქარია რიტორს (ტექსტი ჩვენამდე არ არის მოღწეული). ამან აფიქრებინა კ. კეკელიძეს, რომ ეს ზაქარია რიტორი მაკარი მესხს ზაქარია ქართველად უქცევიაო (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1951, გვ. 314, 356, 4). ამასობაში სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა პირველწყაროებზე დაყრდნობილი მასალები (გეორგიკა, II, 1965), რომლითაც ცნობილი გახდა, რომ 1912 წელს გერმანელ მკვლევარ ელუარდ შვარცს (Schwartz) გამოუცია წიგნი „იოანეს რუფუსი“ (Iohannes Rufus). აქ დასაბუთებული ყოფილა, რომ პეტრე იბერის ცხოვრების რააბეს გამოცემული ტექსტი თავდაპირველად დაწერილა ბერძნულ ენაზე პეტრეს ახლობელი მოწაფის იოანე რუფუსის მიერ, ბერძნული დედანი დაკარგულია, სამაგიეროდ გადარჩენილა მისი სირიული (ასურული) თარგმანი, სწორედ ის ტექსტი, რომელიც რააბემ გამოსცა და ანონიმის შემოქმედების ნაყოფად ითვლებოდა.

პეტრე იბერის ცხოვრების დახლართული საკითხების ყოველმხრივი შესწავლა იკისრა პროფესორმა აკაკი გაწერელიამ<sup>2</sup>. დიდი შრომისა და ღრმა კვლევა-ძიების შედეგად მან საბოლოოდ და ეჭვიმუტანლად დაადგინა, რომ პეტრე იბერის ცხოვრება (თანახმად შვარცის გამოკვლევისა) ბერძნულ ენაზე დაუწერია იოანე რუფუსს VI საუკუნის დასაწყისში, სახელდობრ 518 წელს. ბერ-

<sup>2</sup> მისი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ორგანოში გამოქვეყნებული ნაშრომები შესულია „რჩეული ნაწერების“ სამტომეულის პირველ ტომში (თბილისი, 1977).



ძნული დედნის აწ დაკარგული თარგმანი შემონახულია სირიულ ენაზე (რა-აბეს გამოცემა), იგი XIII-XIV საუკუნეში (თანხმად მარისა) ქართულ ენაზე გადმოთარგმნია (გადმოუყვებია) მაკარი მესხს. მაკარი მესხის თარგმანის დაძლილი ხელხაწერი და არეულ-დარეული ტექსტი აღუდგენია, დაულაგებია, განუყრტია, წინა და ბოლოსიტყვა დაურთავს მისთვის XV საუკუნის მწიგნობარ პავლე დეკანოზს. პავლე დეკანოზს (და არა მესხს, როგორც ფიქრობდა კ. კეკელიძე) პეტრეს ცხოვრების ავტორობის პატივი მიუწერია არარსებული, მოგონილი და ფიქტიური ზაქარია ქართველისათვის. ერთი სიტყვით, ასკენის ა. გაწერელია, „ზაქარია ქართველი — ფიქტიური ორეულია ზაქარია რიტორისა“ (ჩრეული ნაწერები, I, თბილისი, 1977, გვ. 161). „ფალსიფიკატორი“ და „ყალბისმშებელი“ პავლე დეკანოზი (იქვე, 162, 203...). პეტრეს ცხოვრების რუფუსისეული ასურული და ქართული ტექსტების დაწერილებითი შედარება ა. გაწერელიას აფიქრებინებს, რომ ქართული კომპლაციური ხასიათისაა; თუმცა ძირითადად იგი მიჰყვება თავის დედანს, შეიცავს ბევრ თავისებურებას, სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ზოგ ახალ ცნობას და მნიშვნელოვანწილად განსხვავდება რუფუსის თხზულებიდან. მთავარი ისაა, რომ „პეტრეს ცხოვრების“ ქართული რედაქცია მართლმადიდებლური (ქალკედონისტური, დიოფიზიტური) სულსიკვეთებით არის გამსჭვალული, მაშინ როდესაც დედნით პეტრე მონოფიზიტობის ადეპტადაა მიჩნეული. ყოველივე ამაში ა. გაწერელია ბრალს სდებს პავლე დეკანოზს. იგი წერს: „დეკანოზმა პავლემ არა მარტო ზაქარია რიტორი აქცია „ზაქარია ქართველად“, არამედ მონოფიზიტი პეტრე იბერიელი — დიოფიზიტად“ (იქვე, 203). როგორც ა. გაწერელია აღნიშნავს, მე უყოყმანოდ გავიზიარე მისი ძირითადი მოსაზრებანი პეტრე იბერის ცხოვრების თაობაზე (I, 467—468). ახალი თვალსაზრისი არ შეიწყნარა (და, ჩემი აზრით, ამოდ შეეცადა ძველი შეხედულების დაცვას) ივანე ლოლაშვილმა, რითაც დიდი რისხვა დაიმსახურა ა. გაწერელიას მხრით. საერთოდ, როგორც პოლემისტი, ა. გაწერელია მეტად ცხარეა. ძლიერ ბჟაკრია და უღმობელია (ასე ეკამათება პავლე ინგოროყვას, გ. წერეთელს, კონსტ. წერეთელს, შალვა ხიდაშელს და სხვებს). სამართლიანობა მოითხოვს, არც ის დავივიწყოთ, რომ უჩვეულოდ მძაფრი კრიტიკის მიუხედავად, იგი აღიარებს ივ. ლოლაშვილის ლეაწლს და წერს: „ჩვენ იგი მიგვაჩნია ქართული ფილოლოგიის საჭირო მკვლევარად, რომელსაც ვერავენ დაუყარავს თავის დამსახურებას“ (I, 1977, გვ. 487)<sup>2</sup>.

ნუსუბიძე-პონიგმანის გახმაურებულ კონცეფციას პეტრე იბერისა და ფსევდოდიონისე არეოპაგელის იდენტურობის თაობაზე ა. გაწერელია თავდაპირვით შეხვდა. ამ კონცეფციას იგი „სერიოზულ ჰიპოთეზას“ უწოდებს (I, 488, „მდრ. იქვე, გვ. 217). სამაგიეროდ ა. გაწერელია არსებითად იზიარებს და ავითარებს შ. ხუცუბიძის დებულებას არეოპაგიტული მოძღვრების ზემოქმედების შესახებ რუსთველის შემოქმედებაზე. ფსევდოდიონისე არეოპაგელმა, წერს, ა. გაწერელია, „გარკვეული გავლენა იქონია ვეფხისტყაოსნის ავტორზე“ (I, 82). ოღონდ „ვეფხისტყაოსნის ავტორი მთლიანად მის (ე. ი. ფსევდოდიონისეს — ა. ბ.) ადეპტად არ ჩაითვლება“ (I, 25). „რუსთაველის ქრისტიანობა, ამბობს ა. გაწერელია, გამდიდრებულია არეოპაგიტული

<sup>2</sup> სხვათა შორის, ა. გაწერელია ღირსებისამებრ აფასებს „თამარის“ ლოლაშვილისეულ გამოცემას (თამარის ახალი გამოცემის გამო, „მხატობი“, 1959, № 8, გვ. 123—129).

მოძღვრებითაც. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ქრისტოლოგის „შეძავალი და ორგანული, განუყოფელი ნაწილი გახდა განსაკუთრებით VII საუკუნიდან“ (I, 16). ა. გაწერელიას შეხედულებით, რუსთველი შორდება ფსევდოდოონისე არეოპაგელს ბოროტების არასუბსტანციურობის საკითხში. მკვლევარი ასე მსჯელობს: „ფსევდო-დოონისე რუსთაველის მასწავლებელია უმთავრესად „ბოროტების“ დაძლევის იდეის სფეროში („ბოროტსა სძლია კეთილსან, არსება მისი გრძელია“), მაგრამ არა მთლიანად (რუსთაველი უშვებს ბოროტისა და კეთილის პოლარიზაციას. ბოროტების „არასუბსტანციულობა“, ფსევდო-დოონისეული, მასთან არ გვხვდება“) (I, 223).

ა. გაწერელიამ „შთაბეჭდავი ნარკვევები მიუძღვნა დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“ არეოპაგიტული მოძღვრების ზემოქმედების ასახვას — „დანტე და ფსევდო-დოონისე არეოპაგელი“ (I, 61—85), „ზეციის მხატვრული მოღვაწი რუსთაველთან და დანტესთან“ (I, 7—61). რუსთაველისა და დანტეს შეხვედრას არეოპაგიტის ნიადაგზე ა. გაწერელია სამართლიანად ანიჭებს შორს გამწვდენ მნიშვნელობას და ხაზგასმით შენიშნავს: „კაცობრიობის ორი დიდი სახელი, რუსთაველი და დანტე, შინაგანად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ შინაგან კავშირს უმთავრესად ჰქნის ფსევდო-დოონისე არეოპაგელის მოძღვრება. ორ გიგანტს შორის მაკავშირებელი ხიდი აღმოჩენილია“ (I, 84). ძველი კოლხეთის ცხოვრების აჩეკვლას „ღვთაებრივ კომედიაში“ აშუქებს ა. გაწერელიას ჩინებული წერილი — „დანტე და პრეისტორიული საქართველო“ (I, 86—101). მკვლევარს დაწვრილებით აქვს გამოძიებული არგონაუტიკის (მედეაზე თქმულების) ნაკვალევი დანტესთან. გამოკვლევის თანახმად — „დანტე ალიგიერის პოეტურ პასაჟებს ის მნიშვნელობა აქვთ, რომ ისინი შედეგს ამართლებენ, უბედურ ქალად მიიჩნევენ მას, ხოლო იაზონი ჭოჯობეთში ისჯება კოლხი ქალის წინაშე „შეცოდების გამო“. „კომედიაში“ უკუგდებულა ყოველგვარი ცილისწამება მედეაზე“ (I, 101).

რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ერთ უძირითადეს საკითხად ა. გაწერელია თვლის რუსთველის რელიგიურ აღმსარებლობას, თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. ამ ურთულესი პრობლემის დამუშავებას შესწირა ა. გაწერელიამ თავისი მეცნიერულ-შემოქმედებითი ცხოვრების დიდი დრო და დაუშრეტელი ენერჯია. დამოწმებული პრობლემის შესწავლისა და ძილებული შედეგების აწონ-დაწონის შემდეგ მკვლევარი აცხადებს: „რუსთაველი არ შეიძლება მიჩნეული იქნას „ათეისტად“, „წარმართად“, „ურჯულოდ“, „განდგომილად“, „ერტიკოსად“, „მაჰმადიანად“, „მანიქეველად“, „პანთეისტად“, „სტიოციტად“ და ა. შ. (I, 15). ა. გაწერელიას თვალთახედვით, რუსთველი არის „ქვეშარბიტი ქრისტიანი“ და მის პოემაში ეს ქვეშარბიტი ქრისტიანული აღმსარებლობა არის გამჟღავნებული (I, 17). ა. გაწერელია იზიარებს, ავტობს და აღრმავებს კ. კეკელიძის აღრინდელ დებულებას ვეფხისტყაოსნის, ავტორის სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თაობაზე. ა. გაწერელიას უწერია: „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კ. კეკელიძემ 1924 წელს ჩაუყარა საფუძველი რუსთაველის მსოფლმხედველობის მეცნიერულად შესწავლის საქმეს. შემდეგი ძიებანი არსებითად აფართოებენ, აღრმავებენ და აზუსტებენ კორნ. კეკელიძის ფუნდამენტურ დებულებებს ვეფხისტყაოსნის ავტორის ქრისტიანობაზე და, კერძოდ, მის პოემაში წარმოდგენილ აპოფატეიასა და კატაფატეიასზე. ყოველგვარი გადახვევა ამ დებულებიდან „ორიგინალურ კონსეფციებს“ კი დაჰბადებს, მაგრამ ქვეშარბიტ-

მასთან მათ არავითარი კავშირი არ ექნებათ“ (I, 31). ასევე იზიარებს ა. გაწერელია ვეფხისტყაოსნის „მზიანი ღამისა“ და რიგი სხვა სპეციფიკური რუსთველური გამოთქმების („ერთარსებისა ერთისა“, „უყამოსა ჟამისა“ და მისთანათა) მანანა გიგინეიშვილისეულ ინტერპრეტაციას (I, 25—26). ა. გაწერელია საბუთიანად ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსანში ასახულია ქრისტიანული ერთარსება სამპიროვანი ღვთაების იდეა (I, 44, 46. .), რომ თვითონ ფსევდოდიონისე „ერთი“ ღმერთი არის წმინდა „სამება“ (I, 486). იესო ქრისტე ვეფხისტყაოსანში არაპირდაპირ არის მოხსენიებული (I, 32, შვკ. 2). ა. გაწერელია მკაცრად აკრიტიკებს რუსთველის პანთეისტობის, მით უფრო მატერიალისტური პანთეისტობის თეორიას და შენიშნავს, რომ ეს მცდარზე მცდარი თეორია „ჭერ კიდევ აქა-იქ ბოგინობს“ (I, 223—224). რუსთველური ღმერთი, ასაბუთებს გაწერელია, არის ღმერთი-შემოქმედი, „სამყაროს შემქმნელი ბიბლიური ღმერთი“ (I, 235, 486). მკვლევარი მაინც საჭიროდ თვლის შენიშნოს: „შკითხველმა არ უნდა გაიგოს ყველაფერი ზემოთ თქმული ისე, თითქმის რუსთაველი არ სცილდება ქრისტიანულ გაგებათა ფარგლებს, ან დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას“ (I, 59).

თავის მოსაზრებებს რუსთველის სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თაობაზე ა. გაწერელია ასე აჯამებს: „არაფერი ისე არ წარმოაჩენს რუსთაველს, როგორც XII—XIII ს-ის უდიდეს შემოქმედ ქართველს და მასთან უაღრესად ეროვნული და ორიგინალური ქმნილების ავტორს, როგორც მისი ქრისტიანობა“ (I, 60).

აღრე ა. გაწერელია ფიქრობდა, რომ ქართული ეკლესია და კლერიკალური საზოგადოება დევნიდნენ ვეფხისტყაოსანს და მის ავტორს (კლერიკალური რეაქცია და რუსთაველი, „ნარკვევები ქართული პოეტიკა და“; 1938, გვ. 31—45), რომ „კლერიკალური რეაქციის უმაღლეს გამოხატულებას ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობა წარმოადგენს“, რომ ანტონის „მთელი მოღვაწეობა რეაქციული იყო თავისი შინაარსით და ტენდენციით“ (იქვე, გვ. 42—43), რომ „წყობილისიტყვაობის“ შეფასებით, „ანტონ პირველი პირდაპირ ამბობს იმას, რასაც ეკლესია ფიქრობდა რვა საუკუნის მანძილზე“ (იქვე, გვ. 44). ახლა კი მკვლევარი მთლიანად უარყოფს თავის ძველ შეხედულებას ამ საკითხში (სდევნიდნენ თუ არა ვეფხისტყაოსანს, ან მის ავტორს? „რჩეული ნაწერები“, I, 215—218). კალისტრატე ცინცაძემ დაასაბუთა „ქართული ეკლესიის მხრივ შოთას დენის უსაფუძვლო აზრი“ (I, 49).

თავისი „ქართული კლასიკური ლექსით“ აკაკი გაწერელიამ, ჩემი აზრით, სწორად გაიაზრა ქართული ლექსის ბუნება და სტრუქტურა.

ამ მოკლე შიშობილიდანაც, ვფიქრობთ, ჩანს, თუ რა დიდი ღვაწლი აქვს გაწეული ა. გაწერელიას ძველი ქართული სულიერი კულტურის შესწავლის მხრივ.

<sup>3</sup> აღსანიშნავია ვერმანულ კრებულში «Sinn und Form» (ბერლინი, 1970) დაბეჭდილი ამავე კრებულის რედაქტორის «Gespräch mit Akaki Gazerelia». აქ სამწუხაროდ, ავტორისაგან დამოუკიდებელი მიხეზების გამო გაპარულია ზოგი კორექტურული შეცდომა (მდრ. „რჩეული ნაწერები“, I, 1973, გვ. 472—480).

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

Ю. Н. Марр, К. Н. Чапкин, Письма о персидской литературе, Тбилиси, 1976, 303 გვ.

„მეცნიერებამ“ 1976 წ. გამოსცა ცნობილი საბჭოთა ირანისტების იური ნიკოლოზის ძე მარისა (1893—1935) და კონსტანტინე ივანეს ძე ჩაიკინის (1889—1933) მიმოწერის კრებული, რომელიც შედგენილია ს. მარისა და ა. გვახარას მიერ. წიგნში გამოქვეყნებულია ხსენებულ მეცნიერთა მიერ ათი წლის განმავლობაში (1925—1935) ერთმანეთისათვის მიწერილი წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი. წარმოდგენილ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას დღევანდელი ირანისტიკისათვის მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს. როგორც კრებულის შემდგენელნიც აღნიშნავენ, ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი, რომელიც გვაშორებს დასახელებულ მეცნიერთაგან, მათ მიერ გამოთქმული არა ერთი და ორი დებულება დღესაც ძალაშია და უზრადღებეს იპყრობს ორიგინალობით (გვ. 7).

ერთმანეთისადმი ისეთი გულითადობით განწყობილ მეცნიერთა წერილების გამოქვეყნება, როგორც ი. მარი და კ. ჩაიკინი ყოფილან, გასაგები მიზეზების გამო, სათანადო სფეროშიცაა მოთხოვნილი, „ზოგი წმინდა პირადული აზრი და შეხედულება, მათ შორის სტრუქტურული ხასიათისაც, ჩვენ იძულებული ვიყავით ამოგვეღო (რაც მრავალწერტილითაა აღნიშნული)“, — გვაუწყებენ შემდგენელნი, — მაგრამ არა ყოველთვის, რადგან, ჭერ ერთი, ჩვენ არ დავუშვით, დაპარტულიყო რაიმე საინტერესო მეცნიერული თვალსაზრისით და, მეორეც, არ გვესურდა წერილებისათვის დაგვეკარგა ის არაჩვეულებრივი სილამე, გულწრფელობა და ცხოვრების სიყვარული, რომელიც მათი ავტორებისათვის განუშორებელი თანანაზღაური ყოფილა ცხოვრების მძიმე წუთებშიც კი“ (გვ. 9). რაკი პირად თვისებებზეა ლაპარაკი, აქვე ვიტყვი, რომ მარისა და ჩაიკინის სახით წერილებში მკითხველს წინაშე იკვებება კეშმარტი მეცნიერი, რომელიც ყოველთვის სწავლასა და ძიებაშია, არ იზღუდება ვიწროდ საკვლევი სფეროთი, მუდამ იღვწის სრულყოფისათვის და დროს მოთხოვნათა ღონეზე დგომისათვის. ასე, მაგალითად, მარი ერთ წერილში უჩივის რა თავის გადატვირთულობას, დასძენს: „...გარდა ამისა კისრად მაწევს ჩემი ლექსიკონი და ბოლოს (მეხუცდავალ იმისა, რომ დაწესებული მაქვს, ვიწვე, არაფერი ვაეთო და არც წაიკითხო) ვკითხულობ სიკვლევის ისტორიას ვულგარის გამოცემაში. შინდოდა წამებობა ბეგანი, მაგრამ ეატკო, სიკვლევი ცუდად მახსოვს და ამიტომაც გადავწყვიტე უზრადღებობთ ეკლავ გადავიკითხო... სავსებით მართალია, რომ უნდა გაიციო ისიც, რაც არაა შენთვის სპეციალური... ახლა უზრადღებობთ ვკითხულობ „ღონ-კიხობს“... ღამით კი ვსწავლობ „ანტი-დოქტრინას“ (გვ. 80). ხოლო ჩაიკინი, მაგალითად, სწერს: „მთელი ჩემი ცხოვრება მიუტერეველ უუზრადღებობას ვიჩენდი რელიგიის საკითხებისადმი და ამიტომ არასოდეს არაფერს ვკითხულობდი ამის შესახებ. ახლა ვხედავ, რა შემდარჩევი ვყოფილვარ. ძველად და შუა საუკუნეებშიც (რელიგია ხომ (აღმოსავლეთში) სოციალურ-ეკონომიური იდეოლოგია იყო“ (გვ. 216). ეფიქრობთ, ამ მაგალითზეც კარგად ჩანს, რარიგ უახლოვდებოდა იგი აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის მარქსისტულ გაგებას. უზრადღებას იპყრობს აგრეთვე კ. ჩაიკინის დაინტერესება პართული ენითა და ლიტერატურით. „დიდი მადლობა რჩევისათვის პართული ენის შესახებ, — სწერს იგი მარს. — მე მაქვს „ძირითადი ტაბულები“. გადავხედე და დავრწმუნდი, რომ ზნა პართულში თითქმის დაუძლეველ სიმძნელეს წარმოადგენს. მაგრამ ეს მე არ მაფრთხობს, რადგან პართული ენის შესწავლის დიდი სურვილი მაქვს. ჩემში ინტერესი მისდამი უფრო ძლიერია, ვიდრე სომხურისადმი“ (გვ. 249). სხვაგან ვკითხულობთ: „ბოლოს და ბოლოს შევიძინე ხახანაშვილის „პართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები“ (რუსულ ენაზე. — კ. ფ.). მასში მრავალად ვიპოვე ჩემთვის საინტერესო ფაქტობრივი მასალა... ამ

<sup>1</sup> ნაწილიც შესულა კრებულში: Ю. Н. Марр, К. И. Чапкин., Хакани—Низами—Руставели, II, Тбилиси, 1966. შედგენილია ს. მარისა და ა. გვახარას მიერ.

წიგნის გაცნობისას არა ერთი და ორი კითხვა აღმქმდა, რომელთა გასარკვევად ალბათ მოგ-  
მართათ. (გვ. 237). ერთ შემდეგ ბარათში კი წერს: „ხახანაშვილის კითხვისას დილა...  
ჯაკეცილი, რომ ქართული „ლილი და მეჩენი“ არ ყოფილა ნუხაშიდან თარგმნილი. ეს  
როგორ?“ (გვ. 242). კ. ჩაიკინისათვის ბევრი რამ გარკვეული და ნათელი იქნებოდა, რომ  
იგი მოსწრებოდა ქართული ირანისტრიის ახალ მიღწევებს, ექრპოდ, ქართულ-სპარსული ლი-  
ტერატურული ურთიერთობის დარგში, რომელიც მას თურმე ძალიან იზიდავდა (გვ. 71, 72).

ი. მარი დიდი მეცნიერული პერსპექტივის წინ იდგა, როდესაც მძიმე სენით ქანგატეხი-  
ლი უღროოდ გარდაიკვალა. ჩანს, ამას კარგად ხელაუდა ჩაიკინი და ამიტომაცაა ყველა მისი  
წერილი მეგობრის ნიჭისა და ერუდიციის აღიარებით განმსჭვალული. მრავალთაგან ეს  
კარგად ჩანს ერთ წერილში, რომელშიც ჩაიკინი თავის ადრესატს წერს: „ჩემი აზრით,  
სპარსეთში გამგზავრებაზე თქვენ უარის თქმის უფლება არა ეპყთ (საკითხი ეხება ფრ-  
ლოუსის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობას 1934 წ. — კ. ფ.). თქვენზე ღირსეული და სა-  
ჭირო (დელეგაციამ) არც ერთი არაა. ეს აზრი მე კიდევ გამოთქვი სათანადო პირთან სა-  
გარეო საქმეთა კომისარიატში“ (გვ. 173). ხოლო თეირანისად მოხუცებულს წერს: „ფრანუ  
განარბებელი ვარ, ჩემი ძვირფასო, თქვენი წარმატებებით თეირანში, თუმცა მე ამასი წინა-  
სწარ ვიყავი დაწვეწმუნებელი. დელეგაცია უთქვენოდ უაზრო იქნებოდა“ (გვ. 235). მარს  
მართლაც დიდი წარმატება ჰქონია. ერთ-ერთ წერილში უზიარებდა ძალიან მოკლედ შთა-  
ბეჭდილებებს თავის ადრესატს, წერს: „უუმზერდი მინორსკის. სპარსული ენის ცოდნის  
უელასაზრისით იგი ისტორიული პიროვნებაა: აქცენტო, ფრაზის კონსტრუქცია, სიტყვების  
შერჩევა: ნამდვილი ვირტუოზია. რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე დაპარაკობს თან-  
ბრად თავისუფლად და დაუყოვნებლად. მონაწევრებულ თავდალობას რომ თავი დავანე-  
ხო, ვიტყვი გულახდილად, რომ ორივეჯერ საქმოდ კარლად გამოვიდი. რადგან პირველი გა-  
მოსვლის შემდეგ იცოდნენ, რომ სპარსულად ელაპარაკობდი, ჩემი მოხსენება აუდიტორიი-  
სათვის მოულოდნელი აღარ იყო, მაგრამ მაინც მასწავებებდნენ ტაშისცემით. როდესაც  
დავამთავრე, მოდიოდნენ და მილოცავდნენ... მომეხსალა ერთი თმაგაჩეჩილი კაცი და მომ-  
ნართა გერმანულად, ლაპარაკობდა საქმოდ სწრაფად, მიწონებდა გამოსვლას — თქვენგან  
მოვიმინეო ნამდვილი სპარსული. ვიფიქრე: თუ გერმანიაში განსწავლული ირანელია, რა-  
ტომ სპარსულად არ მელაპარაკება-მეთქი, იქნებ კომერსანტია? შემდეგ გავიფიქრე, რომ ყოფი-  
ლა სებასტიან ბეკი, რომელიც მუსლიმად მოქცეულა“ (გვ. 232) (კრებულის შენიშვნებში  
არაფერა ნათქვამი სებასტიან ბეკზე).

როგორც ვნახეთ, კ. ჩაიკინი მარს მალალ შეფასებას აძლევს, მაგრამ მის წერილებში  
შეინიშნება ერთგვარი, ნიჰილისტური დამოკიდებულება: თანამედროვე ირანისტრიისადმი.  
„მე სრულებით არ შემიძინა აღმოჩნდეს „მეამბოხეთა ბანაკში“, — წერს იგი თავის ადრე-  
სატს, — მაგრამ საქმე ისაა, რომ ახლა ირანმცოდნეობის ფრანგზე (როგორც ჩვენში, ისე  
უცხოეთში) არაინაა, რომ შეებრძოლო. იძულებული ხარ ევამათო ვანსვენებულთ, ეს კი ნა-  
კლებ გამამხნევებელია. ამასთანავე ისტორიულ პერსპექტივაში ყოველ მათგანს რაიმე დაი-  
სახებრება აქვს“ (გვ. 107). ეს სტრიქონები კი დაწერა იმა 1933 წ., როდესაც ირანისტრიის  
ასპარეზზე მოღვაწეობდნენ: ე. ფ. მინორსკი, ს. ფ. ოლდენბურგი, ა. კრისტენსენი, ა. ა.  
ფრეიანი, ა. ე. კრისკი, ა. ა. რომასკევიჩი, ე. ე. ბერტელსი, ს. ნაფისი და სხვ., რომელ-  
თაც 20—30-იან წლებშიც არა ერთი და ორი ღირსშესანიშნავი შრომა გამოუქვეყნებიათ და  
გაუმედიდრებიათ ირანისტრიის მანამდელი მონაპოვარი.

„წერილებში“ დიდი და მრავალფეროვანი მასალა წარმოდგენილი. აღძრული საკით-  
ხები ეხება ახალ სპარსულ ლიტერატურას, კლასიკურ მწერლობას, ლექსიკოლოგიას, სპარ-  
სულის სწავლების მეთოდებს, ფონეტიკას, მეტრიკას, ირანის ისტორიას და სხვ. ამიტომ,  
ვიფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა კრებულისათვის შერჩეულიყო ისეთი სახელწოდება, რომ-  
ელიც მთავრდება, რომ წიგნში არა მხოლოდ ლიტერატურის შესახებ წარმოდგენილი წე-  
რილებია. ამასთანავე წიგნის ზოგადი დებასიათმებისათვის საჭიროდ მივიჯანჩა აღვნიშნოთ,  
რომ ეპისტოლეებში აღძრულ საკითხებზე ავტორების მსჯელობა ჩვეულებრივ ფრაგმენტუ-  
ლია, ხშირად ჰიპოთეზური ხასიათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა არაა ყოველთვის და-  
კენამდე დაყვანილი, თუმცა შემდეგნაირი ფიქრობენ, რომ „კ. ჩაიკინის წერილები ხშირად  
შეიცავენ უჩვე თითქმის დასაბუქლად მზა მასალას. ასეთებია, მაგალითად, ეტრულები მონ-  
გოლების წინადაზროდლ პოეტებზე, მოსაზრებანი ფრლოუსის სატიარზე, ანონიმურ ძე-  
გულზე „თარიხე სისტან“ და სხვ. რა თქმა უნდა, ჩვენი ეს შენიშვნა ოდნავიდაც არ ამცირებს  
წერილების მნიშვნელობას; მთლიანად კრებული მდიდარ მასალას იძლევა საბჭოთა ირანის-  
ტრიის ისტორიის შესწავლისათვის, ვერაწმუნებს, თუ რა დონეზე მდგარა ეს დარგი 20--  
30-იან წლებში.

„წერილებში“ უყრადღებას იძყრობს ახალ სპარსულ ლიტერატურაზე გამოქმული აზრები და შენიშვნები, საიდანაც ერთხელ კიდევ კარგად ჩანს, თუ ურთიერთობისა და უშუალოდის რა მაღალ კოლევიურ დონეზე ყოფილა ი. მარსა და კ. ჩაიკინს შორის მიმოწერა. უთუოდ სწორია შემდგენელ-რედაქტორთა შენიშვნა, რომ მათი აზრთა გაცელა-გამოცელა ახალ სპარსულ მწერლობაზე მნიშვნელოვან წილად საფუძვლად დაედო ჩაიკინის წიგნს — „უახლესი სპარსული ლიტერატურის მოკლე ნარკვევი“, მოსკოვი, 1928 (რუსულ ენაზე). ამ ნაშრომს დღესაც არ დაუყარავს თავისი მნიშვნელობა, ხოლო მაშინ თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა, ამის შესახებ საინტერესოა მარსადმი ავტორის ერთი ბარათი, რომელშიც სწერს: „კრიმსკომ, რომელშიც მიიღო ჩემი წიგნი, წერილით მიხატუხა და შემაქო ისე, რომ ლამაზ მთლად დაედინ“ (გვ. 60), ხოლო თვით მარი ჩაიკინს სწერდა: „თქვენი უმთავრესი დამახებრება ისაა, რომ დავყავენი ნიადაგი, შეგვიქმენით საუფლები, რომელზეც დაყრდნობით შევძლებთ მუშაობის გაგრძელებას“ (გვ. 61). საინტერესოა, რომ ჩაიკინის ამ ნაშრომის ქართულად თარგმნის საკითხიც დასმულა თბილისში (გვ. 77). მიუხედავად ყველა ზემოთქმულისა, ჩანს, ჩაიკინი თავისი ნაშრომის ლიტერატურისაში მანაც უკმაბისობის გარნობით ცოფილა შეყარობილი. ის მარს სწერს: „გზობით გაილით მაქსიმუმში მოწყალეა ჩემი ხალტურისაღობი — „მოკლე ნარკვევი“ — და მომწერით თქვენი შენიშვნები, რავინდ მაკარი არ უნდა იყოს იგი, მოუთმენად ველი თქვენს კრიტიკას“ (გვ. 60). მაშინ, 20—30-იან წლებში განსაუტრებობით ძნელი იყო XIX—XX საუკუნეების სპარსული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლა. მრავალი დაბრკოლება ელობებოდა დაინტერესებულ მკვლევარს წყაროების მოპოვებისა და მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. რევილუციამდელ რუსულ და სასლავარკრთულ ირანისტიკასაც არ ჰქონდა საამისო ტრადიციები, რომელთა კრიტიკული ათვისება მანაც ვარკვეულ ბაზად გამოდგარაყო. აღბობ ამის გამოც იყო, რომ 1934 წ. კ. ჩაიკინი მარს სწერდა: „მინდა სრულიად გულწრფელად განვიხადო, რომ თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში შრომების დაწერას გულს ვერ ვუღებ. მე უარს არ ვამბობ მონაწილეობა მივიღო ცნობარის შედგენაში იმ მასალაზე საფუძველზე, რომელიც აღმომამჩნევდა, მაგრამ წამყვანის როლს ამ საქმეში ვერ ვეისიკებ“ (გვ. 166). ზემოდასახებულ სიტყვულთა გამო საკულისხმა კ. ჩაიკინის არა ერთი და ორი წერილი, სადაც თავის აღრუბატს შესჩივის: „ცდობა, რომ ეურნალების, წიგნებისა და გაზეთების მიღება სპარსეთიდან რენთეის სრულებით შეწყვეტილა“ (გვ. 20); „ღმერთმანი, წიგნებისა და ბიბლიოთეკის მხრივ ახლა მოსკოვში ათასჯერ უარსადაა საქმე, ვიდრე თერანში“ (გვ. 319).

წერილებიდან ჩანს, რომ მარი და ჩაიკინი ახალი სპარსული ლიტერატურის წელთაღრეცხას ნაწერ-აღნიშნის შაპის (1848—1896) დროიდან იწყებენ და ამ პერიოდს საუკუნის 20-იან წლებამდე უწოდებენ თანამედროვეს, ხოლო ჩაიკინმა თავის წიგნს უახლესი ლიტერატურის ნარკვევი უწოდა. იგი ერთ წერალში მარს ე. ბერტელსის წიგნზე — „სპარსული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევი“, ლენინგრადი. 1928 (რუსულ ენაზე) — ეკითხება: „მასში იგი საერთოდ სპარსულ ლიტერატურას ეხება თუ მხოლოდ თანამედროვეს? გზობით ნაწილობით. თუ მეორეა. ჩემს განზრახვაზე ხელი უნდა ავიღო“ (გვ. 36). მარი უპასუხებს: „რე ბერტელსმაც განიხილა თანამედროვე სპარსული ლიტერატურა (მის დასახელებულ ნაშრომში ორიმესამედი მართლაც ამ პერიოდს ეკუთვნის. — კ. ფ.), თქვენ რატომ უნდა თქვათ უარი? თქვენ წერთ, ბერტელსი წერს, მე ვწერ, ჩვენ ყველას შეგვიძლია ვწერით ერთსა და იმავეზე, მაგრამ — სრულიად განსხვავებულად“ (გვ. 37). საგულისხმოსა, რომ ავით რჩევას აძლევს ჩაიკინს მარი მიუხედავად იმისა, რომ იგი ბერტელსის ხსენებულ წიგნზე მდლალი აზრისა: „ბერტელსი ბეჭდავს „სპარსული ლიტერატურის ისტორიას“, მალაინ კარგი ნაშრომია...“ (გვ. 30). ამ გასაუბრებიდან ერთხელ კიდევ კარგად ჩანს, რომ ისინი აღნიშნულ პერიოდს სპარსული ლიტერატურისაის თანამედროვეს უწოდებენ. საკითხი პრობლემატურია, რაც დღემდე ძირითადად ასევე რჩება საერთოდ სპარსული მწერლობის მიმართ.

კ. ჩაიკინი, როდესაც შესდგომია უახლესი სპარსული ლიტერატურის ისტორიის წერას, დაწმუნებულა, რომ XIX—XX სს. მწერლობა სრულიად ახალი მოვლენაა და მისი შესწავლისათვის არსებულ ვითარებაში ლიტერატურული ფაქტების საზოგადოებრივ მოკლენებთან დაკავშირება აურჩევეია: „მე ვლამარკობ ამა თუ იმ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოძრაობაზე და გზადგუნა შესაბამისად ვებები უფრო დაწერილობით ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენლებს ან იმ პიუბებსა და მწერლებს, რომლებმაც მოკლემულ პერიოდში სახელი გაითქვეს“ (გვ. 39). ამჟარაა, უახლესი სპარსული მწერლობის გაბმული კერის დაწერას იგი არ თაობდა და ნაშრომსაც, ბუნებრივია, პიტომაც უწოდა „მოკლე ნარკვევი“. მსელი იყო მაშინ აღნიშნული პერიოდის ლიტერატურაზე წერა, რადგან ავტორს აზრი უნდა

გამოთქვა ბერის ისეთ მწერალზეც, რომელსაც თავისი საბოლოო სიტყვა ქერ კიდევ არ ეთქვა, ეს კი განზოგადების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომაც გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს ჩაიკინის არჩეული გზა.

„წერილებში“ ლაპარაკია იაღმაზე (1872—1859), ყაინზე (1808—1854), სურუშზე (1813—1869), შეიბანზე (1830—1891), მალექ-ომ-შორა ბაპარზე (1886—1951), ირეკ მირ-ზაზე (1874—1926), მორთუზა მოშფეე ქაზემიზე (1887—?), ჭემალ-ზაღზე (დ. 1895) და სხვ. მრავალთა შესახებ. აღგენენ და აზუსტებენ თარიღებს, თხზულებებს, მიმართულებას, სპაიოსს, პოპულარობას და მისთ. ერთ წერილში მარი ჩაიკინს სწერს: „მე ახლა მრავალი იდეითა ვარ გატაცებული. ერთი უმთავრესთაგანია თანამედროვე სპარსულთა გამოკითხვა ყაინის შესახებ. მე ხელთა მაქვს დოკუმენტადის პოლემიკური სტატიები (ყაინის ნოვატორი-რაც თვლის) და ალი დემთის წერილები (ყაინის უნიკოდ რაცუს)... ეთვალისწინებ პირად წესხედებსაც და სუბრებებსაც — ყოველივე ამის საფუძველზე ვასკენ: 1. ყაინი ფრიად პოპულარულია, ამაში დოკუმენტადი მართალია; 2. აზრი დოკუმენტადისა, რომ ყაინი გა-სოცარი პოეტია, მე ყველაზე უფრო ხშირად მესმოდა (საშუალო ინტელიჯენციასა და ეპო-კრატა შორის), მაგრამ არ უნდა წაიკითხო მისი სოტებები, რომლებშიც იგი თავს იმცირებს და კარგავს ღირსებას. იაღმას დივანს მოცალეობის დროს გატაცებთ ვითხულობდით. იაღმა შეიძლება უკეთესიყაი, მაგრამ რადგან ყაინი უფრო ხშირად მომისმენია და ისიც იდეალა-კითხ, არ ძალმიძს დაეთმო მისი მშვენიერება, თუმცა ჩვენთან ის არაა პატივი“ (გვ. 46, 47). კიდევ სხვა წერილში ვითხულობთ ჩაიკინის აზრს დოკუმენტადის ერთი რომანის შე-სახებ: „წაიკითხე იაიპა დოკუმენტადის „შებნაზი“. მოამიტურია და, ვფიქრობ, სპარსე-ლებსათვის ფრიად მისაწყენიც. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა. არის მასში საყურადღე-ზო ეთნოგრაფიული დეტალები (ქორაჩილის აღწერა ქალაქსა და სოფელში) და სხვა რამ საინტერესოც ენის თვალსაზრისით. ვფიქრობ, ახლა, ირეკის სიკვდილის შემდეგ, პროზა-სპარსეთში დროებით მაინც კარბობს პოეზიაზე“ (გვ. 43). ერთ წერილშიც მარი სწერს თ-ვის აღრესატს: „გამომიგზავნეთ თქვენ ხელთ არსებული ნაწყვეტი შეიბანის ბიოგრაფიიდან (მაგ. ხუბტი ცნობა თუ საიდანაა იგი...). მომწოდეთ აგრეთვე მისთვის დამატებათებლა-რომელიმე ლექსი, რადგან ჩემმა სამოაუბრემ (ლაპარაკია ერთ ბავშვულ ედიბზე — კ. ფ.) ბევრი ლექსი იცის ზუპირად ყაინის, იაღმასი, ნეშატისა და სხვების, მაგრამ შეიბანი ანც კი გავგონია“ (გვ. 51). შეიბანი სპარსეთის „გამოღვიძების“ ეპოქის დიდი პოეტია. სამართლი-ანადაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ შეიბანი იყო ნოვატორი როგორც პოეტური, ისე სტილისტური ასპექტში<sup>2</sup>. ან: „ამაღ დავშვებოდით, რომ ყაჩართა პოეტებისა უნარელსობასთან გვეძებნა სამოქალაქო მოტივი და რაიმე გამოძახილი იმ მოვლენისა და პოეტებზე, რომელსაც განიცდიდა ხალხი და ქვეყანა... გამოწავლის შეიძლება იყოს ერ-ლი დიდი და საინტერესო პოეტი — აბუ-ნასარ ფათ-ო-ლლა შეიბანი<sup>3</sup>, მის გვერდით ჩვენ იაღმასაც დავასახულებდით. მაგრამ შეიბანი რთული პოეტია. ვფიქრობთ, სწორად ეს გარე-მოება აქვს ჩაიკინს აღნიშნულა მარსალში ერთ წერილში: „რომამაყეივი ცდება დღად, როცა ამბობს, რომ შეიბანი უარი თქვა ძველი პოეტების მიზანძახეო. მისი ლექსები უხუად შელავნებენ ამას (უმთავრესად ფეროზისა და მენუჩეპრისაღმ). ცდება აგრეთვე რ. ლევი-როცა ამტკიცებს, რომ შეიბანი, პესმიზმისა და ულტრაეალიზმის წარმომადგენელი, არ პოევებდეს ნუგეშს მისტიკურ განწყობილებებში. შეიბანი სუფია და, მამსადაამე, ივლის-სხეება მისტიკოსიც. მაგრამ იგი სუფიზმის უქანსკენლ ფორმაციის სუფია, ის „დერვიშია“ და ამიტომ მისი მისტიციზმი საოცრადაა გაწმკვეალული რაციონალისტური მისაზრებებითა და სექტიკური პრაქტიციზმით“ (გვ. 53). უნდა შევნიშნოთ, რომ სპარსულ ლიტერატურას რომანტიზმის სტადია, როგორც ვანიუთარების ერთ-ერთი ეტაპი (ეეროპული მოვლის მი-ხედვით), არ გაუკლია. მას იგი მხოლოდ რეალიზმის ჩასახვის პერიოდში ეწიარა. ამასთანა-ვე თუ ვაითვალისწინებთ სუფიზმის რთულ და ნაგჯრძლივ პროცესსაც მესლიმანურ სამყა-როში, შეიბანის წარმოდგენილი რახსიათების ვაზიარება. რომ მისტიკა, პესმიზმი და ულ-ტრაეალიზმშიც მის შემოქმედებასა და ფილოსოფიურ-რელოგიურ მრწამსში არსებულყო, წესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ახლა, ასი სუფის შემდეგ, ამ დიდ პოეტს ჩვენ უწი-ნარეს ყოვლისა აღვიქვამთ როგორც რეალისტს, ან როგორც ბერტელსი წერს (მსგავსად ჩაიკინისა): „შეიბანის ლექსები გადავივლიან აღამიანის ტანჭული სულის უდიდეს ტრავე-

<sup>2</sup> История персидской и таджикской литературы, под редакцией Я. Рипки, М., 1970, გვ. 372.

<sup>3</sup> К. Ч а й к и н и, Краткий очерк новейшей персидской литературы, М., 1928, გვ. 9.

ღიას და გვირგვინებს, თუ როგორი იყო სპარსეთის უკეთეს ადამიანთა მდგომარეობა ახალი ეთარების წინა წლებში<sup>4</sup>. საგულისხმოა, რომ იმ დროის პროგრესულ ადამიანებსაც სწორედ ეს მხარე აღუნიშნავთ პოეტის რთულ შემოქმედებაში. აი რას ამბობს ზეინ ალ-აბედინ მარაღის ცნობალი რომანის „იბრაჰიმ-ბეგის მოგზაურობის“ უმთავრესი პერსონაჟი: „ირანის ელადეთებში, სადაც კი ვიყავი, არც ერთ ქალაქში არ მინახავს პროგრესის არაეთარა ნიშანწყალი, რომ ოდნავ მაინც გამეხარებინა ჩემი გული... აქ მე გამახსენდა შეიბანის სტრიქონები. ...ერთმა მეგობარმა გამომიგზავნა სტამბოლიდან იქ გამოცემული მისი ლექსების კრებული. მაშინ სამშობლოსადმი ჩემი ფანატიკური სიყვარულის გამო წველა-კრულუას ეუბნებინდი როგორც პოეტს, ისე მესტამბეს და იმ ღირსეულ ადამიანებს ბრალს ვლებდი. სამშობლო არ უყვართ-მეთქი. მაგრამ ახლა, როდესაც საკუთარი თვალით ვნახე ირანის ნამდვილი სახე, მათ უმორჩილესად ვთხოვ პატივას. რა საოცრად ძლერენ ეს მომზილავი სტრიქონები შეიბანის „ფარიშან-ნამედან“ და როგორ ესიტყვებთან ისინი ჩვენ დღევანდელ მდგომარეობას“<sup>5</sup>.

კრებულში წარმოდგენილ წერილებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კლასიკური სპარსული ლიტერატურის საკითხებსაც, მათ შორის — ფირდოუსისა და მის „შაჰ-ნამესთან“ დაკავშირებულ პრობლემასაც. წერილებში მსჯელობა აკრთევე რუდაქის, ყათრანისა და საერთოდ მოზგოლების წინაღობისადმი პოეტებზე, ანონიმურ „თარიხე სისტანზე“ და სხვა მრავალზე, რაც ღირსშესანიშნავი წყლილია ირანისტიკაში როგორც მოპოვებული ფაქტებისა და ძიების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ისე გამოთქმული მოსაზრებებით. იური მარის შეცნობილ მოღვაწეობაში „შაჰ-ნამეს“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი განიხილია, რომ ამ ძეგლის კვლევისათვის არ არსებობდა მყარი საფუძველი. „ჩვენ მოგვეპოვება არა ერთი და ორი საპატრიო ნაშრომი ზოგადი ხასიათისა („შაჰ-ნამეზე“ — კ. ფ.), მაგრამ არ გვაქვს: ვეღვანე უფრო აუცილებელი — ტექსტის კრიტიკული გამოცემა“ (გვ. 166). დაუდგენელი ტექსტია დღემდე მიზეზი აზრთა შეუთანხმებლობისა „შაჰ-ნამეს“ მრავალი ადგილის გაჯებასა და ნამდვილად ფირდოუსისეულად მიჩნევაში. მარისა და ჩაიკინისათვის ერთ-ერთი ასეთი ყოფილა, მაგალითად, პოემის ცნობილი სტრიქონები, სადაც ლაპარაკია ავტორის შიგნით გამოთქმულ რწმენაზე მისი თხზულებისა და სახელის უკეთავებაზე — „ლექსებისაგან კი აღვმართე კოშკი მაღალი...“.

მარი სწერს ადრესატს: „საკითხი — ეკუთვნის თუ არა ეს ლექსები ფირდოუსის, საღალი ხდება... მათ მსგავსებას, ხანდახან თითქმის ზუსტსაც კი, მსოფლიო პოეზიის შედევრებთან არაერთხელ მიუყვრია ყურადღება. ჩვეულებრივ მითითებული იყო პინდარე და პორატოსი. ცნობილი დერკავისისეული ძეგლი, პუშკინის ვარიანტი. ანალოგია მრავალია... განვიხილოთ კიდევ თორევე გოტიეს ლექსებიდან „ხელოვნება“, სადაც, ეტყობა, გამოყენებულია პორატოსისეული ვარიანტი:

„კვლებიან ღმერთები,  
მაგრამ რჩებიან მეფური ლექსები,  
რკინაზე უფრო გამძლენი“.

აღსანიშნავია აგრეთვე ფირდოუსის უმცროსი თანამედროვე პოეტის ფეროხის სტრიქონები. მხედველობაში მაქვს მისი შესანიშნავი ოდა..., რომლითაც ემირს აბუ მუზაფერ ჩალანის წარუდგა:

„გულით ნართავი და სულით ნაქსოვი აბრეშუმის ქარაენით  
დავიძარ სეიტანიდან.“

ამ აბრეშუმს ვერ დასწავს ცეცხლი,  
მის ფერადოვნებას მიწაც ვერას აყენებს  
და ღრის ბრუნეაც ვერ წაშლის მასზე ნაყმებს“.

ეს ლექსები მოვითანე იმისათვის, რათა ხაზგასმით მეთქვა, რომ გარკვეულ არახელსაყრელ საზოგადოებრივ პირობებში პოეტები საჭიროდ თვლიდნენ, ეთქვათ კუმარტება, რომელიც ყველასათვის არ უნდა ყოფილიყო ცნობილი. და თუ სიტყვები „მაღალ კოშკზე“

<sup>4</sup> E. Э. Бертельс. Очерк истории персидской литературы, Л., 1928, გვ. 102.

<sup>5</sup> Зейн-Абдин Марган, Дневник путешествия Ибрахим-бека, М., 1963, გვ. 192. ციტატა შემოწმებულია ორიგინალში.



„შემდეგ მიაწერეს სხვებმა ფირდოუსის, მათ ამის უწყობა ჰქონდათ“ (გვ. 165, 166). მაგრამ „სუსტიდან ჩანს, რომ ჩაიყენა „ლექსებისაგან მე აღეშარეთ კოშკი მაღალი...“, რომელიც დასტურდება სატირაშიც, ფირდოუსისეულად მიაჩნია: „საეკვოდ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის ლექსები, რომლებიც მარტო სატირაშია, (პოემის) ტექსტში კი არ გვხვდება“, — სწერს იგი (გვ. 184). „შაჰ-ნამეს“ და სატირის ტექსტებში „უცნაურად სოფაური“ სტრიქონების არსებობა მას მიაჩნია ამ უკანასკნელის სიუალობის დამამტკიცებელ საბუთად (გვ. 179). ედვინ სატირის სიუალებე აღიარებულია, მაგრამ, ეფიქრობთ, უნდა გავიზიაროთ მოსახზებაც, რომ მას მაინც რჩება გარკვეული წყაროს მნიშვნელობა. მაგრამ ხსენებული ნაწარმოების შექმნებ მსჯელობას უფრო ვრცლად სხვაგანაც ვხვდებით. „თქვენს შეხედულებებს სატირა“ შესახებ ვეღო“ (გვ. 138), — სწერს მარი ჩაიკინი. „სუსხებშიც ეს უკანასკნელი ვრცლად გზიარებს თავის აზრებს დასმულ საკითხზე, იგი მიმოიხილავს წყაროებს: „ჩაპარ-მაყალეს“ (XII ს), „ლობაბ-ოლ-ელბაბს“ (XIII), „თარხი-ე გოზიდეს“ (XIV), „შაჰ-ნამეს“ ბაისუნყარისეული კრიტიკული ტექსტის წინასიტყვაობას (XV), „თაზჩირათ-აშ-შუარას“, „ბეპარესთანს“ (XV) და სხვ. უფრადლებას მიაქცევს მთელ რიგ ისეთ საკითხებს, რომლებიც მკვლევართ სავუძველს მისცემდა ექვით მოკიდებოდნენ აღნიშნულ წყაროებს. ასე, მაგალითად, თუ მარ-ოალია არუზის ცნობა, რომ ფირდოუსის კეთილი-მსურველმა ტაბარისტანის ფაიროშამა ის-ენამბდ შაპირარმა მოსსო სატირა, რომელიც ასი ბეითისაგან შედგებოდა, საიდან გაჩნდა „ჩაპარ-მაყალეს“ ექვსი ბეითი (გვ. 140). ან საიდან მიემატა შემდეგ ზემოჩამოთვლილ წყაროებში მას სტრიქონები, რომელთა რიცხვი თორმეტამდე ავიდა (გვ. 143) და საერთოდ, როგორც შემდეგში ბერტელსიცი შენიშნავდა, როგორ მოხდა, რომ „თითქმის „შაჰ-ნამეს“ უკლავ გამოცემაში და პოემის დღემდე მოღწეული ტექსტების დამატებებში სატირა წარ-მოდგენილია ასი ბეითით, ე. ი. ისე, როგორც ოდესღაც ყოფილა“ არუზი სამარყანდელის: „როგორღებული ცნობის შესაბამისად. ჩაიკინი უფრადლებას ამახვილებს აგრეთვე ისეთ გარე-ნოებებზე, როგორცაა. მაგალითად, „ლობაბ-ოლ-ელბაბში“ სიტყვაც არაა ნათქვამი სატი-რისზე (გვ. 141): „თარხი-ე გოზიდეს“ არც ერთი სტრიქონი არაა სატირისა მოტანილი და ცნობაც უცნაური ჩანს“ (გვ. 141); „ბეპარესთანის“ „შეხებისეულ გამოცემაში ხუთი ბეი-თია, ხოლო ამ თხზულების მასს მერა შესრულებულ ფრანგულ თარგმანში — რვა; „თაზ-ჩირათ-აშ-შუარა“ და „ბეპარესთანის“ შესანი ერთ წელსაც კია დაწერილი“ (გვ. 142). მა-გრამ მათში წარმოდგენილი ბეითებიდან სამი სხვადასხვაა, ორი ერთნაირი კი განსხვავებული რაგითაა წარმოდგენილი. ჩაიკინი უფრადლებას მიაქცევს ბაისუნყარისეული ტექსტის წინა-სიტყვაობას. „მასში, — სწერს იგი, — ვნახულობთ მოთეყარების მეტრით დაწერილ ლექ-სებს, რომლებიც ფირდოუსის თემანზე შექმნილი რალაც პოემის ფრანგმეტრების შთაბეჭდი-ლებას ტოვებენ. სულაც ამ პირობიდან ზომ არ იყო ამოღებული შემდეგში ის ბეითები, რომ-ლითაც ნაწილობრივ იქნა „აწყობილი“ სატირა?“ (გვ. 142). ვარდა ამისა, ჩაიკინი აღნიშ-ნავს კიდევ იმ გარემოებას, რომ განხილული წყაროების შექერებისა და განმეორებული ბეითების გამორიცხვის შედეგად „ჩაპარ-მაყალედან“ „ბეპარესთანამდე“, ე. ი. 330 წლის განმავლობაში, სატირა გაზარდა რვა ბეითით და გახდა თოთხმეტისაგან შემდგარი. ხოლო „სველანზე უფრო „კრიტიკულ“ რედაქციებში (სატირისა) — „ე.“ ფ.), — შენიშნავს იგი, — გვაქვს ასი ბეითი (სრული ნორმა, „ჩაპარ-მაყალეს“ თავდაპირველი ჩვენების შესაბამისი, და საერთოდ დამრგვალებული ციფრი). საიდან ვაჩნდა მთელი ეს ზედმეტობა?“ (გვ. 143). თუ კლავ არუზის ცნობას დაეუბრუნდებით, რომელიც ვააღწევებს, რომ სატირა ტაბარისტანში შაპირარმა მოსსო. მაგრამ მკვლევარი „ჩაპარ-მაყალესში“ უფრადლებას მიაქცევს კიდევ ორ ბეითს ამ შევილიდან, რომელიც, არუზი სამარყანდელის გადმოცემით, „შაჰ-ნამედან“ წუ-თითებს მაქვდ ყაზნეის ფირდოუსის ერტიკოსობის დასამტკიცებლად<sup>6</sup>, და შენიშნავს: „აშკარაა, „ჩაპარ-მაყალეს“ ფიგორის დროს ეს სტრიქონები პოემის ტექსტიკულად ითვლე-ბოდა და არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა სატირის კუთვნილება. ამჟამად კი რას ვხე-დავთ? ეს ორი ლექსი ამ შევიდულიდან ყოველთვის თავს იწონებს სატირის ბეითებს, შა-ტირის ყველაზე უფრო „კრიტიკულ“ ტექსტებშიც კი:

<sup>6</sup> დ. კ. ბ. ი. ე. სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1975, გვ. 151.

<sup>7</sup> Низами Арузи Самарканди, Собрание редкостей или четыре беседы. М., 1963, гв. 82.

<sup>8</sup> Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, М., 1960, гв. 189, 190.

<sup>9</sup> Низами Арузи Самарканди, Собрание..., იქვე.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 81.

„თუ გსურს იმ ქვეყნად სამოთხე,  
ჩაქვექ წინასწარმეტყველისა და ალა, ხომალღში.  
თუ ეს შენთვის ცული გამოდგეს, მე მედოს ბრალი;  
უწყოდე, რომ ასეთია ჩემი გზა“<sup>10</sup>.

გარდა ამისა ჩაიყინი აღნიშნავს, რომ მას ვაფაროვის ქრესტომათიის ტექსტში ერთი ზეითი შეუნიშნავს „ოუსუფ-ო ზელიზდან“, აგრეთვე — სხვათ, „რომლებიც ამეღაენებენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ ნამალადვე ჩართვას სატირაში, უფრო სწორად მათ გადატანას („შაპ-ნამეს“) ძირითად ტექსტიდან“ (გვ. 144).

მეცნიერის დასკვნა ისაა, „რომ სატირა იმ სახით, როგორც იგი ახლად დაკანონებულა. სხვა არაფერია, თუ არა — „მონტაჟი“, შესრულებული ვინმე ფალსიფიკატორის მიერ. მაგრამ იყო კი როდისმე სატირა დაწერილი? არ ვიცი!“ (გვ. 144). როგორც ვხედავთ, ეს დებულება ღვეწანდელი ირანისტიკოსათვის ძირითადად გასაზიარებელია. მაგრამ შემდეგ ჩაიყინის ერთი საინტერესო მოსაზრება მოაქვს, რომელიც მიიძღვება „მოცემულ საკითხზე დიუოო ძალიან ფიზილი“ (გვ. 144). მხედველობაში აქვს XI საუკუნის დასასრულსა და XII-ის დამდეგის პოეტის მოხთარ ყაზნევის პოემა „შაპირა-ნამედან“ შემდეგი სტრიქონები, დადასტურებული როოს კატალოგში:

„თუ ამ სასახლეში საჩუქარს მიძღვნე  
ყოვლისშემძლე ღიღებულთა წინაშე,  
მე გაეზიარებ, შენი ღირსება კი ამაღლდება  
და მაშინ ვიტყვი შენს ქებას სასახლეში.  
მაგრამ თუ საჩუქარს არ მომცემ, შაპირაო,  
არ მეწყინება, რადგან მზრძანებელი ხარ.  
ღე, ჩემი ენა დაციენისათვის მოკლე იყოს!  
ახლა გავიხსენოთ ფირდოუსის სიტყვები,  
რომლითაც დაიწყო ამბავი ფსენდიარის ზრძოლისა“.

თუ აქ შესაძლებელია დაეინახოთო, — ამბობს ჩაიყინი, — მინიშნება სატირაზე. საქმე გვაქვს უძველეს ცნობასთან, „ჩაპარ-შაყალუზე“ აღრიხდელთან, რაც საყურადღებოა იმიტომ, რომ განცხადება გაკეთებულია ყაზნელთა სულთნის, „მაჰმუდის ბაღიშიშვილის მასჷღის კარზე“ (გვ. 145)<sup>11</sup>. ამრიგად, იზადება აზრი, რომ ყაზნელთა კარზე უკვე არსებულა თქმულება სატირის დაწერის შესახებ, რომელიც მაჰმუდის შემდეგ შეიქმნებოდა. — ვარაუდობს ავტორი. „საოყარია მხოლოდ, — დასძენს იგი, — რომ მეფეთათვის ასეთი არასაპატიო ლეგენდა არსებულყო კარზე და ოფიციალურადაც მოხსენებულყოს პოემების წარდგენის დროს...“ შესაძლებელია, მაშინ ვადმოცემა სულა, სხვა სახის იყო, მაჰმუდისათვის უფრო ეთილმოსურნე ხასიათის. ერთი სიტყვით, ამ საკითხში სრულმა დაბნეულობამ შეიძლება მოიცავს კაცი“ (გვ. 145), — ასე ამთავრებს სატირის შესახებ მსჯელობას ჩაიყინი. მისი დამოკიდებულება საკითხისადმი ემთხვევა შემდეგშიც გამოთქმულ მოსაზრებებს. შავალითად, ე. ბერტელისას<sup>12</sup>, დ. კობიძისას<sup>13</sup> და სხვ. იური მარი იზიარებს ფირდოუსის ფსენდოატორობას სატირაზე: მას მართლაც რომ განეზრება ასეთი თხზულების დაწერა, — ფიქრობდა იგი, — მოიქცეოდა ინე, როგორც ყველა სხვა პოეტი. „სატირა გარკვეული ენაა. ჩვენთვის ცნობილი ყველა სატირა ყაიღის ფორმითაა დაწერილი. უცნაურია მისი გაწყობა ეპიურის ლექსით...“ გვიპასუხებენ, — განაგრძობს მარი, — ასე მოიქცაო ავტორი ირბომ, რომ სურდა სატირა ორგანულად შერწყმულა პოემას თავსა ან ბოლოში და ამოიუნჯებულყო მასში ჩართული ქებანი მაჰმუდისა. კეთილი, — დასძენს იგი, — მაგრამ რაღამ არ გვხვდება ეს „შაპ-ნამეს“ უძველეს ხელნაწერებში? (გვ. 195).

საკუთრივ სატირა, როგორც ის ჩვენამდეა ჩოჩნული, ზოგს „საკმაოდ ისტატურად შედგენილ თხზულებად“ მიაჩნია (ბერტელსი)<sup>14</sup>, ზოგსაც — „არალოგიურად გაწყობილ და

<sup>10</sup> იქვე

<sup>11</sup> შეცდომაა. უნდა იყოს მასჷღ III (1099—1115). მაშასადამე, არა ბაღიშიშვილი, არამედ უფრო გვიანდელი შოამომავალი. იხ. К. Э. Босворт, Мусульманские династии, М., 1971, გვ. 237.

<sup>12</sup> Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской лит-ры, გვ. 190.

<sup>13</sup> დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, გვ. 151.

<sup>14</sup> იქვე, 191.

შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან დაუჯავშინებელ ნაწარმოებად" (ჩაიკინი. გვ. 144). ჩვენი აზრით, ეს ასი ბეითი გამოსახვის სტილისტური საშუალებებით უეჭველად წარმატებით აღწევს მიზანს და მთლიანად გამართული სატირული ნაწარმოებია; ავტორ-შემდგენელი მაშულ უახუნეის სუსტ და მტკივნეულ მხარეებზე მიმართავს მწარე დაცინვის ნესტარს და აღწევს ცილედ მაღალ სატირულ ეფექტს. „სატირამი არსებობდა გაიგივებულია ადამიანი და მისი ქტევა; უკეთ: სატირამი ქტევა თეთი ადამიანის არსად არის გაიგივებული და მათ შორის სატირამ არავითარ განსხვავებას არ ამაყრებს“<sup>15</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ეს მართებული შეხედულება, ვფიქრობთ, ზედმიწევნით ახსიათებებს ფირდოუსის სახელთან დაკავშირებულ სატირას.

კლასიკური სპარსული ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას საერთოდ ბევრი რამა წერილებში პოზიტიური და ანტიპოზიტიური და ანტიპოზიტიური დამოკიდებულება დოკლამაშაჰისადმი. „...სწორედ ეს დოკლამაშაჰი ხომ ისე უღმერთოდ ტყუის, რომ მის არც ერთ სიტყვას არ შეიძლება ენდო" (გვ. 143), — სწერს იგი და მიუხედავად ამისა არა ერთგან მიმართავს მანც მას. ვის შეუძლია უარყო, რომ დოკლამაშაჰის ცნობილი თეზებზე დაზღვეული იყოს ცდომილებათაგან, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ ამ წიგნში წარმოდგენილი არა ერთი და ორი ცნობა დიდად ანგარიშგასაწევი, ასე, მაგალითად. ახალი სპარსული ლიტერატურის აღმოცენების პრობლემების გასარკვევად, VIII—IX საუკუნეების არაბულენოვანი ირანული პოეტების შესწავლისათვის და სხვა მრავალი საკითხის გარკვევა-დადგენაში ორიენტაციისათვის. ამიტომაც, რომ დღესაც მკვლევარნი გვერდს ვერ უვლიან მის „თაჰიკრათ აშ-შუარას“.

ი. მარი და კ. ჩაიკინი სხვადასხვა დროს უდავოაგოურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა საქმიანობის ეს მხარეც კარგად ჩანს სარეცენზიო კრებულში. სიანდერუსა მათი მოსაზრებანი სპარსული ენის სწავლების შესახებ. მარი უპირატესობა ზეპირმეტყველებასა და სმენას ანიჭებს. აგრეთვე — მოცემული ენის მატარებელი კოლექტივის აზროვნების გაეცნობას. „ენის კარგად შეოღინებლისათვის საჭიროა მისი დაწყება არა გრამატიკით, სიტყვებითა და ბგერებით, არამედ შესასწავლი ხალხითა და გარემოთი... ენის შესწავლა უნდა დაიწყოს არა წერით, არამედ ცოცხალი მეტყველებით, მიმიკით, ინტონაციით" (გვ. 86). რა დონის მომზადება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ენის მცოდნედ ჩითვალოსო. — სვამს კითხვას მარი და უპასუხებს: შეძლოს გარკვევს რას ელაპარაკებოდნ მას და თავის ნათქვამი გააგებინოს სხვას. მე კი როცა შირაზში ჩავედი, არაფერი მესმოდა და ჩემს ნათქვამსაც ვერავის ვაგებინებდით... (გვ. 91). მე შეეხვედრითარო სპარსეთში არა ერთსა და ორს. რომლებმაც სპარსული ადგილზე შეისწავლეს ზეპირი გზით რა ისინი უკეთ შეეუბრუნებდნენ, ვიდრე მოსკოვსა და ლენინგრადის სათანადო ინსტიტუტების უკრინდოთარებულნი. უფრო მეტიც: ვიდრე სპარსული ენის სპეციალისტი ვიკოვი და სპარსეთის ცნობილი მცოდნე ბერტელსი. ზნორ შემთხვევაში ჩემზე უკეთესადაცო (გვ. 91), — დასძენს იგი. სრულიად საწინააღმდეგო აზრისაა ჩაიკინი. იგი სწერს: „გულწრფელად უნდა ვიტყვოდ, რომ სასაღებრო ენით სპარსულის შესწავლის დაწყების კუმარობებში დარწმუნებული არა ვარო. ისინი, რომლებმაც ასე დაიწყეს და შეისწავლეს ენა, ძალიან ცუდად ლაპარაკობენ... მათ რომელიმე მალექ-ომ-შოარა არც კი გავსებობება" (გვ. 93) და სთავაზობს ენის ცოდნის თავის კრიტერიუმს: საკითხის გარკვევისათვის მტკიცეთ დაუდევოთ ორივე ფეხით მყარ ნიდაზე... სწერს ჩაიკინი აღტყვევებით. უმაღლესი სკოლის მიერ მომზადებული პრაქტიკული ინშუარი, იქნება იგი დიპლომატი თუ საეპრო დარგის წარმომადგენელი, ვაღლებულია იტონადებს წერა და კითხვა. ამისათვის კი საჭიროა დადგინდეს — რით დაწყოს მისი წვთინა: სასაღებრო ენით? სასაღებრო ენითა და წერით? თუ წერით? რადგან ადამიანები არ არიან სტანდარტული სიდიდეები, ამიტომ უმჯობესია საშუალო ხაზი ავირჩიოთ და დაიწყოთ სასაღებრო ენითა და წერით. პეტერბინი (მარის მიერ წერილში დასახელებული პირი, შირაზის საონსტულის მდივანი), მაგალითად, ამბობენ, ცუდად ლაპარაკობდით სპარსულად. უნდა ვიფიქრობო, ასეა არა იმითომ, რომ იგი ინსტიტუტში სწავლობდა, არამედ იმითომ. რომ ცუდად სწავლობდა. ცუდად სწავლობენ ახლაც, მაგრამ ეს სიტყვად იმის შედეგი კი არაა, რომ წერითა და გრამატიკით სწავლობენ, არამედ იმისა, რომ მკორე დროს უთმობენ აღმწავლურ ენებს. ჩვენთან, მოსკოვში. მაგალითად, საქმე ისეა გამართული, რომ სხვა დიპლომატებთან გადამტვირთულ სტუდენტებს თავისი დროის ბიუჯეტში წუთიც არ რჩებაო.

<sup>15</sup> გრიგოლ ქ ი კ ნ ა შ ე. ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბილისი, 1953, გვ. 21.

ზინ სპარსულში იმეცადინონო, — შენიშნავს ჩაიკინი (გვ. 94). ყველა ის რუსი სპეციალისტი, რომელიც თეირანში შემხვედრია და უდავოდ კარგად ლაპარაკობდნენ სპარსულად (ჩამოთვლილია გვარები), სწავლობდაო ენას, ხოლო „სწავლაში“ მე ყველგან ვგულისხმობო „ძველებურ სწავლებას, სადაც გრაფიკას საპატრო ადგილი ეჭირა“, — დასძენს ჩაიკინი (გვ. 95). სამაგიეროდ „...ირანში კაცი არ შემხვედრია, რომელზედაც იტყვიდი, სპარსული ენა კარგად იცისო, თუ მან იგი მხოლოდ ზეპირმეტყველებით შეისწავლა“ (გვ. 88). როგორც ვხედავთ, ენის შესწავლის ორ განსხვავებულ მეთოდზეა ლაპარაკი, ენის ცოდნის ორი განსხვავებული კრიტერიუმი. ფიქრობთ, „მყარ ნიადაგზე ორივე ფეხით მტკიცედ დგომისათვის“ კ. ჩაიკინის აზრი ფრიად ანგარიშგასაწევაა.

ი. მარისა და კ. ჩაიკინის წერილებში აღწერილი საკითხები ზემოჩამოთვლილით არ ამოიწურება. წიგნში დიდძალი მასალაა წარმოდგენილი. მისი უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მკითხველს მრავალ პრობლემაზე დააფიქრებს, წარმოშობს მასში სურვილს, იკვლიოს დასმული საკითხები და განსხვავებულად შეხედოს უდავოდ მიჩნეულ დებულებებსაც. ამისათვის სარეცენზიო კრებულში წარმოდგენილი ეპისტოლარული მემკვიდრეობა საფუძველს იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ იგი იწერებოდა თითქმის ნახევარი საუკუნის წინ. მაგრამ წერილები ამასთანავე სევდას იწვევს მკითხველში, რომ მათი ავტორები ბედის ტრიალმა იმ დროს ჩამოაშორა სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზს, როდესაც განსაკუთრებით ნაყოფიერი ხანა დგებოდა მათთვის და არ დასცალდათ მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება.

ზოგიერთი შენიშვნა სარეცენზიო წიგნის შესახებ ჩვენ ზემოთ, გზადაგზა გამოეთქვიით. აქ დაეუმატებდით მხოლოდ იმას, რომ დართულ შენიშვნებში დაბტურდება ცალკეული უზუსტობანი. აქა-იქ გაპარულია კორექტურული შეცდომებიც, მაგრამ ყველა ესენი (გვ. გვ. 38, 40, 43, 52, 195, 196, 281, 288,...) არაა ისეთი ხასიათის, რომ აზრის გაგება დააბრკოლოს.

სოფიო მარმა და ალექსანდრე გეახარიამ სათანადო აპარატით შემკული შესანიშნავი კრებული გამოსცეს ცნობილი საბჭოთა ირანისტების ი. მარისა და კ. ჩაიკინის წერილები-სა, რომლებიც ყოველთვის საინტერესო იქნება ირანული ფილოლოგიით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

კონსტანტინე ფალავა